ჯორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

ნუგზარ პაპუაშვილი

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში

წინაისტორია და ისტორია



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

UDC(უაკ) 274.5(479.22)
პ–189

ეს წიგნი გათვალისწინებულია მკითხველთა წრისათვის, რომელსაც საქართველო-გერმანიის საეკლესიო და კულტურული ურთიერთობები აინტერესებს. აქ ისეთი წერილობითი დოკუმენტები, ისტორიული აღწერილობები და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები არის თავმოყრილი და განხილული, რომლებსაც ლუთერანული რეფორმაციის საქართველოსა და ქართველ ხალხთან კავშირების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამ ისტორიის გაცნობის შესაძლებლობა ფართო საზოგადოებრიობას წინამდებარე გამოცემის მეშვეობით პირველად ეძლევა.

რედაქტორები:

ზურაბ კიკნაძე - ემერიტუს პროფესორი
მანუჩარ გუნცაძე - დოქტორანტი

დიზაინი და დაკაბადონება: მანუჩარ გუნცაძე

იბეჭდება **Forschungsstiftung für Spätmittelalter und Reformation**-ის თანადგომით

ყველა უფლება დაცულია
© ნუგზარ პაპუაშვილი, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-370-5

შინაარსი

წინასიტყვა 5

შესავალი

იუბილე 9

რომის პაპი „ახალი მწვალებლობის“ შესახებ 10

რა ცნობებს შეიძლებოდა შემოეღწია გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში დასავლეთევროპული საეკლესიო რეფორმაციის შესახებ? 13

წინაისტორია

როდის შეიძლებოდა შემოეღწია საქართველოში საეკლესიო რეფორმაციის იდეას? 17

ზაქარია ჭიჭინაძე ლუთერანების პირველი ნაბიჯის შესახებ საქართველოში 18

„პრინციპული წინასწარი უნდობლობა“ ზაქარია ჭიჭინაძეს 25

ცოტა რამ სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან 27

რომელი ათაბაგი მონაწილეობდა ლუთერანთა და მართლმადიდებელთა პირველ დიალოგსა და დებატებში? 30

წყაროები და მათი პუბლიკაციები 32

წყაროების მიმოხილვა 33

ქართველები ინტერკონფესიური დიალოგის დროს 66

კვლევების შედეგები 70

ლეგენდა და ჭეშმარიტება 77

კვლავ ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისის შესახებ 78

გერმანელი მოგზაურები და სწავლულები საქართველოში გერმანელთა ახალშენების დაარსებამდე 82

ისტორია

ლუთერანი ევანგელისტები საქართველოში 86

კოლონისტები ვიურტემბერგიდან: ოცნება თავისუფლებასა და კეთილდღეობაზე 89

საქართველო ტაჰიტისა და იერუსალიმის წილ და მაინც იერუსალიმი? 102

გერმანელთა დასახლებები საქართველოში 103

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიების დაარსება საქართველოში 106

პირველი ნაბიჯების შესახებ 108

ქილიაზმის ბედი საქართველოში 116

ევანგელისტი ლუთერანები საქართველოს მრავალფეროვნებაში 130

ულმობელი ხვედრი 137

განახლება 142

ბოლოსიტყვა 148

ლიტერატურა 151

დანართი

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და მისი მეუღლე ოტილია-ნინო ტომას-ცინცაძე (მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა) 163

საერთო საძიებელი 178

წინასიტყვა

გერმანელებისა და ქართველების პილიტიკური და კულტურული ურთიერთობები, რომელთაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, შედარებით კარგად არის შესწავლილი და ეს სპეციალურ ლიტერატურაშიც ცნობილია. მაგრამ ამ ორი ხალხის საეკლესიო და სულიერი თანამშრომლობა საგანგებო კვლევა-ძიების საგნად დღემდე არ ქცეულა. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს სწორედ ამ ნაკლის შევსება წარმოადგენს. იგი მკითხველთა ფართო წრეს ლუთერანული რეფორმაციის საქართველოსა და ქართველ ხალხთან ურთიერთობათა ისტორიის არსებითი და მნიშვნელოვანი ეპიზოდების გაცნობის შესაძლებლობას სთავაზობს.

ამ თემის აქტუალობა დღეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა:

2017 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2019 წლის მიწურულამდე გაგრძელდება სამხრეთ კავკასიაში გერმანული დასახლებების დაარსების 200 წლის იუბილე, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში აღინიშნება, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. აქედან გამომდინარე და ამასთან დაკავშირებით საპატიო მოვალეობად მივიჩნიეთ, მონაწილეობა მიგვეღო საიუბილეო ღონისძიებებში და შეძლებისამებრ ცხადად და მასშტაბურად წარმოგვეჩინა წვლილი, რომელიც ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის შვილებმა შეიტანეს ქართული კულტურის განვითარების საქმეში ფართო გაგებით. იმედია, კვლავ ჩატარდება ბევრი სხვა სამუშაო იმ მიზნითა და მიმართულებით, რომ საქართველოში მოსახლე ლუთერანების ნაკვალევი და მემკვიდრეობა მეტი სრულყოფილებით იქნას აღქმული და შეფასებული.

გადავწყვიტეთ, წინამდებარე თემის ინტერნაციონალური შინაარსის გამო, როგორც ქართულ, ისე გერმანულენოვან მოსახლეობას გავუზიაროთ ჩვენამდე მოღწეული და მოცემული საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციები და ისტორიული აღწერილობები. უფრო კონ-

კრეტულად: ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რამდენიმე ეპიზოდზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ საქართველოში გადმოსახლებული გერმანელების საეკლესიო-რელიგიური ცხოვრების თავისებურებანი. ასევე გვინდოდა, მკაფიოდ გვეთქვა: ადამიანებისა და ერების ერთმანეთთან შეხვედრებმა და გაცნობებმა გაამდიდრა როგორც საქართველოს, ისე გერმანიის ისტორია.

1817 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც გერმანელი მორწმუნეები, უმთავრესად შვაბი პიეტისტები, საქართველოში მოვიდნენ, აქ მათი დასახლებები (კოლონიები) შეიქმნა და მათი მეშვეობით ქართველებს გერმანულენოვანი კულტურის უკეთ გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ, გერმანია ქართველი ხალხის თვალში შრომისმოყვარეობისა და წესრიგის მაგალითად იქცა. მეც ამავე თვალით ვუცქერდი გერმანიას ჩემი სიჭაბუკიდან და ყოველთვის მქონდა ინტერესი, რომ ხსენებული ხალხის წარმომავლობისა და თავგადასავლის შესახებ საგნობრივი ცოდნა შემეძინა. ამიტომ განვიზრახე, ამ ხალხთან დაკავშირებული ამბები და წერილობითი წყაროები შეძლებისამებრ საფუძვლიანად გამომეკვლია.

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის საქართველოსთან კავშირში მყოფი საკითხები და პრობლემები არის ჩემი ვრცელი კვლევითი სამუშაოს შემადგენელი ნაწილი. ამ სამუშაოს ზოგადი სათაური ასეთია: „საქართველო-გერმანიის საეკლესიო და კულტურულ ურთიერთობათა ისტორია დასაბამიდან თანამედროვეობამდე". ამ თემის დამუშავებისათვისაც ხელის შეწყობის მიზნით 2002 წლიდან 2017 წლამდე გამოყოფილი მქონდა რამდენიმე მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდია შემდეგი ფონდებისაგან: გერმანიის ევანგელური ეკლესიის დიაკონური სამსახური (DW der EKD), კათოლიკური აკადემიური გაცვლითი სამსახური (KAAD) და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური (DAAD). ასეთი თანადგომის საფუძველზე ვიმუშავე ტიუბინგენისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში, აგრეთვე სხვა საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებში, რის შედეგადაც სათანადო მასალების მოძიების, აღნუსხვისა და გამოკვლევის შესაძლებლობა მომეცა.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ იმ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც ამ მონოგრაფიის მომზადებაში დიდი თანადგომა და დახმარება აღმომიჩინეს. ეს პირველ რიგში ჩემი გერმანელი მზრუნველი და მრჩეველი კოლეგების: პროფ. დრ. დრ. ჰუბერტ კაუფჰოლდის (მიუნხენი), პროფ. დრ. ჰერმან ლიხტენბერგერის (ტიუბინგენი) და პროფ. დრ. რაინჰოლდ რიგერის (ტიუბინგენი) მისამართით ითქმის. ეგევე ითქმის ამ წიგნის წინამდებარე, ქართული, ვერსიის რედაქტორების: პროფესორ ზურაბ კიკნაძისა და დოქტორანტ მანუჩარ გუნცაძის მისამართითაც. ულრმეს მადლობას მოვახსენებ ასევე გერმანულ ფონდს **Forschungsstiftung für Spätmittelalter und Reformation [კვლევები გვიან შუასაუკუნეებსა და რეფორმაციაზე]** (ტიუბინგენი) და **სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს** ამ წიგნის დასტამბვაში აღმოჩენილი ფინანსური დახმარებისათვის.

დიდად დავალებული ვარ იმ თანადგომისა და გულისხმიერების გამო, რომელიც ჩემმა გერმანელმა მეგობრებმა, მიხეილ-ჰანის საზოგადოებისა და შვაბიელ-ვიურტემბერგელი პიეტისტების წარმომადგენლებმა — ბატონმა მანფრედ როიტერმა (ტიუბინგენი) და ბატონმა ჰერმან გლასერმა (იოშინგენი) თავიანთ ოჯახებთან ერთად აღმომიჩინეს.

ასევე ულრემეს მადლობას მოვახსენებ ჩემი კოლეგებისა და მეგობრების წრეს: სამხრეთ კავკასიაში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსს მარკუს შოხს (თბილისი), ქალბატონ ქრისტიანე ჰუმელს (თბილისი-ობერბოინიგენი), აღმოსავლური კოლეგიუმის რექტორს დეკ. დოქტ. ოლექსანდრ პეტრენკოს (აიხშტეტი), პროფ. დოქტ. იოჰან პლატშოკს (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბატონ ჰელმუტ ტიზს (ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა), მიუნხენის ქართულ-მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს დეკ. თამაზ ლომიძეს, ბატონ ფერდინანდ ტრაურიგს (მიუნხენი), ბატონ დავით გიორგობიანს (თბილისი), ქალბატონ მაია დამენიას (თბილისი), ბატონ ალექსანდრე თვარაძეს (თბილისი), ქალბატონ თინა ხიდეშელს (ტიუბინგენი), ქალბატონ მარიეტა ემერლეს (ტიუბინგენი), ბატონ მირიან გამრე-

კელაშვილსა და მის ოჯახს (მიუნხენი), ქალბატონ თინა გოგრიჭიანს (თბილისი), ბატონ ერეკლე თურქაძეს (ვენა), ბატონ თენგიზ დალალიშვილს (თბილისი-შტუტგარტი), ბატონ მერაბ გაბუჩიას (თბილისი). ისინი დამეხმარნენ ზოგ შემთხვევაში ენობრივი დაბრკოლების (გერმანულ ვერსიათან დაკავშირებით), ზოგ შემთხვევაში სხვა სახის დაბრკოლებათა გადალახვის გზაზე.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ საეკლესიო-სამეცნიერო ჩანაფიქრის განხორციელების დროს დახმარება გამიწია.

ამ წიგნის გამოცემის პროცესმა, გარკვეული აზრით, აღმოსავლეთი და დასავლეთი, საქართველო და გერმანია, მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა და ევანგელისტთა წარმომადგენლები გააერთიანა. ამდენად, ჩვენს წინაა ინტერნაციონალური და ინტერკონფესიური მუშაობის შედეგი, რაც მახარებს. მადლობა ღმერთს.

თბილისი, 2018 წლის მაისი.

ნუგზარ პაპუაშვილი

შესავალი

იუბილე

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში 2017-იდან 2019 წლამდე დაარსების ორსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თარიღი შთამბეჭდავად აღინიშნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ეს მოსალოდნელიცაა და ბუნებრივიც ორი კარგად ცნობილი გარემოების გამო. ამ ეკლესიის ბედი საქართველოში აღბეჭდილია დრამატიზმით და ტრაგიზმითაც კი, რაც არის საყურადღებო და დამაფიქრებელი ფურცელი როგორც აღნიშნული ეკლესიის ისტორიისათვის, ისე რელიგიის ისტორიისათვის ზოგადად. ამასთანავე თვალსაჩინო და დაუვიწყარია წვლილი და დამსახურება, რომელიც ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიას მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე ფართო გაგებით. იმედია, საქართველოშიც და გერმანიაშიც გაიმართება სამეცნიერო შეხვედრები და დისკუსიები, სადაც მეტი სიცხადითა და სისავსით გამოიკვეთება ხსენებული ბედისა და თავგადასავლის შინაარსი და მნიშვნელობა. ამავდროულად შეფასდება და დაფასდება საქართველოში მოღვაწე ლუთერანების ნაკვალევი და მათი ნაანდერძევ-ნაამაგარი.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, დაანახოს და აგრძნობინოს როგორც ქართულენოვან, ისე გერმანულენოვან მკითხველების ფართო წრეს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის საქართველოში მოღვაწეობის არსებითი მხარე. მან, რამდენიმე ეპიზოდზე დაყრდნობით, უნდა წარმოაჩინოს საეკლესიო-რელიგიური ცხოვრების ის თავისებურებანი, რაც არის ამ მოღვაწეობის შემადგენელი ნაწილი და ისტორიის საკუთრება. გარკვევით და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ და მსგავსმა ამბებმა, — შეხვედრებმა და გაცნობებმა, — გაამრავალფეროვნეს, გაამდიდრეს და კიდეც გაალამაზეს როგორც საქართველოს, ისე გერმანიის ისტორია.

აქვე იმ ფაქტსაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომლის თანახმად მარტინ ლუთერი (1483-1546) და ლუთერანობა ქართულ ტრადიციაში გაიგივებულია პროტესტანტულ რეფორმაციასთან და იმ როლთან, რომელიც ამ მიმართულების ეკლესიათა წარმომადგენლებმა შეიტანეს თანამედროვე ცივილიზაციაში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ქართველ მწიგნობართა წრეებში ლუთერისა და მისი მოძღვრების მიმართ ინტერესი ყოველთვის არსებობდა. ეს ინტერესი

გაძლიერდა 2017 წელს, როდესაც არა მარტო ევანგელისტი ლუთერანების საქართველოში ჩამოსახლების 200 წლისთავი აღინიშნა, არამედ — ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის დაარსების 500 წლისთავიც.

ეს არის მიზეზი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს კიდევ უფრო დიდი ინტერესით ელოდება პასუხს კითხვაზე: რას ნიშნავს ევროპული საეკლესიო რეფორმაცია და ვინ იყო მარტინ ლუთერი, რომლის სახელთან და ღვაწლთან არის დაკავშირებული ახალი საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო ტრადიციის, ახალი კონფესიისა და ახალი საეკლესიო ორგანიზაციის დანერგვა როგორც სამშობლოში, — გერმანიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ? ლაპარაკია რეფორმაციასა და რეფორმატულ-პროტესტანტულ ეკლესიებზე, როგორც ქრისტიანული სამყაროს, — ქრისტიანული ეკლესიის მესამე განშტოებაზე ბერძნულ-მართლმადიდებელი და რომის კათოლიკე ეკლესიების შემდეგ.

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ რა გზით და რა მასშტაბით დაუკავშირდა აღნიშნული მიმართულება საქართველოს და მის საეკლესიო-კულტურილ სივრცეს. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საეკლესიო რეფორმაციას დასავლეთ ევროპაში ლუთერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა და ძალას იკრეფდა. მეცნიერებაში უკვე ცნობილია, რომ ინფორმაციები ამ მოვლენისა და მიმართულების შესახებ თანდათან აღწევდა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც, — ბერძნულ-მართლმადიდებლური და ძველ-ორიენტალური ტრადიციის ხალხებშიც.

რომის პაპი „ახალი მწვალებლობის“ შესახებ

ბუნებრივად დაისმის კითხვა:

როდის გაიგეს ქართველებმა, რომ დასავლეთ ევროპაში საეკლესიო ცხოვრების განახლებაზე ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეკლესიაში რეფორმების შემოღების აუცილებლობაზე ლაპარაკი დაიწყო?

ზუსტი პასუხი, წყაროების სიმცირის გამო, არ მოგვეპოვება. ამის მიუხედავად გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ შემდეგი: ცნობებმა იმის შესახებ, რომ რომის ანუ დასავლეთ ევროპის ეკლესია-

ში საღვთისმსახურო და სამოძღვრო პრაქტიკის ნიადაგზე სერიოზულმა პრობლემებმა იჩინა თავი, საქართველოში დროულად, — რეფორმატორულ-პროტესტანტული იდეების ჩასახვის პირველსავე ეტაპზე, — შემოაღწია. ეს იმ მიმოწერის მეშვეობით მოხდებოდა, რომელიც საქართველოს სამეფო კარსა და რომის პაპის კურიას შორის მიმდინარეობდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შინაარსის ცნობას შეიცავს პაპ გრიგოლ IX-ის ის წერილი, რომელიც მან მეფე რუსუდანსა და მხედართმთავარ ივანე მხარგრძელს გამოუგზავნა 1240 წელს. პაპი მწუხარებით და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ არა მარტო საქართველოს ეკლესიას, არამედ რომის ეკლესიასაც დიდი პრობლემები აქვს სარწმუნოების დაცვის საქმეში: ამ ეკლესიას როგორც მუსლიმები, ისე შინაური მტრები ებრძვიან! აი, პონტიფექსი მამის სიტყვები: „Decet autem et vos nobis compati qui multas persecutiones ab hostibus fidei hoc tempore patimur quo preter Sarracenos qui in Ispanie et Syrie partibus fidem impugnant catholicam nonnulli alii a fide Christi apostatantes ecclesiam Dei quibus possunt impugnantes viribus, novam perditionis sectam indicere et fidem salutis et redemptionis humane de terra exterminare conantur [ჯერ არს, რომ თქვენც ჩვენ თანაგვიგრძნოთ, რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძლიერ გვდევნის. გარდა იმისა, რომ სარკინოზები ესპანეთსა და სირიაში დევნიან კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგიერთნი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინ აღგვიდგნენ... უნდათ ახალი მწვალებლობის დამყარება და ცდილობენ ამოძირკვონ ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელმაც უნდა დაიხსნას და აცხოვნოს ადამის ნათესავი]"[1]. მართალია, ამ დოკუმენტში არ არის მკაფიოდ ნათქვამი, თუ ვინ იგულისხმება „შინაურ მტრებში", მაგრამ არაფერი გვიშლის ხელს, ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია პროტესტანტულ-რეფორმატორული იდეოლოგიისა და მოძრაობის ჩანასახებზე. დასავლეთ ევროპის საეკლესიო სივრცეში სწორედ XIII ს-ის შუა წლებიდან ჩნდება მოწოდებები საეკლესიო

[1] აღნიშნული წერილის პუბლიკაცია: Annales Ecclesiastici ab anno MCXCVIII ubi Card. Baronius desinit auctore Odorico Raynaldo (...), tomus XIII, Rom 1646, Nr. 40, S. 547; Köln 1692, Nr. 40, S. 496. წარმოდგენილი თარგმანი არის მიხეილ თამარაშვილის თარგმანის გადამუშავებული ვარიანტი (ზურაბ კიკნაძის დახმარებით). შდრ. თამარაშვილი 1902: 15 (თარგმანი), 569 (ორიგინალი), 572 (წყაროზე მითითება: Annales Ecclesiastici a Baronio contin. a Odorico et Arch. vat. Gr. 9. an. 13. vol. VI num. 19. ep. 198. p. 142. ter).

ცხოვრების ევანგელური პრინციპების კვალობაზე გარდაქმნისა და განახლების შესახებ. ასეთ პრინციპებსა და მოწოდებებს აყალიბებდნენ იმდროინდელ რელიგიურ აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც ისტორიაში შესული არიან კათარების, ჰუმილიატებისა და ვალდელნების სახელით (Grundmann 1961: 70-156; Wolter 1985: 265-237). ცნობილია ისიც, თუ როგორი თავგამოდებით ებრძოდა პაპი გრიგოლ IX დასახელებულ მოვლენებს ანუ, ზოგადად, არაკათოლიკური რეფორმაციის ყოველგვარ გამოვლინებას (Kölzer 2006: Sp. 1019), მათ შორის, ალბათ, 1215 წლის 15 ივნისის დოკუმენტს Magna Charta Libertatum [თავისუფლების დიდი ქარტია], რომელშიც კათოლიკეები ანგლიკანური რეფორმაციის ფესვებს ხედავენ (Petrosillo 1995: 22-23; ქართული თარგმანი: პეტროზილი 2011: 19) და რომელიც დემოკრატიისა და სინდისის თავისუფლების პირველ საყოველთაო მანიფესტაციად მიიჩნევა.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი და არსებითი არის შემდეგი: ეჭვი არ არის, რომ კითხვას, თუ ვის გულისხმობს პონტიფექსი „შინაურ მტრებში", იმდროინდელი ქართველებიც დასვამდნენ და პასუხად, დიდი ალბათობით, მოისმენდნენ ინფორმაციას მაშინდელ ევროპასა და, კერძოდ, ინგლისში პროტესტანტული იდეებისა და სიახლეების ჩასახვის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებულმა მისიონერებმა, პაპის წერილის საქართველოში მომტანებმა, დასძინეს: ეს იდეები და სიახლეები უკვე დიდი ბრიტანეთის საზღვრებს გასცდა და ნელი ნაბიჯით კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის სხვადასხვა საყდარს უახლოვდება; გაფრთხილდით, მართლმადიდებელო ქართველებო, თქვენც არ მოგადგეთ კარზე, და თუ მოგადგათ, მომზადებული დახვდით!

შეუძლებელია, რომ საქართველოს მაშინდელი საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილში არ გაჩენილიყო სურვილი, მეტი მოესმინათ და გაეგოთ რომის ეკლესიის „შინაური მტრების" შესახებ. ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება შეეძლოთ როგორც კათოლიკე მისიონერებს, ისე სხვადასხვა წოდების, პროფესიისა და მრწამსის ადამიანებს, — კათოლიკეებსაც და არაკათოლიკეებსაც, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპიდან საქართველოში სხვადასხვა მოტივით, — სავაჭრო, დიპლომატიური, რელიგიური თუ სხვა მიზნებით, — შემოდიოდნენ[2]. სხვანაირად რომ

[2] მაგალითად: მე-15 საუკუნის დასაწყისში საქართველოში იმყოფებოდა გერმანელი სწავლული და ბავარიელი რაინდი იოანე შილტბერგერი. მისი მემუარები „Reisen in Europa, Asia und Afrika von ab 1394 bis 1427 [მოგზაუ-

ვთქვათ, ინფორმაციას დასავლეთ ევროპაში საეკლესიო რეფორმაციის ჩასახვისა და განვითარების თაობაზე ქართველები მიიღებდნენ როგორც ირიბი და შუალედური გზით, ე.ი. ანტიპროტესტანტებისა და ანტირეფორმატორებისაგან, ისე პირდაპირ და უშუალოდ — პროტესტანტებისა და რეფორმატორებისაგან.

რა ცნობებს შეიძლებოდა შემოეღწია გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში დასავლეთევროპული საეკლესიო რეფორმაციის შესახებ?

XIII-XVI საუკუნეებში ქართველების ერთ ნაწილს, უფრო ელიტარულ წრეებს, შესაძლებელია სცოდნოდა შემდეგი: რომის კათოლიკური ეკლესიის არა ერთი და ორი წარმომადგენელი უფრო და უფრო ღიად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ამ ეკლესიის ზოგიერთი დოგმატისა და რიტუალის გამო. ამგვარად მოაზროვნე კათოლიკეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში ქრისტიანთა ცხოვრების წესები და საღვთისმსახურო პრაქტიკა გადაგვარდა. იქ ისეთი რიტუალები შემოიღეს, ისეთი წესები მოიგონეს და გარეგანი მხარის მიმართ ყურადღება იმ ზომამდე გაამახვილეს, რომ ქრისტესა და მისი სახარებისათვის ადგილი აღარ დარჩა; ეკლესია სულიერი ღირებულებებისაგან გაიძარცვა. ვინც ასე ფიქრობდა და ვისაც რომის ეკლესიის მეთაურის — რომის პაპის — სულიერი ხელმწიფების ქვეშ ყოფნა აღარ სურდა, ამ შინაარსის ქადაგება დაიწყო: იმისათვის, რომ ახალი აღთქმის ეკლესიამ ახალი აღთქმის სულისკვეთება შეინარჩუნოს, საჭიროა, ჩატარდეს საღვთისმსახურო რეფორმები და ზოგიერთი საღვთისმეტყველო დოგმატიც კი გადაისინჯოს.

ასეც მოხდა: რომის პაპის ხსენებულმა ოპოზიციონერებმა XV-XVI საუკუნეებში უარი თქვეს მთელ რიგ რიტუალებზე და დოგმატებზე, მათ შორის მიცვალებულთა ცხონებისათვის ლოცვაზე (ვერანაირი ლოცვა მათ სულებს ვეღარ უშველისო), ღვთისმშობლის მარადის ქალწულების რწმენაზე და წმინდანების მიმართ ვედრებაზე, ღმერთსა და ადამიანს შორის ეკლესიის შუამავალ როლზე

რობა ევროპას, აზიასა და აფრიკაში 1394-იდან 1427 წლამდე]", რომლებიც 1476 წელს აუგსბურგში, 1859 წელს კი მიუნხენში გამოქვეყნდა, იმდროინდელი საქართველოს შესახებ საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს, რაც ქართველოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია (ხანთაძე 1968: 115-116).

და ეპისკოპოსობის ტრადიციულ ინსტიტუტზე, ხატებისა და წმინდა ნაწილების (რელიკვიების) თაყვანისცემის პრაქტიკაზე, საიდუმლო აღსარებაზე და ევქარისტიის დროს პურისა და ღვინის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გადაარსების დოგმაზე.

აღნიშნული თეორიების საფუძველზე XVI საუკუნის შუა წლებში ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც ჩამოყალიბდა ახალი კონფესია ანუ, იგივე, აღმსარებლობა, რომელიც ცნობილია სამი სახელით: პროტესტანტობა, რეფორმატორობა და ევანგელისტობა. ამ კონფესიის მამათმთავრად ითვლება (და სამართლიანადაც) მარტინ ლუთერი. ის გახლდათ აკადემიური ცო-



მარტინ ლუთერი

დნით აღჭურვილი ბერი, ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორი და თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, რომლის მიმართ კათოლიკური ეკლესიის იერარქია დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ ეს იმედი დაიმსხვრა. მან მალე ასეთი კითხვები დასვა: რა საერთო აქვს ეკლესიების ფუფუნებას, სამღვდელოთა თეატრალურ ჟესტებს, მათ მდიდრულ ანაფორებსა და პაპის ინდულგენციებს (ცოდვათა შენდობის სიგელებს) იესო ქრისტესთან? მისი პასუხი იყო კატეგორიული: არავითარი! უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ საკუთარი პოზიცია მან ჩამოაყალიბა 95 თეზისში, რომლის ტექსტი, ზეპირი გადმოცემის თანახმად, 1517 წლის 31 ოქტომბერს ვიტენბერგის სასახლის ეკლესიის კარიბჭეზე გააკრეს. ასე დაიწყო პროტესტანტული (სხვანაირად რომ ვთქვათ, დისიდენტური) მოძრაობის აღზევება გერმანულენოვან კათოლიკებს შორის. საზოგადოება ორად გაიყო. გაჩაღდა უმწვავესი პაექრობა ხან ერთ, ხან მეორე და ხან მესამე ქალაქში. პროტესტანტმა ბერმა (მარტინ ლუთერმა), რომელსაც უკვე საბერმონაზვნო წესშიც შეჰქონდა ეჭვი, პოზიცია არ დათმო. მისი სიტყვები, წარმოთქმული 1521 წელს ვორმსის რაიხსტაგში გამართული დისკუსიის დროს, სულიერი სიმტკიცის, პრინციპთა ერთგულებისა და სინდისის თავისუფლების სიმბოლოდ იქცა: „Ich stehe da und kann nicht anders! [აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!]". პაპმა ლეონ X-მ გამოსცა ბულა (ღია წერილი), რითაც მან სულიერ შვილს სინანულისაკენ მოუწოდა, მაგრამ მან, სინანულისაკენ მოწოდებულმა, ეს ბულა დაწვა კათოლიკური აღმსარებლობის სხვა ტექსტებთან ერთად. რადგან პროტესტანტისაგან მონანიების იმედი გადაიწურა, პაპმა ლეონმა მარტინ ლუთერი და მისი თანამოაზრეები 1521 წლის 3 იანვარს კათოლიკე ეკლესიისაგან განკვეთილად გამოაცხადა ანუ ისინი ანათემას გადასცა. ამის გამო პერიოდი 1517 წლის 31 ოქტომბრიდან 1521 წლის 3 იანვრამდე ისტორიაში ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის დაბადების დღედ შევიდა, რადგან ამ დღიდან (ამ პერიოდიდან) ლუთერის მიმდევრებმა დამოუკიდებელი ეკლესიის დაფუძნება და მშენებლობა დაიწყეს, რაც ქრისტიანულ სამყაროში ახალი კონფესიისა და ახალი ეკლესიის აღმოცენებას ნიშნავდა.

ეს ეკლესია ლუთერის ეკლესიოლოგიური პრინციპების შესაბამისად მოეწყო: გამარტივდა წირვა-ლოცვა და შემცირდა მისი რეგლამენტი. ამ ეკლესიაში წირვა ანუ, იგივე, ზიარება თვეში ერთხელ და საუფლო დღესასწაულებზე აღესრულება, მათ შორის, წითელ პარასკევს, როდესაც მართლმადიდებლები და კათოლიკეები არ სწირავენ; გაუქმდა საკურთხეველი და მოისპო ხატებისა და წმინდა საგნების თაყვანისცემის წესი, ბოლო მოეღო ღვთისმშობლისა

და წმინდანების კულტს, შესაბამისად: შეწყდა პილიგრიმობა და წმინდანებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები. მთავარი და არსებითი, რაც ამ კონფესიამ საკაცობრიო კულტურას შესძინა, არის ბიბლიის სრული ტექსტის გერმანულ ენაზე თარგმნა, რაც მარტინ ლუთერმა დედნის ენებიდან (ებრაულიდან და ბერძნულიდან) შეასრულა. ეს თარგმანი შესრულებულია ხალხურ დიალექტზე, რათა ბიბლიის ტექსტი ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო (Kaufmann 2006: 25-122).

აი, რა შეიძლებოდა სცოდნოდათ (ამა თუ იმ ოდენობით და ამა თუ იმ სიზუსტით) მითითებული საუკუნეების განათლებულ ქართველებს დასავლეთ ევროპის საეკლესიო ცხოვრებისა და, კერძოდ, რეფორმაციის პირველი ნაბიჯების შესახებ.

როდის შეიძლებოდა შემოეღწია საქართველოში საეკლესიო რეფორმაციის იდეას?

დოკუმენტური მასალა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა გვარწმუნებს, რომ საქართველო ლუთერანი მისიონერების, განსაკუთრებით კი ტიუბინგენელი მისიონერების, ყურადღების ცენტრში ევანგელურ-რეფორმატორული ეკლესიის ისტორიის საწყის ეტაპზევე მოექცა და ქართველებთან კონტაქტების დასამყარებლად სათანადო ნაბიჯებიც გადაიდგა (Benz 1952: 21-23. ვრცლად იხ. ქვემოთ). ეს დოკუმენტაცია და ლიტერატურა ქართველი მეცნიერებისათვის ბოლო დრომდე უცნობი იყო. ამიტომ მკვლევრები, რომლებიც XX საუკუნეში საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე მუშაობდნენ, ფიქრობდნენ, ევროპული საეკლესიო რეფორმაცია შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა და, მასასადამე, მას ქართველთა არც ერთი ჯგუფის რელიგიურ ცნობიერებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენიაო. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მარტინ ლუთერის იდეები ამ ქვეყანაში პირველად იმ გერმანელმა ევანგელისტებმა, კერძოდ კი ვიურტემბერგელმა პიეტისტებმა (განსაკუთრებული ღვთისმოსაობით გამორჩეულმა ლუთერანმა ევანგელისტებმა), შემოიტანეს, რომლებიც 1817 წლიდან 1819 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჯგუფ-ჯგუფად შემოვიდნენ და ქვემო ქართლის სხვადასხვა რეგიონში თავიანთი კოლონიები დააარსეს.

ამდენად, XX საუკუნემდე საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა გზით უნდა შემოეღწია საქართველოში მეცხრამეტე საუკუნემდე ევანგელურ-რეფორმატორულ იდეებს, რადგან რაიმე შესაბამისი დოკუმენტის არსებობაზე მათ ინფორმაციაც კი არ ჰქონდათ.

ზაქარია ჭიჭინაძე ლუთერანების პირველი ნაბიჯის შესახებ საქართველოში

და, აი, 1918 წელს ქართული ნიგნის ბაზარ'ხე გამოჩნდა მცირე ტანის, 16-გვერდიანი წიგნი, რომელმაც მკითხველთა ფართო ნრეს ჩვენთვის საინტერესო სფეროში, ყოველად მოულოდნელად, ახალი და სრულიად უცნობი ინფორმაცია და თვალსაზრისი მიაწოდა. ეს ინფორმაციაცა და თვალსაზრისიც კონცენტრირებულია სატიტულო გვერდზე, რომელშიც აღნიშნულია: „ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში, ისტორიული მიმოხილვა, ზ. ჭ.., გამოცემული ვლადიმერ შატბერაშვილის მიერ, გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. «სამშობლოდამ», თბილისი, საქართველოს მთავრობის სტამბა, 1918". აბრევიატურა „ზ. ჭ." ადვილი გასაშიფრია. იგი განეკუთვნება ავტორს და ეჭვი არაა, რომ ეს ავტორი არის ცნობილი მწიგნობარი და ბიბლიოფილი, საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931).



ზაქარია ჭიჭინაძე

ზაქარია ჭიჭინაძემ თვალსაჩინო სიტყვა ეკლესიის ისტორიის განხრითაც თქვა. მკითხველთა ფართო წრისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი მისი დამსახურება საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიების ისტორიის შესწავლის საქმეში, მაგრამ ცოტას თუ მოეხსენება ის ფაქტი, რომ მან (და მხოლოდ მან) შემოგვინახა უნიკალური ცნობა ერთი უნიკალური დოკუმენტის შესახებ, რომელშიც, თურმე, მოიპოვებოდა პასუხები კითხვებზე: სად და როდის გაეცვნენ ქართველები პირველად ქრისტიანული ეკლესიის დიდი რეფორმატორის, გერმანულენოვანი კულტურის უდიდესი ნარმომადგენლის, ბიბლიის მთარგმნელისა და კომენტატორის მარტინ ლუთე-

რის იდეებს? ვინ იყვნენ ეს ქართველები და რა ბედი ეწია ლუთერანთა პირველ ეკლესიას საქართველოში (თუკი მართლა არსებობდა ასეთი ეკლესია)? სწორედ აღნიშნული დოკუმენტის მიმოხილვა უდევს საფუძვლად დასახელებულ ნაშრომს და სწორედ აღნიშნულ კითხვებზე მეცნიერულ პასუხებს ჰპირდება (თვითშეგნებით და თვითდეკლარირებით!) მკითხველებს მისი სათაური: „ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში".

ეს გამოცემა დღეს ბიბლოგრაფიული იშვიათობაა (შდრ.: ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. 1, თბილისი, 1941, გვ. 424), რის გამოც ის წიგნთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც იმსახურებს ინტერესს. მაგრამ უფრო დიდ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებს მისი შინაარსი, რომელიც სათაურში სრულყოფილად და მიმზიდველად არის ასახული. ეს სათაური ახალი და სენსაციური ინფორმაციის მიღების იმედს უნერგავს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს: ისტორიკოსებს, რელიგიათმცოდნეებს, ბიბლიოგრაფებს. ამიტომ ამ წიგნმა უკვე მიიპყრო როგორც ფართო საზოგადოებრიობის, ისე მკვლევართა ყურადღება; გამოიკვეთა აზრთა და შეფასებათა სხვადასხვაობა, თუმცა ყველამ აღიარა მისი მნიშვნელობა როგორც მეცნიერული, ისე იდეოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგრამ უმჯობესია, ვიდრე ამ შეფასებებს მიმოვიხილავთ, თავად წიგნის შინაარსსა და შესაბამის წყაროზე ვილაპარაკოთ.

ზაქარია ჭიჭინაძემ მკითხველთა ფართო წრეს მართლაც სენსაციური ინფორმაცია მიაწოდა და სენსაციური თვალსაზრისი ჩამოაყალიბა: მარტინ ლუთერის მოძღვრებამ საქართველოში, სამცხე-საათაბაგოში, ლუთერის სიცოცხლეშივე შემოაღწია და ეს მაშინ მოხდა, როდესაც ხსენებულ მხარეს (საფეოდალოს) ათაბაგი მზეჭაბუკი, ქაიხოსრო ჯაყელის ძე, განაგებდაო. ავტორის თქმით, „მზეჭაბუკმა თურმე იმეცადინა და კათოლიკობასა და ლიუტერის სწავლას ამან დაუდო თურმე საფუძველი (თავის სამფლობელოში, ნ. პ.). იგი პატივით ეპყრობოდა ორივე ამ სარწმუნოებას. ამიტომ მის დროიდანვე გაჩნდენ სამცხეში ლიუტერის სწავლის მისიონერები" (ჭიჭინაძე 1918: 15-16).

რის საფუძველზე ჩამოაყალიბა მკვლევარმა ასეთი თამამი და სენსაციური თვალსაზრისი? იმ წერილობითი დოკუმენტის ინდივიდუალური (უფრო, სუბიექტური) ანალიზის საფუძველზე, რომელიც მან, თურმე, 1881 წელს, მეხეთსა და ჯავახეთში მოგზაურობის დროს, აღმოსავლური წესის კათოლიკე მღვდლის, ცნობილი არქეოგრაფისა და ეთნოგრაფის ივანე გვარამაძის (1831-1912) ბინაში, სოფელ ხიზაბავრაში, ნახა. ამ დოკუმენტს ის ასე მოიხსენი-

ებს: „ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიური". აი, მისი სიტყვები: „ეს ცნობები ამოღებულია ჯერეთ დაბეჭდავის (დაუბეჭდავის? ნ. პ.) ისტორიულის მასალებიდამ, სახელდობრ ქართველ კათოლიკეთ მღვდლების „მისიონერულის დღიურიდამ". 1882 წ." (ჭიჭინაძე 1918: 3, სქ.). მეორეგან აღნიშნულია: „1881 წ. მესხეთსა და ჯავახეთში მგზავრობის დროს, ვიშოვნე ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიური, რომელიც ამ საგნის შესახებ იძლეოდა საინტერესო ცნობებს. ეს ძვირფასი დღიური მე ვნახე სოფ. ხიზაბავრას, მღვ. ივ. გვარამაძე — ვინმე მესხთან" (ჭიჭინაძე 1918: 14). „ვინმე მესხი" ივანე გვარამაძის ცნობილი ფსევდონიმია, რითაც ის ხშირად აქვეყნებდა ისტორიულ-არქეოლოგიური შინაარსის სტატიებს ჟურნალებსა და გაზეთებში[3].

ამ დოკუმენტის შეძლებისგვარად განხილვამ ზაქარია ჭიჭინაძეს ასეთი ისტორიული ექსკურსის შემოთავაზების შესაძლებლობა მისცა: ახალციხის ფეოდალმა მზეჭაბუკ ჯაყელმა, რომელიც, თვით ზაქარია ჭიჭინაძის მითითებითაც, 1516 გარდაიცვალა, კონსტანტინოპოლში გაიცნო კათოლიკე და ლუთერანი მისიონერები. ისინი მან თავის სამფლობელოში წამოიყვანა და სამისიონერო მოღვაწეობისთვისაც გაამხნევა. მზეჭაბუკმა განსაკუთრებული ყურადღება და სიმპათია პირველად ლუთერის მოძღვრებისა და საეკლესიო წესების მიმართ გამოიჩინა, მერე კი უფრო კათოლიკობისაკენ გადაიხარა. მკვლევრის თქმით, „საქმე ისე მოეწყო, რომ [მან] ლიუტერის სარწმუნოებაც კი მიიღო. ეს იყო პირველი მაგალითი ქართველის კაცისაგან, ლიუტერის სჯულის მიღებისა. (...) მზეჭაბუკმა სტამბოლში ლიუტერის სჯული აღიარა საიდუმლოთ. საქართველოში ყოფნის დროს კი აშკარათ მუსულმანობას აღიარებდა და საიდუმლოთ კი ლიუტერის სწავლას. (...) მას როცა ლიუტერის სწავლა გაუცვნია, მასში ქართველობის სამტრო არაფერი ძალა არ დაუნახავს, მას იგი უცვნია სახარების მშვიდობიან სწავლათ და სწორეთ იმიტომაც დაკავშირებია ამ სწავლას. ისიც კი უნდა მოვიხსენოთ, რომ ათაბაგი ლიუტერის სწავლის გარეშე კათოლიკე სარწმუნოებასაც დიდის პატივით ეპყრობოდა და ამ სჯულის

[3] ზაქარია ჭიჭინაძემ რომ 1881 წელს ნამდვილად იმოგზაურა მესხეთში და სოფელ ხიზაბავრაში მამა ივანე გვარამაძესაც ეწვია, ჩვენთვის ცნობილი ხდება ამავე მკვლევრის სხვა ნაწერებით (ჭიჭინაძე 1904: 12-15; ჯვარიძე 2011: 326). ამ ნაწერთაგან პირველი ივანე გვარამაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცლად განხილვას ისახავს მიზნად, თუმცა ცნობა ჩვენთვის საყურადღებო ხელნაწერის შესახებ იქ არ დასტურდება.

მისიონერებსაც დიდ დახმარებას უწევდა" (ჭიჭინაძე 1918: 7-8).

სამცხის განმგებლის ასეთ, თანამედროვე ენით, — ეკუმენურ, პოლიტიკას, როგორც ამის დამტკიცებას მკვლევარი ცდილობს, ახალციხეში ლუთერანთა ეკლესიის დაარსება მოჰყვა. ვინაიდან „1515 წელს ახალციხეში უკვე საკმარისი რიცხვი იყო ლიუტერის სწავლის მიმდევართა", ლუთერანებმა იქ „სამლოცველო სახლი" ააშენეს და ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას შეუდგნენ. მათ კარგი ურთიერთობა კათოლიკეებთან თურმე მას შემდეგაც შეინარჩუნეს, როდესაც, ამავე ექსკურსის თანახმად, ათაბაგმა მზეჭაბუკმა გარდაცვალების წინ თავი კათოლიკედ გამოაცხადა და „ლათინის წესის პატრისაგან ეზიარა კიდეც" (ჭიჭინაძე 1918: 14-15).

სანდოობის ყველაზე მეტი ხარისხით ამ ექსკურსის ის ნაწილი გამოირჩევა, რომლის თანახმად დასახელებულ „დღიურში" (თუ „დღიურებში") ნახსენები ყოფილან და ორიოდე სიტყვით, ბიოგრაფიული ელემენტის თანხლებით, დახასიათებულნი ის მისიონერები, რომლებსაც საქართველოს ამ მხარეში „XVI საუკუნის გასულამდის" უმოღვაწიათ: იაკობი, ანდრია, ანტონი, გელარხი, სელვეცერი, მარტენი.

წარმოვადგენთ ამ ნაწილს სრულად:

„*იაკობ პასტორი* მცოდნე ქართულის ენის. ამან გააცნო მზეჭაბუკს ლიუტერის სწავლა სახარების შესახებ. ეს ყოფილა მღვთის მეტყველების დოქტორი. ამან ქართული ენა ოსმალური ენის საშვალებით შეისწავლა თურმე და ეს ასწავლიდა თურმე სხვა პასტორებს ქართულ ენას.

ანდრია პასტორი ტომით გერმანელი, ქართული ენა ამან სტამბოლში შეისწავლა. მერე საქართველოში მოვიდა და ახალციხეში სცხოვრებდა, სადაც ავრცელებდა ლიუტერის სჯული (!) [სჯულს]

ანტონი პასტორი მცოდნე ქართული ენის. ამან ზედმიწევნით შეისწავლა ქართული ენა. მერე იგი სხვა პასტორებს ამზადებდა.

გელარხი პასტორი ტომით გერმანელი, გავლენიანი პირი, ცნობილი არა მარტო სამცხეს, არამედ მთელს საქართველოში და სპარს-ოსმალეთშიც.

სელვეცერი პასტორი. ეს იყო გონიერი მისიონერი და კარგი მქადაგებელიც. ამან თურმე გერმანულიდამ საქართველოს რუკაც შეადგინა. ამ მისიონერმა ბევრი შესძინა ლიუტერის სჯულის სწავლას.

მარტენ პასტორი, ტიზინგენის (ტიუბინგენის? ნ. პ.) უნივერსიტეტში პროფესორად ნამყოფი. ამას ქართველთა დიდებულებიც გადაუყვანია ლიუტერის სწავლაზედ. ამ პირმა თურმე ჯაყელების

გვარიდამ რამდენიმე პირი გადაიყვანა ლიუტერის სწავლაზედ. დღეს ლიუტერის სჯულისა ქართველებში სულ არავინა სჩანს ჯაყელების გვარის წევრნი. კათოლიკები კი არიან. მერე ეს ლიუტერის სჯულის ჯაყელებიც კათოლიკობაზედ გადასულან“ (ჭიჭინაძე 1918: 16).

ექსკურსის ფინალი ასეთია: „შემდეგ დროს, რადგანაც სამცხეში ლიუტერის სჯულის პასტორები აღარ ყოფილან, ამიტომ უმღვდელოთ დარჩენილი ხალხი მთლად კათოლიკობაზედ გადასულან და კათოლიკობას შეერთებია. XVII საუკ. გასულს საქართველოში ლიუტერის სწავლის მაღიარებელთა ქართველთა რიცხვი სულ მოსპობილა“ (იქვე).

ვიდრე ამ ექსკურსის ანალიზს შევუდგებით, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ფაქტი: აღნიშნული მხარე, რომელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მესხეთის ანუ სამცხის, იგივე ახალციხის სამთავროს (საათაბაგოს) სახელით არის ცნობილი, XVI საუკუნეში ოსმალებმა გლობალურად დაიპყრეს და იქ საკუთარი ადმინისტრაციული ერთეული — ახალციხის საფაშო (ვილაიეთი) -– შექმნეს. ამის შემდეგ ადგილობრივი ფეოდალების — ქრისტიანი ჯაყელ-ციხისჯვარელების — ხელისუფლება ოსმალეთის სულთანის წარმომადგენელთა — მუსლიმი ფაშების — ხელისუფლებით შეიცვალა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ახალციხის სამთავროში ქრისტიანული ეკლესიების შევიწროება სწორედ XVI საუკუნიდან დაიწყო. ეს შევიწროება და, არც თუ იშვიათად, დევნა და აკრძალვაც კი დასავლეთ ევროპიდან შემოსულ მისიონერებსაც შეეხო. ცხადია, ამ დროს ახალციხის ვილაიეთში ევანგელისტ-ლუთერანი პასტორების მისიაც (თუკი მართლაც არსებობდა ის) შეიზღუდა; შეიძლება აიკრძალა კიდეც. ამის გამო გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ (ზაქარია ჭიჭინაძის კვალზე), რომ საქართველოს ამ პროვინციაში ევანგელური ეკლესიის მისიის ფუნქციონირება XVI საუკუნის მიწურულიდან შეუძლებელი გახდა, რის შედეგადაც ლუთერანთა ახალციხის სამრევლომ არსებობა შეწყვიტა და მრევლი კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდა (მართლმადიდებელთა ეკლესიები თითქმის აღარ ფუნქციონირებდა).

სანდოობის ზემოთ აღნიშნულ ხარისხს თითქოს აქარწყლებს ამავე წიგნის ის ადგილი, სადაც, მისიონერთა აქ მოტანილი სიის საპირისპიროდ, ნათქვამია: საქართველოში წამოყვანილ „ლიუტერის სჯულის მისიონერ პასტორთაგან (...) მხოლოდ ერთის სახელი ვიცით“ (ჭიჭინაძე 1918: 7-8), არადა მეორე ადგილზე, როგორც ვხედავთ, ავტორი საკუთარი სახელებით ექვს მისიონერს მოიხსენიებს. ეგევე ითქმის იმ ადგილებზე, სადაც მისიონერების ქართუ-

ლი ენის შესწავლაზეა ლაპარაკი. ერთგან აღნიშნულია: „გარემოებამ ხელი არ შეუწყო, თორემ ლიუტერის სწავლა საქართველოში მალე მოიკიდებდა ფეხს და ადვილად გავრცელდებოდა მთელ საქართველოში. ვერ მოხერხდა ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ლიუტერის სჯულის მისიონერები საქართველოს და მის ერს ვერ იცნობდენ კარგათ და მასთან ქართული ენაც არ ჰქონდათ კარგათ შეთვისებული“ (ჭიჭინაძე 1918: 9). მეორეგან კი (როგორც ეხედავთ ამავე მისიონერების ინდივიდუალურად დახასიათების დროს) ყურადღება სწორედ მათ მიერ ქართული ენის სათანადოდ შესწავლის ფაქტზე არის გამახვილებული.

ერთი შეხედვით დაეჭვების საფუძველი არსებობს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს პუბლიკაცია, — ეს ბროშურა, ხანგრძლივი და, შესაძლებელია, დროში საკმაოდ გაწელილი შრომის ნაყოფი უნდა იყოს (რასაც ტექსტის სტილსა და შინაარსზე დაკვირვება გვაფიქრებინებს), შემდეგი ვარაუდისაკენ გადავიხრებით: წიგნის იმ ნაწილს, სადაც მხოლოდ ერთი მისიონერის ვინაობის ცოდნაზეა ლაპარაკი და ისიც დაკონკრეტების გარეშე, ანდა ნათქვამია, მისიონერებმა ენა სათანადოდ ვერ შეისწავლესო, ავტორი მხოლოდ მეხსიერებაზე დაყრდნობით წერდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლო, ფინალური ნაწილის წერის დროს ის წერილობითი მასალითაც სარგებლობდა (ვგულისხმობთ სათანადო ამონაწერებს 1881 წელს ნანახი დოკუმენტიდან, — „მისიონერის დღიურიდან“), რომელშიც, ალბათ, მისიონერების ვინაობაც იყო მითითებული და მათ ქართულის შესწავლაზეც იყო ლაპარაკი.

გამოცემის საავტორო რედაქციისთვის ავტორმა, როგორც ჩანს, ვერ მოიცალა, რის გამოც ტექსტში აღნიშნულმა წინააღმდეგობამ და შეუსაბამობამ იჩინა თავი. ავტორს მიზნად რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელება და მკითხველთა მოტყუება დაესახოს, ის ფაქტობრივ მხარეს საგულდაგულოდ გააერთფეროვნებდა. ასეთია თაღლითობის ხერხი, რაც კრიმინალისტიკაში კარგად არის ცნობილი. ამ ხერხს ქართული ხალხური სიბრძნე, ქართულ ენაში ასახული, „თვალებში ნაცრის შეყრას“ უწოდებს. იგულისხმება, რომ დავაზუსტოთ, კარგად მოფიქრებული და მიზანმიმართული ილეთი, რაც ავტორს ტექსტის გარეგანი მხარის მიმართ დიდი ყურადღების გამოჩენას ბუნებრივად ავალდებულებს. ამ თვალით თუ შევხედავთ განსახილველ წიგნს, დავრწმუნდებით, რომ ეს მიზანი მისი ავტორის ტექსტში არ იკითხება, რის გამოც მას, ჩვენს ავტორს, ლიტერატურულ თაღლითობას ვერ დავაბრალებთ.

უეჭველია, სწორედ ამ თვალით შეხედეს ზაქარია ჭიჭინაძის განსახილველ თეორიას იმ სწავლულებმაც, რომლებმაც მას ნდობა

გამოუცხადეს. მათ შორის გახლდათ გენიალური პოეტი და შემოქმედი გალაკტიონ ტაბიძე (კუტალია 1993: 218). მის სამეცნიერო პუბლიცისტიკაში გამორჩეული ადგილი უჭირავს საიუბილეო მონოგრაფიას — „ზაქარია ჭიჭინაძე“, რომელიც 1922 წელს დაიწერა და ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნა (ტაბიძე 1975: 21-51, იოსებ ლორთქიფანიძის კომენტარები იქვე: 648-658). იქ აღნიშნულია: „ზაქარია ჭიჭინაძეს დაწერილი აქვს აგრეთვე ლიუტერის სჯულის ქართველების ისტორია. რეფორმაციების ისტორიით გატაცებული იგი მეტად დაინტერესებული იყო, რათა გაეგო, თუ რა გავლენა ჰქონდა ქართველებზე რეფორმაციას: ბევრი შრომის შემდეგ მკვლევარმა მიაგნო, რომ თვით ლიუტერის დროსაც კი იცნობდნენ საქართველოში ამ მოძღვრებას, ვრცელდებოდა იგი და პოულობდა თანამგრძნობელთა დიდ რიცხვს. ყველა ამის მეთაური ყოფილა სამცხეს ათაბაგი მზეჭაბუკ დიდი. ამ ათაბაგის დახმარებით შემოსულან საქართველოში ლიუტერის სჯულის მქადაგებელი პასტორები (პასტორი იაკობი, ანდრია, ტიზენგეინის უნივერსიტეტის პროფესორი ნაევარი[4] და სხვ.). მათ ხელს უშლიდა მხოლოდ ის გარემოება, რომ ქართული ენა არ იცოდენ. ამიტომ მათი საქმე დამარცხებით გათავდა. მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ ისინი გერმანიაში დაბრუნდენ. ხოლო ის ქართველები, რომელნიც მათ სჯულს აღიარებდენ, ყველანი კათოლიკეთა სარწმუნოების ეკლესიას შეუერთდენ“ (ტაბიძე 1975: 45). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხსენებული მისიონის წარუმატებლობის მიზეზად ქართული ენის არცოდნის დასახელებას (რის თაობაზე, როგორც აღვნიშნეთ, წყაროშიც წინააღმდეგობრივი ინფორმაციები არის მოწოდებული), უნდა ვაღიაროთ, რომ ზაქარია ჭიჭინაძის განსახილველი თეორია აქ ადეკვატურად არის წარმოჩენილი. ამასთანავე, რაც ჩვენ ამჯერად ყველაზე მეტად გვაინტერესებს, ეს თეორია შეწყნარებული და გაზიარებულია. ეს უკანასკნელი კი ბუმბერაზი პოეტისათვის ნიშანდობლივი ინტუიციის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

გალაკტიონ ტაბიძისა და მისი თანამოაზრე მკითხველებისაგან განსხვავებით, ისტორიკოსებმა მოცემულ ინფორმაციასა და თვალსაზრისს ეჭვის თვალით შეხედეს, თუმცა მათი მნიშვნელობა აღიარეს და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაღრმავების აუცი-

[4] ვფიქრობთ, მექანიკური შეცდომაა. უნდა იყოს: „ტიზინგენის უნივერსიტეტის პროფესორი მარტინ“ (შდრ. ზემოთ).

ლებლობა დაადასტურეს. მოვისმინოთ პროფესორ გურამ კუტალიას სიტყვები: „თავისთავად, ეს საინტერესო მოსაზრებაა. სხვა რომ არაფერი, ასეთი ინფორმაცია მრავალ ქართველ მკითხველს აღუძრავდა სურვილს, უფრო დაწვრილებით გასცნობოდა ლუთერსა და მის მოძღვრებას. მაგრამ საკითხს აქვს მეორე მხარეც — რამდენად რეალურია ზ. ჭიჭინაძის ეს ინფორმაცია“ (კუტალია 1993: 206-207). ამავე პროფესორმა დღის წესრიგში დააყენა იმ „ჩანაწერების“ („დღიურის“) მოძიების საკითხი, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე დაკარგულად თვლიდა, და დასვა კითხვა: ხსენებული პასტორები სინამდვილეში კათოლიკე მისიონერები ხომ არ იყვნენ? ის ასეთ ვარაუდსა და მითითებას გვთავაზობს: „შეიძლება ეს ჩანაწერები დღეს რომში (თუ პასტორები კათოლიკენი იყვნენ) ან გერმანიის რომელიმე არქივში ინახება. საჭიროა მათი მოძიება. მხოლოდ ამგვარი მოძიებით, ურთიერთშედარებითა და შესწავლით შეიძლება ჭეშმარიტების დადგენა“ (კუტალია 1993: 208).

„პრინციპული წინასწარი უნდობლობა“ ზაქარია ჭიჭინაძეს

სანამ „ჭეშმარიტების დადგენის“ მიზნით დღემდე გადადგმული ნაბიჯებისა და შესაბამისი შედეგების შესახებ ვილაპარაკებთ, ორიოდე სიტყვით ზაქარია ჭიჭინაძის სამეცნიერო პროფილი და სტილი უნდა დავახასიათოთ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მკაფიოდ არის აღნიშნული შემდეგი: ზაქარია ჭიჭინაძე თავისებური და ერთობ უცნაური სტილის მკვლევარია. მის სამეცნიერო პუბლიკაციებში წყაროები ხშირად მითითებული არ არის; მსჯელობა მოკლებულია ლოგიკასა და დამაჯერებლობას. იქ, თითქმის როგორც წესი, ერთმანეთში არის არეული რეალობა (ფაქტი) და ფანტაზია (წარმოსახვა). სავსებით მართალია პროფესორი კორნელი კეკელიძე, როდესაც ამბობს: ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომების, წიგნაკებად გამოცემულების, „ხელში აღება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპული წინასწარი უნდობლობით მათდამი; ავტორი ამ წიგნაკებში გადმოგვცემს ისეთ სახელებსა და ფაქტებს, რომელთაც არავითარი გასამართლებელი საბუთი არ მოეპოვება. ძალიან ხშირად (...) ავტორს, არამც თუ სხვადასხვა ნაწერში, ერთსა და იმავე წიგნაკში დიამეტრალურად ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები მოჰყავს და, რაც უფრო გასაოცარია, არსად ის წყაროებს არ აღნიშნავს, თუ საიდან მოაქვს ესა თუ ის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა“ (კეკელიძე

1980: 22-23). უნდა ვაღიაროთ (და, იმედია, ამას ჩვენი მკითხველიც ხვდება, ანდა მალე მიხვდება), რომ „ლიუტერის სჯულის ქართველებიც" ამავე ხასიათის ნიგნაკების რიცხვს განეკუთვნება. ჩვენც გვქონდა შესაძლებლობა, ხელნაწერთმცოდნეობითი თვალსაზრისით შეგვესწავლა ზაქარია ჭიჭინაძის პუბლიკაციათა ნაწილი, რის შედეგადაც ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ: მართალია, კორნელი კეკელიძეს სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა ის, რაც თქვა; ზაქარია ჭიჭინაძის პუბლიკაციები თანამედროვე მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს; მათთვის დამახასითებელია ტყუილისა და მართლის სიმბიოზი, მაგრამ ამ სიმბიოზის მკაცრი და შრომატევადი ანალიზის შემდეგ ჭეშმარიტებაში გარკვევა მაინც ხერხდება, — პირველწყაროთა მიგნება ბევრ შემძთხვევაში შესაძლებელი ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე არ ამბობს შეგნებულ ტყუილს; მისი ნაწერები, რომლებიც მოუწესრიგებელი სტილისა და ფორმის გამო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქმის ყოველთვის შეიცავს ჭეშმარიტების მარცვლებს; ამ მარცვლების მოძიება (სხვანაირად: წყაროს დადგენა) მკვლევრისაგან ზოგჯერ კოლოსალურ შრომას მოითხოვს (პაპუაშვილი 2008: 19-31).

მოცემულ შემთხვევაშიც რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ: წყარო, რომელსაც მკვლევარი ასახელებს (მისიონერი მღვდლის „ერთი დღიური") და რომელიც დაკარგული ჰგონია: გვარამაძის სიკვდილის შემდეგ დაიკარგაო (ჭიჭინაძე 1918: 16), ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის. ამიტომ იმ ინფორმაციების შემოწმება, რაც თითქოს ამ ხელნაწერიდან მომდინარეობს, ჯერჯერობით შეუძლებელია. არც ის ვიცით, 1881 წელს ნანახი დოკუმენტის შინაარსს მკვლევარი 1918 წელს მხოლოდ საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობით გადმოსცემს, თუ იმ ამონაწერების დახმარებითაც, რაც მას, როგორც ჟურნალისტსა და მკვლევარს, უნდა გაეკეთებინა და შეენახა. მეტი ალბათობით მას „დღიურიდან" რაღაც მასალა უნდა ამოეწერა (პასტორების სახელები მაინც), მაგრამ საკითხავია: რამდენად ზუსტად და პროფესიულად?

ბევრს ალბათ ისიც გაუკვირდება, რომ დღემდე განსახილველი გამოცემის სათაურში მოყვანილი ბიბლიოგრაფიული ცნობის — „გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. «სამშობლოდამ»" — იდენტიფიკაციაც არ არის მომხდარი. დღემდე არავის დაუსვამს კითხვა: აღნიშნული სახელწოდების რომელი გამოცემის რომელი ნომერი იგულისხმება აქ, ამ ცნობაში? ჩანს, დღემდე არც ერთი მკვლევარი არ დაინტერესებულა, მოეძებნა და შეესწავლა ამ ნაშრომის პირველი პუბლიკაცია. ყველა იმეორებს სათაურისეულ ინფორმაციას და წერს: დასახელებული თხზულება პირველად „გამოქვეყნდა" გა-

ზეთ „სამშობლოში“ 1904 წელს; ცალკე წიგნად გამოიცა 1918 წელს (შდრ.: ტაბიძე 1975: 655; კუტალია 1993: 206). ჩვენ (მგონი, პირველად) მოვინდომეთ პირველი პუბლიკაციის მიკვლევა, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ. უნდა ვაღიაროთ, რომ აქაც რაღაც გაუგებრობასა და ავტორის მხრიდან ერთგვარ დაუდევრობას აქვს ადგილი. ძველი (1917 წლამდელი) ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის მეშვეობით ირკვევა, რომ ეს გაზეთი გამოდიოდა არა 1904 წელს, არამედ 1915-1917 წლებში (შდრ. ბაქრაძე 1947: 48,222), მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ამ წლების კატალოგებში დასტურდება მსგავსი შინაარსის სტატია (მხედველობაში გვაქვს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგები). შესაძლებელია, ეს სტატია სხვა სათაურითა და ფსევდონიმით გამოქვეყნდა, რაც გასარკვევია. ამ ეტაპზე შესაბამისი სამუშაოს ჩატარება ვერ მოხერხდა, რის გამოც ჯერჯერობით მოკლებული ვართ შესაძლებლობას, რათა ვიცოდეთ: ერთსა და იმავე თემაზე ზაქარია ჭიჭინაძის ორ პუბლიკაციას შორის არის თუ არა სხვაობა?

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზაქარია ჭიჭინაძის ექსკურსის მეცნიერული კვლევის პროცესში დღეისათვის თვალსაჩინო მიგნებები და პერსპექტივები შეინიშნება. ირკვევა, რომ მკვლევარ-პუბლიცისტის თვალსაზრისი მთლად უსაფუძვლო არ არის; ლიტერატურული წყარო ანუ ხელნაწერი, რომელსაც ის ასახელებს, ნამდვილად არსებობდა და შესაძლებელია, დღესაც არსებობს; სადღაც ინახება, მაგრამ ადგილ-სამყოფელი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია[5]. ამიტომ ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება სასურველიცაა და აუცილებელიც.

ცოტა რამ სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ ზემოთ ნახსენები მიგნებებისა და პერსპექტივების მნიშვნელობაში, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის ერთი კარგად ცნობილი ფურცელი. ლაპარაკია მესხეთის ანუ სამცხის (იგივე ახალციხის) ფეოდალთა საგვარეულოზე, — ჯაყელთა სახლზე. ამ საგვარეულოს ისტორია ორ მზეჭაბუკს იცნობს. მათგან პირველი

[5] მისი არსებობა მოსალოდნელი იყო ივანე გვარამაძის პირად საარქივო ფონდში (ახალციხის მუზეუმი), მაგრამ ამ ფონდის აღწერილობის მიხედვით ის იქ არ ჩანს (შდრ. ჯაყარიძე 2011: 12-361).

XVI საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და ათაბაგის (მხარის განმგებლის) მოვალეობას 1500-1515 წლებში ასრულებდა. მეორე, ქაიხოსრო II-ისა და დედისიმედის შვილი, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა (1549-1572) და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად მოღვაწეობდა (ქართლის ცხოვრება IV: 718, შარაშიძე 1961: 142,176).

არ არის ძნელი შესამჩნევი, რომ ზაქარია ჭიჭინაძე გულისხმობს მზეჭაბუკ პირველს, — ათაბაგ ყვარყვარესა და მისი თანამეცხედრის, დედისიმედის, ძეს († 1516), რომელმაც ათაბაგის მოვალეობას სახელოვანი ძმის, ქაიხოსროს, გარდაცვალების შემდეგ ასრულებდა (შარაშიძე 1961: 16-19,90-96). ამ მზეჭაბუკის სახე ისტორიაში ერთობ მონუმენტურად აღიბეჭდა. მას დიდ მზეჭაბუკს უწოდებდნენ. ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი; 1696-1756) განმარტავს, თუ რის გამო უწოდებდნენ მას „დიდ"-ს: „ამას დიდს მზეჭაბუკს ამისთვის უწოდდენ, რამეთუ დღეთა თჳსთა არა აღაფრინა ქათამიცა უსამართლოდ საათაბაგოსა შინა და სცხორებდა თჳსთა მეზობელთა თანა სიყვარულითა და მეგობრობითა" (ქართლის ცხოვრება IV: 711). როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია მაღალ სამართლებრივ შეგნებაზე, სიყვარულისა და მეგობრობის მაღალ კულტურაზე, რაც თურმე ათაბაგ მზეჭაბუკ დიდს ამკობდა და რასაც ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაშიც ავლენდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე შეგნებით განიხილავდა ის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას; ხელმძღვანელობდა დემოკრატიის პრინციპით, რომლის შემადგენელი ნაწილი არის სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება; სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიათა თანასწორი უფლება. ასე რომ, მკვლევარ ზაქარია ჭიჭინაძეს ჰქონდა საფუძველი, ეს ხელისუფალი ტოლერანტ და ეკუმენისტ პიროვნებად წარმოეჩინა. მისი ექსკურსი ასეთ ეპიზოდსაც შეიცავს: როდესაც მუსლიმებმა მას უსაყვედურეს, ლუთერან და კათოლიკ მისიონერებს ქადაგების ესოდენ თავისუფლებას რატომ ანიჭებო, მას თავი თურმე ასე გაუმართლებია: „მე მუსულიმანი ვარ და ამიტომ არა მაქვს წადილი, რომ ხალხის სჯულის გაცვლის საქმეში გავერიოვო" (ჭიჭინაძე 1918: 14). წყაროდ ამ შემთხვევაშიც დასახელებულია „მისიონერების დღიურები". შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს ამბავი „დღიურებში" ფოლკლორიდან იყოს შესული ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ეპიზოდის პირველწყარო ფოლკლორული გადმოცემა იყოს, მესხეთის მუსლიმებსა და კათოლიკეებს შორის გავრცელებული. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს გადმოცემა ზაქარია ჭიჭინაძეს მასპინძელმა კათოლიკე მღვდელმა, ღრმად განსწავლულმა ისტორიკოსმა და

ფოლკლორისტმა ივანე გვარამაძემ მოიძია და დააფიქსირა. თუმცა წარმომავლობას (ლიტერატურულია ეს ცნობა თუ ფოლკლორული, რომელიმე მისიონერმა მოიძია ის თუ ადგილობრივმა ივანე გვარამაძემ) ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. არსებითი მნიშვნელობა აქვს დედააზრს, რომლის საფუძველი არის ყურანის მე-2 სურის 256-ე აიათი: „სარწმუნოებაში იძულება არ არის". თუკი ასეა, თუკი ასეთი გადმოცემა მართლა არსებობდა (და დიდი ალბათობით არსებობდა), უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გადმოცემა თანხმობაშია ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ დამოწმებულ სიტყვებთან დიდი მზეჭაბუკის სამართლებრივი ცნობიერებისა და ქმედების შესახებ. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ ათაბაგის სახელი შთამომავლობამ ტოლერანტობის მაღალ კულტურასთან დააკავშირა.

ცნობები მზეჭაბუკ დიდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, კრებულ „ქართლის ცხოვრების" გარდა, შემონახულია ისტორიულ საბუთებში როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ენებზე. თითქმის ყველა წყაროს მიხედვით ის ღრმადმორწმუნე და ზნეკეთილ ქრისტიანად გამოიყურება. მას სწამდა, რომ დედის საშოთგან ღვთისმშობლისადმი იყო შეწირული და უზნეო საქციელის უფლება არ ჰქონდა (ჯავახიშვილი 1948: 167). ამასთანავე მას ამკობდა საამო გარეგნობა და ძალგულოვნება. ის იყო ბეჭდაუდებელი ფალავანი, რომელმაც ქალწულება შეინარჩუნა და სიცოცხლის ბოლო წელი (1516) მონასტერში გაატარა იაკობის სახელით. მისმა საქველმოქმედო ღვაწლმა ახლო აღმოსაველეთის წმინდა ადგილები და ათონის მთაც მოიცვა. მან იქ გაგზავნა საკრალური ნიეთების გამოცდილი რესტავრატორი და გადამწერი — ამბროსი; გაატანა დიდი საფასე, რომელიც მას მისი ძმის, ქაიხოსროს, სულის იმქვეყნიური შემწეობის მიზნით უნდა განეკარგა. ასეც მოხდა: ამ შენაწირის წყალობით სინაისა და ათონის წმინდა მთებზე ბევრი და თვალსაჩინო სარესტავრაციო თუ აღმშენებლობითი სამუშაო ჩატარდა, შეიქმნა უძვირფასესი ხატები და ხელნაწერები (Papuaschwili 2016: 158; პაპუაშვილი 2017: 101-102).

ზემოთ ნათქვამის გარდა, ასევე (და რაც ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა), ცნობილია მზეჭაბუკ პირველის კონფლიქტი ქართლის მეფესა და კათალიკოსთან, რაც წყაროებში „სჯულის საქმის" გამო ატეხილ დავად არის მოხსენიებული. ეს თავისთავად ერთობ საყურადღებო ინფორმაციაა, მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო ისტორიაში, თუმცა, სიტყვა „სჯულის" ხსენების მიუხედავად, არსაიდან არ ჩანს, რომ ამ კოეფლიქტს (დაპირისპირებას და დავას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან) აღმსარებლობას-

თან და, მით უმეტეს, პროტესტანტულ ევანგელიზმთან რაიმე კავშირი ჰქონოდა. ირკვევა, რომ მზეჭაბუკ დიდი ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ინტრიგების ქსელში გაება, დაემდურა აღმოსავლეთ საქართველოს მეფესა და კათალიკოს-პატრიარქს და სულიერი კავშირი ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოსთან დაამყარა (შდრ. ჯავახიშვილი 1948: 164-172; შარაშიძე 1961: 94-101; სხირტლაძე 1994: 9-13,19-26; Skhirtladze 2005: 161-188; კლდიაშვილი 2010: 217-229). ცხადია, არ არის გამორიცხული, გამოვლინდეს ახალი წყარო, ანდა რომელიმე ცნობილ წყაროში ისეთი, აქამდე შეუმჩნეველი, ნიუანსის ამოკითხვა გახდეს შესაძლებელი, რაც „სჯულის საქმეში" კონფესიური ელემენტის არსებობას დაადასტურებს. იქნებ მართლაც არსებობს წერილობითი ცნობა (თუ მინიშნება) დიდი მზეჭაბუკის მიერ სიცოცხლის ბოლო წლებში რომის კათოლიკე ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირის დამყარების შესახებ, მაგრამ ასეთი რამ ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ასეა თუ ისე, შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ: თვალსაზრისი მზეჭაბუკ პირველისა და მისი თანამედროვე თანამემამულეების, თუნდაც მცირე ნაწილისა და თუნდაც დროებით, ლუთერანად გახდომის შესახებ მოკლებულია საფუძველს; მოკლებულია საფუძველს, პირველ რიგში, ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო: ლუთერის თეზისები, რის საფუძველზე ლუთერანობა ცალკე კონფესიად ჩამოყალიბდა, 1517 წელს გამოქვეყნდა, მზეჭაბუკ პირველი კი 1516 წელს გარდაიცვალა (კუტალია 1993: 207). ამასთანავე: არც ქართული და არც უცხოური ისტორიოგრაფია არ იცნობს ათაბაგ მზეჭაბუკ დიდის ვიზიტს კონსტანტინოპოლში!

რომელი ათაბაგი მონაწილეობდა ლუთერანთა და მართლმადიდებელთა პირველ დიალოგსა და დებატებში?

სამაგიეროდ ისტორიოგრაფია იცნობს სხვა ათაბაგების ასეთ ვიზიტს (თუ ვიზიტებს). მეტიც: ისტორიკოსებისათვის დღეს უკვე ცნობილია არა მარტო მესხი ათაბაგების დიპლომატიური ვიზიტები კონსტანტინოპოლში, არამედ ზოგიერთი მათგანის შეხვედრები და კონტაქტები ამ ქალაქში მყოფ დასავლეთ ევროპელ დიპლომატებთან და ლუთერან მისიონერებთანაც კი. ცნობები ასეთი შეხვედრებისა და კონტაქტების შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდა, რამაც ზე-

მოთ მიმოხილული ისტორიული ექსკურსის ყველაზე არსებითი მომენტის, — ზოგიერთი ქართველი ათაბაგის ლუთერანობით დაინტერესების, — მიმართ ნდობის ხარისხი გაზარდა.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ჯაყელი ძმების, ყვარყვარესა და მანუჩარის, ვიზიტი კონსტანტინოპოლში (სტამბოლში), რომელიც 1579 წელს შედგა და ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე მხოლოდ ქართული ისტორიული წყაროებით იყო ცნობილი. დღეს კი ქართველ მკვლევრებს იმ დასავლეთ ევროპულ წყაროებსა და ლიტერატურაზეც მიუწვდებათ ხელი (ასეთი მასალის არსებობა მათთვის, ყოველ შემთხვევაში, უკვე ცნობილი უნდა იყოს), რომლებიც ხსენებული ვიზიტის თაობაზე გვიამბობენ. ქართულ და უცხოებოვან მასალებს საკითხის შესწავლისათვის თანაბარი ღირებულება აქვს; ისინი ერთმანეთს ავსებენ და აზუსტებენ.

ქართული საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ 1578 წელს სამცხეში, ახალციხის საათაბაგოში, ოსმალთა დიდი ჯარი შევიდა და დაბანაკდა; ციხე-სიმაგრეები და სტრატეგიული პუნქტები დაიკავა, რის გამოც ქართლის სამეფოს ეს ნაწილი სრული ოკუპაციისა და ანექსიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა; ქრისტიანი ჯაყელების ხელისუფლება ყოფნა-არყოფნის საზღვარზე დადგა. ამის გამო ამ საგვარეულოს მესვეურებმა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალზე ზრუნვა დაიწყეს, რაც საოკუპაციო რეჟიმთან დიალოგსა და კომპრომისებს გულისხმობდა. ცხადია, ხსენებული ვიზიტიც ამ ვითარებამ განაპირობა. იმ ეპოქის ქართული ისტორიული საბუთიდან ვგებულობთ, თუ რას აკეთებდა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ამ მხარის იმდროინდელი რეალური მმართველი, ათაბაგ ქაიხოსრო II-ის († 1573) ქვრივი — დებორა ანუ, შინაურულად, დედისიმედი († 1581 წლის შემდეგ). მან მიაგზავნა შვილები, მანუჩარი და ყვარყვარე, საოკუპაციო ჯარის სარდალთან — ლალა მუსტაფა ფაშასთან. გაიმართა მოლაპარაკება და გადაწყდა, რომ ათაბაგები ყვარყვარე და მანუჩარი ოსმალეთის დედაქალაქ სტამბოლში, ქალაქთა მზეში, — კონსტანტინოპოლში, გაემგზავრებოდნენ; ეახლებოდნენ სულთანს და დაზავებას სთხოვდნენ. ასეც მოხდა. მანუჩარმა იქ სულთანის („ხუანთქრის“) ქვეშევრდომობა მიიღო და ისლამიც აღიარა, რის სანაცვლოდ მას ფაშობა (მხარის განმგებლობა) ებოძა. ქვეშევრდომობაზე ყვარყვარეც დათანხმდა, მაგრამ რწმენის საკითხში დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და ისლამის მიღებაზე უარი განაცხადა. ამის გამო მას სასჯელი ელოდა და დაისჯებოდა კიდეც, რომ არა ფალავანთა ასპარეზობაში მონაწილეობა და იქ ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვება (ჯავა-

ხიშვილი 1948: 277; შარაშიძე 1961: 168; ტაბაღუა 1984: 127)[6].

მართალია, ქართულ წყაროებში არ ჩანს (დღემდე არაფერია ცნობილი), ჰქონდათ თუ არა მანუჩარ და ყვარყვარე ათაბაგებს კონსტანტინოპოლში შეხვედრები და საუბრები დასავლეთ ევროპელ პოლიტიკოსებსა და რელიგიურ მოღვაწეებთან, მაგრამ ამ ნაკლის შევსება, საბედნიეროდ, მაინც ხერხდება.

წყაროები და მათი პუბლიკაციები

თანამედროვე ქართველი მკვლევრებისათვის უკვე ცნობილია (ანდა, ვიმეორებ, ცნობილი უნდა იყოს) რამდენიმე ევროპული საისტორიო წყარო და ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია ცნობები ძმები ჯაყელების, — სამცხელი ათაბაგების, კონსტანტინოპოლურ მისიაზე და ახალ ნერგი ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის აღმოსავლურ პროგრამაში საქართველოს, კერძოდ კი ქართული (იბერიული) ენის გამოჩენაზე (ტაბაღუა 1884: 221-222,289; ჯავახია 2005: 142-146; Jawakhia 2007: 22-23; კოპალეიშვილი 2014: 17-22).

ამჯერად ჩვენი მიზანი არის აღნიშნული წყაროების მიმოხილვა, ჩვენთვის საყურადღებო მონაკვეთების პუბლიკაცია და იმის გარკვევა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის იქ მოცემულ ინფორმაციებს. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთაა XVI-XVII საუკუნეების მხოლოდ ბეჭდური პროდუქცია. სავარაუდოა, რომ საარქივო ფონდებში სხვა, ჯერჯერობით უცნობი წერილობითი მასალაც ინახება და მკვლევარს ელოდება. აღნიშნული პროდუქციის ენა არის ძველი გერმანულ და ლათინური. ამის გამო წიამდებარე პუბლიკაციებს ახლავს თარგმანები თანამედროვე გერმანულზე (ამ ნაშრომის გერმანულ ვერსიაში) და თანამედროვე ქართულზე (ქართულ ვერსიაში).

ეს წყაროებია:

---

[6] მიხეილ სვანიძე, რომელმაც აღნიშნული ვიზიტი ვრცლად განიხილა ნაშრომში „ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსება“ (სვანიძე 1971: 125-132), ფიქრობს: სულთან მურად III-ის წყალობის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ არა აღნიშნულ „ბრწყინვალე გამარჯვებაში“, არამედ იმაში, რომ „სულთანი შექმნილ ვითარებაში (სპარსეთთან ომში, ნ. პ.) ყვარყვარეს მორჩილებასა და მის მხარდაჭერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა“ (სვანიძე 1971: 130). ეს მოსაზრება დამაჯერებლად გამოიყურება.

1. დავით ხიტრეუსის ცნობა და პუბლიკაციები
2. სტეფან გერლახი, მისი „დღიური" და ცნობა საქართველოს შესახებ
3. სალომონ შვაიგერი და მისი ნაშრომი საქართველოს შესახებ
4. ვენცესლავ ბუდოვიცის წერილი
5. მარტინ კრუსიუსი აუგსბურგის აღსარების ქართულად თარგმნის შესახებ

წყაროების მიმოხილვა

1. **დავით ხიტრეუსი.** ევანგელურ-ლუთერანული მისიის აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელების იდეა დაკავშირებულია დავით ხიტრეუსის სახელთან (David Chytraeus; 1530-1600). ის ჰაბსბურგთა იმპერატორმა მაქსიმილიან II-მ (1564-1576) გერმანიიდან ავსტრიაში გაიწვია, რათა მას იქ პროტესტანტული რეფორმაცია გაევრცელებინა და ევანგელური ეკლესია დაეარსებინა. ამ დავალების შესრულებას მისიონერი დიდი მონდომებით შეუდგა, მაგრამ კათოლიკეებმა მას ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ იძულებული გახდა, დროებით დაეტოვებინა ავსტრია და აღმოსავლეთ ევროპაში მოგზაურობა დაეწყო. ამ დროს ის გაეცნო ბერძენ თეოლოგებს, რომლებმაც მას ინფორმაციები აღმოსავლეთის ქვეყნების, ხალხებისა და ეკლესიების შესახებაც მიაწოდეს, მათ შორის — საქართველოს შესახებ. აი, მოხსენების სათაური, რომელიც მან 1569 წლის 18 ოქტომბერს როსტოკში წაიკითხა: „Über den heutigen Stand der Kirchen in Griechenland, Kleinasien, Afrika, Ungarn, Böimer etc [საბერძნეთიში, მცირეაზიაში, აფრიკაში, უნგრეთში, ჩეხეთსა და სხვაგან მყოფი ეკლესიების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ]". ამ მოხსენების ტექსტი იმავე წელს ლათინურ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა: „Ora-



დავიდ ხიტრეუსი

tio de statu ecclesiae hoc tempore in Graecia, Asia, Ungaria, Boemia, etc" იქ, ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებთან ერთად, ორიოდე სიტყვით მოხსენიებულია საქართველო და რელიგიური ვითარება ამ ქვეყნაში, რომელიც, ავტორის მინიშნებით, სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო, ისე როგორც ქრისტიანულ აღმოსავლეთში ზოგადად (Benz 1952: 21-24; Benga 2001: 131-132,182-191).

წინამდებარე თემისათვის უფრო მნიშვნელოვანია ამ მოხსენების („Oratio") მესამე გამოცემა, რომელიც 1580 წელს ვიტენბერგში გამოქვეყნდა. მასში გვხვდება ვენცესლავ ბუდოვიცის უკვე ნახსენები წერილის სრული ვარიანტი (გვ. 46-53). ეს არის ჩვენი თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის პირველი პუბლიკაცია, რომლის ტექსტი „Oratio"-ს მომდევნო გამოცემებშიც შევიდა (იხ. მე-4 წყარო). არსებობს სხვა პუბლიკაციები, რომლებიც მარტინ კრუსიუსს ეკუთვნის (იხ. მე-5 წყარო). ბუდოვიცის წერილს შედარებით ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ (მე-4 წყარო).

აღნიშნული Oratio-ს გერმანულ ვარიანტს, რომელიც პირველად 1581 წელს დაიბეჭდა, ახლავს დანართი: „Was zu dieser Zeit in Griechenland, Asien, Afrika (...) [იმ დროს საბერძნეთში, ასიაში, აფრიკაში (...)]" (შდრ. Benz 1952: 399), რომელშიც საქართველოს შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაცია არის მოწოდებული:

ორიგინალი	*თარგმანი*
„Aber gleichwol sind hin und wider unter dem Mahometischen Hauffen im ganzen Orient Christliche Kirchen (gleich wie in eim unfruchtbaren Herbst, etliche trauben hin und wider bey wenigen zuhauff gelesen werden) doch ungleich in lehre und ceremonien, und in Secten zerteilet, hie und da zerstreuet.	მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელს აღმოსავლეთში მუსლიმ ხალხებს შორის არსებობენ ქრისტიანული ეკლესიები (ისე როგორც მოუსავლიან შემოდგომაზე, სიმწირეში, აქა-იქ ზოგიერთი ყურძნის სიუხვეც შესამჩნევია), თუმცა ერთმანეთისგან განსხვავებული მოძღვრებათა და წესჩვეულებებით, დაყოფილი სექტებად და აქეთ-იქით გაფანტულები.
Aus welchen die Syrer und	მათ შორის გამოირჩევიან სირიე-

Georgianer, so das alte Iberiam unnd Albaniam bewonen unnd gegen Mittnacht an das Gebirg Caucasium, gegen Abend die Colcher (welche heutiges tages Mengrellier heissen, und negst an den Trapezuntischen grentzen wonen), gegen Morgen an das Caspische Meer stossen, gegen Mittag mit den Armeniern grentzen. Diese sind in achtzehen Bisthümbe geteilet, welche all sampt einem Catholico oder Patriarchen anhengen, und mit den Griechen mererteil einerly Lehr und Ceremonien haben.

ლები და ქართველები, რომლებიც ძველ იბერიასა და ალბანეთში მოსახლობენ: ჩრდილოეთით კავკასიის მთიანეთი ჰფარავთ, დასავლეთით კი კოლხები ესაზღვრებიან (რომლებსაც დღეს მეგრელები ჰქვიათ და ტრაპიზონის საზღვრების სიახლოვეს ცხოვრობენ), აღმოსავლეთის საზღვარი კასპიის ზღვამდე აღნევს, სამხრეთით კი სომხეთი ეკვრის. ისინი განანილებული არიან თვრამეტ ეპარქიაში, რომელთაგან ყველა კათოლიკოსს ანუ პატრიარქს ექვემდებარება და რომლებსაც უდიდესი ნაწილი მოძღვრებისა და წესებისა ბერძნების მსგავსი აქვთ.

Die Syrier geben für, das sie des Basilij Liturgiam behalten. Aber der Heiligen gedechtnis und fürbitt, dadurch sie zu Gott gedencken zu kommen, und ir gebet für die verstorbenen, ist etwas unverschampter. Wird doch keines opffers des Leibs und Bluts Christi, für die todten aus dem Fegfewr zu erlösen, darinnen gedacht"(Chytreaus 1581: პაგინაციის გარეშე).

ასირიელები ამტკიცებენ, რომ მათ ბასილის წირვის წესი უპყრიათ. მაგრამ წმინდანების მოხსენიება და შევედრება, რითაც ისინი ღმერთთან მიახლებას ლამობენ, ასევე ლოცვა მიცვალებულთათვის მათ თავისებურებას წარმოადგენს. თუმცა ქრისტეს ხორცისა და სისხლის შენირვის მეშვეობით განსაწმენდელის ცეცხლიდან მიცვალებულების გამოყვანა არ ხდება.

ამავე დანართში გვხვდება ცნობა ორი ქართველი თავადის, ძმები ჯაყელების (ათაბაგების), კონსტანტინოპოლში ვიზიტის შესახებ. ეს გახლავთ ვენცესლავ ბუდოვიცის ზემოხსენებული წერილის გერმანული თარგმანი, რომელიც ქრისტეფორ ფირიქსს შეუსრულებია („Verdeudscht durch Christoffer Firix"). ამ პუბლიკაციის მეშვეობით გერმანულენოვანმა საზოგადოებამ პირველად მიიღო

კონკრეტული და სარწმუნო ინფორმაცია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ: შვაიგერის ნაშრომი თექვსმეტი წლის შემდეგ გამოქვეყნდა (იხ. მე-3 და მე-4 წყარო).

2. სტეფან გერლახი. ევანგელურ-ლუთერანული მისიის კონსტანტინოპოლში დაარსება დაკავშირებულია ვიურტემბერგელი მქადაგებლებისა და დიპლომატების, სტაფან გერლახისა და სალომონ შვაიგერის, სახელებთან.



სტეფან გერლახი

როდესაც იმპერატორმა მაქსიმილიან II-მ სულთანის კარზე, კონსტანტინოპოლში, ელჩად დიდგვაროვანი არისტოკრატი დავიდ უნგნადი (David Ungnad) დანიშნა (1573), უკანასკნელმა საელჩოს მქადაგებლად 26 წლის ტიუბინგენელი თეოლოგი სტეფან გერლახი (Stephan Gerlach; 1546-1612) მიიწვია. ევანგელისტი მისიონერი გაეცნო და დაუმეგობრდა დიდი ეკლესიის პროტონოტარიუსს, სწავლულ მართლმადიდებელს, თეოდორე ციგომალას. მისი მეშვეობით ის დაუახლოვდა პატრიარქ იერემა II-ს (ტრანოსს) და მას ტიუბინის უნივერსიტეტის პროფესორების პირადი წერილები და ნაბეჭდი წიგნები, მათ შორის აუგსბურგის აღსარების ექვსი ეგზემპლარი, გადასცა (იხ. მე-5 წყარო). მან მეგობრული ურთიერთობა პატრიარქის გარემოცვასთანაც დაამყარა და მათ ეკუმენური დიალოგი შესთავაზა. დიალოგი დაიწყო, რასაც შედარებით ვრცლად ქვემოთ შევეხებით. ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს სტეფან გერლახის ნაშრომი, რომელიც ცნობილია სათაურით: „Das Tage-Buch [დღიური]". იგი საკმაოდ გვიან, 1674 წელს, გამოიცა (ვრცელი სათაურით) და დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ეს არის ოსმალურ თურქეთში ხუთწლიანი მოგზაურობის ანგარიში, მეწილად დღიურების სახით წარმოდგენილი, რომელიც შეიცავს უმდიდრეს და თანაც სანდო მასალას; მრავალრიცხოვან და პირველხარისხოვან ცნობებს არა მარტო კონსტანტინოპოლის, არამედ თითქმის მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის შესახებ (Benz 1952: 24-29,399-400). რაც შეეხება საქართველოს, იქ აღნიშნულია:

დედანი	*თარგმანი*
Item mit den Georgianern, welche theils unter den Türcken, theils für sich selbsten sind.	ასევეა ქართველებშიც, რომელთა ნაწილი თურქების მორჩილებაში იმყოფება, ნაწილი კი თავისუფალია.
Der letzte Gesante, Sultan Togmag, hat 4. schöne Sclavinnen, so Georgianerinnen gewesen, bey sich gehabt. Seine Christen, so er sich, haben St. Georgen zum Patronen. Er solle, eh er gar hinein kommen, in Arrest genommen worden sein (Gerlach 1674: 206).	ბოლო ელჩს, სულთან თოგმაგს, თან ახლდა ოთხი მშვენიერი მონა ქალი, რომლებიც გეორგიელნი იყვნენ. მის ქრისტიანებს, ისე როგორც მას, მფარველად წმ. გიორგი ჰყავთ. ის, სანამ აქ შემოვიდოდა, დაპატიმრებული უნდა ყოფილიყო.
Heut hab ich die Georgianer, oder Giurgos, alle Christen, lange, starcke Leute, so dem Kayser die Geschencke gebracht, vor unserm Hause vorüber ziehen gesehen. Einer ritte in einem Türckischen Habit, auff einem Esel, zween giengen, auf Tartarisch, vor ihme her. Der eine hatte eine Beltzkappen auf, der ander sonst eine seltzamme Cappen, von Laubwerck ausßgenehet oder eingelegt, die übrige gingen theils auff Türckisch, theils Asiatisch, und reden ihre eygne Sprache. Andere christen seyen nicht weit von ihnen, werden Migrul oder Aligril genennet (Gerlach 1674:244).	დღეს მე დავინახე ქართველები, ანუ გიორგოსები, ჩვენი სახლის წინ მიმავალნი, ყველანი ქრისტიანები, ახოვანი, ძლიერი ადამიანები, რომლებმაც იმპერატორს საჩუქრები მიართვეს. ერთი წინ მიდიოდა, თურქულ სამოსელში გამოწყობილი და ვირზე ამხედრებული, ორი კი, თათრის ტანსაცმლით, მას უკან მიჰყვებოდა. ერთს ბეწვის ქუდი ეხურა, მეორეს კი რაღაც უცნაური კეპი, ტალავარივით შეკერილი თუ დაწნული. დანარჩენები მიდიოდნენ: ზოგი თურქულად, ზოგი აზიურად შემოსილები. თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ. დანარჩენი ქრისტიანები, მეგრელებად თუ ადიღებად წოდებულნი, მათგან შორს არ უნდა იყვნენ.

Zu Ende dieses Monta sind die Georgianische Gesandten mit ihrem Präsenten hieher gekommen. Sie waren zuvor unter dem Perser, dieweil Er aber ihnen so grosse und ungewöhnliche Schatzung auffgelegt, sind sie von ihm ab und zum Türcken gefallen (Gerlach 1674:301).

ამ თვის ბოლოს ქართველი ელჩები აქ საჩუქრებით ჩამოვიდნენ. ისინი ადრე სპარსელებს ემორჩილებოდნენ. მაგრამ რადგან მათ ძალიან დიდი და უჩვეულო ხარკი დააკისრეს, განუდგნენ ისინი მათ და თურქეთის მხარეზე გადავიდნენ.

3. სალომონ შვაიგერი. სტეფან გერლახის „დღიურებში" წარმოდგენილი ისტორია შეავსო და გააგრძელა მისმა კოლეგამ, ასევე ტიუბინგენელმა თეოლოგმა, სალომონ შვაიგერმა (Salomon Schweigger: 1551-1622). ის საელჩოს მქადაგებლად მიიწვია დავიდ უნგნადის მემკვიდრემ, – იოახიმ ფონ ზინტცენდორფმა (Joachim von Sintzendorff), რომელიც კონსტანტინოპოლში 1578 წლის 1 იანვარს ჩავიდა. ამ დღიდან იწყება შვაიგერის საეკლესიო-ეკუმენური მოღვაწეობა აღმოსავლეთში და ფათერაკებით სავსე მოგზაურობანი (ტყვეობის ჩათვლით), რაც ასახულია მის სქელტანიან წიგნში „Ein newe Reyßbeschreibung aus Teutschland nach Constantinopel und Jerusalem [გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმისაკენ მოგზაურობის ახალი ჩანაწერები]". ეს ნაშრომი პირველად 1608 წელს ნიურნბერგში დაიბეჭდა, მაგრამ მისი ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა. ბოლოს გამოცემა (რეპრინტი) 1964 წელს გრაცში (ავსტრია) განხორციელდა რუდოლფ ნეკის (Rudolf Neck) შესავალი წერილითურთ. ამ ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო ისტორიისათვის საყოველთაოდ არის აღიარებული



სალომონ შვაიგერი

(Benz 1952: 29-38).

შვაიგერის, როგორც თეოლოგისა და მისიონერის, ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივ საეკლესიო პრაქტიკასა და ეთნიურ წეს-ჩვეულებებზე. ამ სფეროს ის პროტესტანტული რეფორმაციის თვალსაზრისით განიხილავს და აფასებს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ეს შეფასება მეტწილად ნეგატიურია. ამის მიუხედავად, მისი ინფორმაციებიცა და თავად შეფასებებიც საგულისხმო და ანგარიშგასაწევია.

ამ წიგნის მეორე ნაწილი, „მეორე წიგნი", აღმოსავლეთის ხალხთა თავგადასავალსა და წეს-ჩვეულებებს ეძღვნება. ყურადღების მიღმა არც საქართველო და ქართველი ხალხი არის დატოვებული. კერძოდ: ამ ნაწილის („წიგნის") მერვე თავი მკითველებს მოუთხრობს ორი ქართველი თავადის კონსტანტინოპოლში ჩასვლის, მათი იქ ყოფნისა და საქმიანობის ამბავს; აცნობს მათი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ვითარებას; ორიოდე სიტყვით ახასიათებს იქაურ ბუნებას, ენას, დამწერლობასა და ტრადიციას, მიცვალებულის დამარხვის წესსაც კი (Schweigger 1964:81-87). სხვა არა იყოს რა, ამ წიგნში პირველად არის სტამბურად ფიქსირებული ქართული ანბანი (ნუსხახუცური) და ქართულენოვანი ტექსტი (ფს. 1,1; ლათინური შრიფტით) (იხ. ქვემოთ).

ჩვენთვის ამჯერად საყურადღებო ეპიზოდს, — ქართველების მაშინდელ ეკუმენურ დიალოგში ამა თუ იმ ფორმით და მასშტაბით მონაწილეობას, -- აქ ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამასთანავე მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთის ყველა დეტალი საქართველოსა და მისი ისტორიისათვის ერთობ მნიშვნელოვანია და, მეტწილად, — სიახლე, რაც სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია (Brosset 1856: 225; სვანიძე 1971: 126-131; რევიშვილი 1977: 81-85). ეს მონაკვეთი (მე-18 თავი) ნაწილობრივ ქართულადაც არის თარგმნილი (ნათიძე 1961: 7; ნათიძე 1962: 5). მაგრამ იმის გამო, რომ როგორც აღნიშნული უწყება, ისე მისი ქართული თარგმანი წინამდებარე თემის (ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორია საქართველოში) მკვლევრებისთვისაც დღემდე შეუმჩნეველია, გადავწყვიტეთ მითითებული თარგმანის გადამუშავება და უთარგმნელად დარჩენილი ნაწილების თარგმნა. ასე რომ, ჩვენ ამჯერად, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ვაქვეყნებთ შვაიგერის ნაშრომის დასახელებული თავის სრულ ტექსტს[7] ქართულ თარგმანთან ერთად (ამ ნაშრომის

[7] ამ ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში დამეხმარნენ პროფესორი პუ-

გერმანულ ვარიანტში კი — თანამედროვე გერმანულ თარგმანთან ერთად):

Das XVIII. Capitel

Von zweyen Georgianischen Fürsten, die zu Constantinopel ankommen, vnd ihrer verrichtung daselbst, sampt derselben Landschafft, art, Sprach vnd Leichbegengnus.

თავი XVIII

ორი ქართველი თავადის შესახებ, რომლებიც კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ; იქ მათი საქმიანობისა და ამასთანავე მათი ქვეყნის ლანდშაფტის, ხასიათის, ენისა და მიცვალებულთა დამარხვის შესახებ

Im Jahr Christi 1579. den 3. Junii, seyn zu Constantinopel ankommen zween Georgianische Fürsten, vngefehrlich mit 150. Personen ihren Dienern. Ursach ihrer ankunfft ist diese: Nach dem Mustapha Wascha, wie oben angezeigt, einen Zug in Persiam fürgenommen, ist er vnter wegen auff diese Georgianer gestossen, oder welches mehr zu glauben, ist er ihnen mit fleiß nachgezogen, weil sie vor derselben Zeit den Türcken viel leids zugefügt, dann sie hieltens jeder Zeit mit den Persiern, mit welchen sie viel Jahr

ქრისტეს აქეთ 1579 წლის 3 ივნისს კონსტანტინოპოლში ორი ქართველი თავადი ჩამოვიდა დაახლოებით 150 მათ სამსახურში მდგარი კაცის თანხლებით. მათი ჩამოსელის მიზეზი გახლავთ შემდეგი: როდესაც მუსტაფა ფაშამ სპარსელების წინააღმდეგ გაილაშქრა, რის თაობაზეც უკვე ვთქვით, გზაზე ამ ქართველებს გადაეყარა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან მათ კარზე განზრახ გაიარა, რადგან ისინი მანამდე თურქებს დიდ ზიანს აყენებდნენ, ვინაიდან ყოველთვის

ბერტ კაუფჰოლდი და ბატონი ჰერმან გლასერი, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

in bündnus stunden, da sie nun gesehen, daß sie dem gewalt der Türcken zu begegnen viel zu schwach weren, haben sie sich ergeben, vnd begehrt, er soll ihnen ein järliche Schatzung auff das Land schlagen, vnnd sie bey ihrem Land bleiben lassen, so wöllen sie dem Sultan huldigen, welches aber Mustapha nicht wöllen auff sich nemen, sondern sie gen Constantinopel an die Ottomanisch Porten gewiesen, alda ihr sach ihrem begehren nach außzutragen, welches dem Mustapha fürnemlich darumb zu thun gewesen, daß Sultan Murath sein fleis vnd ernst in seinem befohlen Generalobristenampt möcht spühren, vnd also gnad vnd huld bey ihm erhalten wider seine Mißgünstige, deren er viel am Hof hett, die ihn begehrten zu verunglimpffen vnd in vngnad zu bringen.

სპარსელების მხარე ეჭირათ და მრავალი წლის განმავლობაში მათთან კავშირში იმყოფებოდნენ. ახლა კი, ვინაიდან დაინახეს და მიხვდნენ, რომ სუსტები არიან და თურქების ძლიერების წინაშე ვერაფერს გააწყობენ, მორჩილება გადაწყვიტეს და ისურვეს, რომ მან (მუსტაფამ) ქვეყანას ყოველწლური გადასახადი დაუწესოს და ისინი მათსავე ქვეყანაში დატოვოს, რათა მათ სულთანს პატივი მიაგონ. მუსტაფამ პასუხისმგებლობა თავის თავზე არ აიღო და მათ კონსტანტინოპოლისაკენ, ოტომანთა პორტასაკენ მიუთითა, სადაც მათ საკითხსა და მათ წინადადებას განიხილავდნენ. ის ასე უფრო იმიტომ მოიქცა, რომ სულთანი მურატი თავის სიბეჯითესა და მთავარსარდლისათვის შესაფერის სიდინჯეში დაერწმუნებინა, რათა ამით მის თვალში მადლი და წყალობა მოეპოვებინა იმ მოქიშპეთა სანინააღმდეგოდ, რომლებიც მრავლად იყვნენ სასახლის კარზე მისი სახელის გასატეხად და მისთვის ბოროტების საქმნელად.

Als nun beyde Fürsten Gebrüder ein gute Zeit bey Hof wurden auffgehalten, vnnd ihr begehren nicht wolt stat finden, wurd ihnen dieser bescheid, daß der Sultan gentzlich entschlossen einen Sansag oder Landsverweser in ir Land zu setzen, da hat der jüngste

და, აი, ძმებმა თავადებმა საკმაო დრო დაყვეს სასახლის კარზე, მაგრამ მათი სურვილების განხორციელებას პირი არ უჩანდა და მეტიც: მიიღეს ცნობა, რომ სულთანს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მათ ქვეყანაში სინჯაყი ანუ ადგილობ-

Fürst aus begiert zu herrschen, vnd aus deß Sathans eingeben, diß verflucht verzweifflet mittel für die Hand genommen, daß er sich erboten den Christlichen Glauben zu verlaugnen, vnd die Beschneidung anzunemen, woferr man in bey dem Regiment wolt lassen bleiben. Da er nun solches erlangt, hat er alsbald sich lassen beschneiden, deßgleichen auch ein junges Knäblein von 10. Jahren, sein leiblichen Sohn, nicht allein beschneiden lassen, sondern denselben dem Sultan geschenckt als ein Geisel, daß er ein gehorsamer treuer Lehenmann deß Ottomanischen Hauses seyn wöll, diesem seyn seiner Diener bey zwantzig nachgefolgt, die alle verlaugnet haben. Sein Bruder Quarquaras Hodabag, wiewol er von den Türcken angemutet war in seines verzweiffleten Bruders Fußstapfen zu tretten, ist er doch standhafft geblieben, sampt dem überigen Gesind.

რივი მმართველობა ჩამოაყალიბოს. მაშინ უმცროსმა ძმამ, მბრძანებლობის ჟინით შეპყრობილმა და სატანის მიერ შთაგონებულმა, გადაწყვიტა დაწყევლილი უიმედობისათვის დამახასიათებელი ხერხი გამოეყენებინა, ქრისტეს სარწმუნოება უარეყო და წინადაცვეთის წესი შეესრულებინა, ოღონდაც მისთვის მბრძანებლის ადგილი ეწყალობათ. რადგან მან ამას მიაღწია, უმალვე დაიცვითა. მან, ამასთანავე, თავისი 10 წლის ყმაწვილი, თავისი ღვიძლი შვილი, არა მარტო დაცვითა, არამედ ეს ყრმა სულთანს მძევლადაც უწილადა, რომ ის ოტომანთა კარის მორჩილ და ერთგულ ვასალად ქცეულიყო. მის კვალს ოცამდე მხლებელიც გაჰყვა; სარწმუნოება მათაც უარყვეს. თურქები ყვარყვარე ათაბაგისგანაც მოითხოვდნენ, რომ მას თავისი იმედდალეული ძმისათვის მიებაძა, მაგრამ ის მტკიცე აღმოჩნდა, ისე როგორც მისი მსახურები.

Etlich Wochen hernach ist im Tiphan, im Keyserlichen Raht beschlossen worden, daß dem verlaugneten Mann das Regiment vollmechtig zugestellt, mit gegenleistung der gewöhnlichen Lehenspflicht. Der ander Herr, sein Bruder, soll sich bey ihm behelffen wie er könn vnd mög, man hat ihm auch ein Zauschen zugeordnet, der

რამდენიმე კვირის შემდეგ დივანში, საიმპერატორო საბჭოში, გადაწყვიტეს: კაცს, რომელმაც სარწმუნოება უარყო, მინიჭებოდა, სანაცვლოს მიგების ნიშნად, მმართველობის სრული უფლება სამხარეო ნაწილზე. მეორე ბატონი კი, მისი ძმა, იმასაც უნდა დასჯერდეს, რომ [შეუძლია] მასთან დარჩეს რო-

sein auffseher seyn soll, damit nicht ein Rebellion oder auffruhr erweckt werd, zu dem ist dem Türckischen Amiral oder Meercapitan befelch geben worden an denselben Grentzen ein Castell auffzuführen, vnd dasselbig mit einer Besatzung nach notdurfft zu versehen, welches er auch vnverzüglich ins Werck gebracht, vnd ein Castell von Holtzwerck mit hültzerin Thoren vnd Thürnen auffgericht. Aber die Inwohner habens vnrecht verstanden, nemlich die Georgianer, vnd haben das Castell auff den grund zerschleyfft, vnnd die Besatzung also auffgerieben, daß nicht einer davon kommen ist, dann sie kunten sich nicht drein richten, daß ihr Fürst solt ein Türck seyn, vnd daß ein Türck solt über sie herrschen. In diesem Castell war auff einem hülzerinnen Thurn ein hülzerinner Arm, in der Hand ein Säbel haltend, vnd dem Land trohend, aber sie haben im das trohen vertrieben, das Castell hies Tiflis, am Wasser Tiflis gelegen.

გორც შეძლებს და მოახერხებს. მას, ამასთანავე, მიუჩინეს მეთვალყურე, რომელსაც ის უნდა შეემოწმებინა, რომ რაიმე აჯანყება ან მღელვარება არ მოეხდინა. გარდა ამისა, გაცემულ იქნა ბრძანება თურქეთის ადმირალის ანუ საზღვაო კაპიტანის მიმართ, რათა იქაურ [მათი ქვეყნის] საზღვრებზე ციხესიმაგრეები აეგოთ და ისინი სათანადო შემადგენლობით აღეჭურვათ, რაც მან დაუყოვნებლივ შეასრულა. ერთი ციხესიმაგრე ხემასალისაგან იქნა აგებული ხისავე კარიბჭითა და კოშკებითურთ. მაგრამ მოსახლეობამ, კერძოდ ქართველებმა, ეს კარგ ნიშნად ვერ აღიქვა და ციხესიმაგრე მიწასთან გაასწორა; შემადგენლობა ისე გაანადგურა, რომ ცოცხალი არავინ დარჩენილა. ისინი ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ მათი მთავარი თურქი უნდა ყოფილიყო და თურქს მათზე უნდა ებატონა. ამ ციხესიმაგრეში ერთ ხის კოშკზე გამოკვეთილი იყო ხის მარჯვენა, რომელსაც ეპყრა ხმალი და ქვეყანას ემუქრებოდა, მაგრამ მათ ეს მუქარა წარხოცეს. ციხესიმაგრეს ერქვა თბილისი თბილისის წყალზე მდებარეობის გამო.

Wie aber der verlaugnet Fürst sich in seiner Regierung verhalten, vnnd wie er von seinem Volck empfangen worden, ist mir

თუ როგორ გაუძღვა ის მთავარი ხელისუფლებას, რომელმაც რჯული უარყო, ანდა როგორ მიიღო ის საკუთარმა ხალხმა,

unwissend. Etlicher seiner Leut wolten dieser verleugnung ein färblein anstreichen, vnnd gaben für, es geschehe nur zum schein, biß er der Herrschafft mächtig würde, vnd von dem Türcken komme, alßdann wöll er wider abfallen, nicht anders, als wann diß der ordenliche Weg zu Land vnd Leuten zu kommen wer, daß einer seines gefallens Christum verleugne, vnd bald wider kehre, wann es gilt, was jener fürgibt: *Si ius violandum est imperij causa violandum est, in cæteris pietatem colito*, Es könnt wol seyn, daß einer wider die billichkeit vnnd das Gewissen thue, wann er dardurch grosse Herrschafft, gewalt vnnd Macht erlangen könnt, sunst in dem übrigen soll er auffrichtig vnd redlich handlen. Also werden diese Leut meynen, es gelt mit der Religion auch also zu spielen, aber der Apostel redt anders davon: Irret nicht lieben Brüder, Gott lest sein nicht spotten.

ჩემთვის უცნობია. ზოგიერთმა მისი წრიდან ამ ღვთისგმობის შელამაზება მოინდომა და დაიწყო მტკიცება, რომ ეს მან მხოლოდ მოსაჩვენებლად მოიმოქმედა, ვიდრე ის ხელისუფლებას განიმტკიცებს; როდესაც თურქებს გაეცლება და უკან დაბრუნდება, ისლამსაც მოშორდება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი გზა იმისათვის, რომ ქვეყანასა და ხალხს დაუბრუნდეო; ეს ის შემთხვევააო, როდესაც ვინმე კაცი ქრისტეს სამსახურს უარყობს, მაგრამ მალევე უკუიქცევა. განა კლავ ძალაში არ არის დებულება, რომელიც ასე გამოითქმის: Si ius violandum est imperii causa violandum est, in caeteris pietatem coleto [თუ სამართალი ხელმწიფედ გახდომის გულისათვის უნდა გამრუდდეს, გამრუდდეს! დაე, სხვა მხრივ იყოს დაცული სიწმინდე]? დიახაც დასაშვებია, რომ ვიღაცამ ღირებულებისა და სინდისის საწინააღმდეგოდ რაღაც მოიმოქმედოს, თუკი ამ გზით დიადი ხელმწიფების, ძალისა და ძალაუფლების მოხვეჭას შეძლებს, თუკი ის სხვამხრივ მართებულად და პატიოსნად მოიქცევაო. ამდენად, ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ მსგავსი თამაში სარწმუნოებაშიც დასაშვებია, მაგრამ ამის თაობაზე მოციქული სხვას გვეუბნება: *ნუ შეცდებით, ძმებო, ღმერთი თავისიანს სხვისი და-*

საცინი საქციელის ჩადების უფლებას არ აძლევს (შდრ. გალატ. 6:7).

In dieser Zeit, als die Georgianer zu Constantinopel gelegen, seyn sie mit unsern Leuten in kundschafft gerathen, also daß sie nicht allein offt in unser Haus kommen, sondern auch die Herrn beyderseits einander mit statlichen Gaben verehrt haben, dann Herr Quarquaras verehrt meinem G. Herrn ein schön gülden stück über 60. Ducaten werth, dargegen verehrt mein G. Herr ein schön Vhrenwerk auch über 60. Ducaten werth, welches er zwar mit hohem danck angenommen, aber letzlich ein Baurenzoten drein macht, weil niemand aus seinen Leuten mit diesem köstlichen Werck wust vmbzugehn, so schickt er sie meinem G. Herrn wider, mit diesem begehrn, er soll ihm Gelt an derselben statt schicken, welches auch beschehen.

ქართველები, როდესაც ისინი კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ, ჩვენს ხალხს დაუახლოვდნენ. თანაც: ისინი არა მარტო ხშირად გვაკითხავდნენ სახლში, არამედ ბატონებიც ორივე მხრიდან ერთმანეთს დიდებულ საჩუქრებს უძღვნიდნენ. ბატონმა ყვარყვარემ, მაგალითად, ჩემს მოწყალე ბატონს ერთი მშვენიერი ოქროქსოვილი მოართვა, რომელიც 60 დუკატს აღემატებოდა. ჩემმა მოწყალე ბატონმა კი მას ერთი მშვენიერი საათი შესთავაზა, რომელიც ასევე 60 დუკატს აღემატებოდა. მან თუმცა ეს დიდი მადლიერებით ისაჩუქრა, მადრამ ამას ერთი უხერხული ამბავი მოჰყვა: რადგან მისი ამქრიდან ამ ძვრიფასი ნაკეთობის მართვა არავინ იცოდა, მან ის ჩემს მოწყალე ბატონს უკანვე გამოუგზავნა სურვილით, რომ მის სანაცვლოდ ფული გაეგზავნა, რაც მოხდა კიდეც.

Als nun beyderseits gute kundtschafft gemacht war, da lies mein G.Herr durch sein Hofmeister Wentzel Budowitz von Budowa, viel ding der Religon halb fragen, aber es ist wenig bericht bey inen zu finden gewesen, vnangesehen, daß sie vier Caloieros, das seyn Münch, bey sich gehabt, aus

როგორც კი მხარეებს შორის კეთილი ნაცნობობა განმტკიცდა, მაშინ ჩემმა მოწყალე ბატონმა თავისი ჰოფმაისტერის (კანცლერის, ნ. პ.), ვენცესლავ ბუდოვიცის, მეშვეობით სარწმუნოების თაობაზე მათ ბევრი შეკითხვა დაუსვა, მაგრამ მათ-

welchen irer zween auch vom Christlichen Glauben abgefallen, vnd Türcken worden. Es lies auch mein G. Herr ein Griechisch Exemplar der Augspurgischen Confession bey des Patriarchen Protonotario, meinem guten freund, durch mich zuwegen bringen, dasselbig mehrgedachtem Herrn Quarquare zu verehren, vnnd schrieb er zu anfang in das Buch auff Griechisch diese Schrifft, welches ich vertirt: Joachim von Sintzendorff vnd Goggitsch auff Feureck Key. Maj. Reichßhofraht vnnd Orator an der Ottomanischen Porten, verehrt diß Buch, darinn begriffen ist die H. Christliche Evangelische Lehr, wie dieselb an vielen orten deß Römischen Reichs in Teutschland getrieben wird, dem Herrn Quarquare Hodabag. Das Wort Hodabag ist in Iberischer Sprach ein Ehrentitel,damit man beydes einen Fürsten vnd einen König versteht, dieses Büchlein hat er Hodabag in grob Griechische Sprach, vnd aus derselben in seine Iberische Muttersprach lassen dolmetschen, ich halt aber nicht, daß einige nutzbarkeit daraus erfolgen möcht, dann sie seyn in ihren Cermonien, wie auch die Griechen, verblent, daß sie darfür halten, es könne nichts bessers oder heilsamers herfür gebracht werden, zu dem seyn sie Kriegsleut, die nicht viel nach der Lehr oder Gottes Wort fragen.

გან საკმარისი პასუხები ვერ მოისმინა იმის მიუხედავად, რომ მათ შორის ოთხი სასულიერო პირი იმყოფებოდა. ესენი იყვნენ ბერები, რომელთაგან ორი ქრისტეს სარწმუნოებას განუდგა და თურქი გახდა. ჩემმა მოწყალე ბატონმა ჩემი მეშვეობით პატრიარქის პროტონოტარიუსთან, ჩემს კარგ მეგობართან, აუგსბურგის აღსარების ერთი ბერძნული ეგზემპლარი იშოვა და ის უკვე რამდენიმეგზის ნახსენებ ბატონს, ყვარყვარეს, უძღვნა. მან წიგნს აახლა წარწერა ბერძნულად, რომელიც ასე ითარგმნება: „იოახიმ ფონ ზინტცენდორფი, — გოგიჩისა და ფოიერეკის მფლობელი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამეფო კარის მრჩეველი და ელჩი ოტომანთა პორტაში, — ამ წიგნს, სახარების იმ წმინდა ქრისტიანული მოძღვრების შემცველს, რომელსაც გერმანიაში, რომის სამეფოს ბევრ მხარეში, აღიარებენ, ვუძღვნი ბატონ ყვარყვარე ათაბაგს". სიტყვა ათაბაგი იბერიულ ენაზე გამოხატავს საპატიო წოდებას, რომელშიც როგორც მთავარს, ისე მეფეს გულისხმობენ. ეს პატარა სახელმძღვანელო წიგნი მან, ათაბაგმა, ჯერ სასაუბრო ბერძნულ ენაზე ათარგმნინა, შემდეგ კი აქედან — თავის დედაენაზე, იბერიულზე. თუმცა არ მჯერა, რომ ამან რაიმე სარგებელი მოიტანოს,

რადგან ისინი, ისე როგორც ბერძნები, მათ რიტუალებში არიან ჩაძირულნი და ფიქრობენ, რომ ამაზე უკეთესი და ამაზე მეტად მაკურნებელი არაფერი მოიძებნება. გარდა ამისა ისინი არიან მეომრები, რომლებსაც სარწმუნოებისა და ღვთის სიტყვის შესახებ ცოტა რამ აინტერესებთ.

Diese Georgianer wohnen zwischen der Meotischen vnnd Hircanischen See, also daß an der Hircanischen See die Albanier, an der Meotischen See die Colchi, vnd zwischen diesen beyden die Georgianer mitten innen ligen, in Historijs werden sie Iberi genannt, von dem Fluß Ibero in Hispania, da sie ihren Vrsprung vnd erste ankunfft her haben, von dannen sollen sie, weil sie nicht gnugsam Platz in Hispania gehabt, an dieser gegend sich nidergelassen haben. Andere halten dafür, daß die Spanier von ihnen seyen herkommen, sie werden auch alle drey Völcker Cumani genennt, welche sich heraus in Hispanien begeben, die Colchi werden jetziger Zeit Mengreli, vnnd die Albanier Circassi, in ihrer Sprach genennt, alle drey Völcker seyn Christen, vnd erkennen den Patriarchen zu Constantinopel für ihrer Kirchen Oberhaupt, haben doch ihre eigne Bischoff vnnd Metropolitas, mehrertheils stimmen

ესენი, ქართველები, მეოტისა და ჰირკანის ზღვებს შორის ცხოვრობენ. უფრო ზუსტად: ჰირკანის ზღვასთან ალბანელები, მეოტის ზღვასთან კოლხები მოსახლეობენ. ქართველები ამ ორ ხალხს შორის ბინადრობენ. ისტორიაში ისინი იბერებადაც არიან ცნობილი ესპანეთის მდინარე იბეროს გამო, სადაც ისინი წარმოიშვნენ და მკვიდრობდნენ. იბერები იქიდან უნდა აყრილიყვნენ, რადგან მათ იქ, ესპანეთში, საცხოვრებლად საკმარისი ადგილი არ ჰქონდათ, და ამ მხარეში (საქართველოში) დასახლებულიყვნენ. სხვები ფიქრობენ, რომ თავად ესპანელები უნდა იყვნენ ამათგან წარმოშობილნი. ეს სამივე ხალხი (კოლხები, ქართველები და ალბანელები, ნ. პ.) ინოდება აგრეთვე კუმანებად, რომლებიც ესპანეთისაკენ დაიძრნენ. კოლხები ამჟამად მეგრელებად, ალბანელები კი კირკაზებად (კავკასებად? ნ.პ.) მოიხსენიებიან მათსავე ენებში. სამივე

sie mit den Griechen überein, in etlichen haben sie ihr besondere weis von den Griechen vnterschieden, ihre Gotteßdienst verrichten sie in ihrer Muttersprach, dann sie haben ein eigne Sprach, ihrer Caloierorum oder Münch einer schrieb mir in ein Buch, auff mein begehren, das A. B. C. auff folgende weis:

ეს ხალხი ქრისტიანია და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ისინი თავიანთი ეკლესიების მეთაურად აღიარებენ, თუმცაღა ჰყავთ საკუთარი ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები; დიდწილად ისინი ბეძნებთან თანხმობაში არიან, გარკვეულწილად კი მათგან განსხვავდებიან, რადგან თავისებური წესებიც აქვთ. მათი ღვთისმსახურება მათსავე დედაენაზე აღესრულება, რაკი საკუთარი ენა აქვთ. ერთ-ერთმა მათმა ბერმა ანუ მონაზონმა, ჩემივე თხოვნის თანახმად, ჩამიწერა წიგნაკში ანბანი შემდეგი სახისა:



Darneben schrieb er die drey ersten Vers deß ersten Psalmen, vnd lauten die Wort also: Néderas gázi rómeli ára míuida sráchuuasa uchmortótasa; dágsasa Zoduuiltasa aratátgada. Dasadschúmelsa uschulótasa aratádschada. Das ist: wol dem Menschen, der nicht wandlet im Raht der Gottlosen, etc. Die vnterschrifft helt sich also: Me Ioseps Damizeria, ich Joseph Damizeria, Charduuelza aus Iberia, dautseri, schrieb diß, Salomonitois

იქვე მან პირველი ფსალმუნის პირველი სამი მუხლიც დაწერა, რომლის სიტყვები შემდეგნაირად ჟღერს: *ნედარას გაცი რომელი არა მიუიდა სრახუასა უხმორთოთასა; დაგსასა ცოდუუილთასა არატატგადა. დასადშუმელსა უშულოთასა არატადშადა.* ეს ნიშნავს: ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და ა. შ. მან ასეთი (ამ შინაარსის, ნ. პ.) ჩანაწერი დატოვა: *მე იოსებს დამიწერია ქართველსა იბერიი-*

dem Salomoni. Die Jahrzal Immisa odátschrasa curanicónsa atáschudsa samozda dschuidmeza, das ist, im Jahr Christi 1579.

დან სოლომონისთვის. თარიღი: „იმმისა ოდათშრასა ქურანიკონსა ათასხუდსა სამოცდა დსხუიდმეცა (!?) [ივნისსა ოცდაცხრასა, ქორონიკონსა ათასხუთას {სამოცდაცხრამეტსა}]", რაც არის: ქრისტეს აქეთ 1579 წელი.

Als wenig Trag verloffen waren. fieng dieser Münsch Joseps an im raht der Gottlosen zu wandlen, vnd setzt sich zu den spöttern, die Christi vnd deß Evangelij spotten, vnd wandlet im Weg der Sünder vnd Türcken, ihm vergieng aller Lust zum Gesetz deß Herrn, so er anders einmal ein lust gehabt, redet tag vnd nacht wider das Gesetz deß Herrn, das ist, er wurd ein Türck, vnnd lies sich beschneiden, darumb wird er mit den Gottlosen Türcken verstieben wie Spreuer, vnd am Jüngsten Gericht übel bestehn, er ist auch kurtz hernach zu Constantinopel gestorben, dann irer etliche an der Pestilentz blieben. Sie haben besondere Ceremonien, die sie bey iren verstorbnen observieren, sie pflegen die Leich auff einen Tepich zu lege mit Kleidern angezogen, neben derselben ein Säbel vnd Bogen ligen, in massen auch bey den Moscowiten vnd Reussen breuchig, vnd wie man dieser Zeit in vnsern Landen mit den *Epitaphijs & Carminibus lugubribus* eines fürnemen verstorbnen Manns Lob

ცოტა ხნის შემდეგ ამ იოსებმა ურჯულოთა საკრებულოში სიარული დაიწყო, შეუერთდა მოქილიკეებს, რომლებიც ქრისტესა და სახარებას აქილიკებდნენ, და ცოდვილებისა და თურქების გზას დაადგა. მას გაუქრა ღვთის რჯულში ყოფნის სურვილი, რომელიც ადრე ჰქონდა; დღე და ღამ ღვთის რჯულის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდა. ასე რომ, ის თურქი გახდა და წინადაცვეთაც ჩაიტარა. ამის გამო ის ღვთისმგმობელ თურქთა შორის ბზესავით გაიფანტება, რის გამოც ქრისტეს მეორედ მოსვლას ცუდად შეხვდება. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ის კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა, რადგან ზოგიერთი მისიანის მსგავსად შავი ჭირი შეეყარა. მიცვალებულებთან დაკავშირებით მათ განსაკუთრებული წესები აქვთ. ისინი გვამს, ჩვეულებისამებრ, ხალიჩაზე ასვენებენ ტანისამოსში, გერდით კი ხმალსა და ისარს დაუწყობენ თითქმის ისე, როგორც ეს მოსკოვიტებსა და რუსებს სჩვევიათ. და ისე როგორც დღეისათ-

pflegt außzustreiche, also halten sie solchen brauch auch , da kompt einer nach dem andern herfür, vnnd führt bey der Leich ein klag, fast auff die weis, wie David seinen Eydbruder Jonathan klagt, vnd zugleich den König Saul, Jonathans Vatter, die er irer Dapfferkeit halb lobt, wie sie von der faust redliche vnd dapffere Helden seyen gewesen, sagt es nicht zu Gath, verkündigts nicht auff der Gasse zu Ascalon, daß sich die Philister nicht über diesem vnfall frewen, vnd die vnbeschnitnen nicht frolocken. Der Bog Jonathan hat nie gefehlt, vnnd das Schwert Saul ist nie leer wider kommen von dem Blut der erschlagnen, vnnd von dem fett der Helden, etc. Also klagen diese Leut ihre Toden auch, sonderlich die Kriegßleut, die sie vmb ihr geschwindigkeit vnd Dapfferkeit loben: O wie ein vnerschrockner Held bistu gewesen, wie rund vnd fertig warst du mit deinem Säbel, wie haben sich die Feind ob deinem Heldenmuth vnd künheit entsetzt, nun aber, so sie es innen werden, daß du den Bogen, Säbel vnd Spies nicht mehr magst führen, wie werden sie sich freuen ? etc. Diese vnd dergleichen Red treiben sie viel nach lenge, vnd fleisset sich ein jeder, daß er mit Lobsprüchen über den andern scy. Solches haben auch die Türcken im brauch, doch auff ein andere weis, da das Weib

ვის ჩვენს ქვეყნებში იციან ეპიტაფიებისა და Carminibus lugubribus-ების (ხმით ნატირლებიის, ნ. პ.) მეშვეობით ჩინებული ადამიანების ქებით განდიდება, მათაც ასეთივე ჩვეულება აქვთ: ერთი მეორის მიყოლებით გამოდის და მიცვალებულს თითქმის ისე დასტირის, როგორც დავითი თავის შეფიცულ ძმას, იონათანს, და მასთან ერთად მეფე საულს, იონათანის მამას, დასტიროდა და ამ ტირილით ის მათ მამაცობის შეასხამდა ხოტბას, რადგან მათ გმირობაში პატიოსნება და მამაცობა ერთმანეთს შერწყმოდა. ამას ის უმხელდა არა გათს, უცხადებდა არა აშკელონის ქუჩებს, რათა არ გალალებულიყვნენ ფილისტიმელნი და არ ეზეიმათ წინადაუცვეთლებს ამ უბედურების გამო. იონათანის ფარი ძირს არასდროს დაცემულა, საულის ხმალი ცარიელი უკან არასდროს დაბრუნებულა განგმირულთა სისხლისა და ბუმბერაზთა ქონის გარეშე, და ასე შემდეგ (შდრ. 2 მეფ. 1: 17-22). ეს ხალხიც ასევე დასტირის თავის მიცვალებულებს, განსაკუთრებით კი მეომრებს, რომლებსაც ისინი მათი სიმარდისა და სიმამაცის გამო ასე აქებენ: *ო, როგორი უშიშარი გმირი იყავი შენ, როგორ მარჯვედ და მოხერხებულად მოიქნევდი შენს ხმალს, რამოდენა თავ ზარი ესხმოდათ შენს მტრებს შენი ვაჟკაცობისა და გაბედულების გა-*

den toden Mann fragt: Was hat dir lieber Mann gemanglet bey mir? Hastu doch Essen, Trincken vnd dein außkommen gehabt, wer wird sich hinfort meiner annemen, wer wird mir also guts thun wie du gethan hast? Nicht anders, als wann es bey ihm gestanden wer zu leben oder zu sterben. Wann nun solche klag verricht, vnnd der todte vntüchtig ist Säbel vnnd Bogen zu führen, wird er in der kleidung hinaus getragen vnd begraben, also thut man einem jeden, wann er nimmer Essen, Trincken vnd fechten kan, so wird er dem Grab zu theil.

მო. და რარიგ გაიხარებენ ისინი ახლა, რაკი გაიგებენ, რომ შენ აღარ ძალგიძს მშვილდის, ხმლისა და შუბის ტარება?! და ა. შ. ასეთს და მსგავს სიტყვებს წარმოთქვამენ ისინი მრავლად და ხანგრძლივად, და თითოეული მათგანი ცდილობს, ქებადიდების წარმოთქმაში მეორეს აჯობოს. რაღაც ასეთი ჩვეულება თურქებსაც აქვთ, თუმცა სხვა სახისა, რადგან ცოლი გარდაცვლილ ქმარს ეკითხება: *რა გაკლდა შენ, ჩემო საყვარელო კაცო, ჩემთან? არ გქონდა განა საჭმელი, სასმელი და შენი სარჩო-საბადებელი? ვიღა იზრუნებს ახლა ჩემზე, ვიღა გამახარებს იმ სიკეთით, რა სიკეთითაც მახარებდი შენ მე?* ისე გამოდის, თითქოს მასზე ყოფილიყოს დამოკიდებული, ვინ იცოცხლებს და ვინ გარდაიცვლება. იმის მიუხედავად, რომ ასეთი ტირილით ტირიან და მიცვალებულს აღარ ძალუძს, ხმალი და მშვილდი ატაროს, მას ტანსაცმლიანად გადაასვენებენ და დამარხავენ. ასე იქცევიან ისინი ყველას მიმართ, თუმცა ჭამა, სმა და ასპარეზობა უკვე აღარავის ძალუძს; ისინი მინად მიქცეულნი არიან.

Es seyn aber mehrgedachte Georgianer von Person anschliche, lange, gerade, vierschrötige starcke Leut, von farb schwartzbraun, allerding den Polaken vnd Vngern gleich, sie seyn auch vnerschrockne dapffere Kreigßleut, sie zogen in der Stadt hin vnd wider, als weren sie viel Jahr Burger darinn gewesen, fragten nach niemands, achteten vnnd verwunderten sich keines dings, wie wir pflegen zu thun, wann wir zu frembdem Volck kommen, vnnd ihre Gebreuch vnnd Sitten mit verwunderung sehen vnd darauff achtung geben.

ქართველები, რომლებიც მე არაერთგზის ვახსენე, წარმოსადეგი, მოსული, ახოვანი, ჩასკვნილი, ძლიერი ადამიანები არიან და მოშაო-მოყვითლო ფერი აქვთ, თუმცა პოლონელებსა და უნგრელებს ჰგვანან. ისინი ასევე უშიშარი და მამაცი მეომრები არიან; ამ ქალაქში ისე დაიარებიან, თითქოს მისი ძველი მოქალაქეები არიან: არავის არაფერს ეკითხებიან, ყურადღებას არავის აქცევენ და გაკვირვებას არაფრის მიმართ გამოხატავენ ჩვენგან განსხვავებით. როდესაც ჩვენ უცხო ხალხში მოვხვდებით, იქაურების წეს-ჩვეულებებსა და ადათებს გაკვირვებით ვუცქერთ და ყურადღებას ვაქცევთ.



Herr Quarkquaras zwar fragt vnsern Hofmeister viel von vnserm Land, Gebreuch vnd Religion. Er

თუმცა კი ყვარყვარე ჩვენს ჰოფმაისტერს ბევრ კითხვას უსვამდა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი წესჩვეულებებისა და სარწმუ-

war von Person lang, vnd fast so dich als lang er war, seines gleichen habe ich nie gesehe, seines alters bey 30. Jahrn, in der Kleidung seyn sie der Persiern gleich, außgenommen den Hut vnd Stieffel, dann sie tragen alle Stieffel, vnd seyn alle in Seiden gekleidt.

ნოების შესახებ. თვალტანადობით ის გახლდათ ისეთი ზორბა, სისქით და სიმაღლით თითქმის ერთიანი, რომლის მსგავსი მე არავინ მინახავს დაახლოებით 30 წლისა. ისინი სპარსელების მსგავსად იმოსებიან, გარდა ქუდისა და ჩექმისა, რადგან ყველანი ჩექმებით დადიან და აბრეშუმით იმოსებიან.

4. ვენცესლავ ბუდოვიცი. შვაიგერის ცნობა ორი ქართველი ათაბაგი ძმის კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მათი იქაური საქმიანობის შესახებ არსებითად სრულ თანხმობაში იმყოფება აღნიშნული საელჩოს მეორე თანამშრომლის, ვენცესლავ ბუდოვიცის, ცნობასთან, რომელიც წარმოდგენილია მის წერილში, რასაც ზემოთ არაერთგზის შევეხეთ (ეს წერილი განხილული აქვს დანიელ ბენგას თავის სადისერტაციო ნაშრომში: Benga 2001:192-195).

ვენცესლავ ბუდოვიცი (ლათ. Wenceslaus a Budovic, გერმ. Wenzeslav // Wenzeslaus Budowetz von Budowa, ჩეხ. Václav Budovec z Budova; 1547 ან 1551-1621) ცნობილია როგორც ჩეხი რეფორმატორი (კალვინისტი), დიპლომატი,



ვენცესლავ ბუდოვიცი

სახელმწიფო მოხელე, მწერალი და, ბოლოს, სამშობლოსათვის, ადამიანის უფლებებისა და სინდისის თავისუფლებისათვის წამებული.

აი, მისი ბიოგრაფიის დეტალები:

ვენცესლავ ბუდოვიცი თავადაზნაურთა ძველ საგვარეულოს ეკუთვნოდა; ფლობდა დიდ ქონებას და ადგილ-მამულს ჩეხეთში (ლათ. ბოჰემიაში, გერმან. ბიომიაში). საუნივერსიტეტო განათლება მან ჯერ პრაღაში, შემდეგ კი (1569-1571) ვიტენბერგში შეიძინა. შემდეგ ბუდოვეცი საზღვარგარეთ მოგზაურობას შეუდგა და იმდროისათვის წამყვანი პროტესტანტი თეოლოგები გაიცნო. მასზე დიდი გავლენა კალვინისტმა თეოლოგებმა იქონიეს. 1577 წლიდან 1581 წლამდე მას კანცლერის (მოურავის) თანამდებობა ეჭირა ჰაბსბურგთა იმპერიის კონსტანტინოპოლურ საელჩოში, სადაც მეტწილად ლუთერანები მსახურობდნენ. იქ მან სტეფან გერლახი შეცვალა. დასავლეთ ევროპული ენების გარდა ვენცესლავ ბუდოვიცი თურქულსა და არაბულსაც ფლობდა. კონსტანტინოპოლიდან ვენცესლავი სამშობლოში დაბრუნდა და პრაღაში დამკვიდრდა; 1582 წელს დაქორწინდა და ორი შვილი შეეძინა. ბუდოვიცი, როგორც მაღალი კვალიფიკაციის იურისტი, პრაღის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში მოღვაწეობდა; პირველად სააპელაციო სასამართლოში მუშაობდა, შემდეგ კი ჩეხეთის სამეფოს საგადასახადო სამმართველოს უფროსად დაინიშნა. ის, ამასთანავე, გახლდათ ჩეხთა საძმოს აქტიური წევრი, ჩეხეთში არაკათოლიკური ოპოზიციის თავკაცი, პროტესტანტთა უფლებების დამცველი და სინდისის თავისუფლებისათვის მებრძოლი. მან საქმიანი მონაწილეობა მიიღო კამპანიაში, რომელიც დაგვირგვინდა 1609 წლის აქტით: უმაღლესი სამეფო სიგელით რელიგიური რწმენისა და აღსარებისათვის გარანტირებული თავისუფლების ბოძების შესახებ. 1618 წელს მას ვხედავთ რანგთა და წოდებათა მიმნიჭებელ სახელმწიფო დაწესებულებათა თანადირექტორად და „ზამთრის მეფედ" სახელდებული ჩეხეთის მეფის, ფრიდრის V-ის (Friedrich von der Pfalz), მომხრედ. ამ მეფემ ის სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტად გამოაცხადა. მისთვის, ისე როგორც ბევრი მისი თანამორწმუნე თანამემამულისათვის, საბედისწერო აღმოჩნდა ბრძოლა თეთრ მთასთან, რომელიც გერმანელი იმპერატორის ფერდინანდ II-ისა და ჩეხეთის მეფე ფრიდრიხ V-ის ჯარებს შორის 1620 წლის 8 ნოემბერს პრაღის მახლობლად შედგა. ეს იყო გადამწყვეტი ეტაპი ომში, რომელსაც რელიგიური საფუძველი ჰქონდა (კათოლიკურ-პროტესტანტული დაპირისპირება). როდესაც ჩეხთა არმიის მარცხი ყველასათვის ნათელი გახდა, მან ოჯახი საზღვარგარეთ გახიზნა.

„ზამთრის მეფემაც“ საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს. ვენცესლავ ბუდოვიცი კი, დაძაბული და მისთვის საშიში ვითარების მიუხედავად, პრაღაში დარჩა. იქ მას 26 სხვა სახელმწიფო პროტესტანტ მოხელესთან ერთად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და 1621 წლის 21 ივნისს პრაღის ძველ მოედანზე თავი წარჰკვეთეს (Sturm 1979: 162-163; Wikipedia: Václav Budovec z Budova).

ვენცესლავ ბუდოვიცმა თვალსაჩინო ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მასში გამორჩეული ადგილი უჭირავს ნაშრომს „Anti-Alkoran [ანტიყურანი]“, რომელიც 1616 წელს ჩეხურ ენაზე გამოქვეყნდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ მასში ავტორი ლაპარაკობს საკუთარ თავგადასავლებსა და შთაბეჭდილებებზე, რომლებიც თურქეთს, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლს უკავშირდება. იქ ასახულია იმდროინდელი თურქეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება და მთავრდება ისლამის კრიტიკული განხილვით (Wikipedia: Václav Budovec z Budova). სავარაუდოა, რომ „Anti-Alkoran“-ი წინამდებარე თემისათვისაც საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას შეიცავს; შესაძლებელია, მასში საქართველოსა და ქართველებზე, კერძოდ, ძმებ ათაბაგებზეც იყოს ლაპარაკი.

წინამდებარე თემასთან დაკავშირებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერი იყო ცნობილი აღნიშნული წერილის ანუ, იგივე, მოხსენებითი ბარათის არც ძველი, ხიტრეუსისა და კრუციუსისეული, პუბლიკაციების (იხ. 1-ლი და 5-ე წყარო) და არც მისი ტექსტის ძველი გერმანული თარგმანის (იხ. 1 წყარო) შესახებ. არაფერი იყო ცნობილი (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში) აგრეთვე ავტორის, ვენცესლავ ბუდოვიცის, პიროვნების შესახებ. ამიერიდან კი ჩვენთვის, სალომონ შვაიგერის წყალობითაც, ცნობილია მისი თანამდებობაც: ჰოფმაისტერი (Hofmeister), რაც არსობრივად კარის (ამ შემთხვევაში, დაწესებულების, საელჩოს) ადმინისტრაციის უფროსს, კანცლერს ანუ განმგებელს, იგივე მოურავს, ნიშნავს. გავიხსენოთ შვაიგერის სიტყვები: „როგორც კი მხარეებს შორის კეთილი ნაცნობობა განმტკიცდა, მაშინ ჩემმა მოწყალე ბატონმა თავისი ჰოფმაისტერის (კანცლერის, ნ. პ.), ვენცესლავ ბუდოვიცის, მეშვეობით სარწმუნოების თაობაზე მათ ბევრი შეკითხვა დაუსვა“. აქედან ჩანს, რომ ვენცესლავ ბუდოვიცი ჰაბსბურგთა საელჩოში არა მარტო მქადაგებლის, არამედ ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობასაც ასრულებდა და, მაშასადამე, ის კონსტანტინოპოლში ევანგელისტ ჰაბსბურგთა მაშინდელი ელჩის — იოახიმ ფონ ზინტცენდორფის — განსაკუთრებული

ნდობით სარგებლობდა.

განსახილველი დოკუმენტის ხელნაწერი აღმოაჩინა, გადმოწერა, ქართულად თარგმნა, მოკლე კომენტარები დაურთო პროფ. ილია ტაბაღუამ და მოამზადა პუბლიკაცია საერთო სათაურით „ქართველი უფლისწულები კონსტანტინოპოლში ვენცესლავ ბუდოვიცის წერილიდან. 1580 წელი. კონსტანტინოპოლი“ (ტაბაღუა 1884: 221-222,289). მისი მითითებით ეს დოკუმენტი (ხელნაწერი) ინახება ვატიკანში, „პროპაგანდა ფიდეს“ არქივში: „Archivo di Propaganda Fide. Scitture Originali Congregazioni Generali, vo. 65, f. 304 (177)“. კომენტარში (სქოლიოში), რომელიც აღნიშნული დოკუმენტის პუბლიკაციას ახლავს, ნათქვამია: „წერილის ავტორის ვინაობა ჩვენთვის უცნობია. სახელისა და გვარის მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი პოლონელია; მაშასადამე, მისი ბატონი [არის] პოლონეთის ელჩი კონსტანტინოპოლში. ამ დროისათვის კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველებისადმი ასეთი გულთბილი დამოკიდებულება დამახასიათებელია პოლონელებისა და უნგრელების მხრიდან. ამ წერილის ყველა სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ, ამიტომ ზუსტი ტექსტის დადგენა გაგვიძნელდა. წერილი პირველად ქვეყნდება“ (ტაბაღუა 1984: 222).

იმის მიუხედავად, რომ მკვლევრის თვალსაზრისი წერილის ავტორისა და ადრესატის ნაციონალობის, ასევე პუბლიკაციის შესახებ ზუსტი არ არის (რადგან ვენცესლავ ბუდოვიცის ბიოგრაფია და ზემოთ მითითებული პუბლიკაციები მისთვის ცნობილი არ იყო), თვით დოკუმენტის მიგნება, ძნელად გასაშიფრი ლათინური ტექსტის შეძლებისამებრ გაშიფრვა, ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება მოცემული საკითხის შესწავლის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ასე რომ, ამჯერად ჩვენს ხელთაა ამ დოკუმენტს როგორც „პროპაგანდა ფიდეს“ ხელნაწერი[8], ისე ძველი პუბლიკაციები. ამ მასალაზე დაკვირვება პირველი პუბლიკაციისა და ხელნაწერის წარმოშობის თაობაზე ასეთი სურათის რეკონსტრუქციის საშუალებას გვთავაზობს[9]: როსტოკელმა თეოლოგიის პროფესორმა, და-

---

[8] ასლი მოვიპოვეთ წმინდა ტახტის (ვატიკანის) წინაშე საქართველოს ელჩის ქალბატონ თამარ გრძელიძისა და საელჩოს მდივნის ბატონ ირაკლი ვეკუას დახმარებით, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[9] ამ შემთხვევაშიც დიდად დავალებული ვართ ბატონ პროფესორ ჰუბერტ კაუფჰოლდის კონსულტაციებით და დახმარებით.

ვით ხიტრეუსმა, თავისი ლათინური წიგნის (ის. 1-ლი წყარო) ეგზემპლარი წესისამებრ გაუგზავნა თავის მეგობარს, — ვენცესლავ ბუდობიცს, რომელიც იმხანად კონსტანტინოპოლში ჰაბსბურგთა იმპერიის საელჩოში მსახურობდა. ადრესატმა გულდასმით წაიკითხა წიგნი და ყურადღება საქართველოსა და ქართველების შესახებ იქ წარმოდგენილ ინფორმაციებსაც მიაპყრო; შესაძლებელია, ისინი კრიტიკულადაც შეაფასა. აი, ამ დროს აღეძვრა მას სურვილი, დაეწერა ვრცელი წერილი ამავე თემაზე და გაეგზავნა დავით ხიტრეუსისათვის. ასეც მოხდა. ეს წერილი დათარიღებულია 1579 წლის 9 ოქტომბრით. ჩანს, ადრესატმა ის ისე მოიწონა, რომ „ჰორაციოს" მომდევნო, 1580 წელს, გამოცემაში (მე-3 გამოცემაში) შეიტანა. მეტიც: მან იღვაწა, რათა ეს ტექსტი სასწრაფოდ თარგმნილიყო გერმანულად და ეს თარგმანი ამავე წიგნის გერმანულ ვერსიაში, 1581 წელს გამოცემულში, შესულიყო (იხ. 1-ლი წყარო).

ბუდოვიცი აღწერს ბერძნულ-მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას და ასევე მოგვითხრობს ორ ქართველ თავადთან, კონსტანტინოპოლში ჩამოსულებთან, შეხვედრის ამბავს მათ ქვეყანასა და ხალხზე რამდენიმე სიტყვის თანდართვით. ამდენად, ეჭვი არ არის, რომ აღნიშნული წერილის პირველი პუბლიკაცია ავტოგრაფზე დაყრდნობით განხორციელდა. „პროპაგანდა ფიდეს" არქივში დაცულ ხელნაწერს რაც შეეხება, მასში ბუდოვიცის წერილის მხოლოდ ის ნაწილია აღბეჭდილი, რომელიც ქართველი თავადი ძმების კონსტანტინოპოლში ყოფნის ამბავს შეიცავს. ეს ტექსტი ხიტრეუსის ანალოგიური ტექსტის იდენტურია, რაც შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: „პროპაგანდა ფიდეს" ხელნაწერი 1580 წლის გამოცემიდან ამოწერილი ტექსტი უნდა იყოს. მაგრამ თუ ვინ ამოიწერა ის და რა მიზნით, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის.

ვენცესლავ ბუდოვიცის სრულ ტექსტს საქართველოსა და ქართველებზე თანამედროვე მკითხველების ფართო წრე არ იცნობს. პროფ. ილია ტაბაღუას პუბლიკაციაში ანუ, იგივე, „პროპაგანდა ფიდეს" საარქივო ხელნაწერში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ტექსტის მხოლოდ ნაწილია ასახული. ამიტომ გადავწყვიტეთ, ბუდოვიცის ტექსტი, რაც ქართველებსა და საქართველოს შეეხება, აქ სრულად წარმოვადგინოთ ქართული თარგმანითურთ[10].

---

[10] ამ დოკუმენტის თარგმანები ძველსა და ახალ გერმანულ ენებზე, რომელთა მომზადებაში დაგვეხმარნენ პროფესორები: Hubert Kaufhold-ი (მი-

დედანი	თარგმანი
Literae Wenceslai a Budovic, Magistri auli Caesarei apud Turcorum Imp. Legati, hoc anno 1580. Constantinopoli allatae, in quibus, & veritas narrationum in oratione de statu ecclesiarum Græciæ, et Asiæ, confirmentur: De proximorum PERSIÆ REGUM series & HISTORIA: & de Georgianis, & alijs rebus, quaedam cognitu non indigne, breuiter recensentur. D. Dauidi Chytræo.	ვენცესლავ ფონ ბუდოვიცის, თურქების იმპერატორის წინაშე საიმპერიო საელჩოს ჰოფმაისტერის, წერილი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან იქნა ჩამოტანილი 1580 წელს და რომლითაც, ასევე, დასტურდება „ორაციოს“ ცნობების ჭეშმარიტება საბერძნეთისა და აზიის ეკლესიების მდგომარეობის შესახებ, სპარსეთის მეფის ამბებისა და ისტორიის შესახებ, საქართველოსა და სხვა მოვლენების შესახებ, რომელთა ცოდნა ზედმეტი არ არის და რასაც დავით ხიტრეუსი მოკლედ მოგვითხრობს.
Ego de Georgianis, quorum hic legatos mihi uidere licuit, te certiorem faciam. quanquam non legati publici erant, quemadmodum initio dicebatur, sed principes suarum regionum fratres duo. Hi a Mustapha Bassa, contra Persas eunte, ditionibus executi suis, huc ad Imperatorem tertia mensis Iunij elapsi profugerant, & urbem hanc magno & splendido comitatu ducentorum	მოგახსენებთ ქართველების შესახებ, რომელთა ელჩები მე აქ ვნახე. თუმცა გაირკვა, რომ ისინი არ იყვნენ ჩვეულებრივი ელჩები, როგორც თავიდან ითქვა, არამედ თავიანთი მხარის მთავრები, — ორი ძმა. ისინი მოიყვანა მუსტაფა ფაშამ, რომელმაც სპარსელების წინააღმდეგ ილაშქრა და მათ ქვეყნები წაართვა. ესენიც განუდგნენ და გაექცნენ მათ, და ამ ქალაქში [კონსტანტინოპოლში] დიდი და ბრწყინვალე,

უნხენი) და Hermann Lichtenberger-ი (ტიუბინგენი), წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომის გერმანულ ვერსიაში.

circiter hominum ingreßi, solenniter a Turcis excepti fuere.

დაახლოებით ორასი კაცისაგან შემდგარი ამალით, შემოვიდნენ. თურქებმა მათ საზეიმო მიღება მოუწყვეს (გერმანული თარგმანით, — 3 ივნისს [1579], ნ. პ.).

deficiente paulo post iuniore fratre vna cum sua cohorte ad Mahometismum, idque ob defraudandum fratrem, & eripiendum illi tamquam primogenito ius dominandi, quod & accidit.

მოგვიანებით უმცროსმა ძმამ თავის გუნდთან ერთად ისლამი მიიღო, რათა ელალატა ძმისთვის და წაერთმია მისთვის ხელისუფლება, რომელიც მას, როგორც პირველშობილს, კანონით ეკუთვნოდა. ასეც მოხდა.

Ac cum senior semel atque iterum illustrissimum Dominum Oratorem meum salutare per suos iußisset: placuit Domino Oratori, semper mea vti opera ad eum resalutandum & ad constantiam Christianæ religionis adhortandum. quod equidem ea qua potui diligentia feci. eique diligenter quærenti de Ecclesiarum Germanicarum statu, ad singula breuibus per interpretem, respondebam, & diebus aliquot elapsis, inuentum inter Græcos libellum Græcum confeßionis Augustanæ, Basileæ impressum, cuius huc D. Stephanus Gerlachius plura exemplaria transportari curaverat. hunc inquam ex consensu Magnifici Domini mei, & cum subscriptione manus ipsius, fratri seniori obtuli, quem benigne acceptum, statim in linguam suam Ibericam transferri iußit,

და, აი, უფროსმა ძმამ არაერთხელ გამოგზავნა თავისი ხალხი და ითხოვა, რომ მისალმებოდა მის უბრწყინვალესობას — ბატონ ელჩს. ბატონმა ელჩმაც მოიწონა ეს ნაბიჯი და ინება, რომ ისიც მისალმებოდა მას და ქრისტეს სარწმუნოებაში სიმტკიცე შეეგონებინა მისთვის ჩემი დახმარებით. მეც ვასრულებდი ამ დავალებას, როგორც შემეძლო; ვცდილობდი, ამომწურავი პასუხები გამეცა მისთვის, ცალკეულ შემთხვევაში წერილების მეშვეობითაც, შეკითხვებზე გერმანიის ეკლესიების მდგომარეობის შესახებ, რაშიც თარჯიმანი გვეხმარებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მე ბერძნებთან ვიშოვე აუგსბურგის აღსარების ბერძნული წიგნი, რომელიც ბაზელში დაიბეჭდა და რომლის რამდენიმე ეგზემპლარი აქ ბატონმა სტეფან გერლახმა ჩამოიტანა. ეს წიგნი

seque ad suos vna cum exemplari Græco transportaturum promisit. Dimissus est autem hinc ad suos (vna cum fratre apostata) rebus suis mirifice perturbatis, & nihil impetratis eorum, quæ petierat, excepta vita incolumi. Nomen illi erat QuarkWare Atabac.

მე ჩემი დიდებული ბატონის თანხმობით და მისივე ზედწერილით უფროს ძმას გადავეცი. მან ის კეთილად ისახსოვრა, მაშინვე ათარგმნინა თავის ენაზე, იბერიულზე, და დამპირდა, რომ ამ თარგმანს ბერძნულ ეგზემპლართან ერთად თავის ხალხს მიუტანდა. ის აქედან თავის ხალხთან (თავის განდგომილ ძმასთან ერთად) გაისტუმრეს. ამასთან დაკავშირებით მისი საქმეები მეტისმეტად აირია და იმისაგან, რასაც ითხოვდა, ვერაფერი მიიღო, გარდა სიცოცხლის უსაფრთხოებისა. მისი სახელი გახლდათ ათაბაგი ყვარყვარე.

Ego multa, tum ex ipso, tum ex ipsius hominibus inquisiui de Politia & Ecclesia eorum. & reperi diuersos principes illa loca incolere, moribus & opinionibus diuersißimos. Graecam patriarchem colunt quidem, sed ab ipso non dependent, ut qui in multis se a Graecis dißentire dicant, quae tamen dißimilitudo in uarietate rituum consistit, qui ipsis sunt, quemadmodum & Græcis, caput & principale religionis.

მე ბევრი რამ გამოვიკვლიე როგორც საკუთრივ მისი, ისე მისი ხალხის, ასევე მათი სახელმწიფოსა და მათი ეკლესიის შესახებ და გავარკვიე, რომ იმ მხარეში სხვადასხვა მთავარი იმყოფება, რომლებიც ჩვეულებებითა და შეხედულებებით სავსებით სხვადასხვანაირები არიან. ისინი ბერძენ პატრიარქს თუმცა კი მიაგებენ პატივს, მაგრამ მასზე დამოკიდებულნი არ არიან, ვინაიდან ბევრ საკითხში ბერძნებისაგან განსხვავდებიან. თუმცა ეს განსხვავება არ შორდება განსხვავებას რიტუალებში, რომლებიც მათ აქვთ, ხოლო იმაში, რაც რელიგიის ქვაკუთხედი და არსებითი ნაწილია, ისინი ბერძნებთან ერთად არიან.

Missus fuit contra hos populos in

ამ ხალხების წინააღმდეგ მაისის

Colchidem praefectus maris, mense Maio, cum 32. triremibus. Sed illis ad defensionem cum uicinis Mengrellianis & Circaßis concurrentibus, non adeo multum effecit, sed exstructa quadam in Mengrelliana munitione, & nonnullis tributarijs factis, 26. Septembris huc redijt triremibus suis maiori ex parte tempestate ponti Euxini conquassatis, & tribus submersis. Id quod ex captiuis innotuit. Et hæc quidem de Georgianis, quorum tu in Asiaticis tuis facis mentionem.

თვეში, კოლხეთისაკენ, გაიგზავნა ადმირალი 32 გალერით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი სამეგრელოსა და ცირკაზირნთან ერთად თავიანთი თავის დასაცავად გაერთიანდნენ, ის ბევრს ვერაფერს გახდა, არამედ უკან გამობრუნდა. და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან სამეგრელოს ერთ ციხესიმაგრემდე მიაღწია და ზოგიერთი მოხარკედაც გაიხადა. 26 სექტემბერს, როდესაც გალერების დიდი ნაწილი შავ ზღვაში ქარიშხლის შედეგად დაიმსხვრა და სამიც ჩაიძირა, ის იქიდან უკან გამობრუნდა. ეს არის სულ, რაც მე ქართველების შესახებ გავიგე, — იმ ქართველების შესახებ, რომლებსაც შენ აზიატებად მოიხსენიებ.

Datæ Constantinopoli, 9. Octobris Anno 1579.

კონსტანტინოპოლი. 1579 წლის 9 ოქტომბერი.

Wenceslaus Budowitz a Budowa, Cæsarei apud Turcicum Imperatorem Oratoris aulæ magister.


Wenceslaus Budowitz a Budowa, საიმპერიო საელჩოს ჰოფმაისტერი თურქების იმპერატორთან.

ამჯერად ყურადღებას მხოლოდ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ: ბუდოვიცის ამ მოხსენების მეშვეობით ჩვენთვის ცნობილი ხდება, თუ როდის დაამთავრეს ძმებმა ათაბაგებმა ვიზიტი კონსტანტინოპოლში. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დავით ხიტრეუსისადმი ვენცესლავ ბუდოვიცის წერილის შედგენამდე ახლო ხანს, 1579 წლის 9 ოქტომბრამდე, მოხდა. მაშასადამე, ისინი იქ ოთხი თვე გაჩერებულან.

დაისმის კითხვა: რა მიზნით ამოიწერა (ვინც ამოიწერა) ვენცეს-

ლავ ბუდოვიცის წერილიდან ეპიზოდი, რომელიც მართლმადიდებელი ქართველების ლუთერან მისიონერებთან დაახლოების ამბავს გადმოგვცემს? ასევე: რა მოტივით შევიდა ეს ამონაწერი კათოლიკურ ორგანიზაციაში „პროპაგანდა ფიდე"? ეჭვი არ არის, რომ ლუთერანების ქართველ მართლმადიდებლებთან დაახლოებას და მათ ენაზე აუგსბურგის აღსარების თარგმნას „პროპაგანდა ფიდე" პროზელიტიზმად აღიქვამდა. და მართლაც: ასეთი დაახლოების რეალური მიზანი (კონფესიათა მაშინდელი კონკურენციის პირობებში) ლუთერანთა ეკლესიის გეოგრაფიული საზღვრების აღმოსავლეთში გაფართოება იყო. ეს კი, ბუნებრივია, რომის კათოლიკე ეკლესიას არ მოსწონდა და ენინააღმდეგებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ „პროპაგანდა ფიდე" რეფორმატორული ეკლესიების „არასასურველი საქმიანობის" მამხილებელ დოკუმენტებს აგროვებდა და ბუდოვიცის წერილი მას სწორედ ასეთი საქმიანობის ნიმუშად ნარმოუდგებოდა.

5. მარტინ კრუსიუსი. ცნობა, რომლის თანახმად აუგსბურგის აღსარება ქართულად ნამდვილად ითარგმნა და ეს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის კონსტანტინოპოლური მისიის დახმარებით მოხდა, ასევე გვხვდება თავისი დროისათვის ერთობ ცნობილ პროფესორთან — მარტინ კრუსიუსთან (Martin Krusius; 1526-1607).



მარტინ კრუსიუსი

კრუსიუსი 1559 წლიდან ტიუბინგენის უნივერსიტეტში ბერძნული და ლათინური ენების პროფესორად მუშაობდა. ის ბერძნული ენისა და ლიტერატურის არა მხოლოდ საუკეთესო მცოდნე, არამედ ძველი და ახალი საბერძნეთის დიდი მეგობარიც გახლდათ. მას პროფესიული და მეგობრული კონტაქტები ჰქონდა არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ბერძნებთან. ასე რომ, კრუსიუსი თავისი ეპოქის საბერძნეთის დიდ მეტრფედ და მეგობ-

რად ითვლებოდა. ამის გამო მას არ გასჭირვებია საღვთისმეტყველო დიალოგი ბერძენ მართლმადიდებელ კოლეგებთან, რაც მისი ოცნება იყო. ტექსტები მიმოწერისა, რომელიც მას, პატრიარქ იერემია II-სა და პროტონოტარიუს თეოდორე ციგომალას შორის მიმდინარეობდა, ეკლესიის ისტორიის ძვირფასი შენაძენია. მისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი პუბლიკაციების, მისი საარქივო მასალების, პედაგოგიურ და სამოძღვრო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცნობების მეცნიერული მნიშვნელობა საყოველთაოდ არის აღიარებული. 1573 წლიდან ის მეორე ტიუბინგენელი პროფესორის, იაკობ ანდრეასის, თანადგომით აწარმოებდა ხანგრძლივ დისკუსიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან, რომელიც ლუთერანებსა და მართლმადიდებლებს შორის პირველ ეკუმენურ კონტაქტად მიიჩნევა (Wolf 2009: 110-112; Suchland 2001: 25-27; Runciman 1970: 239; Podskalsky 1988: 102-106).

კრუსიუსის სახელგანთქმული ნაშრომი „Turco-Graecia" 1584 წელს ბაზელში დაიბეჭდა. ესაა სხვადასხვა სახის ცნობებისა და დოკუმენტების კრებული, რომელიც თურქების ბატონობის ქვეშ მოქცეული ბერძნების ამბებსა და ისტორიას ასახავს. იქ ჩვენთვის საყურადღებო მასალაც, მათ შორის, — ვენცესლავ ბუდოვიცის წერილიც გვხვდება. ამჟამად ჩვენს ყურადღებას ნაშრომის ის ადგილი იპყრობს, სადაც ლაპარაკია აუგსბურგის აღსარების ბერძნული თარგმანის ექვსი დასტამბული ეგზემპლარის ტიუბინგენიდან გამოგზავნაზე, კონსტანტინოპოლში შემოტანასა და 1575 წლის 24 მაისს პატრიარქისათვის მათ საზეიმოდ გადაცემაზე. იქვეა სია იმ პირებისა, რომელთათვისაც ეს ეგზემპლარები იყო განკუთვნილი (Crusius 1584: 496; Benz 1949: 264):


დედანი	თარგმანი
Augustanae confessionis	აუგსბურგის აღსარების ექვსი
Exemplaria 6 his data sunt, singulis unum:	ეგზემპლარი გადაეცა შემდეგთ:
Hieremiae Patriarchae,	პატრიარქ იერემიას,
Theodosio Zygomalae,	თეოდორე ციგომალას,
Metrophani Berrhoeae Metropolitae,	მიტროფანეს, ბერჰოეს მიტროპოლიტს,
Gabrieli, qui postea factus est	გაბრიელს, რომელიც შემდეგ

Philadelphiae Metropolita,
Symeoni Hierodiacono,
D. Michaeli Cantacuzeno, qui sibi
in vulgarem linguam
transferendum curavit.
Horum unum postea in Ibericam
seu Georgianam linguam
conversum, in illam Regionem
abitt.

ფილიპიის მიტროპოლიტი გახდა,
იეროდიაკონ სიმეონს,
ბატონ მიხეილ კანტაკუზელს,
რომელმაც ის ხალხურ ენაზე
ათარგმნინა.
ამათგან ერთ-ერთი (ეგზემპლარი), რომელიც მოგვიანებით იბერიულ ანუ ქართულ ენაზე გადაითარგმნა, ამავე რეგიონში შევიდა.

ამ აღწერილობიდან ჩვენი თემისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო აბზაცი. აქ მოცემულია ცნობა აუგსბურგის აღსარების ქართული თარგმანის წარმოშობისა და არსებობის შესახებ. სტივენ რანსიმენი (Steven Runciman), როდესაც ციტირებულ ტექსტს ეხება და დასახელებულ პირებს ჩამოთვლის, ამბობს: „A copy translated into Georgian was dispatched a little later, for transmission to the Orthodox Church of Georgia in the Caucasus. (...) What the Georgians thought of the Confession of Augsburg, if their copy ever reached them, is unrecorded" (Runciman 1968: 248; გერმანული თარგმანი: Runciman 1970: 239-240). ეს წინადადებები ქართულად ასე ითარგმნება: „ცოტა მოგვიანებით კიდევ ერთი, ქართულ ენაზე თარგმნილი ეგზემპლარი, იქნა გამოგზავნილი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კავკასიაში უნდა გადასცემოდა. (...) თუ რა გადაწყვიტეს ქართველებმა აუგსბურგის აღსარებაზე, ანდა მიაღწია საერთოდ მისმა ასლმა მათდამი თუ არა, ცნობილი არ არის". ამ ტექსტის პირველი ნაწილი და შესაბამისი კონტექსტი მკითხველს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს „A copy translatend into Georgian" ანუ „ქართულ ენაზე თარგმნილი ეგზემპლარი" ასევე ტიუბინგენიდან იქნა კონსტანტინოპოლში გადმოგზავნილი. ეს ნიშნავს: აუგსბურგის აღსარების ქართული თარგმანი თითქოს ან ტიუბინგენში ან გერმანიის რომელიმე სხვა ალაგას შეიქმნა და კონსტანტინოპოლში იქიდან გამოიგზავნა. მკვლევარი წყაროდ ასახელებს ეკლესიის გერმანელი ისტორიკოსის Ernst Benz-ის გამოკვლევას „Wittenberg und Byzanz". იქ კი დამოწმებულია მარტინ კრუსიუსის ის ტექსტი „Turco-Graecia"-დან, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, მაგრამ ვხედავთ გარკვევით, რომ შესაბამის მონაკ-

ვეთში (Crusius 1584: 496) დამატებით ეგზემპლარზე, საიდანღაც კონსტანტინოპოლში გადმოგზავნილზე, ლაპარაკი არ არის. იქ ნათქვამია შემდეგი: „ერთი ამათგანი (1575 წელს ტიუბინგენიდან გამოგზავნილ ეგზემპლართაგანი, ნ. პ.), რომელიც მოგვიანებით იბერიულ ანუ ქართულ ენაზე ითარგმნა, ამავე რეგიონში შევიდა". აქედან ცხადია, რომ აუგსბურგის აღსარების ქართული თარგმანი კონსტანტინოპოლში შესრულდა. ამ საგანზე მეტ ინფორმაციას ეს წყარო არ შეიცავს, მაგრამ სიცარიელის რამდენადმე შევსება მაინც ხერხდება. პასუხი კითხვაზე: როგორ და რა ვითარებაში აღმოცენდა ასეთი თარგმანის იდეა და ვინ იყო მისი ავტორი, მოიპოვება სხვა, ზემოთ განხილულ, განსაკუთრებით კი მე-3 და მე-4 წყაროებში. ამ იდეას საფუძველი, სალომონ შვაიგერისა და ვენცესლაე ბუდოვიცის თანახმად, იმ ეკუმენური დიალოგის დროს ჩაეყარა, რომელიც მართლმადიდებელ ქართველებსა და დასავლეთ ევროპელ პროტესტანტებს შორის 1579 წელს კონსტანტინოპოლში შედგა. ამ ღონისძიების თავკაცად და ცენტრალურ ფიგურად ცნობილი ქართველი თავადი — ყვარყვარე ათაბაგი — წარმოგვიდგება. დასახელებული წყაროები თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ თემასთან დაკავშირებით ცნობილი და განხილული რომ ყოფილიყო, მკვლევარი სტიევენ რანსიმენი მსგავს უზუსტობას არ დაუშვებდა. ამ უზუსტობამ თავის მხრივ გავლენა იქონია ქართველ მკვლევარზე — ტატიანა კოპალეიშვილზე, რომელიც რანსიმენის ნაშრომს იმოწმებს და მის ინფორმაციას ეყრდნობა (კოპალეიშვილი 2014: 20).



აუგსბურგის აღსარება. 1531

ზემოთ განხილულ წყაროებში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ მიიღო მონაწილეობა აუგსბურგის აღსარების ქართულად თარგმანაში. ამის მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება თვალსაზრისი, რომლის თანახმად ეს თარგმანი თითქოს მიხეილ კანტაკუზენის ხელმძღვანელობით შესრულდა და საქართველოში გაიგზავნა (ჯავახია 2005: 143; Javakhia 2007:23).

მაგრამ შესაბამისი წყარო ამგვარი დაშვების საფუძველს არ გვაძლევს. იქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ კანტაკუზენმა აუგსბურგის აღსარების ბერძნული თარგმანი ბერძნულივე ენის ხალხურ დიალექტზე ათარგმნინა. ვვარაუდობთ, რომ ზემოთ მითითებული უზუსტობა უნდა გამოეწვია კორექტურულ შეცდომას ბერნსის პუბლიკაციაში. მის მიერ ციტირებული ტექსტის ბოლო ორი წინადადება ანუ, ამ შემთხვევაში, აბზაცი გაცალკევებულია მძიმით წერტილის ნაცვლად: „D. Michaeli Cantacuzeno, qui sibi in vulgarem linguam transferendum curavit, Horum unum postea in Ibericam seu Georgianam linguam conversum, in illam Regionem abiit" (Benz 1949: 264). ამის გამო შეიძლებოდა (და მოხდა კიდეც) ამ მონაკვეთის შემდეგნაირად გააზრება: ბატონი მიხეილ კანტაკუზენი ტექსტებს ხალხურ ენებზე თარგმნიდა. და მას შემდეგ, რაც მას აუგსბურგის აღსარების კიდევ ერთი ეგზემპლარი გადაეცა, მან იგი იბერიელთა ანუ ქართველთა ენაზე გადათარგმნა და ეს თარგმანი ამ ხალხის რეგიონში გაგზავნა. მაგრამ, ვიმეორებთ, ორიგინალის ტექსტი ასეთ ინფორმაციას არ შეიცავს და მსგავსი ინტერპრეტაციის საფუძველიც არა გვაქვს. კანტაკუზენი რომ ნამდვილად იყო დაინტერესებული აუგსბურგის აღსარების ბერძნულ ხალხურ ენაზე თარგმნით, თუმცა თარგმნის ხელოვნება მისი კომპენტენციიის ფარგლებს შორდებოდა, დასტურდება სტეფან გერლახის თხზულებიდანაც. იქ აღნიშნულია: „ბერძენმა პროტონოტარიუსმა თეოდოსიუსმა თქვა: აუგსბურგის აღსარება მე მიხეილ კანტაკუზენს ვაჩუქე. მას ისე მოეწონა ეს წიგნი, რომ მან ის მაშინვე წითელი ტყავის ყდაში ჩაასმევინა და [მთხოვა,] მისი ძირითადი თავები სასაუბრო ბერძნულ ენაზე მეთარგმნა" (Gerlach 1674: 451).

ქართველები ინტერკონფესიური დიალოგის დროს

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი დოკუმენტები ბევრ ისეთ ინფორმაციას შეიცავს, რაც ფასეულია საქართველოს როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო ისტორიისათვის. ისინი ადასტურებენ, აზუსტებენ და ავსებენ ქართული წერილობითი ძეგლების ცნობებს (ძირითადად „მესხური დავითნის ქრონიკაში" წარმოდგენილთ) ორი ქართველი თავადის კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მათი მისიის მონაწილეების შესახებ. აქ (მე-3 და მე-4 წყაროში) ყურადღება გამახვილებულია ძმების ასაკზე და, შესაბამისად, იმაზე,

თუ ვის ეკუთვნოდა კანონით მთავრის (ათაბაგის) თანამდებობა. ეს თანამდებობა ეკუთვნოდა უფროს ძმას — ყვარყვარეს. ქართული წყაროებითაც ყვარყვარე უფროსია, მანუჩარი — უმცროსი (შარაშიძე 1561: 139-140). ამიტომაა, რომ ოსმალების მიერ საათაბაგოს ოკუპაციის (1578) დროს ათაბაგის ტახტზე ყვარყვარე ზის, — ლეგიტიმურად, მაგრამ მას თანამდებობაში მანუჩარი ეცილება და ტახტის მიტაცებას საოკუპაციო რეჟიმის დახმარებით ცდილობს; ის „უზომო მთავრობისმოყვარეობას“ ამჟღავნებს (შარაშიძე 1961: 142,165-167). ამასვე ადასტურებს ზემოთ მოყვანილი დოკუმენტაცია. ამასთანავე: ვიცით ქართული წყაროითი, კერძოდ მესხური დავითნის მატიანით ანუ ქრონიკით, რომ ძმები კონსტანტინოპოლში 1579 წლის 28 მარტში გაემგზავრნენ (შარაშიძე 1961: 168). ირკვევა (უცხოური წყაროებით), რომ ამ ქალაქში მათ 1579 წლის 3 ივნისს ჩააღწიეს. იქ მყოფ უცხოელებს ეს ძმები თავდაპირველად თურმე საქართველოს, — ცხადია, ერთიანი საქართველოს, — ელჩები ეგონათ, მაგრამ გაირკვა, რომ ისინი ფეოდალები არიან, რომლებიც თავიანთი ქვეყნის უზენაეს ხელისუფალს, მეფეს, რეალურად არ ექვემდებარებიან, — არ ემორჩილებიან. შესაძლებელია, მაშინ (1579 წლის 3 ივნისის შემდეგ) გაიგეს ევროპელმა დიპლომატებმა პირველად, რომ საქართველოს სამეფოს რღვევის, სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის პროცესი დაიწყო და ამ მხრივ იქ ღრმა კრიზისია. ეგეთე წყაროები იმასაც გვაუწყებენ, თუ რა პატივით მიიღეს სულთანის კარზე სეპარატისტი ფეოდალები და მათი (შვაიგერის ცნობით) ასორმოცდაათ თუ (ბუდოვიცის ცნობით) ორასკაციანი ამალა, რაც გასაგებია[11].

ქართული წყაროები შედარებით მწირ, თუმცა არსებითად იმავე, ცნობებს შეიცავს ამ ორი ძმის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის შესახებ. ჩვენ ამიერიდან, გერმანულ-ლათინური წყაროების მეშვეობით, უფრო ნათელი წარმოდგენა გვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად განსხვავდებოდა ძმების დამოკიდებულება პოლიტიკური კარიერისადმი და მათი ქვეყნის ტრადიციული სარწმუნოებისადმი. მანუჩარი, რომელსაც, ქართული წყაროების მიხედვითაც, ხელისუფლად ყოფნის დიდი სურვილი აქვს, წარბშეუხ-

---

[11] ცნობას ძმები ათაბაგებისა და მათი თანმხლები პირების კონსტანტინოპოლში ზარ-ზეიმით მიღების შესახებ ადასტურებს და კიდეც ავსებს საფრანგეთის იმდროინდელი ელჩი პორტაში E. Charrière (შდრ. სვანიძე 1871: 127).

რელად იცვლის რჯულს; ასრულებს წინადაცვეთის წესს და ამავე წესს 10 წლის ვაჟიშვილსაც უტარებს. მის კვალს მისი ქვეშევრდომები („თანმხლები პირები") მიჰყვებიან და კონსტანტინოპოლიდან საქართველოსაკენ, ახალციხისაკენ, გამუსლიმებულ ქართველთა მოზრდილი რაზმი (შვაიგერის ცნობით, — 20 კაცამდე, რამდენიმე სასულიერო პირის ჩათვლით) ბრუნდება. უფროსი ძმა, ყვარყვარე, ვერ თმობს ქრისტეს სარწმუნოებას; ეტყობა, მას საკმარისი თეოლოგიური განათლება და ინტერკონფესიური ინტერესები აქვს; იგი მაძიებელი პიროვნებაა. ეჭვი არაა, რომ მას ხშირი შეხვედრები, საუბრები და დებატები ჰქონდა კათოლიკე სასულიერო პირებთან, რომლებიც მის დროს ახალციხის მხარეში ინტენსიურად მოღვაწეობდნენ. შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო მისი შეხვედრა და დაახლოება ლუთერან დიპლომატებთან, ვენცესლავ ბუდოვიცთან, სალომონ შვაიგერთან და სხვებთან. ის, რასაც ზაქარია ჭიჭინაძე მზეჭაბუკ დიდის შესახებ ამბობს, — ჩავიდა კონსტანტინოპოლში, სადაც კათოლიკეებიც მოინახულა და პროტესტანტებიც; გაეცნო ლუთერის მოძღვრებას და ამ მოძღვრებაში „სახარების მშვიდობიანი ქადაგება" შეიცნოო, — სინამდვილეში ყვარყვარე ათაბაგის მისამართით ითქმის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყვარყვარეს ბიოგრაფიის აღნიშნული დეტალები — ვიზიტი კონსტანტინოპოლში და ინტერკონფესიური საუბრები — მზეჭაბუკს თავად ადგილობრივი მოსახლეობის კოლექტიურმა მეხსიერებამ მიაკუთვნა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსალოდნელია, რომ ამ ორი ისტორიული პიროვნების ბიოგრაფიები თვით ზაქარია ჭიჭინაძის პირველწყაროში იყო აღრეული. შესაძლებელია, ეს პირველწყარო (შესაბამისი ფოლკლორული მასალა) ჩაიწერეს კათოლიკე მისიონერებმა, თავიანთი „დღიურების" შემადგენელ ნაწილად აქციეს და შეავსეს კიდეც ლიტერატურული წყაროებით.

ქართველი თავადის, ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვარელის, და მისი თანმხლები პირების ინტერკონფესიურ დიალოგში მონაწილეობა, რაზეც გვიამბობენ უცხოური წყაროები და რის თაობაზე ცნობები, ვიმეორებთ, „მისიონერთა დღიურებშიც" უნდა ყოფილიყო მოცემული, საქართველოს საეკლესიო ისტორიის ერთ-ერთი საყურადღებო ფურცელია. ლაპარაკია სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიათა დიალოგსა და დისკუსიაზე, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მიმდინარეობდა 1574-1581 წლებს შორის და რომლის საბოლოო მიზანს ეკლესიების გაერთიანება წარმოადგენდა. ერთ მხარეს იდგა ვიურტემბერგის (იგივე შვაბიის) ლუთერანულ-რეფორმატორული ეკლესია და ტიუბინგენის უნი-

ვერსიტეტის საღვთისმეტყველო სკოლა, მეორე მხარეს კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და ყოვლადუწმინდესი პატრიარქი იერემია II (1573-1581) მის სასულიერო და საერო დასთან ერთად. დისკუსიები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ჰაბსბურგთა იმპერიის ოსმალურ საელჩოში იმართებოდა; ძირითადად ის წერილები (თეოლოგიური ტრაქტატები) განიხილებოდა, რომლებსაც ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორები (Jacob Andreae, Lukas Osiander, Jakob Heerbrand, Martin Crusius), პატრიარქი იერემია და მისი თანამოსაგრე თეოლოგები ერთმანეთს უგზავნიდნენ. ეს დოკუმენტაცია თითქმის სრულად არის შემორჩენილი. ისინი გამოცემულია და თარგმნილი სხვადასხვა ენაზე. ეკლესიის ისტორიის მკვლევრები მათ მაღალ შეფასებას აძლევენ და აღიარებენ, რომ ამ მიმოწერამ ხელი შეუწყო როგორც ევანგელურ-რეფორმატორული, ისე ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიების პოზიციათა წერილობითად ჩამოყალიბებას და თეოლოგიური დისციპლინების განვითარებას (Wendeburg 1986: 12,399-406; Podskalsky 1988: 102-114).

ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ცნობებს აღნიშნულ დებატებში ქართველების ამა თუ იმ ფორმით და მასშტაბით მონაწილეობის შესახებ, რაც სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. ლუთერანი მისიონერის, სალომონ შვაიგერის, სიტყვები, — ისინი, ათაბაგთა ამალის წევრები, „ჩვენ ხალხს ძალიან დაუახლოვდნენ, გაიცვნეს ერთმანეთი, ერთმანეთთან მიმოსვლა ჰქონდათ. და არა მხოლოდ ისინი მოდიოდნენ ხშირად ჩვენს სახლში, არამედ ორივე მხარის ბატონებიც კი ერთმანეთს ძვირფას მოსაკითხებს უძღვნიდნენ", — სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კონსტანტინოპოლში სტუმრად მყოფი ქართველების ევანგელურ-რეფორმატორული ეკლესიით დაინტერესებას, რომლის ნაყოფი არის აუგსბურგის აღსარების ქართულ ენაზე თარგმნა („აუგსბურგის აღსარების" შესახებ შედარებით ვრცლად იხ. ქვემოთ). ამ დაინტერესებას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა: სწრაფვა ევროპისა და ევროპული ღირებულებებისაკენ. ვხედავთ, რომ ათაბაგი ყვარყვარე, სულთანის კარზეც კი, ძმისაგან განსხვავებით, ინარჩუნებს ეროვნულ ქრისტიანულ ტრადიციას და ზრუნავს, რომ ეს ტრადიცია კიდევ უფრო მეტად განიმსჭვალოს სახარების სულით. ამის დასტურია მის მიერ გერმანული რეფორმაციის გაცნობა და ინიციატივა, რომ შესაბამისი ლიტერატურა თანამემამულეთა შორისაც გავრცელდეს. ეს ინიციატივა და ეს კონტაქტები ევანგელურ-რეფორმატორული ევროპის დიპლომატიურ და რელიგიურ მისიებთან, რა თქმა უნდა, ოსმალეთის სპეცსამსახურებმა შენიშნეს და

ქართველი თავადის მიმართ მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს. მეთვალყურეობა დევნაში გადაიზარდა, რისი შედეგიც უნდა იყოს ის, რასაც ვენცესლავ ბუდოვიცი გვაუწყებს: „ამ ამბებთან დაკავშირებით მისი საქმეები მეტად აირია, რაც მან ითხოვა, ვერ მიიღო, გარდა უსაფრთხოდ დაბრუნებისა". ამასვე, და უფრო კონკრეტულად, მოგვითხრობს შვაიგერი (იხილეთ მე-3 წყარო). ეჭვი არაა, რომ „ამ ამბებში" აღნიშნული კონტაქტები და ლუთერანული ევანგელიზმისადმი სიმპათიების გამოვლენა იგულისხმება.

კვლევების შედეგები

წარმოდგენილი მიმოხილვიდანაც ნათელია: წყაროები, რომლებიც შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, რომ რეფორმაციის ადრეულ პერიოდში ლუთერანული ეკლესია ქრისტიანული აღმოსავლეთის მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებდა, კარგად არის ცნობილი დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში. ნაშრომებს, რომლებიც დავიმოწმეთ, უნდა დაემატოს Watter Engels-ის გამოკვლევა „Tübingen und Byzanz. Die erste offizielle Auseinandersetzung zwischen Protestantismus und Ostkirche im 16. Jahrhundert [ტიუბინგენი და ბიზანტია. პირველი ოფიციალური პაექრობა პროტესტანტიზმსა და აღმოსავლეთის ეკლესიას შორის მე-16 საუკუნეში]", რომელშიც ვრცლად არის განხილული მოცემულ თემასთან დაკავშირებული წყაროები: როგორც ძველნაბეჭდი წიგნები, ისე ხელნაწერები (მეტწილად ტიუბინგენის უნივერსიტეტის საარქივო მასალები). აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხსენებული ეკუმენური დიალოგის წანამძღვრების, მსვლელობისა და შედეგების ანალიზს, ასევე: რომის კათოლიკე ეკლესიის რეაქციას აღნიშნული დიალოგის მიმართ (Engels 1940/1941: 240-287). საქართველოს საკითხს რაც შეეხება, ევროპული სამეცნიერო ლიტერატურა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალის თანახმად, მხოლოდ მარტინ კრუსიუსის ზემოთ ციტირებულ შენიშვნას იცნობს (მე-5 წყარო). ეს შენიშვნა მოხსენიებული და განხილულია ეკლესიის გერმანელი ისტორიკოსის Ernst Benz-ის ნაშრომში „Wittenberg und Byzanz [ვიტენბერგი და ბიზანტია]" (Benz 1949: 264-265) და ინგლისელი ისტორიკოსის Steven Runciman-ის ნაშრომში „The Great Church in Captivity [დიდი ეკლესია ტყვეობაში]" (Runciman 1968: 247-248; გერმანული თარგმანი: Runciman 1970: 239-240; რუსული თარგმანი: Рансимэн 2006: 254). ქართულენოვან სა-

მეცნიერო ლიტერატურაში ამ ნაშრომებს ასახელებენ ბეჟან ჯავახია და ტატიანა კოპალეიშვილი (ჯავახია 2005: 142-143; Javakhia 2007: 22-24; კოპალეიშვილი 2014: 20-21).

ამჯერად ჩვენი მიზანია დასახელებული წყაროებისა და გამოკვლევების მიხედვით მიმოვიხილოთ ევანგელურ-პროტესტანტული და ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიების დაახლოების მცდელობა აღნიშნულ ეპოქაში და გავარკვიოთ, რა მეცნიერული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ცნობებს ქართველი თავადისა და მისი გარემოცვის მიერ ინტერკონფესიური ინტერესების გამოვლენის შესახებ.

ირკვევა, რომ დასავლეთ ევროპის ანტიკათოლიკურმა და რეფორმატორულმა მოძრაობამ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაახლოების სურვილი ლუთერამდეც გამოთქვა. 1451 წელს ჩეხეთიდან კონსტანტინოპოლში აღნიშნული მოძრაობის აქტივისტი, კონსტანტინ პლატრისი, ჩავიდა. მან იქაური მართლმადიდებლებისათვის ჩაიტანა წერილები, რომლებშიც ანტიპაპისტური კოალიციის შექმნის იდეა იყო ჩამოყალიბებული. პატრიარქი გრეგორი მამასი მაშინ ქალაქში არ იმყოდებოდა; იძულებული გამხდარა, იტალიაში წასულიყო, რადგან ბერძენი ეპისკოპოსების უმრავლესობა მას აღარ ემორჩილებოდა მისი უნიატური ანუ პრორომაული პოზიციის გამო. რეფორმატორთა წარმომადგენელი ადგილობრივმა ეპისკოპატმა კეთილად ისტუმრა. დაიწყო დიალოგი; აზრებისა და იდეების ურთიერთგაზიარება და გამოიკვეთა თანხმობა რომაული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ. მოლაპარაკება თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მაგრამ პროცესი „ქალაქთა მზის“ დაცემის (1453) გამო შეწყდა (Runciman 1970: 230).

ლუთერანულ-ევანგელური ეკლესია თავიდან დიდ ინტერესს იჩენდა აღმოსავლური და, განსაკუთრებით, ბერძნული ტრადიციის ეკლესიების მიმართ (საქართველოს ეკლესიაც, მეათე საუკუნიდან, ამ ტრადიციის ეკლესიაა). ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ლუთერის საეკლესიო და საღვთისმეტყველო შეხედულებებს. მისი აზრები კონსტანტინოპოლის ტრაგედიასთან დაკავშირებით ემთხვეოდა ფერარა-ფლორენციის ეკუმენური და უნიატური კრების (1438-1439) მოწინააღმდეგე მართლმადიდებლების შეხედულობებს. ამ შეხედულების თანახმად, თურქების აგრესია და გამარჯვება იყო ღვთის მსჯავრი და სასჯელი, რომელიც ბერძენ მართლმადიდებლებს დაატყდათ თავს სარწმუნებაში მათი მერყეობის გამო. ლუთერი ასევე ფიქრობდა, რომ ადგილობრივ ეკლესიებს შორის დედაეკლესიის პატივი ეკუთვნის არა რომის, არამედ იერუსალიმის ეკლესიას, რაც მისი მსოფლმხედველობის თა-

ნახმად არაარსებითი საკითხია. მას ასეთი დასკვნითი დებულება ჰქონდა: ძველი და ნამდვილი ქრისტიანული ტრადიციები ბერძნულ ეკლესიაში არსობრივად უკეთესად არის შენახული, ვიდრე ამას რომის თეოლოგებთან ვხედავთ (Runciman 1970: 231). ამის გამო მას და მის თანამოსაგრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ეკლესიები, რომლებიც რომის ეკლესიასთან სქიზმაში იმყოფებოდნენ, მათი ანტირომაული და ანტიკლერიკალური რეფორმაციის მიმართ ინტერესსა და სიმპათიას გამოიჩენდნენ.

და მართლაც: დაიწყო აქტიური კამპანია, რომლის მიზანი იყო შემდეგი: მართლმადიდებელ ეკლესიებს მარტინ ლუთერის საღვთისმეტყველო და საღვთისმსახური სისტემის უშუალოდ, პირველწყაროებზე დაყრდნობით გაცნობის საშუალება მისცემოდათ.

პირველი ნაბიჯები ლუთერის თანამებრძოლმა და მემკვიდრემ, ფილიპ მელანქტონმა (Philip Melanchton; 1497-1560), გადადგა. მისი ინიციატივით პაველე დოლსციუსმა (Paulus Dolscius) ბერძნულ ენაზე თარგმნა აუგსბურგის აღსარების ტექსტი, რომელშიც მოცემულია ლუთერის მოძღვრების საფუძვლები, ამ მოძღვრების კრედო[12]. ეს თარგმანი 1559 წელს ბაზელში დაიბეჭდა და ეგზემპლარები იმავე წელს, ფილიპ მელანქტონის პირად წერილთან ერთად, კონსტანტინოპოლში გაიგზავნა პატრიარქ იოსებ II-ის (1556-1565) სახელზე. მელანქტონი წერილში პროტესტანტული რეფორმაციის თეორიულ მხარეზე (თეოლოგიაზე)



ფილიპ მელანქტონი

[12] ეს დოკუმენტი ლუთერის თანამოღვაწემ მელანქტონმა და მისმა თანამშრომლებმა 1530 წელს ორ ენაზე შეადგინეს: ლათინურად და გერმანულად და ცნობილია აუგსბურგის აღსარების სახელით: ლათ. Confessio Augustana, გერმ. Augsburger Konfession, რადგან ამავე ქალაქში, აუგსბურგში, იქნა დამტკიცებული 1555 წელს ცნობილ სამშვიდობო ხელშეკრულებასთან, აუგსბურგის რელიგიური ზავთან, ერთად როგორც სამშვიდობო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. იხ.: Heinrich Drescher. Der Reichstag zu Augsburg 1530 und das Augsburgische Glaubensbekenntnis. Zum Gedenkjahr 1930, Kaiserslautern 1930.

არაფერს ამბობდა, მაგრამ გამოთქვამდა აზრს, რომ ლუთერანულ და ბერძნულ ეკლესიებს შორის ბევრი საერთო არსებობდა. დანიშნულების ადგილზე ამანათის ჩატანა სერბ დიაკონს, დიმიტრი რაიტცენს (Demetrius Reitzen) დაევალა. ის მელანქტონთან ვიტენბერგში წარმოშობით ბერძენი თავადის, იაკობ ბასილიკუსის (Jakob Basilikus). რეკომენდაციით მივიდა. იაკობ ბასილიკუსი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში რეფორმაციას დიდი ენთუზიაზმით ავრცელებდა. ის პატრიარქ იოსებ II-ის ბიძაშვილი იყო და იმედოვნებდა, რომ პატრიარქი რეფორმაციის მიმართ ინტერესსა და სიმპათიას გამოიჩენდა. დიაკონი დემეტრე უკვე ასაკში შესული გახლდათ, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა. იგი ხალისით გაუდგა გზას ვიტენბერგიდან კონსტანტინოპოლისაკენ 1559 წლის მიწურულს. ცნობამ მისი მისიის შედეგის შესახებ დაიგვიანა, რის გამოც გავრცელდა ხმა, ამანათმა ადრესატამდე ვერ მიაღწია (ანდა: მან ეს საჩუქარი არ მიიღოო). ამასობაში მელანქტონი გარდაიცვალა. ბოლოს, როგორც იქნა, გაირკვა: მართალია, დიაკონმა დემეტრემ დავალება პირნათლად შეასრულა, მაგრამ მისი მისია მაინც წარუმატებელი აღმოჩნდა. აუგსბურგის აღსარების ტექსტმა პატრიარქი და მისი სინოდი თურმე საგონებელში ჩააგდო; ამ ტექსტში მათ მოსაწონი დებულებების გვერდით ერეტიკული დებულებებიც შენიშნეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, პროტესტანტული რეფორმაცია მათ მაინც პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნიეს (კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ) და ამ ძალასთან ურთიერთობის გაფუჭება გაუმართლებელ ნაბიჯად მიიჩნიეს. ამის გამო მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავეს და მელანქტონის წერილი უპასუხოდ დატოვეს (Benz 1971: 94; Runciman 1970: 237-239).



იოსებ II. ფრესკა მოგვთა კაპელაში. ფლორენცია

ამ ისტორიიდან ჩვენთვის და წინამდებარე თემისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტს: აუგსბურგის აღსარების ბერძნული რედაქციის ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელების პროცესი დაიწყო და ეჭვი არ არის, რომ ბერძნული ენის მცოდნე

სწავლულები ამ თარგმანის წაკითხვას, განხილვასა და შეფასებას მოახერხებდნენ.

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოების სურვილი განსაკუთრებით ოსმანთა იმპერიაში ჰაბსბურგთა (Habsburger) ლუთერანმა ელჩმა, დავით ფონ უნგნად-მა, გამოამჟღავნა. უკვე აღვნიშნეთ, რომ მან საელჩოში 1573 წელს კაპელანად მოიწვია რეფორმატორული იდეების დიდი პოპულარიზატორი, ცნობილი ლუთერანი სწავლული — პასტორი სტეფან გერლახი, რომელმაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა პატრიარქ იოსების მემკვიდრესთან, — იერემია II-სთან (1572-1595). უკანასკნელმა, წინამორბედისაგან განსხვავებით, ლუთერის მოძღვრებისა და საეკლესიო პრაქტიკის მიმართ შესამჩნევი სიმპათია გამოამჟღავნა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და გერმანიის ევანგელურ-ლუთერანულ ცენტრებს შორის კონტაქტების დამყარება. გერლახს საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა გერმანიის ლუთერანულ უნივერსიტეტებთან. აქ პირველ რიგში ტიუბინგენის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო სკოლა იგულისხმება. მისმა თანამშრომლებმა: კანცლერმა და თეოლოგიის პროფესორმა იაკობ ანდრეასმა და ბერძნული და ლათინური ენების პროფესორმა მარტინ კრაუსმა ანუ, იგივე, კრუსიუსმა 1574 წლის 15 სექტემბერს პატრიარქ იერემია II-სა და მის ეკლესიას („დიდ ეკლესიას") აუგსბურგის აღსარების ბერძნულენოვანი ვერსიის ახალი პარტია — ექვსი ეგზემპლარი — გაუგზავნეს (იხ. ზემოთ, მე-5 წყარო). ამანათს მათ თეოლოგიური შინაარსის წერილებიც აახლეს, რომლებიც ეკუმენური დიალოგის დაწყების სურვილს შეიცავდა. წიგნებისა და წერილების ადრესატისათვის გადაცემის ცერემონია 1575



იერემია II

წლის 24 მაისს საზეიმო ვითარებაში შედგა. ამ დღიდან დაიწყო ინტენსიური მიმოწერა და ხანგრძლივი ეკუმენური დიალოგი კონსტანტინოპოლისა და ტიუბინგენის თეოლოგებს შორის (ვრცლად ქვემოთ).

როგორც ქართული კულტურის, ისე ევანგელური ეკლესიის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობას, რომლის თანახმად აუგსბურგის აღსარება ქართულ ენაზეც ითარგმნა და ტექსტი საქართველოში გაიგზავნა. ჩვენთვის უკვე ცნობილია, მე-3 და მე-4 წყაროს მეშვეობით, თუ ვისი ინიციატივით და სურვილით მოხდა ამ თარგმანის შესრულება. ესაა ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი, რომელმაც ამ ამოცანის შესრულება თავის ქვეშევრდომს, - - ცხადია, სალიტერატურო ბერძნული და ქართული ენების მცოდნეს, — დაავალა. მან ეს დავალება შეასრულა და აუგსბურგის აღსარების ქართული თარგმანი, ბერძნულ თარგმანთან ერთად, ათაბაგმა თავის სამშობლოში, ახალციხეში, წაიღო. დიდი ალბათობით ეს მთარგმნელი ის თარჯიმანი უნდა იყოს, რომლის მეშვეობით ქართველი თავადი და მისი გარემოცვა კონსტანტინოპოლში უცხოელებს ესაუბრებოდა (მე-3 და მე-4 წყარო).

ჩვენ არა გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ დასახელებული წყაროების ობიექტურობაში, მაგრამ ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ეს მთარგმნელი ვინაობით, ანდა როგორ გაართვა მან თავი თარგმნის სირთულეს და რა ბედი ეწია ხელნაწერს, რომელიც ამ თარგმანს შეიცავდა. არადა ცხადია, რომ ეს კითხვები ქართული კულტურისა და, კერძოდ, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო და საპატიო კითხვათა რიგს განეკუთვნება.

უკვე გაირკვა, 1-ლი წყაროს მეშვეობით, რომ ვენცესლაე ბუდოვიცის ადრესატი არის თავის დროს ცნობილი თეოლოგი — პროფესორი დავით ხიტრეუსი. ამჯერად დაისმის კითხვა: ვინ არის „უბრწყინვალესი ბატონი ელჩი", რომელმაც აუგსბურგის აღსარების ქართულად თარგმნას ხელი შეუწყო? ამ კითხვებზე სარწმუნო და ცხად პასუხს ვპოულობთ სალომონ შვაიგერისა და ვენცესლაე ბუდოვიცის ბიოგრაფიებში. გავითვალისწინოთ, რომ ისინი არიან ჰაბსბურგთა იმპერიის საელჩოს თანამშრომლები, დიპლომატიური მოტივით ოსმალური თურქეთის (პორტას) მაშინდელ დედაქალაქში, სტამბოლში (კონსტანტინოპოლში), მყოფნი. ამ საელჩოს იმ დროს, 1579 წელს, მეთაურობდა იოახიმ ფონ ზინტცენდორფი (Joachim von Sintzendorf) და, მაშასადამე, „უბრწყინვალესი ბატონი ელჩი" არის იოახიმ ფონ ზინტცენდორფი (1544-1594). განხილული წყაროებიდანაც ჩანს, რომ ზინტცენდორფი რეფორმაციას გულ-

მხურვალედ ემსახურებოდა. ამიტომ სიამოვნებით აჩუქა მან ქართველ თავადსა და მის თანმხლებ პირებს აუგსბურგის აღსარების ბერძნული თარგმანი და ეგზემპლარი საკუთარი ავტოგრაფით დაამშვენა. უეჭველია, ეს ავტოგრაფი, ეს მიძღვნა, არა მარტო ქართველი დიდგვაროვანის, ყვარყვარეს, ქრისტეს რწმენაში კეთილად და მტკიცედ დგომის სურვილს შეიცავდა, არამედ საქართველოში ევანგელური იდეების გავრცელებისა და დამკვიდრების იმედსაც. ვინ იცის: იქნებ სადმე დევს და ერთ მშვენიერ დღეს იქნებ გამოჩნდეს კიდეც ეს ეგზემპლარი?! Habent sua fata libelli [წიგნებს თავისი ბედი აქვთ]!

იმის მიუხედავად, აღმოჩნდება თუ არა ეს ეგზემპლარი, ზემოთ განხილული წყაროების სახით ჩვენ გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რის საფუძველზეც შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ: ათაბაგი ყვარყვარე კონსტანტინოპოლში 1579 წელს ნამდვილად გაეცნო და დაუახლოვდა ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენლებს. შედგა დიალოგი, — თეოლოგიისა და ეკლესიოლოგიის საკითხების განხილვა, შესაძლებელია, — დისკუსიაც, რომელიც თანამშრომლობაში გადაიზარდა. ევროპელ ევანგელისტებს ბუნებრივად გაუჩნდებოდათ სურვილი, მეტი და მეტი გაეგოთ საქართველოსა შესახებ, რის გამოც ისინი ქართველ თავადს და მის თანმხლებ პირებს ასეთ კითხვებს დაუსვამდნენ: ვინ ხართ თქვენ, ქართველები, ეთნიურად და ლინგვისტურად? მონოეთნიური და მონოკონფესიური ქვეყანაა საქართველო თუ ამ მხრივ მრავალფეროვანი? რა დონის კულტურაა თქვენი კულტურა: გაქვთ თქვენი საკუთარი ანბანი? გსმენიათ თუ არა თქვენ, ქართველებს, რამე იოჰან გუტენბერგის შესახებ, რომელმაც ერთი საუკუნის წინ (დაახლოებით 1440 წელს) გერმანიაში, სტრასბურგში, შრიფტების ჩამოსასხმელი და დასაბეჭდი დაზგა გამოიგონა და სტამბა გამართა? თუკი თქვენ თქვენი ანბანი, რომლის მეშვეობით, როგორც თქვენ ამბობთ, მდიდარი ლიტერატურაა შექმნილი, ჯერ არ არის ზიარებული სტამბას, იქნებ დაგეხმაროთ და გადავდგათ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით? და, აი, ვხედავთ ამ დიალოგის და თანამშრომლობის ბრწყინვალე ნაყოფს: ქართული ანბანისა და ქართული ტექსტის სტამბასთან პირველად ზიარების ფაქტს. ამის დასტურია გერმანელი მოგზაურის, ლუთერანი მისიონერისა და დიპლომატის სალომონ (სოლომონ) შვაიგერის ნაშრომი „Eine neue Reisebeschreibung aus Deutschland nach Constantinopole und Jerusalem [ახალი ჩანაწერები მოგზაურობისა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში]“, რომელიც პირველად 1608 წელს ნიურნბერგში დაიბეჭდა (იხ. მე-3 წყარო). ამ წიგნში, საქართველოსა და ქართველე-

ბის შესახებ ბევრ ცნობასთან ერთად, გვხვდება ცნობა ორი ქართველი თავადის - - ყვარყვარესა და მანუჩარის -- შესახებ. იქვე მოცემულია ყვარყვარე IV ათაბაგის, — ზორბა ვაჟკაცის, ნამდვილი ფალავანის, -- პორტრეტი. იქვეა ქართული ნუსხური ანბანი ასო-ნიშანთა სახელებითურთ და პირველი ფსალმუნის პირველისამი მუხლის ქართული თარგმანი, ლათინური ანბანით წარმოდგენილი. ავტორი აღნიშნავს: ეს ანბანი და ეს ტექსტი ჩემს წიგნაკში, ჩემივე თხოვნით, ჩაწერა ქართველმა ბერმა, ვინმე მამა იოსებმა, 1579 წელს, როდესაც მე კონსტანტინოპოლში ვიმყოფებოდი და იქ ხსენებულ ქართველ თავადებს შევხვდიო (Schweigger 1964: 85-86).

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ცნობას და ამ ფაქტს ქართული კულტურის ისტორიისათვის. მოვუსმინოთ გერმანისტიკის პროფესორს, შოთა რევიშვილს: დღემდე „მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ პირველი ქართული წიგნი გამოვიდა რომში 1626 (sic! 1629. ნ.პ.) წელს. ეს აზრი ქართველოლოგების მიერ ერთნაირად იყო გაზიარებული როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. მაგრამ, ამჯერად, უკვე დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ პირველი ნაბეჭდი წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ქართული შრიფტი, ევროპელებმა გაიცნეს მთელი 21 წლით ადრე და იგი განეკუთვნება სალომონ შვაიგერს. მართლაც, ჯერჯერობით გამოვლენილი მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შვაიგერის „ახალ ჩანაწერებში“ წარმოდგენილი ქართული საეკლესიო (ნუსხა-ხუცური) ხელით ნაწერი ასოების გრაფიკული ფორმა არის ქართული შრიფტის სტამბური წესით გამოყენების პირველი ნიმუში“ (რევიშვილი 1977: 85).

ლეგენდა და ჭეშმარიტება

დავუბრუნდეთ თემას: *ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის პირველი ნაბიჯები ქრისტიანულ აღმოსავლეთში*. ფაქტია, რომ ამ ეკლესიის იმედები ვერ გამართლდა. აღმოსავლეთის ეკლესიების წარმომადგენლებმა პროტესტანტული რეფორმაცია არ მოინონეს, თუმცა ვიცით, რომ იყვნენ გამონაკლისებიც, მაგალითად: სერბი დიაკონი დიმიტრი რაიტცენი, ბერძენი თავადი სერბეთში იაკობ ბასილიკუსი, კონსტანტინოპოლელი დიდგვაროვანი მიხეილ კანტაკუზელი და მათთანანი (იხ. ზემოთ). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ რეფორციის მიმართ გულგრილნი არც ქართველები დარჩებოდნენ.

ზემოთ დასახელებული წყაროებისა და გამოკვლევების მეშვეო-

ბით ჩვენთვის ცნობილი ხდება შემდეგი: სამხრეთ საქართველოს პროვინციაში, ახალციხის რეგიონში, ლუთერანთა სარწმუნოების გავრცელების მცდელობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა მარტინ ლუთერის სიცოცხლეში (როგორც ზაქარია ჭიჭინაძე ამბობდა), არამედ მოგვიანებით. ამ პროცესში აქტიურად ყოფილან ჩართული ლუთერანი მისიონერები, რომლებიც კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მიზნით იმყოფებოდნენ: სალომონ შვაიგერი და ვენცესლავ ბუდოვიცი. მათ გაუცვნიათ სულთანის კარზე მყოფი ათაბაგი ძმები მანუჩარ და ყვარყვარე. პირველს იქ ისლამი უღიარებია, მეორე კი ქრისტეს რჯულის ერთგული დარჩენილა. ხსენებულ მისიონერებს ყვარყვარესათვის გადაუციათ აუგსბურგის აღსარების (Confessio Augustana) ბერძნული რედაქციის წიგნი, რომელიც ყვარყვარეს მაშინვე ქართულად („იბერიულ ენაზე") უთარგმნინებია და თარგმანი (დედანთან ერთად) საქართველოში, ახალციხეში, წამოუღია.

ეს არის და ეს, რაც ჩვენ იმდროინდელი ლათინური და გერმანულენოვანი წყაროებიდან ვიცით და ეს ცოდნა თუ ინფორმაცია სრულიად დამაჯერებლად გამოიყურება. ყვარყვარე ინიციატივის, — რეფორმაციის საქართველოში შემოტანის, — შემდგომ ბედს რაც შეეხება, დოკუმენტური მასალის არარსებობის გამო ვერაფერს ვიტყვით. სურათი, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე გვიხატავს, მითს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას. მაგრამ საკითხავია: ეს მითი უფრო პერსონალური ფანტაზიის ნაყოფია თუ კოლექტიური მეხსიერების? სხვანაირად რომ ვთქვათ: ფოლკლორში მოხდა მზაჭაბუკ და ყვარყვარე ათაბაგების ერთმანეთში აღრევა თუ ზაქარია ჭიჭინაძის შემოქმედებაში? პასუხი, ცხადია, საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს.

კვლავ ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისის შესახებ

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოთხრობილი ამბების (ძმები ათაბაგების კონსტანტინოპოლში ჩასვლის, ევროპული საეკლესიო რეფორმაციის აქტივისტებთან შეხვედრის, სამშობლოში ახალი წიგნით, თარგმანითა და იდეებით დაბრუნების) ამსახველი მასალა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ახალციხის რომელიმე ოჯახში იქნებოდა შემორჩენილი. ცნობილია, თუ რა ენთუზიაზმით აგროვებდა მაშინ იმ მხარეში (მესხეთში) ძველ წერილობით ძეგლებს აღმოსავლური წესის კათოლიკე მღვდელი ივანე გვარამაძე.

უნდა ვიფიქროთ, რომ მან, სხვათა შორის, ლათინური წესის კათოლიკე მღვდლის დღიური (ანდა დღიურები) იპოვა და ეს ხელნაწერი (თუ ხელნაწერები) საკუთარ სახლში, სოფელ ხიზაბავრაში, დააბინავა. აი, ამ სახლს ეწვია 1881 წელს თბილისელი მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც იქ ბევრი საყურადღებო რამ ნახა, მოისმინა და დაიმახსოვრა (იხ. ზემოთ). უეჭველია, იქვე შეიტყო მან მასპინძლის, ივანე გვარამაძის, შემოქმედებითი ცხოვრების ერთი, ამჟამად ჩვენთვის ფრიად საყურადღებო დეტალი: რეფორმაციის ისტორიითა და ბედით დაინტერესება. ნაშრომში „ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე“, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ ივანე გვარამაძის სიცოცხლეშივე, 1904 წელს, გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ ივანე გვარამაძეს დაწერილი აქვს თხზულება „ლუტერის და კალვინიზმის დარღვევა“. იქვეა შენიშვნა: „დაუბეჭდავია, საკმარისი ხელნაწერია, დაწერის დროს უცხოელ მწერლებთაგანაც უხელმძღვანელია“ (ჭიჭინაძე 1904: 29). ასეთი თხზულება ივანე გვარამაძის პუბლიკაციებს შორის არ ჩანს (შდრ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგები) და არც ხელნაწერი ორიგინალის ბედი არის ცნობილი. ამდენად, ზაქარია ჭიჭინაძის ეს ცნობა უნიკალურია. ამავე ცნობის მეშვეობით ჩვენთვის გასაგებია მოტივი, განზრახვა და სულისკვეთება, რაც კათოლიკე სასულიერო პირს ამ შემთხვევაში ამოქმედებდა, — რეფორმაციის გაკრიტიკება და დაგმობა („დარღვევა“). სამწუხაროა, რომ არ ვიცით, ვინ არიან ის „უცხოელი მწერლები“, რომლებსაც ავტორი დაეყრდნო. ვინ იცის, იქნებ ეს „მწერლები“ არა მარტო ანტირეფორმისტი კათოლიკეები, არამედ რეფორმისტებიც იყვნენ. მათ შორის იქნებ ის „უცხოელი მწერლებიც“ იგულისხმებიან, რომლებსაც ზემოთ ჩვენც დავეყრდენით: დავით ხიტრეუსი, სტეფან გერლახი, სალომონ შვაიგერი, ვენცესლაე ბუდოვიცი და მარტინ კრუსიუსი. მას, გვარამაძეს, შესაძლებელია გერლახის „დღიურიც“ („Das Tage-Buch“) გაცნობოდა (თუკი იცნობდა, ანდა სმენოდა რაიმე მის შესახებ), როდესაც სტუმარს ვინმე მისიონერის დღიურსა (თუ დღიურებზე) ელაპარაკებოდა.

ჩვენ შესაძლებელად მიგვაჩნია ვიფიქროთ: „მისიონერის დღიურები“ სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის წერილობითი დოკუმენტების კრებულს წარმოადგენდა; შეიცავდა როგორც ქართულ, ისე (შეიძლება, მეტწილად) უცხოენოვან მასალას. ვინ იცის, იქნებ ეს იყო საქაღალდე, რომელშიც ძველი ხელნაწერი, ანდა ძველნაბეჭდი ტექსტები ეწყო?! იქ, დიდი ალბათობით, ათაბაგების სახელები და საქმეებიც იქნებოდა შესული; ალბათ ლაპარაკი იყო მზეჭაბუკ მეორეზეც, რომელიც ყვარყვარესა და მანუჩარის თაობას ეკუთვნო-

და. შესაძლებელია, ზაქარია ჭიჭინაძემ ეს ათაბაგი რაღაც გაუგებრობით ყვარყვარესთან გააიგივა. სავარაუდოდ ამ აღრევის საფუძველი გახდა ზემოთ ხსენებული „სჯულის საქმე", რაც ზაქარია ჭიჭინაძისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის, ისედაც ცნობილი უნდა ყოფილიყო. უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს „საქმე" არა მზეჭაბუკ მეორესთან, არამედ მზეჭაბუკ პირველთან იყო დაკავშირებული და მას კონფესიური საფუძველი არ ჰქონდა (ჯერჯერობით ეს ცნობილი არ არის). მაგრამ იმის გამო, რომ მასში სიტყვა „სჯული" ფიგურირებდა, ადვილი შესაძლებელი იყო, კაცს მასში კონფესიურობის ელემენტი დაენახა, მზეჭაბუკ მეორეზე ლაპარაკის დროსაც გახსენებოდა და ფანტაზიური თეორია აეგო. ასეც მოხდა. წყაროებში მზეჭაბუკ მეორე მოხსენიებულია როგორც ფართო დიაპაზონის ინტელექტუალი და პოლიგლოტი (შარაშიძე 1961: 40). ეჭვი არაა, რომ ეს თვისებები ზაქარია ჭიჭინაძემ მზეჭაბუკ პირველს მიაწერა. ნამდვილად ამჟღავნებდა თუ არა მზეჭაბუკ II „აუგსბურგის აღსარებისადმი" ინტერესს, ანდა სმენოდა თუ არა მას რაიმე ამ დოკუმენტის შესახებ, ძნელი სათქმელია, მაგრამ მისი თანამედროვე, უფრო სწორედ, — მისი ტახტის მემკვიდრე ყვარყვარე რომ მას იცნობდა და მოსწონდა კიდეც, დღეს უკვე დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

ასეა თუ ისე, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: ინფორმაციები (1) მითითებულ დროს ახალციხის საათაბაგოში მარტინ ლუთერის საეკლესიო ტრადიციის შემოტანის მცდელობისა და (2) „ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერი პატრის ერთი დღიურის" არსებობის შესახებ ნდობას იმსახურებს. ნდობა იმსახურებს აგრეთვე მისიონერების ზაქარია ჭიჭინაძისეული სიაც (იხ. ზემოთ): ძნელია (და თითქმის შეუძლებელი), რომ ვინმეს ამ სიის, — ამ სახელებისა და ამ ნიუანსების, — გამოგონება დავაბრალოთ. ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი, რომ ამ სიაში მოხსენიებული პასტორებიდან ზოგიერთი ზემოთ განხილულ წყაროებსა და ლიტერატურაში ნახსენებ პასტორებთან და მისიონერებთან გავაიგივოთ. მაგალითად: პასტორი მარტინი შეიძლება იყოს მარტინ კრუსიუსი, პასტორი გერლახი — სტეფანე გერლახი, იაკობ პასტორი — იაკობ ანდრეასი (ტიუბინგენის უნივერსიტეტის კანცლერი), როგორც ამას ბეჟან ჯავახია ფიქრობს (ჯავახია 2005: 144-146; Javakhia 2007: 24). ამ მიმართულებით (ანუ აღნიშნული სიის იდენტიფიკაციისათვის) კვლევის გაგრძელება სასურველიცაა და აუცილებელიც.

ზაქარია ჭიჭინაძის მოცემული თვალსაზრისისა და პოზიციის შეფასების დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეპოქა და

გარემო, რომელშიც ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. ესაა ცარისტული რუსეთის იმპერიის დაშლის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერიოდი. ეს იყო მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პატრიოტებისა და მოღვაწეების ოცნება, რომელმაც სწორედ 1918 წელს, განხილული წიგნის გამოცემის წელს, შეისხა ხორცი. ამ დროს ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წინაშე მწვავედ დაისვა განახლებული საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის საკითხი: ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ თუ დასავლეთისაკენ. პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიჩინა, იყო გერმანია. ქართველი ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ამ ქვეყანას იმედის თვალით შეხედა და მასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება დაგეგმა (ბაქრაძე 2010: 23-27, 37, 78-79, 186-192, 250-274).

და, აი, ამ დროს იბეჭდება აღნიშნული წიგნი, რომლის პირველივე სტრიქონებიდან თვალშისაცემია ავტორის პოლიტიკური მიზანდასახულობა. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის ქრისტიანული იმპერიის დამხობის შემდეგ ქრისტიანული საქართველო ისლამური სამყაროს წინაშე დაუცველი აღმოჩნდა. ეს სამყარო კი იდეოლოგიური თვალსაზრისით მისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, რის გამოც ქრისტიანმა ქართველებმა ძლიერი მოკავშირის ძებნა დაიწყეს. მათ კათოლიკურ ევროპასაც მიმართეს და მართლმადიდებლურ რუსეთსაც, მაგრამ არც ერთმა გზამ არ გაამართლა.

წიგნში სტრიქონსა და სტრიქონს შორის, ყოველ ნაბიჯზე, გამოკრთის ავტორის მთავარი სათქმელი, რომელიც შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: ქართველების თვითმყოფადობასა და ეროვნულ-სარწმუნოებრივ ინტერესებს საფრთხეს უქმნის როგორც ისლამი, ისე სომხური წესის კათოლიკობა; რუსობასა და სომხობაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს; დიდ იმედს არც რომაული კათოლიკობა გვთავაზობს; საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს ვერც მართლმადიდებლობა და მართლმადიდებელი ეკლესია უმართავს ხელს (არც ერთი მართლმადიდებელი ქვეყანა არ აღმოჩნდა საქართველოს მხსნელი: არც ბიზანტია და არც რუსეთი). ბუნებრივად დაისმის კითხვა: მაინც რომელი სარწმუნოებრივ-პოლიტიკური სამყარო გამოადგება საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს? პასუხი, ვიმეორებთ, — სტრიქონსა და სტრიქონს შორის, თითქოს ასეთია: ლუთერანული ევანგელიზმი და მისი სამშობლი — გერმანია. ეს პოზიცია კი სრულ თანხვედრაშია იმდროინდელი, 1918 წლის, საქართველოს პოლიტიკური ელიტის სა-

ხელმწიფოებრივ ხედვასა და ორიენტაციასთან. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხედვა და ორიენტაცია მაშინ ქართველ მართლმადიდებელთა წრეებშიც შეინიშნებოდა (ჟანენი 1996: 87). ალბათ არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ აღნიშნული ნაშრომი სწორედ 1918 წელს და სწორედაც რომ „საქართველოს მთავრობის სტამბაში" დაიბეჭდა.

გერმანელი მოგზაურები და სწაველულები საქართველოში გერმანელთა ახალშენების დაარსებამდე

მკითხველთა ფართო წრისათვის დღემდე ხელმისაწვდომი წყაროების თანახმად, პირველი პროტესტანტი ევროპელი, რომელიც საქართველოში მოვიდა და ადგილობრივ ხალხთან აქტიური კონტაქტები დაამყარა, გახლდათ ფრანგი დიპლომატი, მოგზაური და ვაჭარი ჟან შარდენი (Jean Chardin). მან საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, შემოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები და დაგვიტოვა უნიკალური ცნობები ამ ქვეყნის რელიგიური ყოფის დეტალებზეც კი. მართალია, ამ მოგზაურობის აღწერაში[13] არ ჩანს, რომ შარდენს მისიონერული მიზნები ჰქონოდა, მაგრამ არაფერი გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ პოზიტიურ ინფორმაციას პროტესტანტული რეფორმაციის შესახებ ქართველები მისგანაც მოისმენდნენ.

ქართული საზოგადოება პროტესტანტული იდეებისა და საღვთისმსახურო პრაქტიკის გაცნობას ალბათ იმ გერმანელი ევანგელისტი მისიონერების მეშვეობითაც შეძლებდა, რომლებიც კავკასიაში XVIII ს-ის შუა წლებიდან ჩანან. მათ შესახებ გვაუწყებს გერმანელი ექიმი, მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონის ძე გიულდენშტედტი (1745-1781; Johann Anton Güldenstädt). ჩვენ ხელთაა მისი ნაშრომში „Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge [მოგ-

---

[13] ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობის აღწერილობა შესულია წიგნში: Voyages de monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient. ეს აღწერილობა ქართულად თარგმნილია ორჯერ: ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, აკაკი განერელიას წინასიტყვით და რედაქციით, თბილისი, 1935; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.

ზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთებში]"[14], საიდანაც ცნობილია შემდეგი: ავტორი თერგის მხარეში სოფელ კალინოვასთან 1773 წლის 15 მაისს შეხვდა და ესაუბრა ოთხ გერმანელ ევანგელისტ მისიონერს (Friedrich Hevel, Lorenz Berg, Kondrad Reiz, Gottfried Grapsch), რომლებიც გერმანელთა მომავალი კოლონიისათვის ადგილს არჩევდნენ (Güldenstädt 1791: 3-4; ჩიქობავა 1965: 107).

გიულდენშტედტი არაფერს ამბობს, აღნიშნული მისიონერები ქართველთა შორისაც მოღვაწეობდნენ თუ არა, მაგრამ არაფერი გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ მათი მიზნები და ამოცანები ემთხვეოდა კავკასიაში მოღვაწე სხვა მისიონერების მიზნებსა და ამოცანებს. ეს მისიონერები დაკავშირებული იყვნენ ბრიტანეთისა და რუსეთის ბიბლიურ საზოგადოებებთან, რის გამოც მათ მთავარ საზრუნავს საღვთო წერილის მოსახლეობის ფართო ფენებში გავრცელება წარმოადგენდა. ეს იდეა ბუნებრივად აყენებდა დღის წესრიგში ბიბლიის თანამედროვე ენებზე ამეტყველების საკითხს. აქ, ცხადია, ახალი ქართული ენაც იგულისხმება, რადგან ბიბლიის ძველი ქართული ტექსტი ახალი ეპოქის ქართველს სრულყოფილად არ ესმის. ირკვევა, რომ ამ იდეას XVIII ს-ის დასასრულისა და XIX ს-ის დასაწყისში არა ერთი და ორი მართლმადიდებელი ქართველი მოუხიბლავს, მათ შორის სასულიერო პირები, ეპისკოპოსებიც კი. ერთ-ერთი ასეთი ეპისკოპოსი ყოფილა დოსითეოს ფიცხელაური (1774-1830), რომელიც ბიბლიურ საზოგადოებებთან თანამშრომლობდა და, მაშასადამე, საეკლესიო-საღვთისმსახურო ენის დემოკრატიზაციის იდეას იზიარებდა; იცნობდა ამ საზოგადოებების აქტივისტს პინკერტონს, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა და, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, საქართველოს მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა (ხანთაძე 1959: 166; ხანთაძე 1968: 148).

დოსითეოს ფიცხელაურის სამღვდელმთავრო და სამისიონერო ასპარეზი ძირითად ოსეთით და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებით შემოიფარგლებოდა და დიდი ალბათობით იცნობდა კიდეც გიულდენშტედტის მიერ მოხსენიებულ, მის ეპარქიაში მოღვაწე, ევანგელისტ მისიონერებს. ეჭვი არაა, რომ მათი მეშვეობით ის შეიძენდა გარკვეულ ცოდნას მარტინ ლუთერის

[14] ეს ნაშრომი გამოიცა ავტორის გარდაცვალების (1781 წლის) შემდეგ ორჯერ: (1) Güldenstädt 1787; Güldenstädt 1791; (2) Güldenstädt 1815. ნაწილი თარგმნილია ქართულად: გიულდენშტედტი 1962; გიულდენშტედტი 1964.

მოძღვრებისა და საღვთისმსახურო პრაქტიკის შესახებ და ამ ცოდნას თანამემამულეებსაც გაუზიარებდა.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში არაერთი გერმანელი იმყოფებოდა. ისინი აქ სხვადასხვა მიზნით იყვნენ ჩამოსული: ვაჭრის, ხელოსნის, ექიმის, მეცნიერის, დიპლომატისა და სახელმწიფო მოხელის სტატუსით (Полиевктов 1935: 172-175,191-192). მათგან ყველაზე ცნობილნი და სახელოვანნი, ზემოთ ხსენებული ექიმისა და ბუნებისმეტყველის, იოჰან გიულდენშტედტის, გარდა, არიან: იაკობ რაინეგსი (Jacob Reineggs) ანუ, იგივე, ქრისტიან რუდოლფ ელიხი (Christian Rudolf Ehlich) და ჰაინრიხ იულიუს კლაპროთი (Heinrich Julius von Klaproth). პირველი მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის, რეზიდენციაში მუშაობდა და მისი პოლიტიკური მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა. ის, ამასთანავე, დაინტერესებული იყო გეოლოგიით და ეძებდა წიაღისეულ სიმდიდრეებს; სწავლობდა ადგილობრივ კულტურასა და წეს-ჩვეულებებს; ცდილობდა, პასუხი გაეცა კითხვაზე: რომელი ტომი უნდა მივიჩნიოთ კავკასიელი ალბანელების შთამომავლად? ყოველივე ეს ცნობილია მისი ერცელი ნაშრომიდან „Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus“ (Reineggs 1796; 1797; პაპუაშვილი 2015: 204-205). მეორემ, ბერლინელმა გერმანელმა, სახელგანთქმულმა ლინგვისტმა და ორიენტალისტმა ჰაინრიხ კლაპროთმა, საქართველოში 1807-1808 წლებში იმოგზაურა, რათა შეესწავლა ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია და ეთნოგრაფია. ამ ამოცანას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი, რასაც მისი მდიდარი წერილობითი მემკვიდრეობა ადასტურებს (Klaproth 1812; ჩიქობავა 1965: 115-119).

დასახელებულ გერმანელ სწავლულებს, მათი სამეცნიერო და სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობასთან საქმიანი და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ. საფიქრებელია, რომ მათ არაერთი ადგილობრივი მოსახლე დაუსვამდა კითხვებს ყვარყვარე ათაბაგის მსგავსად: როგორია რელიგიური ვითარება თქვენთან, გერმანულენოვან სამყაროში? რას ნიშნავს პროტესტანტიზმი, რომლის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს აღმსარებლობა თქვენს ქვეყანაში გავრცელდა და საზოგადოებრივ ასპარეზზე თურმე დიდ წარმატებით იკაფავს გზას? ასე და ამრიგად მიეცემოდა მათ, ხსენებულ ვიზიტორებს, საბაბი და სტიმული, ქართველთა შორის გვიანი შუასაუკუნეების საეკლესიო რეფორმაციაზეც ესაუბრათ და ეცნჯელათ.

ეს სწავლულები, შესაძლებელია, პირადადაც იცნობდნენ დიდ ქართველ სწავლულს — იოანე ბატონიშვილს (1768-1830), რომლის საენციკლოპედიო ნაშრომში „ხუმარსწავლა" ანუ, იგივე, „კალმასობა" არაერთხელ არის ნახსენები პროტესტანტობა და ლუთერანობა. იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „სარწმუნოება სრულიად ღერმანიასა შინა უპყრიესთ რომის კათოლიკისა და პროტესტანტისა" (ბატონიშვილი 1991: 52). ავტორმა იცის, რომ პროტესტანტობა, მარტინ ლუთერისა და ჟან კალვინის მოძღვრებათა სახით წარმოდგენილი, გერმანიის გარდა ევროპის არა ერთი და ორი ქვეყნის სახელმწიფო კონფესიაა. იქვე აღნიშნულია, რომ ლუთერისა და კალვინის მიმდევრები რუსეთის იმპერიაშიც ცხოვრობენ, თუმცა დაკონკტებული არ არის, სად (ბატონიშვილი 1991: 77,80, 82,88-89)[15].

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ პერიოდში გერმანელებს ქართველებთან საკმაოდ ინტენსიური კონტაქტები ჰქონდათ და ქართველი სწავლულები პროტესტანტული რეფორმაციის შესახებ საენციკლოპედიო ინფორმაციებსაც ფლობდნენ, ჩვენ არ მოგვეპოვება (ანდა, დღემდე ცნობილი არ არის) დოკუმენტური მასალა, რომელიც გაგვცემდა პასუხს კითხვებზე:

1. ცხოვრობდნენ და შრომობდნენ თუ არა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ევანგელისტი ლუთერანები საქართველოში?

2. არსებობდა თუ არა საქართველოს მოქალაქეებში იმხანად გარკვეული (საგნობრივი) ცოდნა დასავლეთ ევროპული საეკლესიო რეფორმაციის თაობაზე?

3. არსებობდა თუ არა ევანგელისტი რეფორმატორების რაიმე სახის საკრებულო მაშინდელ საქართველოში?

---

[15] რელიგიის ისტორიისათვის საყურადღებო უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: რუსებს „სარწმუნოება აქუთ ბერძენთა. ჰყავთ ოთხი მიტროპოლიტი და ორმოცდაათამდის მღვდელმთავარი. [იქ] აგრეთვე არიან კათოლიკენი, სომეხნი, ლუტერანნი, კალვინნი, ურიანი და თათარნიცა, აგრეთვე კერპთმსახურნი, და სტარავერნი მრავალნი, და რასკოლნიკები და სხვანი შემდეგნი ამათნი (მაგალითად: დუხობორები და მალაკნები, ნ. პ.) მრაელობით" (ბატონიშვილი 1991: 96).

ლუთერანი ევანგელისტები საქართველოში

სანამ ლუთერანი ევანგელისტების საქართველოში გადმომოსახლების მიზეზებსა და ამბებს გავიხსენებთ, სასურველია, ორიოდე სიტყვა საქართველოს ისტორიის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საბედისწერო ეპიზოდებზეც ვთქვათ.

მე-15 საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს ერთიანი სამეფოს სამეფოებად და სამთავროებად დაშლის პროცესი დაიწყო; ჩამოყალიბდა სამი სამეფო და შვიდი სამთავრო. აღმოსავლეთ საქართველოში ორი სამეფო წარმოიშვა: ქართლისა და კახეთისა, დასავლეთ საქართველოში კი ერთი — იმერეთის სამეფო. ამ პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ ხშირად აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს ისლამური სახელმწიფოები: ირანი და თურქეთი, რის გამოც ქართველი მეფეები იძულებულნი იყვნენ, სამშობლოს პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, ისლამი მიეღოთ და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც 1579 წელს ათაბაგი მანუჩარი მოიქცა (იხ. ზემოთ). საქართველოს მეფეებმა და მთავრებმა პოლიტიკური მოკავშირეებისა და დამხმარე სამხედრო ძალების ძებნა ევროპაში დაიწყეს, რაც ერთობ რთულ და სახიფათო გზად გამოიყურებოდა, რადგან ირანიცა და თურქეთიც ამის გამო ძალიან ღიზიანდებოდნენ და საქართველოში მუქარას მუქარაზე გზავნიდნენ. 1762 წელს ქართლი და კახეთი ერთი მეფის, ერეკლე II-ის (ბაგრატიონის), ტახტის გარშემო გაერთიანდა, რითაც საქართველოს გაერთიანებული სამეფოს აღდგენისა და განახლების გზაზე ერთი თვალსაჩინო ნაბიჯი გადაიდგა. მოძრაობა ამ მიმართულებით თანდათან აქტიურდებოდა, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები საქართველოსათვის არასასურველი მიმართულებით განვითარდა. აღნიშნულ დროს ამიერკავკასიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას სამი დიდი სახელმწიფო ცდილობდა: თურქეთი ანუ ოსმალეთი, ირანი ანუ სპარსეთი და ცარისტული რუსეთი. ერეკლე II-მ ორიენტაცია დასავლეთ ევროპისა და რუსეთისაკენ აიღო. 1783 წლის 24 ივლისს ციხე-ქალაქ გეორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასია; სტავროპოლის მაზრა) დაიდო ფართო მასშტაბის ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის ერეკლე II-ისა და იმპერატორ ეკატერინე დიდის ხელმოწერითა და ბეჭედთა დასმით. ეს დოკუმენტი ანუ, იგივე, მფარველობის აქტი ცნობილია გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით. აღსანიშნავია, რომ მისი ერთ-ერთი

სულისჩამდგმელი, ორგანიზარორი და ტექსტის თანაავტორი იყო ზემოთ ხსენებული გერმანელი სნავლული და დიპლომატი იაკობ რაინეგსი (სურმანიძე 1983: 51-54). გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურ მოკავშირედ გამოცხადდა და მისი მფარველობის სფეროში შევიდა. ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ მართლმადიდებელი იმპერია მართლმადიდებელ სამეფოს გარეშე ძალთა აგრესიისაგან დაიცავდა. მაგრამ იმედები არ გამართლდა. რუსეთმა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა: არ დაიცვა საქართველო მუსლიმი მეზობლების აგრესიისაგან, რაც ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა. ამის გამო ერეკლე II-ის მემკვიდრე, აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII, რუსეთის წინაშე ბევრ დათმობაზე წავიდა. მან საიმპერიო ხელისუფლებას მისი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის უფლებაც მისცა იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის ანუ ბაგრატიონთა დინასტიის არსებობას საფრთხე არ დაემუქრებოდა. მაგრამ რუსეთმა არც ეს პირობა შეასრულა. 1800 წელს, მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბრის) შემდეგ, იმპერატორმა პავლე I-მა მოამზადა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებისა და ბაგრატიონთა ათასწლოვანი ძალაუფლების გაუქმების შესახებ. ეს დოკუმენტი, პავლე I-ის მოკვლის შემდეგ, გამოაქვეყნა მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბერს. სწორედ ამ და მეორე მსგავსი აქტის ძალით გაუქმდა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს, შემდეგ კი (1810 წლის 20 თებერვალს) დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობა. ორივე სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა გუბერნიების სტატუსით.

საქართველოს ანექსია და ამ ქვეყანაში რუსეთის კოლონიური რეჟიმის დამყარება ცალსახად უარყოფითი მოვლენა იყო, თუმცა მას დადებითი მხარეებიც აღმოაჩნდა. ამ რეჟიმის პირობებში (ცხადია, ამავე რეჟიმის იმპერიული ინტერესების შესაბამისად) მოხერხდა თურქეთისაგან დაპყრობილი პროვინციების (მაგალითად, ზემოთ ხსენებული ახალციხის მხარის ანუ სამცხე-საათაბაგოს) საქართველოსათვის დაბრუნება, საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონების ერთ კულტურულ-ეროვნულ სივრცეში გაერთიანება და ამ რეგლამენტში ერთიანი საქართველოს საზღვრების აღდგენა. არანაკლები მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს კულტურული დიალოგი ევროპასთან, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოში მაღალ საფეხურზე ავიდა. ამასთანავე:

გაღრმავდა საქართველოს კონტაქტები გერმანიასა და გერმანელ ხალხთან, რომელიც, ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, მე-11 საუკუნიდან დაიწყო (Kaufhold 2011: 175-176) და გზადაგზა, თუმცა ნელი ნაბიჯებით, ვითარდებოდა.

აღნიშნული კონტაქტების გაღრმავება და, კერძოდ, ამიერკავკასიაში გერმანელთა დასახლებების აღმოცენება იყო იმ პროცესების ლოგიკური შედეგი, რაც რუსეთში მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან მიმდინარეობდა. იქ 1762, 1763 და 1764 წლებში გამოქვეყნდა სამთავრობო მანიფესტები იმპერატორ ეკატერინე II-ის ხელმოწერით, რომელთა თანახმად სახელმწიფოს უცხოელთა რუსეთში შემოსახლებისა და განსახლებისათვის ხელი უნდა შეეწყო. 1764 წელს ვოლგის სამხრეთ ნაწილში აღმოცენდა პირველი გერმანული დასახლებები. ანალოგიური დასახლებები მომდევნო წლებში ჩრდილოკავკასიაშიც შეიქმნა (გავიხსენოთ იოჰან გიულდენშტედტის შეხვედრა 1773 წლის 15 მაისს იმ გერმანელ მისიონერებთან, რომლებიც თერგის ხეობაში გერმანელთა მომავალი კოლონიისათვის ადგილს ეძებდნენ). ასე რომ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს რუსეთის სამხრეთ პროვინციებში გერმანელთა არაერთი თემი არსებობდა. ასევე ცნობილია, რომ მალე გერმანულ დასახლებებს რუსეთში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც შეუერთდნენ — ფრანგები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები და სხვანი, მაგრამ იმპერიის მთავრობა და მოსახლეობა მათაც გერმანელებად მოიხსენიებოდნენ.

ახალმოსახლე გერმანელები რუსეთში პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათზე არ ვრცელდებოდა ბატონყმური ურთიერთობა, რადგან მთავრობამ მათ თავისუფალი გლეხის სტატუსი მიანიჭა. ისინი ასევე თავისუფალი იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან ასი წლით. სახელმწიფო მათ მატერიალურადაც ეხმარებოდა, რათა კერძო მეურნეობა განევითარებინათ და დოვლათი ეწარმოებინათ. ეს გარემოება არა ერთსა და ორ გერმანელს, მეტწილად პროტესტანტს, რუსეთის იმპერიაში გადასახლების სურვილს უღვიძებდა. იმის გამო, რომ მე-19 საუკუნის პირველი ათეულიდან საქართველო რუსეთის შემადგენელ ნაწილად ირიცხებოდა, გერმანელ კოლონისტებს საქართველოსკენაც გზა გახსნილი ჰქონდათ. გავითვალისწინოთ, რომ გერმანელთა დასახლებების რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენება პერიოდულად მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე გრძელდებოდა (მანჯგალაძე 1974: 6-10; სონღულაშვილი 1995: 4-5).

პირველი გერმანელები, რომლებიც ამიერკავკასიაში, ქართლ-კახეთის გუბერნიაში, დასასახლებლად მოვიდნენ, იყვნენ ევანგე-

ლისტი ლუთერანები შვაბიის მხარიდან ანუ, იგივე, ვიურტემბერგიდან. ამ ქვეყანაში ისინი ჯგუფ-ჯგუფად 1817 წლის სექტემბერ-ნოემბრიდან 1819 წლის დასასრულამდე შემოვიდნენ. მცირე ჯგუფები 1842 წელსა და შემდგომ წლებშიც მოვიდა რუსეთისა და ბალტიისპირეთის სხვადასხვა რეგიონიდან.

ჩვენთვის ამჯერად უფრო საინტერესოა ვიურტემბერგელი ევანგელისტების ამიერკავკასიაში გადმოსახლებისა და დასახლების ისტორია.

კოლონისტები ვიურტემბერგიდან: ოცნება თავისუფლებასა და კეთილდღეობაზე

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღმსარებლობის თვალსაზრისით საქართველოში მოსულ კოლონისტებს შორის უთანხმოება არსებობდა; იყვნენ როგორც „აუგსბურგის აღსარების ლუთერანები" ანუ „კლასიკური ლუთერანობის მიმდევრები", ისე საეკლესიო ლუთერანული ტრადიციის უარმყოფლები (კოპალეიშვილი 2014: 23). ეს უკანასკნელნი პასტორის (მღვდლის) ინსტიტუტის საჭიროებას ვერ ხედავდნენ და მათ პასტორები არ ჰყავდათ. ვიურტემბერგიდან საქართველოში გადმოსახლებული კოლონისტების უმრავლესობას სწორედ ამ კატეგორიის ლუთერანები შეადგენდნენ. ისინი ცნობილი არიან ორი სახელით: ლუთერანი პიეტისტები და სეპარატისტი ლუთერანები.

პიეტიზმი, როგორც თავისებური საეკლესი მოძღვრება და პრაქტიკა, ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპელ რეფორმატორთა შორის მე-17 საუკუნის შუა წლებში. მის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ფრანკფურტელი თეოლოგის, ფილიპ იაკობ შპენერის (Philipp Jacob Spener), ნაშრომში, რომელიც 1675 წელს გამოქვეყნდა სათაურით „Pia Desideria oder herzliches Verlangen nach gottgefälliger Besserung der wahren evangelischen Kirchen [ღვთისმოსაური სურვილები ანუ გულითადი მისწრაფებები ნამდვილი ევანგელური ეკლესიების ღვთისმოსაწონად გაუმჯობესებისათვის]". აქედანაც ჩანს, რომ მასში მოცემულია რეკომენდაციები („ღვთისთვის სათნო სურვილები") რეფორმატორული ეკლესიების ხელახალი რეფორმაციისათვის, რათა ეს ეკლესიები უფრო და უფრო დაუახლოედნენ ახალი აღთქმის სულსა და ტრადიციებს.

სახელწოდება „პიეტიზმი" (გერმანულად: der Pietismus) მომდი-

ნარეობს ლათინური სიტყვისაგან pietas, რაც ზნეობრივი მოვალეობის, ვალდებულების გაცნობიერებას, ზოგადი აზრით, — მორწმუნეობას, ღვთისმოსაობას ნიშნავს. პიეტიზმში ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ ღვთისმოსაობაზე და იდეალად დასახულია პირველქრისტიანთა ღვთისმოსაობა, მათი მისტიკა და ასკეტიზმი. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ პიეტიზმს და პიეტისტებს შესამჩნევი ტრადიციონალიზმი და კონსერვატიზმი ახასიათებსთ; ისინი მეტწილად პურიტანები ანუ ძველი მორალური კანონების მკაცრად დამცველი ქრისტიანები არიან. პროტესტანტულ რეფორმაციასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ცნობილია რამდენიმე მიმართულების პიეტიზმი; არსებობდნენ და არსებობენ რადიკალი და ლიბერალი პიეტისტები. თეოლოგები და საეკლესიო მოღვაწეები, რომლებმაც ამ სფეროში თავ-თავიანთი მიმართულებანი შექმნეს, არიან: Theodor Undereyck (1635-1693), Friedrich Adolf Lampe (1683-1729), Gotthilf August Francke (1696-1729), Johann Aldert Bengel (1687-1752), Johann Michael Hahn (1758-1819) და Christian Gottlob Pregizer (1751-1824) (პიეტიზმის თეორიისა და ისტორიისათვის: Song 2000: 13-30). ეს პიროვნებები ასეთ კითხვას სვამდნენ: რამდენად აუცილებელია ქრისტეს ეკლესიისათვის იერარქია — ეპისკოპოსისა და მღვდლის ინსტიტუტი?

პიეტიზმის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლუთერანულ პიეტიზმს (Lutherischer Pietismus). გარკვეულია, რომ ამ მიმართულებამ სრულყოფილი სახე შვაბიის მხარეში (ბადენ-ვიურტემბერგში) შეიძინა, რადგან მან იქ „ნოყიერი ნიადაგი" პოვა. ვიდრე ამ „ნიადაგს" შედარებით ვრცლად განვიხილავთ, ვიტყვით ზოგადად: ვიურტემბერგელი პიეტისტები ადგილობრივი ლუთერანული ეკლესიის სხვა წარმომადგენლებისაგან ღვთისმოსაობისა და ზნეობის მაღალი ხარისხით, საღვთო და საღვთისმსახურო წიგნების გულმოდგინედ კითხვისა და ანალიზის კულტურით გამოირჩეოდნენ. მათი არსებითი ნიშნები იყო მძაფრი სარწმუნოებრივი აღმაფრენა და ქარიზმატულობა. ამის გამო მათ საკრებულოებს ქარიზმატულ საკრებულოებადაც მოიხსენიებდნენ. ისინი დაუპირისპირდნენ ოფიციალურ ლუთერანულ ეკლესიასა და სახელმწიფოსაც. მეტიც: ისინი თვით პიეტისტების ლიბერალურ ფრთასაც დაუპირისპირდნენ, რის გამო მათ სეპარატისტები დაარქვეს და ამ სახელით შევიდნენ ვიურტემბერგელი რადიკალი პიეტისტები ლუთერანული ეკლესიის ისტორიაში (Haigis, Hummel 2002: 89-94; Föll 2002: 20-21).

ოფიციოზთან დაპირისპირების მოტივად და მიზეზად მკვლევ-

რები ასახელებენ როგორც მძიმე სოციალურ-ეკონომიურ ფონს, რომელიც ნაპოლეონის დაპყრობითმა და გამანადგურებელმა ომებმა განაპირობა, ისე რელიგიურ ფაქტორს. და მართლაც: მე-18 საუკუნის მიწურული და მე-19 საუკუნის დასაწყისი შვაბების ისტორიაში შესულია „ნაპოლეონისეულ გადატრიალებათა“ სახელით. ეს „გადატრიალება“ იყო დიდი და მასშტაბური, ვინაიდან ცვლილება არა მხოლოდ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სტრუქტურებს შეეხო, არამედ მენტალიტეტის სფეროსაც. იმპერატორ ნაპოლეონის მიერ ვიურტემბერგერის მმართველად დადგენილი მეფის, ფერდინანდის, ეპოქა (1797-1816) ამ მხარეში ადამიანის უფლებებისა და სინდისის თავისუფლების უკიდურესად შეზღუდვითა და თითქმის წარხოცვით აღინიშნა. ყველგან დაწესდა საპოლიციო კონტროლი და მკაცრი თვალთვალი პოლიტიკური თემების ნებისმიერი ფორმით განხილვაზეც კი. ამას დაერთო მძიმე სასურსათო პრობლემები და შიმშილობაც კი, რომელმაც ვიურტემბერგის მთელი სამეფო და განსაკუთრებით მისი მთის რეგიონი მოიცვა. ეს ვითარება მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევდა და კვებავდა ნოსტალგიას თავისუფლებისადმი, რის გამოც მოსახლეობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მწიფდებოდა გაქცევისა და გადასახლების სურვილი[16].

მსგავსი უკმაყოფილებები და შესაბამისი მოწოდებები, მძაფრი რელიგიური პათოსით დამუხტული, პირველად ტიუბინგენში გაისმა. ამ ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტებმა 1806 წელს ჩამოაყალიბეს „ფარული საზოგადოება“, რომლის მთავარ მიზანს ოტაჰეიტში ანუ, იგივე, ტაიტიში (ზოგადად, სადღაც შორს), გადასახლება წარმოადგენდა. აი, რას ეკითხულობთ ამ ორგანიზაციის უპირველეს წერილობით აქტში („Grundurkunde“):

„როგორ და სად ვიცოცხლებთ ჩვენ, ადამიანები, შვებით? — შვებით ვიცოცხლებთ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, უცხო ძალადობის მარწუხებისაგან დახსნილნი; ჩვენ იქ ვიცოცხლებთ შვებით, სადაც ბუნება და შემოქმედება ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს საამო კლიმატური პირობების მეშვეობით, მინის ნაყოფიერების, მოყვასთა სათუთი და მშვიდობისმყოფელი აზროვნების მეშვეობით, რითაც ჩვენი მისწრაფებანი ხორცს მარტივად და სრუ-

[16] ვიურტემბერგის საჰერცოგოში, იმ დროს სამეფოდ წოდებულში, აღნიშნული ცვლილებებისა და სულიერი ატმოსფეროს შესახებ ვრცლად იხ.: Haigis, Hummel 2002: 43-95; Föll 2002: 16-17.

ლად შეისხამს, ხოლო ჩვენი სულის აღმაფრენას მოქმედების უსაზღვრო ველი გადაეშლება; ჩვენ იქ ვიცოცხლებთ შვებით, სადაც ბლომად მოიწევა და ჩვენ მოგვემადლება საამო ღვინო, რომლის ვენახი ჩვენი შრომით და გარჯით დაირგვება იქ, სადაც ხიშტების ჟღარუნი ჩვენს სულს არ დათრგუნავს; იქ, სადაც შევძლებთ, რომ ჩვენი კერა და ჩვენი უფლებები დავიცვათ“ (Föll 2002: 17).

ასე აღმოცენდა სურვილები სამშობლოს შორს — შორეულსა და საოცნებო მხარეში — გადასახლების თაობაზე.

იგივე სტუდენტები ამბობდნენ:

„გვინდა, რომ დავტოვოთ ევროპა; ავიბარგოთ ცოლ-შვილთან და მეგობრებთან ერთად და სამხრეთის ზღვათა უთვალავ კუნძულებს შორის ბედნიერად საცხოვრებელი ადგილი ამოვარჩიოთ. — გვსურს, იქ დავსახლდეთ ჩვენ, ავაგოთ სახლები, ველ-მინდვრები გავაშენოთ, ფარები ვაძოვოთ და კიდევ სხვაც. — გვსურს, რომ იქ ვიპოვოთ ის, — ნანატრი თავისუფლება! იქ ნეტარი ოლიმპოს კეთილ ღვთაებათა განსაწმენდელი საკურთხევლები უნდა აგიზგიზდეს!“ (Föll 2002: 17-18).

უკმაყოფილებათა რელიგიურ ფაქტორს რაც შეეხება, გვმართებს, მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი: იმ დროს ვიურტემბერგში ასევე შემოდიოდა საფრანგეთის რევოლუციური, მეტწილად ანტირელიგიური და ანტიეკლესიური, იდეები. სახელმწიფო კონტროლი ასევე ეკლესიაზეც ვრცელდებოდა. მთავრობა ცდილობდა, რომ ეკლესია „სახელმწიფოს მსახურად“ გადაექცია. მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად ადგილობრივ ეკლესიებში რეფორმების გატარების პროცესი დაიწყო. რეფორმები შეეხო საეკლესიო-ლიტურგიკულ ენასა და ვიურტემბერგის ტრადიციულ ლუთერანულ საეკლესიო წესებსაც, რამაც მორწმუნეთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იგულისხმება ახალი ლიტურგია, რომელიც ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიაში 1809 წლის 1 იანვრიდან დაწესდა როგორც „კანონისმიერი ნორმა“. ის „წმინდა ქრისტიანულ განსწავლას“ უნდა მომსახურებოდა და უნდა ყოფილიყო „თანამედროვე ეპოქის შესატყვისი სახე“ ძველის მაგიერ. თუ რა რეაქცია გამოიწვია ამ სიახლემ მორწმუნეთა ერთ ნაწილში, გვაუწყებს ერთი იმდროინდელი დოკუმენტი:

„მაშინ როდესაც ხალხმა ახალი ლიტურგიის შემოღებით მისთვის რაღაც უჩვეულო და გაუგებარი ხმანი, თანაც მისთვის უცხო ენაზე ამეტყველებული ცნებანი ისმინა, საკუთარი გულის სიღრმეში, ამის გამო, ერთობ ამაზრზენი დისჰარმონია შეიგრძნო. ხალხი გულნატკენი დარჩა ძველი გადმოცემების (= ლიტურგიების) და იმ

ლოცვების დაკარგვის გამო, რომელთა მეტი ნაწილი მან ზეპირად იცოდა და რომლებსაც საკუთარი რწმენა-ნარმოდგენებისა და განცდების ცხოველმყოფელ გამოვლინებად აღიქვამდა. ისინი თავს აქნევდნენ თავსმოხვეული რეფორმის გამო და ოხრავდნენ იმ უბედურ დროთა შემყურენი, რომელნიც მოქალაქეთა ცხოვრებაში ასე მკვეთრად და გამანადგურებლად შეიჭრნენ, და განადგურებანი უკვე ეკლესიაშიც დაიწყო" (Föll 2002: 20).

ასე ინერგებოდა და ღვივდებოდა კონფლიქტები ვიურტემბერგში. ერთ მხარეს იდგნენ სახელმწიფო და ოფიციალური ეკლესია, მეორე მხარეს კი დისიდენტი მორწმუნეები ამავე ეკლესიიდან: პიეტისტი სეპარატისტები. პიეტისტები სახელმწიფოსთან ალიანსში მყოფ ეკლესიას „ზამთრის ძილში" ჩაფლულად მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ნამდვილმა სარწმუნოებამ „ამ ციცი ეკლესიიდან თბილ გაკვეთილებზე" გადაინაცვლა. ამიტომ ისინი 1743 წლიდან მართავდნენ კერძო შეკრებებს ლოცვისა და ბიბლიის საათების სახით. მათ შორის იყვნენ ისეთი რადიკალებიც, რომლებმაც თავიანთ დედა ეკლესიასთან თითქმის ყოველგვარი აღმსარებლობითი კავშირი განყვიტეს. ასეთ მორწმუნეებს ეკლესიის სხვა წევრები და თვით პიეტისტები სეპარატისტებად მოიხსენიებდნენ. ასე და ამრიგად ჩამოყალიბდა სეპარატისტთა საკრებულოები.

აღნიშნული ისტორია და დეფინიცია ცნებისა „სეპარატისტები" ზოგადად ასე არის გადმოცემული სპეციალურ ლიტერატურაში:

„ისინი, რომლებიც ნამდვილ ქრისტიანობას მხოლოდ ეკლესიისაგან სრულ, სახელმწიფოსაგან კი ნაწილობრივ გამიჯნვაში ხედავდნენ, *სეპარატისტებად* იწოდებოდნენ: ისინი აღარც კი ესწრებოდნენ ღვთისმსახურებებს, თავიანთ ბავშვებს თვითონვე ნათლავდნენ, უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე, არ დებდნენ ფიცს და მათ ყველა მოყვასს შენობით მიმართავდნენ. პიეტისტებსა და სეპარატისტებს შორის თვალსაჩინო საზღვარი არ არსებობდა. *სინდისის თავისუფლება* მაღალ (სეპარატისტთა შორის კი სულაც უმაღლეს) ღირებულებად განიხილებოდა, რადგან მას ღვთის უშუალო საბოძვრად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ ამაქვეყნის ხელისუფალთა მიერ მისი ხელყოფა დაუშვებელია. *სახელმწიფოს კანონებს* პიეტისტი სეპარატისტების შეგნებაში მხოლოდ *ფარდობითი უფლება* ჰქონდა, *საღვთო კანონებს* კი, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, — უპირატესი!" (Föll 2002: 21).

უკვე სავსებით გასაგებია, თუ რატომ ოცნებობდნენ მაშინდელი შვაბი მორწმუნეები, განსაკუთრებით კი პიეტისტები, სამშობლოდან შორეულ ქვეყანაში გადასახლებაზე. ასეთ მისწრაფებებს აძ-

ლიერებდა არასასურველი ბუნებრივი მოვლენები: ხანგრძლივი გვალვები, გადაუღებელი წვიმები და წყალდიდობები, რაც იმდროინდელ ვიურტემბერგში ხშირად ხდებოდა. ამან და ბევრმა სხვა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ვითარებამ, რასაც უკვე შევეხეთ, იქაურ პიეტისტებში, განსაკუთრებით კი სეპარატისტებში, ესქატოლოგიური მოლოდინები წარმოშვა და გააღვივა რწმენა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მოახლოებულია. ეს არცაა გასაკვირი. ესქატოლოგიური აზრები და სულისკვეთება ამა თუ იმ ქვეყანაში მაშინ მძაფრდება, როდესაც მძვინვარებს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კრიზისი. ბით უმეტეს, თუკი ამას სტიქიური უბედურებანი და მეტეოროლოგიური კატასტროფები ემატება. თავზარდაცემული ხალხი და, განსაკუთრებით, ბიბლიის ასე თუ ისე მცოდნე ხალხი ასეთ მოვლენებში ხედავს ქვეყნის აღსასრულის ნიშნებს (შდრ. ესაია 13:6-9). ასე იყო ყველგან, მათ შორის საქართველოში, რაც ასახულია პროფ. კორნელი კეკელიძის გამოკვლევაში ,,ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში" (იხ.: მისივე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, ტ. 4, თბილისი, 1957, გვ. 105-109). ასე მოხდა ნაპოლეონის დროინდელ ვიურტემბერგშიც.

აღნიშნულ პერიოდსა და გარემოში გამოჩნდნენ ,,წინასწარმეტყველები", რომლებიც ეკლესიის ძველ ისტორიაში ერესად ცნობილ თეორიას — *ქილიაზმს ანუ მილენიუმს* ქადაგებდნენ. ქილიაზმი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „ხილიოი", „მილენიუმი" კი ლათინურისაგან — „მილლეო" და ნიშნავს: *ათასი, ათასწლეული.* ესაა თეორია ანუ, უფრო სწორად, წინასწარმეტყველება, რომლის დედააზრი ასეთია: ვიდრე წუთისოფელი არსებობას დაასრულებს და ყველა ცოცხალისა და გარდაცვლილის განკითხვა მოხდება, იესო ქრისტე კონკრეტულ ეპოქასა და დედამიწის კონკრეტულ სივრცეში „ათასწლოვან სამეფოს" დააარსებს. ეს თეორია ეფუძნება საღვთო წერილის ბოლო წიგნს — იოანე მახარებლისა და ღვთისმეტყველის გამოცხადებას ანუ აპოკალიფსს, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვიხილე ზეციდან ჩამომავალი ანგელოზი, რომელსაც ხელში ჰქონდა უფსკრულის კლიტე და დიდი ჯაჭვი. შეიპყრო (მან) გველეშაპი, ძველი გველი, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შებორკა ასი წლით. ჩააგდო იგი უფსკრულში, ჩაკეტა და დაადო ბეჭედი, რათა აღარ აცდუნოს ერები, ვიდრე ასი წელი არ შესრულდება. ამის შემდეგ კი უნდა გათავისუფლდეს მცირე ხნით. ვიხილე ტახტები და მათზე მსხდომარენი, და მათ მიეცათ სამსჯავრო, და იესოს მოწმობისა და ღვთის სიტყვისათვის თავმოკვეთილთა სულები,

რომლებმაც თაყვანი არ სცეს მხეცს, არც მის ხატებას და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლსა და ხელზე. ისინი გაცოცხლდნენ და მეფობდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს. სხვა მკვდრები კი არ გაცოცხლდნენ, ვიდრე არ შესრულდა ათასი წელი. ეს არის პირველი აღდგომა. ნეტარი და წმიდაა ის, ვისაც აქვს წილი პირველ აღდგომაში. მასზე ხელმწიფება არ აქვს მეორე სიკვდილს, არამედ ისინი იქნებიან მღვდლები ღვთისა და ქრისტესი და იმეფებენ მასთან ერთად ათას წელს" (20,1-6)[17].

ბუნებრივად დაისმის კითხვა: როდის და სად მოხდება ეს? ანუ: სად და როდის დამყარდება ქრისტეს „ათასწლოვანი სამეფო"? პასუხი ამ კითხვის პირველ ნაწილზე, ძველი იუდაური და ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, ასეთია: იერუსალიმში! მაგრამ როდის? სახარებაში გარკვევითაა ნათქვამი: „მაგრამ იმ დღეზე და უამზე არავინ იცის, არც ზეციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ" (მათე 24,36; მარკოზი 13,32). ამის მიუხედავად ეკლესიაში ძველი დროიდანვე ცნობილია „აპოკალიფსური გამოთვლები" ანუ კონკრეტული თარიღის გამოანგარიშების მცდელობანი. მე-2 საუკუნის მღვდელი მონტანი (მონტანიუსი), რომელიც ფრიგიაში (მცირე აზიაში) ცხოვრობდა, ამტკიცებდა, იესო ქრისტე არა იერუსალიმში, არამედ ქალაქ პეპუზიაში „უახლოეს მომავალში" მოვა და „ათასწლოვანი სამეფოც" იქ დამყარდებაო. ამავე საუკუნის ღვთისმეტყველი და მწერალი, ირინეოს ლიონელი, ფიქრობდა, რომ მეორედ მოსვლა მოხდება ქვეყნის შექმნიდან 6000 წლის გასვლის შემდეგ ანუ მეშვიდე ათასწლეულის დასაწყისშიო. „ქართული წელთაღრიცხვით", მაგალითად, ეს ათასწლეული დაიწყო 1396 წელს და, შესაბამისი წერილობითი დიკუმენტის მოწმობით, საქართველოში მეორედ მოსვლას ამ წელს დიდი გულისფანცქალით ელოდებოდნენ (შდრ. კორნელი კეკელიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 106-108). ეს არ არის გამონაკლისი: თუმცა მეორედ მოსვლის თარიღის გამოანგარიშება და შესაბამისი რწმენა-წარმოდგენები „ათასწლოვანი სამეფოს" შესახებ ერესად იქნა გამოცხადებული ჯერ კიდევ 431 წელს ეფესოს საეკლესიო კრებაზე, ასეთი რწმენა-წარმოდგენები მორწმუნეთა შორის სპორადულად შემდგომშიც იჩენდა თავს, მათ შორის გვიანი შუასაუკუნეების პრო-

[17] გერმანულ ვარიანტში ვსარგებლობთ ახალი აკადემიური თარგმანით, რომელიც შეასრულა და კომენტარები დაურთო ტიუბინგენის უნივერსიტეტის დამსახურებულმა პროფესორმა დოქტ. ჰერმან ლიხტენბერგერმა (Lichtenberger 2014: 255-256).

ტესტანტებშიც. ქილიაზმი დაგმობილია აუგსბურგის აღსარების მიერაც (თავი 17, 5), მაგრამ ეს მოვლენა არც ლუთერანული ეკლესიის გარკვეული წრეებისათვის აღმოჩნდა უცხო.

პიეტისტურ-ქილიასტური იდეები განსაკუთრებით ვიურტემბერგელ მორწმუნეებს შორის ვითარდებოდა, რადგან მათ იქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ნოყიერი ნიადაგი" ჰპოვეს. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი არის მოძღვარი და პრელატი იოანე ალბრეხტ ბენგელი (Johann Albrecht Bengel; 1687-1752). მან ფართოდ განიხილა იოანეს გამოცხადების ტექსტი და შეადგინა ნაშრომი სათაურით „Erklärte Offenbarung Johannes oder vielmehr Jesu Christi [იოანეს, უფრო კი, იესო ქრისტეს გამოცხადების განმარტება]" და მეორედ მოსვლის თარიღად 1836 წელი დაასახელა. ბენგელის მემკვიდრე გახლდათ იოანე ჰაინრიხ იუნგ-შტილინგი (Johann Heinrich Jung-Stilling; 1740-1817). ცნობილია მისი საპროგრამო სიტყვები: „Selig sind, die das Heimat haben, denn sie sollen nach Hause kommen [ბედნიერები არიან, რომლებსაც აქვთ სამშობლო, რადგან ისინი სახლებში დაბრუნდებიან]". ცნებაში „სამშობლო" ამ შემთხვევაში იგულისხმება ზეციური იერუსალიმი ანუ (ზოგადი აზრით) დაკარგული სამოთხე, ისე როგორც მომავალი „ათასწლოვანი სამეფო", რომლის ცენტრი იერუსალიმში უნდა განთავსდეს. ეს სიტყვები შვაბ პიეტისტთა შორის იერუსალიმის მონატრებას აღვივებდა და ისრაელის მიმართულებით გადასახლების სურვილს ახალისებდა. ასეთი მონატრებები და შესაბამისი გეგმები უფრო ცხადად და მკაფიოდ თეოლოგმა იოანე იაკობ ფრიდერიხმა (Johann Jakob Friederich; 1759-1827) გამოკვეთა. ამ თემაზე მისი ნაშრომი, რომელიც ანონიმურად გამოქვეყნდა და პოპულარობა მალე მოიხვეჭა, ასეთ ტიტულს შეიცავს: *Glaubens- und Hoffnungs-Blik des Volks Gottes in der antichristischen Zeit, aus den göttlichen Weissagungen gezogen von Irenäus U—us. Im Jahr Christi 1800, gewidmet allen denen die auf das Reich Gottes warten. Gedruckt im Monat October 1800 [ღვთის ხალხის რწმენისა და იმედის სხივი ძველქრისტიანულ ეპოქაში, ირინეოს უ—უს-ის საღვთო წინასწარმეტყველებით შემოსილი. ქრისტეს აქეთ 1800, მიძღვნილი ყველასადმი, ვინც ღვთის საუფეველს ელოდება. დაიბეჭდა ოქტომბრის თვეში 1800]*. მეცნიერებაში უკვე გარკვეულია, რომ ფსევდონიმი „Irenäus U—us" შემდეგზე უნდა მიგვანიშნებდეს: ფრიდერიხი თავის ქილიასტურ იდეებს ეკლესიის ადრეული ეპოქის მამებთან აკავშირებს და ირინეოს ლიონელის ტრადიციას იზიარებს (Föll 2002: 57). ავტორი იმეორებს და ამყარებს იმ წინასწარმეტყველური გამონათქამის ჭეშმარიტე-

ბას, რომლის მიხედვით ხილულ სამყაროში ქრისტე 1836 წელს მოვა და „ღვთის საიდუმლო აღსრულდება“. წიგნის დასკვნითი თავი ამ მოწოდებას შეიცავს: „სასწრაფოდ დააღწით თავი ამ საპყრობილეს და აღთქმულ ქვეყანაში გადადით“.

მოგვიანებით ისეთი აქტივისტი იდეოლოგებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც მეორედ მოსვლის თარიღის განსაზღვრაში ცვლილება შეიტანეს და ამტკიცებდნენ, აპოკალიფსური ათასწლოვანი სამეფო 1846 წელს არარატსა და იერუსალიმს შორის დაფუძნდებაო.

ასეთი წინასწარმეტყველური სიტყვებისა და ქადაგებები მეშვეობით ბევრმა გულუბრყვილო მორწმუნემ დაიჯერა, რომ ათასწლოვანი სამეფოს დასამყარებლად ქრისტე ან 1836, ანდა 1846 წელს მოვა და ევროპა ამ დროს სისხლის ტბაში ჩაიძირება. ამიტომ, დასძენდნენ აქტივისტი იდეოლოგები, ვისაც ხსნა სურს, დაუყოვნებლივ უნდა დაადგეს გზას აღმოსავლეთისაკენ, იერუსალიმისაკენ, ანდა კავკასიისაკენ მაინც, — არარატის მთის მიდამოებისაკენ! ისინი განმარტავდნენ: ეს ის ადგილია, სადაც, „ღვთის მსჯავრის შემდეგ, ნოეს კიდობანი გაჩერდა და კაცთა ნატამალი წარღვნისაგან გადარჩა; იქ, და მხოლოდ იქ, ახლა, ახალი სამსაჯავროს დროს, შვაბიის მხარის ღვთის ეკლესია დაცული იქნება; იქ, არარატის მთაზე, აღიმართება ზეციური იერუსალიმი; იქ გამოჩნდება უფალი იესო ქრისტე და ასწლოვანი სამეფოც იქ დაფუძნდება!“ (Föll 2002: 109).

იმ დროს სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ირიცხებოდა. ამის გამო პიეტისტი სეპარატისტები, რომლებიც „ათასწლოვან სამეფოსა“ და არარატის მთასთან მიახლოებაზე ოცნებობდნენ, პირველ რიგში ვალდებული იყვნენ, რუსეთის იმპერიაში შესვლის უფლება მოეპოვებინათ, რათა მიზანს და იდეალს — „ათასწლოვანი სამეფოს“ მოქალაქეობას — ზიარებოდნენ. იმ დროს რუსეთში ალექსანდრე I მეფობდა და ქვეყანა სამამულო ომს აწარმოებდა საფრანგეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ; რუსეთის ჯარები მტრის ჯარებს ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდნენ მეფესთან ერთად. ამიტომ ხსენებული უფლების მოპოვება უკვე ისე ადვილი აღარ იყო, როგორც წინა საუკუნეში. მაგრამ ეს პრობლემაც მოგვარდა და ამ საქმეში მათ დიდი დახმარება ბალტიისპირელმა ბარონესამ, იულია (იგივე იულიანე) კრუდენერმა (Juliane von Krüdener; 1764-1824) აღმოუჩინა.

იულია ანუ, სხვანაირად, იულია-ბარბარა კრუდენერის ცხოვრება და შემოქმედება კარგად არის გამოკვლეული და ცნობილი. ერთობ მომხიბლავი გარეგნობის ამ ქალბატონმა ახალგაზრდობა ერისკაცულ სიამოვნებათა ძიებასა და განცხრომაში გაატარა, სუ-

ლიერ გზას კი ორმოცი წლის ასაკში დაადგა. ის ბეჯით და ნაყოფიერ მისტიკოს თეოლოგად და ბელეტრისტად ჩამოყალიბდა. 1808 წელს იულია კარლრუეში იუნგ-შტილინგს ეწვია და მასთან, მის ოჯახში, გარკვეული დრო დაყო. მასზე დიდი გავლენა მოახდინა იუნგ-შტილინგის ნაწერებმა, განსაკუთრებით — თხზულებამ „Heimweh [დარდი სამშობლოზე]". იქ გაიცნო მან ისეთი გამოჩენილი პიეტისტი სეპარატისტები, როგორებიც იყვნენ: შვაბი წინასწარმეტყველი ქალი მარია კუმერი (Kummer), წინასწარმეტყველი ფრიდრიხ ფორტაინესი (Friedrich Fortaines), იოანე ფრიდრიხ ობერტონი (Johann Friedrich Oberlon), მენისქვილე იოანე იაკობ კოხი (Johann Jakob Koch) და სხვანი. ის მათი იდეებით მოხიბლულ იქნა.



იულია კრუდენერი

კრუდენერი რამდენიმე წლით დარჩა სამხრეთ გერმანიაში, სადაც ის ეგზალტირებულ მქადაგებელ წინასწარმეტყველად ჩამოყალიბდა. იქ მან შემდეგი წინასწარმეტყველებანი წარმოთქვა: კომეტის გამოჩენა 1811 წლისათვის, ხანძარი მოსკოვში 1812 წელს და ევროპის პოლიტიკური მომავალი რუსეთის სასარგებლოდ, რომლებიც გამართლდა. ამის გამო და ამის შემდეგ აპოკალიფსური განწყობილებები და მოლოდინები, მეტადრე შვაბ პიეტისტთა შორის, კიდევ უფრო გაძლიერდა. ყველასათვის ცხადი შეიქმნა (კრუდენერის წინასწარმეტყველებისა და ქადაგების მეშვეობითაც), რომ რუსეთთან ომში ნაპოლეონი მარცხისათვის იყო განწირული. ქალბატონ იულიას ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა იმპერატორ ალექსანდრე I-თან და, აი, 1815 წლის 4 ივნისს ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ქალაქ ჰაილბრანში, სადაც ხელმწიფე რამდენიმე დღით შეჩერდა. ის იქ ძალიან დაღლილი და სასონარკვეთილი ჩანდა, რადგან ფრონტიდან მისთვის სრულიად არასასიამოვნო ცნობები მოდიოდა. მხოლოდ მან (ბარონესამ) შეძლო იმპერატორის გამხნევება, რადგან ბრწყინვალე და საბოლოო გამარჯვება უწინასწარ-

მეტყველა, რაც რეალობად იქცა. ასე დაიწყო მეფე ალექსანდრეს რამდენიმეთვიანი მჭიდრო კავშირი თავის „ღვთისმოსავ" თანამემამულესთან (კრუდენერს რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდა): ისინი ერთად ჭამდნენ, ერთად კითხულობდნენ საღვთო წერილს და ერთად ლოცულობდნენ. მეფე ალექსანდრემ, როდესაც პარიზში შევიდა (ივლისის შუა რიცხვები), თან იახლა „საკვირველი ქალბატონი მოძღვარი" იულია მის ქალიშვილთან და მისსავე ეიურტემბერგელ თანამოაზრეებთან ერთად. საფრანგეთის დედაქალაქში ისინი სამ კვირას დარჩნენ; მონაწილეობდნენ საზეიმო მსვლელობებში და ცხოვრობდნენ როგორც ძლევამოსილი იმპერატორის საპატიო სტუმრები. ისინი ხოტბას ასხამდნენ რუსეთის მეფეს და მას იმ მხსნელ მეფესთან ათანაბრებდნენ, რომელსაც წარმოსახავს თავის ხილვაში წინასწარმეტყველი დანიელი (დანიელი 11). სწორედ მაშინ წარუდგინა ბარონესა კრუდენერმა რუსეთის ხელმწიფეს გერმანელი პიეტისტების, სეპარატისტებისა და, ზოგადად, ქრისტეს მალე მოსვლის მომლოდინეთა თხოვნა სამხრეთ კავკასიაში გადასახლებაზე ნებართვის შესახებ, რაც სიტყვიერად შეწყნარებულ იქნა.

ამიერიდან პიეტისტთა იდეოლოგებმა განახლებული ძალებითა და შემართებით გააჩაღეს კამპანია სამხრეთ გერმანიასა და შვეიცარიაში. მათი ქადაგებების ძირითადი თემები და მიზანი გახლდათ შემდეგი: ქვეყნის დასასრულის მოახლოება, ქრისტეს ეკლესიის რუსეთის მთიან ადგილებში გადარჩენა და კავკასიაში გადასახლების მსურველთა შეგულიანება. მაგრამ 1815 წლის ოქტომბერში, ალექსანდრე I-ის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბარონესას ვიურტემბერგში ვიზის გაგრძელებაზე უარი უთხრეს. ამის მიუხედავად მან მაინც მოახერხა რამდენიმე წლით დასავლეთ ევროპაში დარჩენა და საქმიანობის მეტი გულმოდგინებით ნარმართვა. თანმხლებ პირებთან ერთად ის მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და „ხალხთა დედის" სახელიც მოიხვეჭა. იმჟამად მის სამისიონერო ველში მეტწილად უპოვარი ადამიანები მოექცნენ, რაც არაა გასაკვირი, თუკი ქვემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ.

და მართლაც: იმდროინდელ ვიურტემბერგში უმძიმესი ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, რაც ძირითადად მოუსავლიანობამ განაპირობა. 1812-იდან 1817-მდე ცუდი წელიწადები ერთმანეთს მიჰყვა, რაც გამანადგურებელ დარტყმას პირველ რიგში წვრილგლეხობასა და მევენახეებს აყენებდა; მათ შორის გამძვინვარდა შიმშილი და ამ ვითარებას ბოლო აღარ უჩანდა. ამის თაობაზე მოგვითხრობს როიტლინგენის ქრონიკა:

„1812 ნოტიო, ცივი წელიწადი იყო ყინვითა და სეტყვითურთ, —

ერთობ მწირი წელიწადი ღვინის უმნიშვნელო მოსავლით [...]. 1813. უხვნალექიანი და სეტყვიანი ამინდები, ცოტა და უხარისხო ღვინო. [...]. 1814. ადრე გაზეფხულზე ღვინო გაიყინა. ზაფხული ისეთი ნესტიანი იყო, რომ ვენახები მიწას განერთხა [...]. 1815. ვაზის ლერწამნი სიცივისაგან ჯერ კიდევ ზამთარში დასკდნენ, აპრილში გაიყინენ. რაც ძლივს გადარჩა, შემოდგომაზე ისიც მოიყინა; არც ერთი საწნახელი არ გახსნილა, არც ხილი მოიწია. 1816. მაისსა და ივნისში თითქმის ყოველდღე წვიმს და უამინდობაა; ყანები თითქოს წყლით ვერ ძღებიან და ვენახები იტბორებიან. დიდი სეტყვები და წყალდიდობები. ერთი შეფელი კილიანი ასლი (ხორბლის სახეობა, ნ.პ.), რასაც სულთმოფენობას 5-6 გოლდენად ყიდდნენ, ივლისში უკვე 12-იდან 15 გოლდენამდე გაძვირდა. 31 ივლისს ალბში ჩამოთოვა. [...] დიდი ვაება და გაჭირვებაა მევენახეთა შორის. შვრია და ლობიო ვერც კი დამწიფდნენ ალბში და ზამთრად ველებშივე დარჩნენ აუღებლად. [...] წელიწადი მზარდი სიძვირითა და მათხოვართა გამრავლებით დასრულდა, რის საწინააღმდეგოდ ღარიბთა გაერთიანებები და სასუპეები გაიხსნა. 1817. [...] ფასები და დეფიციტი უსაშველოდ გაიზარდა. [...] ხალხი ლოკოკინებსა და ცხენის ხორცს ხარშავდა, ასევე — ხურტკმელს, გომბეშოებსა და ჭინჭარს ისპანახის ნაცვლად. [...] ხელისუფლებას ხორბალი შავი ზღვით ოდესიდან შემოჰქონდა, მაგრამ სანამ მოაღწევდა, ბევრი დაბრკოლება უნდა გადალახულიყო“ (Föll 2002: 124).

ეს ვითარება და მოვლენები მორწმუნეების, განსაკუთრებით პიეტისტების, მიერ აპოკალიფსურ ნიშნებად აღიქმებოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის აღსასრულის ჟამი ჩამოდგა. ქადაგი ქილიასტებიც შესაბამისად გააქტიურდნენ.

მოწოდებაში „უპოვართა მიმართ“, რომელიც 1817 წლის გაზაფხულზე გამეფებული შიმშილობის დროს არის შედგენილი და შვეიცარიასა და სამხრეთ გერმანიაში ვრცელდებოდა, ვკითხულობთ:

„უფალს სურს, რომ თავისი სამეფო ახლა დედამიწაზე დააფუძნოს. ამისათვის ის საჭიროებს ხალხს, რომელთა მეშვეობით შემოქმედებითი გეგმის განხორციელებას და კაცთა მოდგმის გამოსყიდვის დიადი საქმის სრულყოფას შეძლებს. ეს ხალხი ხართ თქვენ, და სწორედ თქვენ, ძვირფასო უპოვარნო, რადგან თქვენი მაცხოვარიც, თქვენი ხელმწიფეც, იესო ქრისტეც, არის ბაგაში დაბადებული უპოვარი. მას სურს, რომ თქვენ გაჭირვებისა და დევნილების გზით იმ ქვეყნებიდან გამოგიყვანოთ, რომლებზეც მისი სამართლისმიერი შიმშილობანი, ჟამიანობანი, მიწისძრვანი მოიწევა, სა-

დაც თქვენ ასე სასტიკად გექცევიან, სადაც ადამიანური კანონები ღვთიურ კანონებს უპირისპირდება. უფალმა უკვე სხვა, ახალი სამშობლო გაამზადა და გამოირჩია ის, რომელმაც უფლის ხალხის სახელი უნდა ატაროს. ისრაელის ხალხსაც ხომ ასევე ჩაგვრის გადატანა დასჭირდა ეგვიპტის ბატონთაგან, რათა ის ქვეყანა დაეტოვებინა. დადგა მეთერთმეტე, უკანასკნელი ჟამი. უპოვარ ადამიანებს უფალი საკუთარ ერად შეაკავშირებს. ახლა კი ის, დროის ნიშნის მეშვეობით, მოგიწოდებთ თქვენ: მოშორდით მდიდრებს! მორწმუნეებს ახალი მიწა მიემადლებათ. თქვენ მალე მიხვალთ იქ და დედამიწაზევე გაიგონებთ მოწოდებას: მოდით ჩემთან, ჩემი მამისაგან კურთხეულებო, და დაიმკვიდრეთ სამეფო, რომელიც თქვენთვის არის გამზადებული“ (Föll 2002: 108-109).

ბევრმა შვაბმა პიეტისტმა იწამა ეს წინასწარმეტყველება, რის გამოც სასწრაფოდ გაყიდა უძრავი და მოძრავი ქონება, — ავეჯი, ჭურჭელი, საქონელი და ფრინველი, სახლი და კარმიდამო. ისინი, აპოკალიფსური მოლოდინით დაზაფრულები, რუსეთის მთავრობისაგან ოფიციალურ ნებართვას არ დაელოდნენ და „აღთქმული ქვეყნისაკენ“ შესაბამისი ვიზის გარეშე გამოემგზავრნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გლობალურ კატასტროფასა და „ათასწლოვანი სამეფოს“ დაარსებამდე ცოტა დრო დარჩა. საქართველოსაკენ გამომგზავრების მსურველები 1817 წლის 28 მაისს შტუტგარტში შეიკრიბნენ და გამგზავრების თარიღად 1 ივნისი, ხოლო გამგზავრების ადგილად ქალაქი ულმი გამოაცხადეს. ამ დღეს ამ ქალაქში, დუნაის სანაპიროზე, 7000-ზე მეტი მგზავრი შეიკრიბა. უმრავლესობას პიეტისტები შეადგენდნენ, ძირითადად ვიურტემბერგიდან და ბადენიდან, მცირედნი — შვეიცარიიდან და ბავარიიდან. იყვნენ არაპიეტისტებიც, სხვადასხვა მიმართულების ლუთერანები, რომელთაგან ზოგიერთს, უბრალოდ, გერმანიიდან გაქცევა უნდოდა რაღაც მიზეზის გამო. ასე რომ, მგზავრთა ეს კოლონა სარწმუნოებისა და ინტერესების თვალსაზრისით ჰომოგენური არ ყოფილა. შედგა სამშობლოსთან გამომშვიდობებისა და გამგზავრების ცერემონია. გაიმართა ზეიმი და ლხინი „მუსიკითა და სიმღერით, ტრომბონებითა და საყვირებით“.

ამის შემდეგ მგზავრები დასხდნენ ბორნებზე და ხანგრძლივსა და ფათერაკებით სავსე მოგზაურობას შეუდგნენ. მთავარ ბორანზე ფრიალებდა დროშა, რომელზეც ეწერა: „Kayser Alexander Berufen von Gott zum Beschützer der Gläubigen [იმპერატორი ალექსანდრე ღვთისგან ხმობილი მორწმუნეთა დამცველად]“. პიეტიზმისა და სეპარატიზმის ხსენებული მქადაგებლებიდან კოლონას იაკობ კო-



ულმიდან საქართველოსკენ

ხი და გეორგ ფრიკი ხელმძღვანელობდნენ. ბარონესა იულია კრუდენერი მათ შორის არ იმყოფებოდა, რაც კოლონისტების გაკვირვებას და პროტესტსაც იწვევდა (Haigis, Hummel 2002: 169-171; Föll 2002: 140-149; მანჯგალაძე 1974: 25-26).

საქართველო ტაჰიტისა და იერუსალიმის წილ: და მაინც იერუსალიმი?

თუ რა გადახდა რელიგიური შიშით დაზაფრულ ხალხს გზაზე; რა გაჭირვებით მოიპოვეს მათ ბინა უცხო ქვეყანაში და როგორ წარიმართა ადაპტაციის პროცესი, სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. შესაბამისი წყაროები და ლიტერატურა ვრცლად არის წარმოდგენილი და განხილული პეტერ ჰაიგისა და გერტ ჰუმელის ნაშრომში „Schwäbische Spuren im Kaukasus. Auswandererschicksale [შვაბთა კვალნი კავკასიაში. გადასახლებულთა ბედი]" (Haigis, Hummel 2002: 198-244), აგრეთვე — რენატე ფიოლის ნაშრომში „Sehnsucht nach Jerusalem (Zur Ostwanderung schwäbischen

Pietisten) [ოცნება იერუსალიმზე (შვაბი პიეტისტების აღმოსავლეთში გადასახლება)]", რომელიც ტიუბინგენის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოსცა (Föll 2002: 131-151). ეს ამბები ჩვენც გვაქვს განხილული წიგნებში: ,,რელიგიის კარიბჭე" და ,,მსოფლიო რელიგიები საქართველოში". იხილეთ პარაგრაფი ამ გამოცემებში: „ლუთერანები და მათი ეკლესია საქართველოში" (პაპუაშვილი 1996: 303-310; პაპუაშვილი 2002: 156-162)[18].

ამჟამად შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ აეწყო ამ ხალხის საეკლესიო ცხოვრება ახალ გარემოში, რა ბედი ენია ქილიასტურ რწმენა-წარმოდგენებს და რა შესძინეს მათ, ახალმოსახლეებმა, იმ ერსა და ქვეყანას, სადაც ისინი ბედისწერამ გადაისროლა.

ირკვევა, რომ შვაბი პიეტისტების საბოლოო მიზანს ისევ და ისევ იერუსალიმში ასვლა წარმოადგენდა, რადგან სწამდათ, რომ „ზეციური იერუსალიმი" მიწიერი იერუსალიმის ადგილზე ჩამოეშვებოდა (შდრ. გამოცხ. 21). ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიას ისინი მდგმურობის ადგილად და დროებით თავშესაფრად განიხილავდნენ. მათ ჰქონდათ რწმენა და იმედი, რომ ნამდვილი სამშობლოს — „ასწლოვანი სამეფოს" — მოქალაქეობას მალე მოიპოვებდნენ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გერმანელი ემიგრანტები საქართველოში დაბინავდნენ.

გერმანელთა დასახლებები საქართველოში

გერმანელი ემიგრანტების პირველი ჯგუფი, 31 ოჯახი (181 კაცის შემადგენლობით), თბილისში 1817 წლის 21 სექტემბერს გამოჩნდა (Словинский 1902, 47: 2; სლოვინსკი 1902, 69: 2). ამ ჯგუფს მომდევნო წლებში სხვა, უფრო მრავალრიცხოვანი, ჯგუფები მოჰყვა. ისინიც თბილისის გუბერნიის სხვადასხვა მხარეში განთავ-

[18] იქ მითითებულ ლიტერატურას უნდა დაემატოს: ბურჭულაძე 1911; კარლ კოხისა და მორიც ვაგნერის ქვემოთ დამონმებული თხზულებები; კომახია 2007: 40-44; კოპალეიშვილი 2014: 17-96; საიუბილეო კრებულები: 1. საქართველოსა და... [2017] (ლიტერატურის სია, გვ. 131-132) და 2. გერმანული უმცირესობის... 2017; დანელია 2017: 50-69. ასევე სხვა ლიტერატურა, რასაც გზადაგზა მივუთითებთ.

სდნენ და 1818 წლის შემოდგომიდან 1819 წლის მიწურულამდე ამ რეგიონში (რომლის ნაწილი დღეს აზერბაიჯანის საზღვრებში არის მოქცეული) რვა კოლონია ანუ დასახლება დააარსეს (ფრონელი 1891: 2-3; გუგუშვილი 1949: 470-475; მანჯგალაძე 1974: 27-33; სონღულაშვილი 1995: 6-7; დანელია 2017: 51-53; Udsulaschwili 2006: 5-13).

ეს კოლონიებია (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, პირველ-მოსახლეთა რიცხვისა და ადგილმდებარეობის მითითებით):

მარიენფელდი 31 ოჯახით; კახეთის გზატკეცილზე, მდინარე იორთან, სოფელში სართიჭალა

ნოი-ტიფლისი ანუ **ახალი თბილისი** 51 ოჯახით. მოიცავდა მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და კუკიას (ანუ ახლანდელ დავით აღმაშენებლის, ყოფილი პლეხანოვის გამზირს და მის შემოგარენს). 1852 წელს ეს კოლონია, რომელიც ხელოსნებისაგან შედგებოდა, ქალაქს მიეკუთვნა

ალექსანდერსდორფი (დაერქვა ალექსანდრე I-ის პატივსაცემად) 23 ოჯახით; თბილისის მახლობლად, სოფელში დიდუბე

პეტერსდორფი (სახელწოდება მიიღო იმპერატორ პეტრე I-ის პატივსაცემად) 17 ოჯახით; მარიენფელდის მახლობლად; მოგვიანებით ამავე კოლონიას შეუერთდა

ელიზაბეტტალი ანუ **ელიზავეტტალი** 65 ოჯახით; დღევანდელი სოფელი ასურეთი

ეკატერინენფელდი ანუ **კატერინენფელდი** (სახელწოდება მიიღო ვიურტენბერგის დედოფლის ეკატერინე პავლეს ასულის პატივსაცემად) 116 ოჯახით; იგივე ბოლნისი (ბორჩალოს მაზრა)

ანენფელდი (სახელწოდება მიიღო ნიდერლანდების დედოფლის ანა პავლეს ასულის პატივსაცემად) 91 ოჯახით; შამქორის ველზე, განჯის ანუ, გვიანდელი სახელით, კიროვაბადის მახლობლად (ეს ტერიტორია ამჟამად აზერბაიჯანს ეკუთვნის)

ელენენდორფი (სახელწოდება მიეკუთვნა მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგინიას ელენე პავლეს ასულის პატივსაცემად) 130 ოჯახით; განჯის მახლობლად.

ყველა ეს კოლონია 1831 წელს 475 ოჯახს ითვლიდა და ორივე სქესის 2984 სულს აერთიანებდა (სონღულაშვილი 1993: 209).

აღნიშნული დასახლებებისა და მათი ეკლესიების ისტორია ასახულია როგორც გერმანულ, ისე ქართულ და რუსულენოვან წერილობით ძეგლებში. ეს ძეგლები დაცულია სხვადასხვა საარქივო

ფონდში და მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია. წინამდებარე მიმოხილვა უმთავრესად ეფუძნება საქართველოსა და რუსეთში არსებულ მასალებს (ხელნაწერებსაც და გამოქვეყნებულ ტექსტებსაც), რომლებიც ასახულია ქვემოთ დამოწმებული ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში. წყაროებისა და ლიტერატურის შედარებით სრული ბიბლიოგრაფია მოცემულია პრიფესორ პაატა გუგუშვილის გამოკვლევაში „გერმანელი კოლონისტები“ (გუგუშვილი 1949: 473. იხ. აგრეთვე გამოკვლევები: მანჯგალაძე 1974: 30-31; კუტალია 1993: 209,219; სონღულაშვილი 1995: 6-7; კოპალეიშვილი 2014: 22-41).

ნესტან თათარაშვილის, თათია ღვინერიას, თამაზ გერსამიას და ლეონარდ-ედუარდ ბრეიშის ერთობლივ ნაშრომში „გერმანული უმცირესობის კულტურული მარშრუტი საქართველოში“, რომელიც 2017 წელს ქართული, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა, აღნიშნულია, რომ გერმანელთა დასახლებების ზემოთ მითითებული რიცხვი რვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს ფაქტი, ცხადია, განაპირობა როგორც ძველ კოლონისტთა ბუნებრივმა პოპულაციამ და, შესაბამისად, განაყოფი, ანდა შვილობილი კოლონიების გაჩენამ, ისე სამხრეთ კავკასიის მასშტაბით გერმანელთა (მეტწილად ლუთერანთა) ახალი ნაკადის შემოსვლამ 1842 წელსა და მომდევნო წლებში. ამის გამო გერმანულთა თემი და, შესაბამისად, ევანგელისტ-ლუთერანების ეკლესია ამ რეგიონში ერთ-ერთ მძლავრ და გავლენიან ერთეულად ჩამოყალიბდა.

ახალი (1842 წლის შემდეგ გაჩენილი) კოლონიების რიცხვი, ზემოთ მითითებული, 2017 წლის, გამოცემის თანახმად, უდრის 30-ს. იქ ჩამოთვლილი, 1842 წლის შემდეგ დაარსებული, კოლონიებიდან აღსანიშნავია: ფროიდენტალი (აბასთუმანთან), ფროიდენტალი (მარიენფელდის მახლობლად), ლოჭინი ანუ, იგივე, მიხაელტალი (გარდაბნის რაიონი), ალექსანდერსჰილფი (ელიზაბეტტალის განაყოფი, ბოლნისის რაიონი), ბლუმენტალი (ელიზაბეტტალისა და ალექსანდერსდორფის განაყოფი), დმანისის გერმანული უბანი, ვალდჰაიმი (ალექსანდერსჰილფის განაყოფი), ვიზენდორფი (ელიზაბეტტალის განაყოფი), ბრინტალი (კატარინენფელდის შვილობილი დასახლება) და სხვა (გერმანული უმცირესობის 2017: 6,11,16).

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიების დაარსება საქართველოში

პირველი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში დაისმის, არის შემდეგი:

როგორ აეწყო საეკლესიო ცხოვრება ამ დასახლებებში?

ზოგადი სურათი ასეთია: იმედები დაიმსხვრა; საოცნებო სანახებამდე — არარატის მთამდე და იერუსალიმამდე — მიღწევა ვერ მოხერხდა (რუსეთის მთავრობამ მათ ამის საშუალება არ მისცა). თბილისი და მისი შემოგარენი, რაც ემიგრანტებს, როგორც ჩანს, თავიდან ასევე საოცნებო მხარედ წარმოედგინათ, სულაც არ აღმოჩნდა საოცნებო. ამან კი უმალვე სკეპსისი და მასობრივი დეპრესია გამოიწვია. პიეტისტი და ქილიასტი მორწმუნეები სამშობლოშიც და სამშობლოს გარეთაც ეულებად და გარიყულებად გამოიყურებოდნენ: მათ მხარეს არც ლუთერანული ეკლესია იდგა და არც გერმანიის მთავრობა (გავითვალისწინოთ, რომ პიეტისტ-ემიგრანტებს და ქილიასტებს ერთიც და მეორეც სეპარტისტებს და მოღალატეებს უწოდებდა).

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საქართველოში გადმოსახლებულ გერმანელ კოლონისტებს, ისე როგორც ვიურტემბერგელი პიეტისტების რადიკალურ ფრთას, თავდაპირველად პასტორები არ ჰყავდათ. პასტორ-მქადაგებლების ანუ მასწავლებლების მოვალეობას ის მორწმუნეები ასრულებდნენ, რომლებსაც მათივე თანამორწმუნეები შეარჩევდნენ. ასეთი მასწავლებლები კი მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფ ხალხს, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ ემსახურებოდნენ. ამის გამო კოლონისტებს შორის, მათ არარადიკალურ ნაწილში მაინც, გაჩნდა სურვილი, რომ დაბრუნებოდნენ ოფიციალურ ლუთერანულ ეკლესიას და კანონიერად დადგენილი პასტორები შეეძინათ.

ამის თაობაზე საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს ერთი საარქივო საქმე, რომელსაც ყურადღება ქართველ მკვლევართა შორის პირველად რუსუდან მაისურაძემ მიაქცია (მაისურაძე 2004: 292). ეს დოკუმენტი წარმოდგენილია ვილჰელმ შლატერის (Wilhelm Schlatter) ნაშრომში „Geschichte der Basler Mission 1815-1915 [ბაზელის მისიის ისტორია 1815-1915]", რომელიც საარქივო მასალებს ეფუძნება. ერთ-ერთი ასეთი მასალა არის ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოების პეტერბურგის განყოფილების თანამშრომლის, დოქტ. პინკერტონის, წერილი ბაზელის ევანგელისტური მისიის კომიტეტს, დათარიღებული 1818 წლის 27 ნოემბრით. ეს წერილი

აღნიშნულ კომიტეტს მიუღია 1819 წლის 25 იანვარს სხვა წერილებთან და დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც პეტერბურგიდან ბაზელში გაუგზავნია ხსენებული საზოგადოების მდივანს, — პატერსონს. დოქტორ პინკერტონის ინფორმაციის მეშვეობით მკითხველთა ფართო წრემ პირველად შეიტყო, რომ რუსეთის იმპერიაში და, კერძოდ, კავკასიაში ახალმოსული გერმანელები მძიმე პრობლემების წინაშე დგანან; თურმე არსებობს საშიშროება, რომ ისინი სარწმუნოების საკითხში „სავალალო უცოდინარობის მსხვერპლნი შეიქმნენ" (Schlatter 1916: 93).

პინკერტონი (Pinkerton), რომლის ტექსტი წარმოდგენილია თავში „Das Werk am Kaukasus [კავკასიის საქმე]", ბაზელის კომიტეტს შემდეგი ინფორმაციითა და თხოვნით მიმართავს:

„ისინი [კავკასიაში მცხოვრები გერმანელები] თქვენ დახმარებისათვის გიხმობენ. იქნებ შეძლოთ და [მათთვის] ორი ან სამი ღვთისნიერი ახალგაზრდა გამოაგზავნოთ, რომლებიც ამ გზააბნეული ცხვრების მოძებნასა და შეგროვებას მოახერხებენ. თუკი ამისათვის ფინანსური საშუალება როგორმე გამოიძებნება, ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდება. და მართლაც: მათი სულები ხომ არანაკლებ ფასეულნი არიან, ვიდრე წარმართებისა?! გერმანელები, რომელთათვისაც მე გთხოვთ, უმეტესწილად წარმართებით და მუსლიმებითა არიან გარემოცულნი. ასე რომ, თქვენს მისიონერებს შესაძლებლობა ექნებათ, იმავდროულად ამ ხალხსაც მოემსახურონ. [გთხოვთ] განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოთ ამ საქმეს. თუკი მას თქვენც იმავე თვალით შეხედავთ, როგორითაც მე, მზად ვარ, აღმოგიჩინოთ დახმარება მთელი ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში. მწამს, რომ ეს საქმე კურთხევით დაგვირგვინდება. შეგიძლიათ რუსეთის მთავრობის მეგობრული დახმარების იმედიც იქონიოთ" (Schlatter 1916: 94)[19].

ამ დოკუმენტის საფუძვლიანი ანალიზი, კერძოდ იმის გარკვევა, თუ ვის გულისხმობს ბიბლიური საზოგადოების თანამშრომელი[20] „წარმართებში" და კიდევ ბევრი სხვაც (მაგალითად, „მოემსახურენ" თუ არა ეს მისიონერები ადგილობრივ „მუსლიმთ და წარმართთ"), შორს წაგვიყვანს და ეს საგანგებო გამოკვლევას საჭი-

---

[19] ამ ტექსტის დედნის მოძიებასა და თარგმნაში დაგვეხმარა ტიუბინგენის უნივერსიტეტის დოქტორანტი თინათინ ხიდეშელი, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[20] ეს არის იგივე პინკერტონი, რომელთანაც კავშირი ჰქონდა ეპ. დოსითეოს ფიცხელაურს (იხ. ზემ.).

როებს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში იმის თქმაც საკმარისია, რომ შვეიცარიელი მისიონერები ბაზელიდან საქართველოში 1823 წლის ზაფხულში ჩამოვიდნენ, რათა თანამემამულე სეპარატისტები ანუ „გზააბნეული ცხვრები მოეძებნიათ და მოეგროვებინათ". ისინი იყვნენ სამნი: ფელიციან მარტინ ცარემბა (Felician Martin von Zaremba), აუგუსტ ჰაინრიხ დიტრიხი (August Heinrich Dittrich) და ჰაინრიხ ბენცი (Heinrich Benz) (მათ შესახებ იხ. Rohrbacher 2008: Personennamen-Register). ამ მისიის დამსახურება არის ის ფაქტი, რომ საქართველოში მცხოვრები სეპარატისტების დიდი ნაწილი XIX ს-ის 20-30-იან წლებში თავის დედა ეკლესიას, ტრადიციული ლუთერანული ეკლესიის წიაღს, დაუბრუნდა. ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიების გეგმაზომიერ მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში 1828 წლის 7 თებერვლიდან დაიწყო (Haigis, Hummel 2002: 249). ცნობილია აგრეთვე, რომ ამიერკავკასიის ლუთერანთა საეკლესიო ცხოვრება დაეფუძნა იმ წესდებას, რომელიც ბაზელის ინსტიტუტის მისიონერმა დიტრიხმა 1823 წელს შეიმუშავა და რომლის საბოლოო რედაქცია საქართველოს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიების კრებამ 1832 წელს დაამტკიცა (კუტალია 1993: 210-212, 219-221).


პირველი ნაბიჯების შესახებ

პირველი გერმანელი სწავლული (ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით), რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში თანამემამულეთა დასახლებები მოინახულა და მათ შესახებ საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა, გახლდათ ექიმი, ბუნებისმეტყველი და ფიზიკის პროფესორი დორპატის (ანუ დერპტის, იგივე ტარტუს, იურიევის) უნივერსიტეტში — დოქტ. ფრიდრიხ პაროტი (Friedrich Parrot; 1792-1841).

ფრიდრიხ პაროტმა 1829 წლის 30 მარტს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მინდობილობით, ხანგრძლივი და გაბედული მოგზაურობა წამოიწყო საქართველოსა და სომხეთის მიმართულებით, რაც აღწერილია მის ნაშრომში „Reise zum Ararat [მოგზაურობა არარატში]"[21] (პირველი პუბლიკაცია: ბერლინი, 1834). მოგზაური

[21] ეს ნაშრომი თანამედროვე ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში არ ჩანს. მასზე მიგვითითა პროფ. დოქტ. ჰერმან ლიხტენბერგერმა, რისთვისაც

ამბობს: „ჩვენი პატარა ქარავანი თბილისში 5 და 6 ივნისის ღამეს შევიდა“ (Parrot 1985: 23). ამ სიტყვებს მოსდევს ქართლისა და კახეთის რამდენიმე რეგიონის აღწერა შესაბამისი ექსკურსიების მიხედვით. ცნობები, რომლებსაც აქ ვხვდებით, მეცნიერების მრავალი დარგისათვის უაღრესად ფასეულია. რად ღირს, თუნდაც, ცნობები იმდროინდელი სახელმწიფო მოღვაწისა და პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა (1786-1846) და მისი ოჯახის შესახებ (Parrot 1985: 49-52). ყურადღება, ცხადია, გერმანულ დასახლებებზეც არის გამახვილებული, თუმცა ფაქტია, რომ მოგზაურის მთავარ მიზანს არარატის დაპყრობა და ნოეს კიდობნის კვალის შემოწმება წარმოადგენდა. ის თბილისიდან ერევანს 1 სექტემბერს გაემგზავრა (Parrot 1985: 52); ეწვია ეჩმიაძინს, გადავიდა სოფელ არგურში, და დაბინავდა წმ. იაკობის მონასტერში, საიდანაც დანარჩენ ხუთ კაცთან ერთად არარატის დიდ მწვერვალზე ასვლას შეუდგა. ამ ჯგუფში შედიოდა თბილისის სომხური სასულიერო სემინარიის სტუდენტი, შემდგომში ახალი სომხური ლიტერატურისა და ახალი სომხური სალიტერატურო ენის გუძემდებელი, საქართველოს დიდი მეგობარი — ხაჩატურ აბოვიანი (1805-1848), რომელიც მაშინ თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. ჯგუფი მწვერვალზე 1829 წლის 9 ოქტომბერს ავიდა. ეს თარიღი ალპინიზმის ისტორიაში არარატის დაპყრობის დღედ შევიდა, რაც იმდროისათვის, სპორტის ამ სახეობის განვითარების პირველი ეტაპისათვის, ერთობ თვალსაჩინო შედეგად მიიჩნევა. ამ ექსპედიციიიდან რამდენიმე წლის შემდეგ სოფელი არგური და წმ. იაკობის მონასტერი ჩამონოლილმა მთამ მინაში ჩაიტანა, რის გამოც ამ ადგილების პაროტისეული



ფრიდრიხ პაროტი

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ულ აღწერას (Parrot 1985: 120-178) დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ.

გერმანულ კოლონიებსა და კოლონისტებს, მათ ეკონომიკურ წინსვლასა და ადგილობრივ პირობებთან გაშინაურების პროცესს პაროტი რამდენჯერმე ეხება. ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ „მოგზაურობის" იმ ეპიზოდებს, რომლებშიც თანამემამულეებთან შეხვედრები და მათი ცხოვრების ამბები არის მოთხრობილი. ამჯერად რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებთ.

როდესაც მოგზაური და მთამსვლელი საქართველოში ბრუნდებოდა, ერევნის ბაზარში რამდენიმე, მისივე თქმით, „ევროპული ბუნებისა" და გარეგნობის ადამიანი შენიშნა. გაირკვა შემდეგი: ორი ვიურტემბერგელი ქალი და ხუთი ბავშვი ბაზრის გარშემო ცხენებს დაატარებდა და ერთმანეთში ნამდვილ შვაბურ დიალექტზე ლაპარაკობდა. „ისინი იყვნენ კოლონია კატარინენფელდიდან, რომელიც სპარსეთთან ომის (რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის, ნ.პ.) დასაწყისში ერთობ საგოდებლად გაიძარცვა და მტერთაგან გატაცებული მისი ბევრი წარმომადგენელი დღემდე დაკარგულია. ამ კეთილშობილი ადამიანების დახმარება მე არაფრით შემეძლო, რადგან უმთავრესი ოცნება, სახლებში დაბრუნება, მათ ისედაც უსრულდებოდათ. ისინი გაბრწყინებული თვალებით მთხოვდნენ მე, მათი [გათავისუფლების] ამბავი კოლონისტებისათვის მეცნობებინა, თუკი იქ მისვლა მათზე ადრე მომიხდებოდა" (Parrot 1985: 180-181).

ცხადია, იგულისხმება ყაჩაღთა ურდოს, მეტწილად ქურთი ყაჩაღების, თავდასხმა დასახლება კატარინენფელდზე (ბოლნისზე) 1826 წლის 26 აგვისტოს (შედარებით ვრცლად იხ. ქვემოთ). და, აი: ხსენებული გერმანელი ქალები და ბავშვები, იქიდან გატაცებულები, მაგრამ უკვე გათავისუფლებულები, სთხოვდნენ თანამემამულეს, თუკი მათზე ადრე ჩავა კატარინენფელდში, მათი ტყვეობიდან გათავისუფლების ამბავი მათ ოჯახისწევრებს და ნათესავებს ახაროს.

უეჭველია, რომ ამ შეხვედრამ და საუბარმა გერმანელი მოგზაურის სურვილი გერმანელთა დასახლებების მონახულებისა გააძლიერა. სოფელ შულავერში პაროტმა გაიგო, რომ ერთი ასეთი დასახლება იმავე მხარეშიც მდებარეობს, რის გამოც მისი მონახულება გადაწყვიტა. მოვისმინოთ მისი სიტყვები:

„(...) კოლონისტები ძირითადად ვიურტემბერგიდან წამოსული ადამიანები არიან, რომლებიც 1819 (sic! 1817, ნ.პ.) წელს განსაკუთ-

რებულმა სარწმუნოებრივმა ოცნებამ შეიპყრო და მათ მსხემობა შთააგონა. მაგრამ, მომქანცველი მგზავრობისა და ბევრი გაჭირვების გამოვლის შემდეგ, ისინი ახალ სამშობლოში ადგილობრივ წესებს ეგუებიან". ავტორი განაგრძობს თხრობას: „ჩემს თანამგზავრებს ჩემი ნივთების თბილისში ჩატანა ვთხოვე; გამოვეყავი მათ და მარტო დავადექი კოლონიისაკენ მიმავალ გზას. (...) ბოლოს და ბოლოს, ხუთსაათიანი ამხედრებული მგზავრობის შემდეგ, მდინარე [ხრამის] მარცხენა ნაპირის შემაღლებულ ადგილზე შევნიშნე გერმანული კოლონია — ჩემთვის კარგად ნაცნობი, გეგმაზომიერად ნაგები, თეთრი სახლები მოხდენილი ფანჯრებით, კარებებით და საკვამურებით. სიხარულით გავწიე მისკენ. ეს კატარინენფელდი გახლდათ. მქადაგებელი, ბატონი ბონევეჩი, სადღაც გამგზავრებულიყო. ნამდვილი ტრაქტირი არსად ჩანდა, ადამიანებმა კი, რომლებიც პირველად შემხვდნენ, საკმაოდ ცივად მიმიღეს. მაგრამ ვითარება სწრაფად შეიცვალა, როდესაც მე მათ ვუამბე, თუ როგორ ვნახე მოგზაურობის დროს ამ დასახლების კოლონისტები, რომლებიც ირანელთა ტყვეობიდან ბრუნდებიან" (Parrot 1985: 188). ამას მოსდევს ინფორმაცია „ქურთთა ურდოების" ვერაგული თავდასხმის შესახებ კატარინენფელდზე 1826 წელს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ავტორმა ეს ინფორმაცია ადგილზე თვითმხილველებისაგან მოისმინა, რის გამოც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ინფორმაციის თანახმად, 1826 წლის 26 აგვისტოს „საშინელ დილას" „სხვადასხვა სქესისა და ასაკის 30 პიროვნება მოისრა, 130 კი ტყვედ იქნა წასხმული[22]. დანარჩენები, მოულოდნელობისა და შიშისაგან დაზაფრულები, სასწრაფოდ გაიხიზნენ კოლონია ელიზაბეტტალში ყოველგვარი სარჩო-საბადებლის გარეშე. კატარინენფელდში იმ დროს 85 ოჯახი სახლობდა. მე რომ იქ მივედი, 65 ადამიანი ისევ ტყვეობაში იმყოფებოდა. წარმოიდგინეთ მათი სიხარული, როდესაც მე მათ შვიდი ტყვის სახლებისაკენ გამომგზავრების ამბავი ვამცნე. განსაკუთრებით კი დაღონებული ვიდმაიერის სიხარული წარმოიდგინეთ, რომლის ოჯახობა და სამი ბავშვი იმ შვიდს შორის იმყოფებოდა! მან მაშინვე მიხედა ჩემს სამგზავრო ცხენს, ხოლო სარდაფიდან ყურძენი და ჭიქა ღვინო გამომიტანა".

გერმანელი ემიგრანტი ქალების თავგადასავალი, რომელსაც

---

[22] არსებობს რამდენადმე განსხვავებული მონაცემები: მოკლეს 29 კაცი, ტყვედ წაიყვანეს 142 (გუგუშვილი 1949: 479); მოკლეს 70, ტყვედ წაიყვანეს 140 (მანჯგალაძე 1974: 36). რენატე ფიოლეს ხელთ მყოფი მასალის მიხედვით, დაატყვევეს 141 ადამიანი. მათგან ოჯახებს 91 ადამიანი დაუბრუნდა (Föll 2002: 162).

ავტორი ციტირებული სიტყვების შემდეგ გადმოგვცემს და რომელიც მან უეჭველად მათგანვე მოისმინა, არის მაგალითი, თუ რაოდენი ერთგულება და სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს ადამიანმა რწმენის საკითხში და რამდენად ლმობიერი და ტოლერანტული უნდა იყოს ადამიანი სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა მიმართ ყოველთვის და ყველგან. ასეთი სიმტკიცე აჩვენეს მათ, შვაბმა ქრისტიანებმა, ტყვეობაში და ასეთივე გულმოწყალება და ტოლერანტობა გამოიჩინეს მათმა მუსლიმმა მბრძანებლებმა ქრისტიანებისა და თანაც ტყვე ქრისტიანების მიმართ. ამ ქალების ბედსა და თავგადასავალს ტყვეობაში „მოგზაურობა" ასე წარმოგვიდგენს: ისინი, ყაჩაღთაგან ორგზის გაყიდვის შემდეგ, „თათართა მდიდარი მეთაურის" ხელში აღმოჩნდნენ; მის მეუღლეს სახლის დალაგებასა და ქალის სხვა საქმეშიც ეხმარებოდნენ. გამოხდა ხანი, მათგან სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვეს, რაზეც მათ მტკიცე უარი განაცხადეს. ამის თაობაზე შემდეგში ისინი აღარავის შეუწუხებია და საქმიანობას მშვიდად აგრძელებდნენ. მას შემდეგ, რაც სპარსეთში მშვიდობამ დაისადგურა, „ტყვეებმა თავისუფლება მოიპოვეს და იმ ბედნიერებასაც ეწიენ, რომ მბრძანებელმა ქალმა მათ ტანსაცმელიც აჩუქა და უკან დასაბრუნებელი ფულიც უწყალობა" (Parrot 1985: 189).

ამ შეხვედრისა და საუბრის შემდეგ მოგზაური ელიზაბეტტალში გადავიდა. ის იქ წარმატებულ მეწარმესთან, იოსებ მეტცგერთან (Joceb Metzger), დაბინავდა და მოინახულა მეზობლად მცხოვრები, უკვე „ძალზე დასნეულებული და სარეცელს მიჯაჭვული" პასტორი ვიორი (Pastor Wöhr). ამ სასულიერო პირის შესახებ თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში არაფერი არ არის ცნობილი (შდრ.: გერმანული უმცირესობის 2017: 64-69; საქართველოსა და [2017]: 85), თუმცა ის, — გოტლიბ ვიორი (Gottlieb W r), როგორც ელიზაბეტტალში მოღვაწე მისიონერი, მოხსენიებულია ჰაინრიხ რორბახერის ბიბლიოგრაფიაში (Rohrbacher 2008: 353). ჩანს, ის საქართველოში ზემოთ ხსენებული სამეულის (ფელიციან ცარემბას, ჰაინრიხ დიტრიხის და ჰაინრიხ ბენცის) ჩამოსელის (1823 წლის) შემდეგ ჩამოვიდა. ასე რომ, პაროტის ქვემოთ ციტირებულ სიტყვებს მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეებისა და მოღვაწეობის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს:

„ჩვენ ერთმანეთს ახალ-თბილისიდანაც ვიცნობდით. ამიტომ თავისთან მიმიხმო და დახმარება მთხოვა. მეც შევეცადე, გამეძლიერებინა მისთვის გადარჩენის იმედი, თუმცა მდგომარეობა ამის საფუძველს არ იძლეოდა. სამწუხაროდ ის მართლაც მალე გარდა-

იცვალა; გარდაიცვალა ორწლიანი თავდადებული სამსახურის, ღვანლის მრავალმხრივად განვრცობის შემდეგ; ღვანლისა, რომლის შედეგად მოხერხდა და სამრევლომ, რომელიც მხოლოდ 65 ოჯახისაგან შედგება, სოფლის ცენტრში, თანაც საკუთარი სახსრებით, მშვენიერი ეკლესია ააშენა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სპარსეთთან ომმა ამ სამრევლოზეც საგრძნობი გავლენა იქონია; სახელდობრ ის, რომ იქაურები შიშისა და დანანების გარეშე კარგა ხნის განმავლობაში იფარებდნენ და არჩენდნენ კატარინენფელდიდან ლტოლვილ კოლონისტებს, ვიდრე ისინი საგრძნობი ფულადი დახმარების მეშვეობით, რომელიც იმპერატორის წყალობით გამოიყო, ისე არ მოღონიერდებოდნენ, რომ კვლავ წელში გამართულიყვნენ" (Parrot 1985: 190).

ფრიდრიხ პაროტი გერმანელი ახალმოსახლეების შესახებ სხვა ცნობებსაც გვაწოდებს (Parrot 1985: 30-31,43,51), მაგრამ ამ ცნობებს ძირითადად სეკულარული ანუ სამოქალაქო შინაარსი აქვთ. ჩვენ ამ შემთხვევაში უფრო რელიგიური და საეკლესიო შინაარსის ცნობები გვაინტერესებდა.



რიჩარდ უილბრაჰამი

გერმანელთა დასახლებები საქართველოში მე-19 საუკუნეს ოცდაათიან წლებში სხვა ევროპელმა სწავლულებმაც მოინახულეს.

ინგლისელი მოგზაური და დიპლომატი რიჩარდ უილბრაჰამი (Richard Wilbraham; 1811-1900) საქართველოში 1837 წლის 1 სექტემბერს სპარსეთიდან შემოვიდა და 2 ნოემბრამდე დარჩა (იხ.: Wilbraham 1. 1839: 48-49; 2. 1839: 115-272. ქართული თარგმანი: უილბრაჰამი 1990: 16-50). ის აქ, თბილისში, გერმანელების სასტუმროში დაბინავდა და ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიებს „ახალ თბილისსა" და ალექსანდერსდორფში პირველად 3 სექტემბერს, კვირადღეს, ეწვია.

ამ სტუმრობის შესახებ უილბრაჰამის თხზულებაში „Travels in the Transcaucasian Provinces of Russia [მოგზაურობა რუსეთის სამ-

ხრეთ კავკასიურ პროვინციებში]" ვკითხულობთ: „ახალი თბილისის" „სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი მოსახლეობა ეკლესიისაკენ მიემართება. ქალები, სუფთა ქუდებითა და წელამდე მოსასხამებში მათი წითური თმებითა და ჭორფლიანი სახეებით, მართლაც, ვერ შეეცილებოდნენ სილამაზეში თავიანთ შავთვალა და გრძნობიერ მეზობლებს, მაგრამ მათი აკურატული და მოკრძალებული გარეგნობა საკმაოდ გამახალისებელია აღმოსავლელი ქალების უსუფთაო ტანისამოსს შეჩვეული თვალისათვის. შევიტყვე, რომ ახალი თბილისის ფრიად პატივცემული პასტორი მისტერ დიტრიხი ჯერ არ დაბრუნებულიყო აბაზანებიდან, სადაც ის სამკურნალოდ დადიოდა. საეჭვო იყო, გაიმართებოდა თუ არა წირვა ამ დილას. ამიტომ გავემართე ალექსანდერსდორფის პატარა კოლონიისაკენ, მდინარიდან რამოდენიმე მილით დაშორებული სოფლის (დიდუბის, ნ.პ.) ბოლოს. უხეში კონსტრუქციის პატარა ეკლესიაში წირვა უკვე დაწყებულიყო. პასტორი უბრალო, მაგრამ განათლებული კაცი, ნათლად და ენერგიულად კითხულობდა საღვთო წერილს. განსაკუთრებით მასიამოვნა სიმღერამ, თავისი მარტივი ჰარმონიით, რაც, სამწუხაროდ, იშვიათია ჩვენს ეკლესიაში" (უილბრაჰამი 1990: 19-20; Wilbraham 2. 1839: 125-126).

ამ სიტყვებიდან ვიგებთ, რომ პასტორი დიტრიხი იმ დროს, 1837 წელს, „ახალი თბილისის" ეკლესიაში მსახურობდა; ის თურმე ხშირად დადიოდა თბილისის განთქმულ გოგირდის აბანოებში სამკურნალო აბაზანების მისაღებად. მოგზაური, ჩანს, დაინტერესდა როგორც საქართველოში მცხოვრები კოლონისტების ნარსულითა და მათი კონფესიურობის საკითხით, ისე პასტორ დიტრიხის ნახვით და გაცნობით. ამიტომ ის „ახალი თბილისის" ეკლესიას მეორედაც ეწვია, რათა პირველ საკითხთან დაკავშირებით ცნობები უშუალოდ კოლონისტებისგანაც მიეღო. „მოგზაურობაში" ვკითხულობთ: „გერმანელი კოლონიების ნარმოშობა საინტერესო და უცნაურია: ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ ვიურტემბერგის სამეფოში ხმა დაირხა, რომ მალე მილენიუმი დადგებოდა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი უსიამოვნება და ეხილათ ქრისტეს მეორედ მოსვლა, ბევრი ოჯახი დაიძრა სამხრეთ რუსეთისაკენ. მათ წინ ძნელი გზა ედოთ და უნდა ითქვას, რომ ბევრი დაიღუპა. ბოლოს ოდესის მახლობლად დასახლდნენ (resp. შეჩერდნენ, ნ.პ.), მაგრამ რუსეთის მთავრობამ ისინი საქართველოში გადმოასახლა, რადგან იმედოვნებდნენ, რომ სანიმუშო მეურნეობას მოაწყობდნენ და მათ მიბაძავდა ქვეყნის მოსახლეობა. თავდაპირველად ისინი რელიგიური ინსტრუქციების გარეშე იყვნენ, მაგრამ ზოგმა გერმანელმა მისიონერმა, რომლებიც სომხებს შორის მოღვაწეობ-

დნენ, დაინახეს რა მათი ძალზე გაჭირვებული მდგომარეობა, კონსისტორიას მიმართეს და, თუმცა რუსეთის მთავრობამ გარკვეული სიძნელეები შეუქმნა, პასტორებმა თავისას მაინც მიაღწიეს. მას მერე იმპერატორი მათ მცირე გასამრჯელოს უხდის. გარეგნულად კოლონისტები ისეთივე გერმანელები არიან, როგორიც ვიურტემბერგიდან წამოსვლისას იყვნენ 18 წლის წინათ" (უილბრაჰამი 1990: 22; Wilbraham 2. 1839: 130-132).

როგორც ვხედავთ, ინგლისელმა მოგზაურმა გამოიკვლია და დარწმუნდა, რომ საქართველოს გერმანელი ემიგრანტები აქ, ამ ქვეყანაში, ძირითადად მილენიუმის რწმენამ და შიშმა მოიყვანა; ერთმანეთში უთანხმოებაც ამ ნიადაგზე აქვთ.

მისთვის, როგორც მოგზაური მკვლევარისათვის, ერთობ ნაყოფიერი აღმოჩნდა პასტორ ჰაინრიხ დიტრიხთან შეხვედრები 27 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს. ამის თაობაზე ის წერს: „ახალ თბილისში წავედი, მისტერ დიტრიხთან შესახვედრად, რომელსაც ვესაუბრე გერმანელთა კოლონიების შესახებ. შევწუხდი, როცა გავიგე, რომ ისინი გაჭირვებულად ცხოვრობდნენ. მე კი სანინააღმდეგოს მოველოდი. (...) მან, აგრეთვე, მითხრა, რომ კოლონისტებს შორის დიდი უთანხმოება იყო, ძირითადად რელიგიური რწმენის სხვაობის გამო. (...) კვირას ახალი თბილისის ეკლესიაში წავედი, — უბრალო, მოკრძალებული შენობაა, რომელიც ბოლო ხანს აუგიათ რუსებს. ეკლესია თითქმის ცარიელი იყო, ალბათ, ცუდი ამინდის გამო, რადგან მრევლის დიდი ნაწილი მდინარის გაღმა ცხოვრობს. მისტერ დიტრიხს ძალზე შთამბეჭდავი მანერა აქვს; უერცხლისფერი თმა და სახის კეთილი გამოხედვა კიდევ უფრო აძლიერებდა მისი მეტყველების ეფექტს. წირვა შესანიშნავად წარიმართა. ფსალმუნში კაცების ღრმა ბანს ერწყმოდა ბავშვების წკრიალა ხმები და სასიამოვნო ჰარმონიას ქმნიდა" (უილბრაჰამი 1990: 26-27,28-29; Wilbraham 2. 1839: 182,187).

გერმანელთა მესამე დასახლება, რომელსაც რიჩარდ უილბრაჰამი ეწვია, გახლდათ მარიენფელდი. მისი თქმით, იქ „ყველაზე შეძლებული კოლონისტები ცხოვრობენ", რადგან მათ დიდი ყანები და ვენახები აქვთ; ისინი გულკეთილებიც არიან, რადგან სტუმრებს გულუხვად უმასპინძლდებიან (უილბრაჰამი 1990: 33-34; Wilbraham 2. 1839: 196). აღნიშნული „მოგზაურობიდან" ისიც ჩანს, რომ იმხანად ქართველებისა და გერმანელების დამეგობრება, მათ შორის სუფრის ქართული წესისამებრ გაშლა იშვიათობა არ იყო. ამის მაგალითია სოფელ დუშეთის მკვიდრის მიერ გერმანელი ემიგრანტის სახლში მიპატიჟება, რაც ლუთერანი ემიგრანტების ადგილობ-

რივ მართლმადიდებლებთან ინტეგრაციის დაწყებაზე მეტყველებს (შდრ.: უილბრაჰამი 1990: 23,26-27,28-29; Wilbraham 2. 1839: 135).

აღნიშნული ეპიზოდებიდან ისიც ჩანს, რომ პიეტისტი სეპარატისტების ნაწილი ქილიასტური რწმენა-წარმოდგენებისაგან 1837 წელს უკვე გათავისუფლებული იყო.

ქილიაზმის ბედი საქართველოში

კოლონისტების დანარჩენი ნაწილი, რომელსაც ამ უთანხმოებაში რადიკალური პოზიცია ეჭირა, ქილიასტური მოლოდინისაგან შედარებით გვიან, მაგრამ მაინც გათავისუფლდა, რაშიც გადამწყვეტი როლი, როგორც ჩანს, ამგვარი მოლოდინების არგამართლებამ ითამაშა.

ეს არის დრამატული ამბებით გაჯერებული ისტორია, რომლის მოკლე მიმოხილვა, ძირითადი ლიტერატურის მითითებით, მოცემული გვაქვს ზემოთ დასახელებული ჩვენი ნაშრომების მითითებულ პარაგრაფში. ამიტომ აქ ყურადღებას იმ ნყაროებსა და დეტალებზე გავამახვილებთ, რაც იქ ასახული არ არის.

რადგან 1836 წელს არაფერი მოხდა, ქრისტეს მეორედ მოსვლას გერმანელი სეპარატისტები 1846 წლისათვის ელოდებოდნენ. ამასვე ირწმუნებოდა, თანაც საოცარი თავდაჯერებით, ერთი ეგზალტირებული და ქადაგად დაცემული ქალი -- ბარბარა შპონი. ის კოლონია ეკატერინენფელდში (იგივე ბოლნისი) ცხოვრობდა, მაგრამ სხვა კოლონიებშიც ბევრს მოგზაურობდა, თანამორწმუნეებს იერუსალიმში გამგზავრებისაკენ მოუწოდებდა და მათ იქ ათასწლოვან სამეფოში შეყვანასაც ჰპირდებოდა. სეპარატისტებმა, რომლებმაც ბარბარა შპონის ქადაგება ირწმუნეს, იერუსალიმში მარშით გამგზავრების თარიღად 1843 წლის 4 ივნისი გამოაცხადეს და გაემგზავრებოდნენ კიდეც, რომ არა ადგილობრივი პოლიციისა და ჯარის ნინააღმდეგობა, აქტივისტების დაპატიმრება, ანტიქილიასტური პროპაგანდის გაძლიერება (მანჯგალაძე 1968: 161-170) და ზოგიერთი სხვა მიზეზი, რასაც ქვემოთ შევეხებით.

დოკუმენტური მასალა იმის თაობაზე, თუ რა ატმოსფერო სუფევდა იმხანად საქართველოს გერმანულენოვან კოლონიებში, — რა სახის რელიგიური დინებები შეინიშნებოდა იქ, როგორ და რა ინტენსივობით ხდებოდა სეპარატისტების ოფიციალურ ლუთერანულ ეკლესიასთან დაბრუნება, ძირითადად დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. ქარ‹ულენოვანი ნაშრომები, რომლებიც

ზემოთ მივუთითეთ, ძირითადად ამ მასალას ეფუძნება. ამავე თემაზე ფასდაუდებელ ცნობებს გვაწოდებენ აგრეთვე გერმანელი მოგზაურები და მეცნიერები: კარლ კოხი (1809-1878) და მორიც ვაგნერი (1813-1887). ისინი თითქმის ერთსა და იმავე დროს (XIX საუკუნის 30-40-იან წლებში), ოღონდ სხვადასხვა გზებით და სხვადასხვა პროგრამით ეწვივენ საქართველოს და კარგად გაეცვნან ამ ქვეყნის რეალიებს. ორივე ავტორის შესაბამისი ნაშრომები: Karl Koch-ის „Reise von Redut-Kaleh nach Trebisond (Kolchis und das Land der Lasen)“ და „Ein Ausflug nach dem Kriegsschauplatz“ და Moritz Wagner-ის „Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseits des Kaukasus“.[23] კარგად არის ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში და თარგმნილია ქართულადაც (იხ. ქვემოთ, ლიტერატურა). ხსენებულ პირებს აინტერესებდათ ყველაფერი, რაც საქართველოსა და კავკასიას შეეხებოდა; ცხადია, ყურადღებას თანამემამულე კოლონისტების მისამართითაც ამახვილებდნენ და მათი ახალმოსახლეობის ამბებს გულდასმით აღნუსხავდნენ. ამ ამბებიდან ბევრს სარწმუნოებრივი შინაარსი და დატვირთვა ჰქონდა.



კარლ კოხი

კარლ კოხი 1836-სა და 1844 წლებს შორის ხუთჯერ შემოვიდა საქართველოში (Koch 1855: 291; კოხი 1981: 218). გერმანულ კოლონიებზე ის საგანგებოდ საუბრობს მეორე ნაშრომის პირველ თავში, საიდანაც ჩანს, რომ მისი თანამემამულეების საქართველოში აკლიმატიზაციის პროცესი მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს უკვე დამთავრებული იყო. მათი დიდი ნაწილი წარმატებით უძღვებოდა მეურნეობას და დოვლათითაც ხარობდა. ერთ კოლონისტს, გვარად ზალცმანს, თბილისში ისეთი სასტუმრო ჰქონდა გა-

[23] ბიბლიოგრაფიული მითითებები იხ. თანდართულ ლიტერატურაში: Koch. 1855; 1882; Wagner 1850.

მართული, რომელიც იმდროინდელ ევროპულ სასტუმროებს არ ჩამოუვარდებდა და უცხოელი არისტოკრატების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. კოხი მას „გერმანულ სასტუმროს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის იქ ცხოვრებით კმაყოფილია (Koch 1855: 285-286; კოხი 1981: 312-213). მოგზაურის ყურადღება განსაკუთრებით საქართველოში დაბადებული გერმანელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მეტყველებამ, მათმა შვაბურმა დიალექტმა და ნაციონალურმა ტანსაცმელმა მიიქცია. ჩანდა, რომ ახალი გარემო და საცხოვრისი კოლონისტების იდენტობასა და თვითმყოფადობას საფრთხეს არ უქმნიდა. ისინი, ერთი მხრივ, ეცნობოდნენ ადგილობრივ კულტურას და, მეორე მხრივ, თავიანთ კულტურას, იქნებოდა ეს კარტოფილი, სხვადასხვა ჯიშის მწვანილი თუ ყავა, მასპინძელი ქვეყნის ხალხს აცნობდნენ და ასე შეჰქონდათ წვლილი ადგილობრივი კულტურის გამდიდრების საქმეში.

ბევრ საინტერესო ცნობას და დაკვირვებას გვიზიარებს ხსენებული მოგზაური თანამემამულე კოლონისტების ცხოვრებიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას ყველაზე მეტად იქცევს მისი წიგნის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია დიდუბის კოლონიაზე (ალექსანდერდორფზე). იქ ნათქვამია, რომ კოლონისტები ამ ოცი წლის განმავლობაში კარგად მოეწყვნენ, ადგილობრივ ხალხზე უკეთესად ცხობრობენ, მაგრამ არ ინდომებენ, რომ ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გაიუმჯობესონო. კითხვა, რომელსაც ის ამ კონტექსტში სვამს, ასე ჟღერს: რატომ არ ამჟღავნებს დიდუბელი ახალმოსახლეების გარკვეული ნაწილი უფრო მეტ ენთუზიაზმს და შრომის ხალისს? მაგალითად: რატომ არ გამოჰყავთ მტკვრიდან არხი საკარმიდამოთა მოსარწყავად? ჩანს, რომ ისინი მომავალზე არ არიან ორიენტირებული და დაისმის კითხვა: რატომ? ასეთი გულგრილობის მიზეზად ავტორი „რელიგიურ ფანატიზმს" (Religiöse Schwärmerei) ასახელებს და ამბობს: „ნაწილი კოლონისტებისა დღესაც დარწმუნებული არიან, რომ ქვეყანას მალე საშინელი სამსჯავრო მოევლინება და განკითხვის დღეს ყველა უნდა ჩავიდეს იერუსალიმში, სადაც მალე ტახტზე მჯდომარე ღმერთი განსჯის მკვდარსა და ცოცხალს. ჩემს ჩამოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე აქ თურმე 70 წლის მოხუცი ქალი ქადაგად დაეცა, თავი ქრისტეს საცოლედ გამოაცხადა და ბევრი უბედურება დაატრიალა. მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების ენერგიის წყალობით და განსაკუთრებით ბატონ კოცებუს (პოეტის უმცროსი ვაჟის) მიერ მიღებული ზომებით მოხერხდა კიდევ უფრო დიდი უბედურების თავი-

დან აცილება" (კოხი 1968: 214-215; Koch 1855: 287-288)[24]. ცხადია, ლაპარაკია ბარბარა შპონსა და იმ მოვლენებზე, რასაც უკვე შევეხეთ და ქვემოთაც შევეხებით. კარლ კოხის ამ მონათხრობიდან იმასაც ვგებულობთ, რომ კოლონისტების საქართველოდან იერუსალიმში გამგზავრების განზრახვას თურმე ქურთი ყაჩაღების ყურამდეც მიუღწევია (არ არის დაზუსტებული, სად მცხოვრები ქურთების). მათ თადარიგი დაუჭერიათ, რათა მგზავრებს თავს დასხმოდნენ და გაეძარცვათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავარდნიათ, რადგან შვაბი ქილიასტები იერუსალიმში ველარ გაემგზავრნენ.

ამავე კოლონისტების სულიერ ცხოვრებაზე უფრო ვრცლად საუბრობს მორიც ვაგნერი. საგულისხმოა, რომ მან უარი თქვა ზემოთ ხსენებულ ზალცმანის სასტუმროზე და თბილისის სხვა კოლონისტის, პროფესიით ხარატის, ოჯახში დაბინავდა იმის მიუხედავად, რომ ეს ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო და კომფორტითაც არ გამოირჩეოდა. მეცნიერი და მოგზაური, ჩანს, ფიქრობდა, რომ ახალმოსახლე თანამემამულეების ცხოვრებას ასე უფრო კარგად შეისწავლიდა. მოლოდინი გამართლდა: მან აქ კოლონისტების რელიგიური განწყობილებებისა და ,,ეკლესიური უთანხმოების" შესახებაც ბევრი რამ შეიტყო. ხსენებული ოჯახი ,,საოცრად მორწმუნე", უფრო სწორად, — ცრუმორწმუნე აღმოჩნდა, რადგან კუდიანებისა და მოჩვენებების სჯეროდა და ექიმბაშებს უფრო ენდობოდა, ვიდრე ექიმებს. ვაგნერი ამბობს, ამ ოჯახის წევრებმა ეს ნაკლი ჩემი მეშვეობით დაძლიეს, როდესაც მე მათ ,,იტ ეინ აარ თროპფენ დერ აუდანუმ-თინკტურ ჰეფტიგე იარრჰჯე ბესეიტიგტე [ორი წვეთი ყაყაჩოს წვენის ნაყენით მძიმე ფაღარათი მოვურჩინე]"-ო (ჭაგნერ 1850: 59; ვაგნერ 2002: 54). ფაღარათისაგან განკურნებას, საკარაუდოდ, ქილიასტობისაგან განკურნებაც მოჰყვა. და მართლაც: ვხედავთ, რომ ჩვენმა მოგზაურმა და მეცნიერმა კოლონისტებთან ურთიერთობაში ანტიქილიასტური პოზიცია გამოავლინა. იგი კმაყოფილებით ადასტურებს ფაქტს, რომლის თანახმად მოახალშენეების დიდი ნაწილი სეპარატისტულ-ქილიასტური აზრებისაგან 1843 წლამდე გათავისუფლდა. აი, მისი სიტყვები: ,,იყვნენ ე. წ. სეპარატისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სამშობლოში წლიდან წლამდე მცირდებოდა რელიგიური სული და ძველი ღვთისმოშიშობა, ხოლო მის ადგილს იჭერდა მინიერი (ამქვეყნიური) ტკბობის სურვილი და რელიგიური გულგრილობა. ზოგიერთი მოხუცი სოფლელი მისტიკური აღტაცებით აცხადებდა საშინელი

[24] ამავე საკითხზე კარლ კოხი სხვა ნაშრომშიც საუბრობს: Koch 1882: 76-79.

სამსჯავროს დღის მოახლოებას და ცდომილი სამყაროს სწრაფ დაღუპვას, ამიტომ მთელი თავისი ფანატიზმითა და მიგრაციის წყურვილით ისწრაფოდნენ აღმოსავლეთისაკენ, რათა ახლოს ყოფილიყვნენ იერუსალიმსა და წმინდა საფლავთან. ამით ისინი ათასობით შეზღუდული გონების თანამემამულეებს აქეზებდნენ. გაჭირვებამ, რაც მოჰყვა ხანგრძლივ და უაღრესად მომქანცველ მგზავრობას, განკურნა მრავალი მათგანი აღტყინებისაგან, სხვები კი აქცია ახირებულებად და ჯიუტებად. სეპარატისტებს აღარაფერი სურდათ შეესმინათ ეკლესიისა და მღვდლებისა; ლოცვებისა და გალობისათვის თავის სახლებში იკრიბებოდნენ; (...) მათი გულები კვლავ აღგზნებული იყო ლტოლვის სურვილით აღთქმული ქვეყნის მოსახილველად" (ვაგნერი 2002: 62; Wagner 1850: 68).



მორიც ვაგნერი

ვაგნერი გააოცა, კოხის მსგავსად, თანამემამულე სეპარატისტების უინტერესობამ როგორც ამქვეყნიური ცხოვრების, ისე უკან დარჩენილი სამშობლოს (შვაბიის) ამბების მიმართ, ერთხელ არ უკითხავთ, ნეტა რა ხდება ახლა იქ, ჩვენს სამშობლოშიო, „(...) ისინი გაუთავებლად მიამბობდნენ თავიანთ ბედზე, ქურთებისა და სპარსელების თავდასხმაზე 1826 წელს, მათი თემების რელიგიურ განხეთქილებაზე, მღვდელზე, ინსპექტორზე და გენერალ-გუბერნატორზე, მაგრამ არასოდეს უკითხავთ ჩემთვის, თუ რა ვითარებაა სახლში — მშობლიურ გერმანიაში" (ვაგნერი 2002: 65,74; Wagner 1850: 71-72,88).

ვაგნერის „მოგზაურობიდან" ეგებულობთ, რომ ეს ინდიფერენტიზმი, მეორედ მოსვლის მოლოდინით გამოწვეული, თურმე ,,საქართველოს მოწმენდილ ცაზე ერთი კომეტის გამოჩენას" გაუძლიერებია. კომეტა სწორედ 1843 წლის ზამთარში გამოჩენილა, რასაც

სეპარატისტებისათვის თავზარი დაუცია; შეუწყვეტიათ სამინათმოქმედო სამუშაოები, გადაუწყვეტიათ სახლ-კარის გაყიდვა და იერუსალიმში წასვლა სამყაროს თითქოსდა მოახლოებული აღსასრულის გამო. ამ აზრებს თბილისსა და მის შემოგარენში მკერავი დანიელ მაიერი – „ლოცვის საღამოთა ეგზალტირებული თავმჯდომარე" — ნერგავდა. მას ბარბარა შპონთანაც გაუბამს ალიანსი და თავადაც ქადაგად დაცემულა. მოგზაური დასძენს: „ხოლო როცა ხმა დაირხა, რომ კატარინენფელდელმა ღვთისმოსავმა ქალმა -- შპონმა (სეპარატისტთა ხელმძღვანელობაში ის ითვლება წინასწარმეტყველად) სიზმრად ნახა მხსნელი, რომელსაც მოუწოდებია პალესტინისაკენ წასვლა, ატყდა ნამდვილი საგიჟეთი თვით იმათ რიგებიდანაც, რომლებიც მანამდე ეკლესიასა და მღვდლებთან კავშირში იყვნენ და სეპარატისტების საქციელს აძაგებდნენ. ისინი დღითიდღე თითო-თითოდ, ზოგი კი მთელი ოჯახებით გადადიოდნენ ნასვლის მოსურნეთა მხარეზე. შეკრებებზე ნოი-ტიფლისში, ალექსანდერსდორფსა და კატარინენფელდში დილიდან გვიანობამდე ლოცულობდნენ, გალობდნენ და უხამს სისულელეებს ყბედობდნენ. ისინი მოითხოვდნენ მთელი ქონების გაყიდვას ხაზინის ვალის დასაფარავად; რაც დარჩებოდათ, სურდათ დაერიგებინათ ქვეყნის ღარიბებისათვის; ისინი არ თვლიდნენ საჭიროდ ფულის თან წაღებას, რადგან მხსნელმა აღუთქვა მანანათი დაპურება; ისინი ამბობდნენ, რომ მათ კომეტა გამოუგზავნა იერუსალიმისაკენ გზის მაჩვენებლად! (....) ამ სექტანტების უჩვეულო საქციელის ახლო გაცნობის სურვილმა მიმიყვანა მკერავ დანიელ მაიერის სახლში. მასთან შეკრებილიყო ხუთი ოჯახი; ისინი ისხდნენ ხის სკამებზე და წარმოთქვამდნენ მონოტონურ რელიგიურ საგალობლებს. ჩემი თხოვნა, რომ დავსწრებოდი მათ ლოცვას, სიამოვნებით დააკმაყოფილეს და განაგრძეს ლოცვა-გალობა; შემდეგ მათ პაუზა გააკეთეს და დანიელ მაიერმა ხმამაღლა წაიკითხა ადგილი ბიბლიიდან. მას ჰქონდა მოგრძო, გამხდარი, მოყვითალო ფერის, გამომეტყველი სახე; წვეტიანი, -– ბოლოში ქვევითკენ ძლიერად მოკაუჭებული ცხვირი და წაწვეტებული ნიკაპი; შუბლი გამუდმებით ეღარებოდა ლაპარაკის დროს.. მისი ნაკვთები მიუთითებდნენ სულიერ და ხორციელ განცდებზე; ის ჩანდა დადარდიანებული და უდროოდ დაბერებული. მასთან ერთად მაგიდას ოთხი სხვა კაცი უსხდა. მოშორებით, ცისფერი ზოლებით განყობილ კაბებში ისხდნენ ქალები და ქალიშვილები. მათ შორის შევნიშნე ერთი ლამაზი სახე, აღვსილი სიმშვიდით, თვინიერებით და უმწიკვლოებით. როგორ შემეცოდა საბრალო ბავშვი, რომელიც შეგნებულად იყო ჩართული ამ ფანატიკურ საქმიანობაში! (....) სამი საათის ყოფნის შემ-

დეგ წამოვედი სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ შინაგანად შეწუხებული ამ საბრალო თანამემამულეთა საოცარი უგუნურებით“ (ვაგნერი 2002: 65-67,85; Wagner 1850: 74-77,103).

ავტორი ვრცლად აღწერს იერუსალიმში გამგზავრების სამზადისა და ღვთისმსახურებას, რომელიც ამ სამზადისს ახლდა. ის საგანგებოდ ჩავიდა ელიზაბეტტალსა და კატარინენფელდში, რათა ენახა, როგორ მიმდინარეობდა ეს სამზადისი და რა მოხდებოდა იქ, კატარინენფელდში (ბოლნისში) 1843 წლის 4 ივნისს: მოახერხებდნენ თუ არა თანამემამულე სეპარატისტები პალესტინისაკენ მარშით გამგზავრებას, როგორც ეს მათ დაგეგმილი ჰქონდათ?

კოლონია ელიზაბეტტალში, სოფელ ასურეთში, ის შეხვდა სეპარატისტების მესამე ლიდერს (ბარბარა შპონისა და დანიელ მაიერის შემდეგ), სახელად ბებლეს, რომლის მიმდევრები ცნობილი იყუნენ სახელით „Beblianer [ბებლიანელები]“. იმ დროს ისინი კატერინენფელდში ჩასასვლელად და სხვა თანამორწმუნეებთან ერთად პალესტინისაკენ, იერუსალიმისაკენ, მარშისათვის ემზადებოდნენ. მოგზაური წერს:

„რელიგიური აღტყინება, რამაც გეორგიაში ჩემი ყოფნისას გერმანელ მოახალშენეებში კვლავ ასეთი საოცარი ხმაური ატეხა (ზმანებანი გამოიწვია, ნ.პ.), ელიზაბეტტალსაც ვერ აცდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ ცოტანი იყვნენ ნამდვილი სეპარატისტები, რომლებშიც პალესტინისაკენ ხეტიალის სურვილმა ნამდვილი ძალით გაიღვიძა. ამის საწინააღმდეგოდ, მისტიციზმითა და სულიერი სიბნელით მოტყუებულმა გლეხმა, სახელით ბებლემ, მიმდევრები გაიჩინა და ახალი სექტა შექმნა, რომლებსაც უწოდებდნენ „ბებლიანელებს“. ეს პიროვნებები თავის თავს ნამდვილად თვლიდნენ განსწავლულებად (ნათელღებულებად, ნ.პ.) და რჩეულებად; განუდგნენ ეკლესიას და ევანგელიეს თავისებურად ხსნიდნენ. ელიზაბეტტალის კოლონისტთა უმრავლესობა უფრო გონიერი აღმოჩნდა და ამ უგუნური (ექსცენტრიკული, ნ.პ.) მოქმედებისაგან შორს დადგა; მეზობელი კატარინენფელდი კი მალე კინაღამ დაღუპვამდე მიიყვანა. (...) რუსმა პოლიციის ინსპექტორმა ერთხელ სცადა რუსულ ყაიდაზე — მათრახით — მოევლო ამ საქმისათვის, მაგრამ ხალხი ამით უფრო გაჯიუტდა, უფრო ფანატიკური გახდა და უწინდელზე მეტად შეაქციეს ზურგი ეკლესიას“ (ვაგნერი 2002: 78; Wagner 1850: 93-94).

კატარინენფელდში (იგივე ეკატერინენფელდში, ბოლნისში) მოგზაური 1826 წლის 26 (ძველი სტილით 14) აგვისტოს მომხდარი დარბევის თვითმხილველებსაც შეხვდა. მათი საუბრიდან მკვლე-

ვარმა ამ ტრაგედიის ბევრი ისეთი დეტალი შეიტყო, რაც ჩვენი თემისთვისაც საყურადღებოა. „მოგზაურობაში" ვკითხულობთ:

„კატარინენფელდი ყველაზე ლამაზი გერმანული კოლონიაა კავკასიონის იქითა მხარეს. ის მდებარეობს ელიზაბეტტალიდან 20 ვერსზე, ხოლო ტფილისიდან თითქმის ერთი დღის სავალზე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მაღალი ტყიანი მთები ერტყმიან გარშემო ლამაზ ხეობას, რომელზეც მხიარული ჩხრიალით მოედინება ბამბაკის მთებიდან გამომავალი მდინარე ჯავალა. სოფელი ნაკლებ თანაბარზომიერადაა ნაშენები, ვიდრე ელიზაბეტტალი; ასევე აკლია ლამაზი ეკლესია თეთრი სვეტებით. სოფლის შუაგულში მდგომი ჩალით დაფარული სამლოცველო მეტად უბრალო შესახედი იყო. ამის მიუხედავად მისი პატარა ზარი მელოდიურად, ღვთისნიერად და სასიამოვნოდ ეღერდა [როგორც რომელიმე ხეობაში ფოთოლთშრიალი]. (....)

1826 წლის საშინელი უბედურება რომ არა, ამ ახალშენის ზედმეტსახელს — «ულამაზესი», დაემატებოდა შეუდარებლად ტკბილად მჟღერი ტიტული «უმდიდრესი». მაგრამ სპარსელთა ნაქეზებით ქურთებისა და თათრების ყაჩაღური ბრბოების თავდასხმამ მას ისეთი ჭრილობა მიაყენა, რომელიც ჯერაც არ მოუშუშებია. დღესაც ყველა კატარინენფელდელს პირზე აკერია საშინელი დღე; ზამთრის გრძელ საღამოობით სართავთან მჯდომი ბებიები მის შესახებ უყვებიან პატარა შვილიშვილებს, რომლებიც ამ ამბავს არ მოსწრებიან. მეც ხშირად მესაუბრებოდნენ კოლონისტები. ერთ დახუთულ აგვისტოს საღამოს გლეხები ჩვეულებისამებრ დაღლილები დაბრუნდნენ მინდვრის სამუშაოებიდან და უდარდელად მიეცნენ მოსვენებას. არავითარი ნიშანი არ აფრთხილებდა მათ, რომ კატასტროფას შემზადებული დახვედროდნენ. თუმცა იცოდნენ, რომ ორი თვის წინ შორს მდებარე კოლონიებს — ჰელენენდორფს და ანენფელდს — თათართა ბანდები დასცემიან. მაგრამ ეს სოფლები მდებარეობენ მტრის საზღვართან ახლოს; მოსახლეობის მეტი ნაწილი სასწრაფო გაქცევით გადაურჩა თათართა იარაღს. კატარინენფელდში ნაკლები შიში ჰქონდათ, რადგან იმედი ჰქონდათ თბილისიდან სწრაფი დახმარებისა. (.....) მტერი, რომლის ადგილსამყოფელის შესახებ ეტყობა არასრული ცნობა ჰქონდათ, უეცრად გადმოვიდა ბამბაკის მთაზე; ღამემ და ტყემ დამალა მათი მოახლოება.

მზის ამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ამხედრებული ბანდები სოფელს მოადგნენ. საშინელი ყიჟინით შეიჭრნენ ქუჩებში. მძინარეები ლოგინებიდან წამოყარეს. (....) საწყალი შვაბები, რომელთა თავებზე მუქარით ელავდნენ თათრების მოკაკული ხმლები, ხოლო

შემზარავი ქურთები ცხვირთან უტრიალებდნენ ბამბუკის შუბის წვერებს, მოთქვამდნენ, ტიროდნენ და ემუდარებოდნენ, მაგრამ ასეთი რამ ბარბაროსებზე ნაკლებად მოქმედებდა. ველურმა ბრბომ გიჟურად გაიქროლა სოფელში, აჩეხა და გმირა ყველა, ვინც გაქცევა, ანდა ქონებისა და თავის დაცვა მოინდომა. სეპარატისტებს ამჯერად მხსნელად მოევლინა მათი ძლიერი იმედი ღმერთი-სადმი. სწორედ ისინი, ვინც მოთქმის ნაცვლად სტოიკური სიმშვიდით უცდიდა თავის ხვედრს, უფრო გადარჩა, ვიდრე სასოწარკვეთილები.



Der Schreckenstag von Katharinenfeld am 14. Feb. 1826.

«ჩვენ გვეგონა, რომ დადგა საშინელი სამსჯავროს დღე», მიამბო ერთმა მოხუცმა სეპარატისტმა. «სოფელში ისეთი ხმაური იყო, როგორც ქარიშხლის ღრუბლის (ანუ ქარბორბალას, ნ.პ.) დროს. ჩემმა ბავშვებმა მაშინ გაიღვიძეს, როცა ერთმა მხედარმა ფანჯრის დარაბებს ესროლა და ტყვიები (resp. მინის ნამსხვრევები, ნ.პ.) ოთახში დაცვივდა. დედა გამოვარდა საწოლიდან და გააღო დარაბა, მაგრამ მაშინვე შეშინებული უკან გადმოხტა ყვირილით: ფანჯარაში ეშმაკი იყურება გარედან! ეშმაკი? გეგონებოდა ათასი ეშმაკი დაძრწოდა სახლის წინ, ისე საზიზღრად ღრიალებდნენ და ფრუტუნებდნენ გარეთ მხედრები და ველური ცხენები. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ჯოჯოხეთური ჟლეტა და სროლა, ყვირილი, მოთქმა და ტირილი ჩვენებისა. უცებ გაისმა ჩვენი სამლოცველოს ზარის ხმა, რომელიც თითქოს თავისით რეკავდა; ამან უფრო გვაფიქრებინა სამსჯავროს დღის მოსვლა. მაგრამ ეს ყოფილა სოფ-

ლის მასწავლებლის ბიჭი, რომელმაც ზარს ვამოჰკრა, რათა გასაჭირი ეცნობებინა. ამის გამო ერთმა ქურთმა ბიჭი შუბით მიაჭედა კედელზე. მე ჩემს ცოლს ვუთხარი: მოდი, ვილოცოთ, ცოდვილი სამყარო სრულდება! ჩვენ მუხლებზე დავემხეთ და ბაგშვებმაც იწყეს ჩვენთან ერთად ლოცვა. ამასობაში გაიღო ოთახის კარი და იგი შემზარავი ხალხით გაივსო. ჩვენ კი განვაგრძობდით ხმამაღლა ლოცვას და არ ვაქცევდით ყურადღებას, თუ როგორ იქნევდნენ ჩვენს თავს ზემოთ ხმლებს და ხანჯლებს. მე მზად ვიყავი სიკვდილისათვის და აუღელვებლად დავიყვირე: აღსრულდა ღმერთის სურვილი! როცა გავიგე, რომ უცხოები თათრულად ლაპარაკობდნენ, მივხვდი, რომ ეს სულები კი არა, მკვლელები და ყაჩაღები იყვნენ, რომელთაც ჩვენი ქონება და სიცოცხლე სურდათ. ჩვენ ალბათ ყველას დაგვხოცავდნენ, ერთ ხნიერ თათარს - - ალბათ სასულიეროს -- რომ არ შეეჩერებინა დანარჩენები. „ისინი თავიანთ ღმერთს ელაპარაკებიან, თქვა ხანშიშესულმა, -- ბენვიც კი არ დააგდებინოთ!" შემდეგ გააღეს შკაფები და სკივრები და, რაც იპოვნეს, ყველაფერი ამოიღეს. ერთმა მოინდომა ჩემი პატარის ძაღით მოტაცება. ბავშვი დედამისს ჰყავდა ხელში და სიცოცხლეს უფრო წაართმევდნენ, ვიდრე ბაეშვს. ყაჩაღი მას დაემუქრა, მაგრამ მოხუცი კვლავ შუაში ჩაუდგა. სახლი მათ დატოვეს, როცა პირნმინდად დაარბიეს. ჩვენ კი ღმერთს ვმადლობდით გადარჩენას».

კატარინენფელდის ყველა მცხოვრები არ გადარჩენილა ასე იოლად, როგორც ეს სეპარატისტები, რომლებიც ლოცვამ იხსნა. ოცდაათი ადამიანი მოკლეს, სამოცდაათი ტყვედ ნაასხეს. საზარელი ბანდები მხოლოდ რამდენიმე საათს შეყოვდნენ, რადგან, უეჭველია, ეშინოდათ კაზაკთა თავდასხმისა" (ვაგნერი 2002: 80-83; Wagner 1850: 97-101).

ვაგნერმა საკმაოდ ვრცლად აღწერა ხსენებული კოლონიის, კატარინენფელდის, რელიგიური ვითარება, რომელიც 1843 წელს, ივნისის პირველ რიცხვებში, უკიდურესად გამძაფრდა. ის იქ შეხდა და გაესაუბრა თანამემამულე ქილიასტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც არაჩვეულებრივი მარშისათვის ემზადებოდნენ. ისინი იყვნენ ეგზალტირებულნი და დარწმუნებულნი, რომ დათქმულ დროს გამოჩნდებოდა ღრუბელი და ქრისტე ამ ღრუბელზე, — მათი წინამძღვარი და უძლეველი მხედართმთავარი აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე. მოკლედ: ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ოთხ ივნისს, ქილიასტმა სეპარატისტებმა გუდანაბადი აიკრეს, თოთო ბავშვები ხელში აიყვანეს, სახედრები დატვირთეს და ზეცისაკენ აღაპყრეს მზერა სანატრელი ღრუბლის გა-

მოჩენის მოლოდინით. ლოდინი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ამაოდ! ამასობაში დასახლების კარიბჭეს ხიშტმომარჯვებული კაზაკები მოადგნენ.

მოვუსმინოთ თვითმხილველს:

„კატარინენფელდში ჩემი ყოფნისას სეპარატისტებმა კვლავ მიატოვეს სამუშაოები. მათი ერთადერთი აზრი იყო სამსჯავრო დღე; მათი ერთადერთი სევდა — იერუსალიმი. სეპარატისტები უფრო შეძლებული გამხდარიყვნენ, ვიდრე სხვა კოლონისტები, რადგან უბრალოდ და მომჭირნედ ცხოვრობდნენ. და მთელ თავის დროს მხოლოდ სამუშაოსა და ლოცვას ანდომებდნენ. ახლა, როცა კომეტამ და მოხუცი ქალის წინასწარხედვამ მოახლოებული სამსჯავროს დღის შესახებ უეჭველად უფრო იმოქმედა, მათ გაყიდეს სახლ-კარი, ქონება, გადაუხადეს ვალი ხაზინას გაწეული ხარჯებისათვის და სურდათ წასვლა. (...)

კატარინენფელდში ჩემი პირველი ყოფნისას დამიშვეს ამ სექტის ღვთისმსახურებაზე. ერთ დიდ ოთახში ვნახე მრავალრიცხოვანი სერიოზული მამაკაცებისა და გაფითრებული ქალების კრება. მაგიდის წინ იჯდა სამი ყველაზე პატივცემული სეპარატისტი: კოზერი, პალმერი და შპონი. პირველს ჰქონდა არაჩვეულებრივი ღვთიური, წყნარი, თითქმის დიდებული ნაკვთები; არც პალმერის სახე იყო მორცხვი (რესპ. სულელური, ხეპრული, ნ.პ.) და ფლეგმატური, როგორც ეს უმრავლეს კოლონისტებს აქვთ; შპონი კი ნამდვილი გლეხი იყო. ქალებს შორის, რომლებიც კაცებზე მეტნი იყვნენ და ხის სკამებზე ისხდნენ, იყო აგრეთვე შპონის მეუღლე, ავადმყოფურად გიჟური ქალი, რომელსაც კოლონიაში შესამჩნევი გავლენა ჰქონდა. პირველი აზრი პალესტინაში წასვლის შესახებ მისგან მოდიოდა. მხსნელმა, რომელიც მას დაესიზმრა, თურმე გარკვევით უთხრა და დაუსაბუთა, რომ არავითარი ძალა არ არსებობდა დედამიწაზე, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა პილიგრიმობისათვის.

საზოგადოებამ (resp. საკრებულომ, ეკლესიამ, ნ.პ.) იმღერა, ილოცა, ხოლო კოზერმა ვიურტემბერგიდან წამოღებული ერთი მისტიკური წიგნიდან ხმამაღლა წაიკითხა. [კრებულის მსახურება გამოირჩეოდა შთაგონებით, ღრმა და გულწრფელი ღვთისმოსაობით, თუმცა რაღაც სულიერი ავადობითაც, რაც ამ კრებულს აერთიანებდა.] (...) ხმამაღლა გამოცხადებული გეგმის მიხედვით სეპარატისტებს სეპარატისტებს სურდათ თავისი მოგზაურობა უფულოდ და სანოვაგის გარეშე დაეწყოთ, რადგან თვლიდნენ, რომ მანანა ციდან ჩამოუვარდებოდათ. ამავე დროს ჩურჩულებდნენ, რომ ბევრს ყოველი შემთხვევისათვის ერთი შეკვრა დუკატები ჩაეკერე-

ბინათ კაბებში: «ქურთებს გოგონები და დუკატები ძალზე ესურვილებათ» — თქვა ერთმა მორწმუნემ, რომელიც ტყვედ იყო ნაცხოვრები ქურთებთან.

(...) გამგზავრების დღე დანიშნული იყო და ჩანდა, რომ პილიგრიმები რუსი მთავარმართებლის აკრძალვას არ დაემორჩილებოდნენ. [უღმრესი დარწმუნებით თელიდნენ ისინი, რომ ეს საქმე უშუალოდ ღვთაებისაგან მომდინარეობდა და ეს წყალობა მათთვის იყო განკუთვნილი.] როცა გაიგეს, რომ ბატონი ფონ ნაიდჰარდტი კაზაკებს გზავნიდა მათ ძალით გასაჩერებლად, გულკეთილად გაიცინეს: «რას გახდებიან კაზაკები ანგელოზების ძალის წინაშე? რა შეუძლია იმპერატორის გენერლის აკრძალვას უფალი ღმერთის დადგენილების წინააღმდეგ? ეშმაკების ლეგიონიც რომ მოვიდეს, არ გადავთქვამთ და წავალთ. თქვენ, მცირემორწმუნენო, მოგვიახლოვდით და იყავით იმის მოწმენი, რა შეუძლია მხსნელს, რათა დაიცვას თავისი რჩეულები!».

გამგზავრების დღე ახლოვდებოდა. ნოი-ტიფლისიდან, პეტერსდორფიდან, ელიზაბეტტალიდან, ანენფელდიდან და ჰელენენდორფიდან სექტის ყველა მიმდევარი შეიკრიბა კატარინენფელდში, პილიგრიმთა შეკრების ადგილას. იმავე დროს ტფილისიდან მოვიდა კაზაკთა ერთი რაზმი. (...) როგორც მთავარმართებლის საგანგებოდ უფლებამოსილი, ტფილისიდან ჩამოვიდა აგრეთვე ბატონი ფრიდრიხ ფონ კოცებუ. დაბადებით გერმანელს, მას უკანასკნელად უნდა ეცადა, თავისი გაგიჟებული თანამემამულენი კეთილი სიტყვით ჭკუაზე მოეყვანა. მაგრამ მის ყოველივე სიტყვას ყრუდ შეხვდნენ. «ჩვენ წავალთ!» — უპასუხეს სეპარატისტებმა — «ღმერთს სურს! თქვენი კაზაკები ვერას გვავნებენ!». ეს უთხრეს ძალზე დამაჯერებლად, მომღიმარი პირით, კლდის სიმტკიცით. დღე გავიდა მოგზაურობის სამზადისში, საღამო ლოცვებში. კაზაკებს დაუდგეს კარგი საჭმელი და მთელი კასრი ღვინო; მათი ცხენები თავლაში შეიყვანეს და ქერი დაუყარეს, რამდენიც სურდათ.

მზის ამოსვლისას მლოცველები შეიკრიბნენ ჰაუბენზაკის სახლთან, სადაც ჩვეულებრივ უცხოელები ჩერდებოდნენ და მეც იქ ვიდექი. სულ იყო 360 ინდივიდი, მათ შორის უმდიდრესი კოლონისტები, თვით მჭედელი კატარინენფელდიდან, [რომელიც ამ პილიგრიმულ მოგზაურობაში მონაწილეობაზე ცოლმა დაიყოლია, თუმცა მას (ამ ქალს) ქურთებთან ხუთწლიანი ტყვეობის გაჭირვება გამოცდილი ჰქონდა]. ყველა კაცს მიჰქონდა მძიმე ჩანთა, ყველა ქალს პატარა ფუთა, თვით სამოცდაათი წლის მატრონაც მხნედ მიათრევდა ბოხჩას. ამას გარდა ბევრი სახედარი იყო დატვირთული, ხოლო პილიგრიმთა ნაკადის შუაში იდგა შებმული საზიდი, რომელ-

ზეც უნდა დამჯდარიყო წინასწარმეტყველი ქალბატონი შპონი. როგორც კი ისინი რიგებად გასწორდნენ, მხიარულად გაემართნენ სოფლის გასასვლელისკენ, სადაც კაზაკები თავისი მეთაურის (კაპიტნის) ბრძანებით ჩასაფრებულიყვნენ. სეპარატისტები მხოლოდ ღრუბელს ელოდნენ, რომლიდანაც მხსნელი უნდა მოვლენილიყო და თავისი საყვარელი შვაბიელი შვილები დაეცვა დონელი გერებისაგან.

ცა სასიამოვნო ლურჯფრად დაჭიმოდა კატარინენფელდის მწვანე ხეობას; ნიავი არ იძვროდა, ღრუბელი არსად ჩანდა. [სახურავზე მოკაკუნე ყარყატიც და მზიან ცაში მხიარულად მგალობელი ტოროლაც თითქოს დასცინონენ უცნაურ მორწმუნეებს, რომლებსაც აკლდათ ფრთები, რათა დონელი (კაზაკების) ხიშტებზე გადაეფრინათ და იერუსალიმამდე მიეღწიათ].

როცა მხსნელი აღარ გამოჩნდა და სასურველ მოვლინებას (resp. საკვირველებას) აღარ სურდა მოხდენა, მაშინ ამოიფშვნიტა საწყალმა ხალხმა თვალები, თითქოს გამოიღვიძეს [უცნაური] სიზმრიდან. მაინც სულით არ დაცემულან. ხოლო როცა თავისდა შემაძრწუნებლად დაინახეს, რომ კაზაკები წინგამოწვდილი ხიშტებით და უხეში ლანძღვით ჭიშკრიდან უკან ერეკებოდნენ, დაეცნენ მუხლებზე ლოცვით და მღეროდნენ ძველი ვიურტემბერგული საგალობლიდან სიმღერას. არც ამან უშველა. დანიელ მაიერის — კერვის ოსტატის მიერ დიდი ხელოვნებით წაკითხულმა პავლე მოციქულის წერილებმაც ნაკლებად იმოქმედეს დონელ ულვაშიანებზე, ისევე როგორც კატარინენფელდელი წინასწარმეტყველის ფერმკრთალმა სახემ, რომელიც დაკრეფილი ხელებით ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. მეთაურის ბრძანება უფრო მოქმედებდა კაზაკებზე, ვიდრე ყველა მოციქულის ნათქვამი და ციური ნიშანი. ამასობაში გაისმა პატარა ბავშვების ტირილი, რომელთაგან ზოგს უკვე მოშივდა, სხვებს მოსწყურდა; ამან ერთგვარი არეულობა შემოიტანა. (....) სეპარატისტებმა უცებ დაინახეს, რომ ჯერ არ დამდგარიყო გამგზავრების ნამდვილი ჟამი. ტრაგიკომიკური შედეგი იყო ის, რომ ყველა სეპარატისტი, ვინც კატარინენფელდში არ ცხოვრობდა, საიმედო დაცვით წაიყვანეს სხვადასხვა კოლონიაში, სადაც მათი ეკლესიური მოწინააღმდეგეები ხუმრობით და სიცილით შეხვდნენ, კაზაკებს კი ფული გადაუხადეს (ვაგნერი 2002: 80-87; Wagner 1850: 102-107)".

ვისაც მეტის დეტალის გაგება და ღრმა ანალიზი სურს, თუ როგორ ვითარდებოდა „იერუსალიმის მონატრება" სამხრეთ კავკასიის გერმანულ დასახლებებში, კიდევ რა მოხდა იმ დღეს, 1843 წლის 4 ივნისს, კატერინენფელდში და როგორ დაუბრუნდა ამ არაჩვეუ-

ლებრივი პილიგრიმობის 360 მსურველი საკუთარ კერას და მათ დედა ეკლესიას, შეუძლია შესაბამისი ლიტერატურა და დოკუმენტაცია მონოგრაფიულად შეისწავლოს. სასურველია ვაგნერის წიგნის განხილული მონაკვეთის („Das Schicksal der Separatisten [სეპარატისტების ბედი]") (Wagner 1850: 97-1007; ვაგნერი 2002: 84-87) იმ მასალასთან შედარება, რომელიც დაცულია როგორც საქართველოსა და რუსეთის საარქივო ფონდებში, ისე იმდროინდელ პრესაში. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს იმდროინდელი ოფიციოზის წარმომადგენელთა მოხსენებითი ბარათები და სხვა სახის დოკუმენტები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ამ მასალის დიდი ნაწილი შესულია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის" (1864-1818) მიერ 12 ტომად გამოცემულ კრებულში „Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею". ძირითადად ამ გამოცემით სარგებლობს ქართველი მკვლევრი ტატიანა კოპალეიშვილი. მისი ზემოთ მითითებული ნაშრომის პარაგრაფში „ლუთერანული ეკლესია და სექტანტური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 30-40-იან წლებში" (კოპალეიშვილი 2014: 52-64) მოყვანილია ციტატები დასახელებული „აქტებიდან". ამ ციტატების მორიც ვაგნერის შესაბამის ტექსტებთან შედარება გვარწმუნებს, რომ „იერუსალიმის მონატრების" სახელით ცნობილი მოვლენების ოფიციალური და არაოფიციალური ვერსიები ერთმანეთს თითქმის სრულად ემთხვევა. ამის გამო მათი სანდოობა უეჭველია.

ქართველი მკვლევარების ზემოთ დასახელებული ნაშრომებიდან ჩანს, რომ ბევრი დოკუმენტი აკადემიურ დონეზე ჯერ კიდევ გამოცემული და შესწავლილი არ არის. მაგრამ რაც შესწავლილია, გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ეს ისტორია არის დრამატიზმით და ტრაგიზმით სავსე ისტორია, მეტწილად თვითმხილველების მიერ აღწერილი. ამის გამოც ასეთ აღწერილობას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

დავძენთ, რომ ბედში (უფრო სწორად, სიმართლესა და სინამდვილში) სრულად გარკვევა სამი წლის შემდეგ მოხდა: მოიწია აღთქმული 1846 წელი, მაგრამ ამქვეყნად ბევრი არაფერი შეიცვალა და ქილიაზმმაც თავისი დრო მოჭამა. ამიტომ საქართველოს ქილიასტი პროტესტანტები ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდნენ, შეუერთდნენ თანამორწმუნეებისა და თანამემამულეების ეკლესიას და თავი ისახელეს შრომაშიც და წესიერებაშიც. ისინი გათავისუფლდნენ გამორჩეულობისა და ყველაზე უკეთესობის სინდრომისაგან, რის შემდეგაც ადგილობრივ კულტურასა და საზოგადო ყოფაცხოვრებასთან დამეგობრების გზას დაადგნენ. ად-

გილობრივი ხალხის თვალს, მოხიბლულს გერმანელი ლუთერანების პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით, არ გამოპარვია ფაქტი, რომ „ღვთისმოშიშება და სიბეჯითე" ყველაზე მეტად სწორედ სეპარატისტებად სახელდებულ ადამიანებს ამკობდა. აი, რას წერს ვაგნერი ამ საკითხზე: „მიუხედავად იმისა, რომ კოლონიათა ინსპექტორი აძაგებდა სეპარატისტთა რელიგიურ საქციელს, ძალიან აქებდა მათ სამაგალითო ცხოვრების ხასიათს, პატიოსნებას, პირდაპირობას და დაუღალავ შრომისმოყვარეობას. მხოლოდ იერუსალიმური სიგიჟე აფერხებდა მომენტალურად ამ შრომისმოყვარეობას" (ვაგნერი 2002: 89; Wagner 1850: 111). და რადგან „იერუსალიმური სიგიჟისაგან" გათავისუფლება მოხერხდა, ყოფილი სეპარატისტები ნამდვილ ევანგელისტ-პიეტისტებად (მაღალი მორალისა და ნესიერების ნიმუშებად) ჩამოყალიბდნენ და ეკლესიის სასურველ წევრებად გარდაიქმნენ. მათი სახით საქართველოს მრავალეროვან და მრავალკონფესიურ საზოგადოებას ადამიანთა შესანიშნავი ჯგუფი შეემატა.

ევანგელისტი ლუთერანები საქართველოს მრავალფეროვნებაში

კოხისა და ვაგნერის დასახელებული ნაშრომებიდან ჩანს, რომ თბილისში იმხანად, კოლონისტების გარდა, არა ერთი და ორი გერმანელი მოღვაწეობდა (ექიმად, იურისტად, საჯარო მოხელედ და უმაღლეს თანამდებობაზეც კი). მათი ნაწილი, ცხადია, პროტესტანტი იყო. ხსენებული მოგზაურები გაკვირვებული და მოხიბლულები არიან იმ ეთნიური და ენობრივი მრავალფეროვნებით, რაც მათ თბილისში და განსაკუთრებით მის ბაზარში ნახეს: აქ არამც თუ გერმანულს, ესპანურსაც კი გაიგონებთო. ვაგნერი წერს: „ცნობილმა მოგზაურმა მიუნხენიდან", ჰალბერგმა (Hallberg), რომელსაც თბილისში შევხვდი და რომელმაც ჩემთან ერთად ამ ქალაქის ბაზარი დაათვალიერა, თქვა, „არსად, გარდა კაიროს ბაზრისა, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში სხვადასხვა ხალხების ასეთი მიმზიდველი აღრევა" არ მინახავსო (ვაგნერი 2002: 21; 21; Wagner 1850: 16).

აღნიშნულ მრავალფეროვნებაში, ამ „მიმზიდველ აღრევაში", ლუთერან-ევანგელისტებს გამორჩეული ადგილი ეჭირათ როგორც რიცხოვნების, ისე აქტივობის თვალსაზრისით. მათმა საქართველოში შემოსვლამ ხელი შეუწყო ქართულ ნიადაგზე აღმოსავლეთი-

სა და დასავლეთის კულტურათა იმგვარ დიალოგს, რომ ამით არც ადგილობრივი და არც შემოსული ხალხების კულტურასა და რელიგიურ ტრადიციებს არაფერი დაკლებია. ჭეშმარიტებას ღაღადებს კარლ კოხი, როდესაც ამბობს: აქ, თბილისში, „der orientalische Charakter sich neben dem europäischen ziemlich rein erhalten hat [აღმოსავლური ხასიათი ევროპულის გვერდით საკმაოდ კარგად არის შენახული]" (ოცპ 1855: 291; კოხი 1981: 218). დიახ, მოსულმა და დამხვდურმა კულტურებმა ერთმანეთი გაამდიდრეს და გააღრმავეს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი კოლონიები იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენდა ერთობ ანგარიშგასაწევ ძალას, რომ მათ დიდი წვლილი შეჰქონდათ როგორც ადგილობრივი მრეწველობისა და ეკონომიკის, ისე ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების სფეროში.

და მართლაც: საქართველოში ყველას ხიბლავდა ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენელთა შრომის კულტურა და ენთუზიაზმი. ამის დასტურია გ[იორგი] ბურჭულაძის ზემოთ (იხ. სქ. 17) დასახელებული წიგნი „გერმანელთა კოლონიები ამიერ-კავკასიაში", რომელშიც ამ ხალხის ღვთისმოსაობა და ზნეობრივი ნორმები ლამის ეტალონად არის წარმოსახული (ბურჭულაძე 1911: 45-48). ჩანს, ავტორი სათანადოდ ერკვეოდა ლუთერისეული ასკეტიზმის არსებითი ნიშნებში, რომლის თანახმად, შრომაში გამოვლენილ სიბეჯითეს განუზომელი ფასი აქვს; ღმერთს მოსწონს ღრმა და გულმხურვალე, მაგრამ არა ხანგრძლივი და სიტყვამრავალი ლოცვები; საჭიროა ყურადღების გამახვილება არა რიტუალებზე, არამედ სულიერ სამყაროზე. როგორც გიორგი ბურჭულაძის წიგნი, ისე ბევრი სხვა წყარო ადასტურებს, რომ საქართველოში იშვიათად ნახავდით ფუქსავატ ლუთერანს. ისინი შრომობდნენ და სწავლობდნენ გულმოდგინედ, ქმნიდნენ დოლათს, გამოირჩეოდნენ სანიმუშო ყოფაქცევით და პუნქტუალობით[25].

მორწმუნე გერმანელების საქართველოში ჩამოსახლებამ რომ

[25] საქართველოში მცხოვრები გერმანელების სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, კულტურულ-სამეცნიერო და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მიმოხილვა (ქართველი ავტორების ზემოთ მითითებული ნაშრომების გარდა) იხილეთ Daphne Springhorn-ის ნაშრომი „Deutsche in Georgien", რომელიც ქართულადაც არის თარგმნილი: Springhorn 2004: 35-52; შპრინგჰორნი 2004: 36-52.

ნამდვილად შეუწყო ხელი კულტურათა და სარწმუნოებათა დიალოგს, იმდროინდელი პერიოდული გამოცემებიდანაც ჩანს. ქართველები მოხიბლულები იყვნენ გერმანელი თანამოქალაქეების როგორც შრომისმოყვარეობით, ისე მათმიერი კანონმორჩილებით და თანამორწმუნეებს შორის გამოვლენილი ურთიერთთანადგომის კულტურით. ამჯერად ჩვენს ხელთაა კორესპონდენცია სათაურით: „მარიენფელდის ახალშენი", რომელიც მოთავსებულია მაშინდელ წამყვან გაზეთში „ივერია" (1895, 29. VIII, 185). მისი ავტორი „მზე-ჭაბუკი" ანუ, იგივე, ვასილ ბიბილაშვილი ბევრ საყურადღეო ინფორმაციას გვაწოდებს მარიენფელდისა და მისი მიმდებარე კოლონიების — პეტერსდორფისა და ფრეიდენტალის — შიდა სტრუქტურის, ეკონომიკური და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატების შესახებ. ის იმ კეთილგანწყობაზეც ლაპარაკობს, რასაც ამ დასახლებების ბინადარნი ქართველი მეზობლების მიმართ გამოხატავენ. კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ამ სამივე ახალშენში სულ ორას კომლზედ მეტი არ იქნება. სამივე ახალშენს ცალ-ცალკე აქვთ სოფლის სასამართლო, ცალკე მამასახლისები ჰყავთ, რომელსაც «შულცს» ეძახიან და სკოლა და ეკლესია-კი საერთო აქვთ. ჩვენებურ სოფლებში აღზრდილი კაცი შევა თუ არა ამ ახალშენებში, მას უთუოდ პატარა ქალაქი ეგონება იგინი. (...) ამათ აქ ერთმანეთში დიდი ერთობა აქვთ. თუ რომელიმე მათი წევრი გაღარიბდა, მაშინვე შეეწევიან და ფეხზე წამოაყენებენ, რადგან იციან, რომ თავათ იმათთვისავე სასარგებლო არ არის ღარიბი მეზობელი. ერთს ნემეცს ჭირმა ცხენები დაუხოცა და დარჩა უცხენოთ, მაგრამ ერთ კვირაზედ მამასახლისმა ცხენების ფული შეუკრიბა, ჩააბარა და ისევ ფეხზე წამოაყენა მეზობელი. (...) ყველა მათი შვილები სწავლობენ წიგნს და არავინ არის აქ წერა-კითხვის უცოდინარი. მასწავლებელი იგივე დიაკვანიც არის და მწერალიც. (...) შეხვალთ სასწავლებლის დარბაზში და თქვენს თვალს წარმოუდგება დიდი დარბაზი, მშვენიერის ფეჩით და სასწავლო ნივთებით და ავეჯით. უსწავლელი არავინ რჩება, რადგან ერთი რიგობა სადილობამდის დაიარება, მეორე სადილის შემდეგ, სულ 170 მოწაფემდე. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველებს ერთი სიტყვაც ვერ დაუსწავლიათ ნემეცური და ნემცები-კი ისე თავისუფლად ლაპარაკობენ ქალიან-კაციან-ბავშვიანათ ქართულათ, რომ გაუკვირდება მსმენელს. ის მშვენივრად ამბობს თავის თავგადასავალს, თავის სოფლის ავსა და კარგსა და სხვა. მეზობლობა კარგი აქვთ სართიჭალელებთან და თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს ჩვენი გლეხი და მიუკარებელი ნემეცნი" (მზე-ჭაბუკი 1895: 2-3).

ლუთერანებმა საქართველოში მორწმუნე მართლმადიდებლე-

ბის ყურადღებაც დაიმსახურეს და ურთერთთანამშრომლობის სურვილი ბუნებრივად გაჩნდა.

ასეთი თანამშრომლობისის პირველ მაგალითად, დღემდე ცნობილი მასალების მიხედვით, შეგვიძლია დავასახელოთ გერმანელი ხელოვანის გრავიურები ქართულ მართლმადიდებლურ ლოცვანში. ლაპარაკია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ წიგნზე (კოდექსზე) H 334, რომელიც გადაწერილია თბილისის სიონში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, 1756 წელს დეკანოზ ნიკოლოზის მიერ. ესაა შთამბეჭდავი ზომის, 166 ფურცლისაგან შემდგარი კოდექსი, რომელიც ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. აქ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ორი ფურცელი, რომლებზეც გრავირებული სურათები არის დაკრული დეკორის დანიშნულებით. პირველ სურათს, რომელიც დაზიანებულია და დღეს მხოლოდ ოთხი ანგელოზის თავი ჩანს, ახლავს წარწერა: S. Salvator Mundi [წმ. სოფლის მაცხოვარი]. მეორე სურათზე გამოსახულია ღვთისმშობელი სამი ანგელოზით. იქვეა ნაბეჭდი წარწერა: 2412 Mart Engelbrecht exe. av. S. Mater Salvatoris. აღნიშნული ცენტრის თანამშრომლებმა თამარ ოთხმეზურმა და თამარ ჭუმბურიძემ გაარკვიეს, რომ გრავიურების ავტორი არის ცნობილი გერმანელი მხატვარი და გამომცემელი — მარტინ ენგელბრეხტი (1664–1756). აბრევიატურა exe. ნიშნავს „გრავირებულია“, ხოლო ავ არის შემოკლება გერმანიის ქალაქ აუგსბურგის ლათინური სახელწოდებისა — Augusta Vindelicorum [აუგსბურგი ვინდელიკებისა], სადაც ეს გრავიურები შეიქმნა. Mater შალვატორის („მაცხოვრის დედა“) იგივე მარიამ ღვთისმშობელია. მარტინ ენგელბრეხტის სახელთან არის დაკავშირებული ასევე მინიატურული თეატრალური დადგმების — დიოგრამების — შექმნა. სწორედ დიოგრამის თეატრისათვის რელიგიურ თემებზე ენგელბრეხტის მიერ შექმნილი სერიის ორი ფრაგმენტია ჩართული 1756 წლის ლოცვანში, რაზეც მეორე გრავიურაზე აღნიშნული სერიის ნომერი — 2412 — მიგვანიშნებს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს გრავიურები ქართულ ხელნაწერ ლოცვანში მოგვიანებით, მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში, უნდა მომხვდარიყო; ისინი თბილისში გერმანელ ახალმოსახლეებს უნდა ჩამოეტანათ (Otkhmezuri, Tchumburidze 2016: 167-171; ოთხმეზური, ჭუმბურიძე 2017: 279-283). თუ რა მოტივით და რის საფუძველზე იქნენ ისინი ჩაკრული ქართველ მართლმადიდებელთა ლიტურგიკულ წიგნში. ჯერჯერობით გარკვეული არ არის. თუმცა უდავოა, რომ განხილული ხელნაწერის სახით ჩვენს წინაშეა ლუთერანებისა და მართლმადიდებლების სარწმუნოებრივი და კულ-

ტურული დიალოგის ნიმუში[26].

აღსანიშნავია ცნობილი სასულიერო პირისა და მეცნიერის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ საძაგლიშვილის (1855-1918), წმ. კირიონის, მეგობრობა და თანამშრომლობა ადგილობრივ გერმანელ პასტორთან, გუსტავ ბერმანთან. ეს პიროვნება ითვლება საერთაშორისო მასშტაბის ხელნაწერის, კორიდეთის ბერძნული სახარების, ძირითადი ტექსტის (სახარების უძველესი ბერძნული ვერსიის) პირველ მკვლევრად. საყურადღებო ფაქტია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ეს ლიტურგიკული წიგნი (სატრაპეზო სახარება) გერმანელი პასტორის სამეცნიერო ინტერესების სფეროში სწორედ ეპ. კირიონის დახმარებით მოექცა. ეპ. კირიონი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისის საეკლესიო მუზეუმის დირექტორად მუშაობდა. მან არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ხელნაწერი წიგნი, საბუთი და გამოკვლევა შესძინა მეცნიერებას. მათგან პირველ რიგში ზემოთ აღნიშნული ხელნაწერი წიგნი უნდა დავასახელოთ. ეპ. კირიონი წერს: „სამსახურებრივი დატვირთვა (...) არ მაძლევდა საშუალებას დამეწყო ამ შესანიშნავი ხელნაწერის შესწავლა. რამდენჯერმე შევთავაზე ჩვენი მუზეუმის წევრებს და სხვა პირებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასულიერო განათლება, ხელი მიეყოთ მისი დამუშავებისათვის; ვუნინასწარმეტყველებდი იმ სახელს, რომელიც ამ იშვიათი ძეგლის შესწავლას უნდა მოეხვეჭა. მცდელობა დიდხანს უშედეგო იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მუზეუმის ახალმა წევრმა, ადგილობრივმა განათლებულმა პასტორმა გუსტავ გუსტავის ძე ბერმანმა, რომელიც იმ დროს თბილისში მსახურობდა, წინადადებაზე დასტური მომცა და მართლაც: 1902 წლის აპრილში ის შეუდგა ოთხთავის შესწავლას, რისთვისაც დაეუთმე კაბინეტი, სადაც ბეჯითად მუშაობდა" (პაპუაშვილი 2011: 502-503). ეს ინფორმაცია საყურადღებოა იმ ასპექტითაც, რომ ცხადყოფს წმ. კირიონის ტოლერანტობას და განსხვავებული აღ-

[26] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია გერმანულენოვანი ხელნაწერების კოლექცია, რომელიც 16 ერთეულისაგან შედგება. მისი თემატიკა მრავალფეროვანია. აქ, სხვათა შორის, გვხვდება: მარტინ ლუთერის ლექსები, ლოცვანი (ვინმე ვანდერსმანის მიერ 1827 წელს ოდესაში შედგენილი) და, რაც მთავარია, პალიმფსესტური კოდექსი, რომლის ქვედა ფენა ლათინურია (ჭუმბურიძე, ქიმარიძე 2015: 431-435). სასურველია ამ კოლექციის მეცნიერულად შესწავლა და ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიასთან კავშირის გარკვევა.

მსარებლობის ადამიანებთან თანამშრომლობის კულტურას სარწმუნოებრივი შინაარსის თემებთან დაკავშირებითაც კი. ვხედავთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მუზეუმი თბილისში იმდენად იყო ღია და თავისუფალი, რომ მის აქტივში პროტესტანტი მღვდლებიც წევრიანდებოდნენ და მართლმადიდებელი ეკლესიების სიძველეებს ამუშავებდნენ; საჭიროების შემთხვევაში დირექტორი მათ საკუთარ კაბინეტსაც უთმობდა.



ლეოპოლდ ბილფელდი

ცნობილია მეგობრობა და თანამშრომლობა, რომელიც მართლმადიდებელ საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეს, კალისტრატე ცინცაძეს (იხ. დანართი), სახელგანთქმულ ლუთერან არქიტექტორთან, — ლეოპოლდ პავლეს ძე ბილფელდთან (Leopold Bielfeld; 1838-1922), აკავშირებდა. ბილფელდმა უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს როგორც საერო, ისე საეკლესიო არქიტექტურის განვითარებაში. იგი გახლდათ თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური საეკლესიო შენობის, ქაშვეთის ტაძრის, ხუროთმოძღვარი (იტალიელ არქიტექტორ ანჟელო ანდრეოლეტისთან ერთად). ამ ეკლესიის წინამძღვარმა 1904 წელს, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ, ბილფელდი ახალი ტაძრის მშენებლობის კომიტეტის წევრად მიიწვია და ტაძრის გეგმის შედგენა და ხარჯთაღრიცხვის წარმოება მიანდო (ცინცაძე 1994: 39). თბილისის ქაშვეთი (წმინდა გიორგის ეკლესია თბილისში) არის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში, რაც მოცემულ შემთხვევაში კულტურათა დიალოგის გამარჯვებად წარმოგვიდგება.

საქართველოს მართლმადიდებელ და ევანგელურ-ლუთერანულ

ეკლესიებს შორის დიალოგისა და დაახლოების პერსპექტივა განსაკუთრებით ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში გამოიკვეთა (შდრ. ზემოთ პარაგრაფი „კვლავ ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისის შესახებ“). ეს ბრძოლა დაგვირგვინდა 1918 წლის 26 მაისის აქტით — საქართველოს სახელმწიფებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით და მმართველობის დემოკრატიული ფორმის არჩევით. თუმცა ამ დამოუკიდებლობამ არსებობა მაშინ, რუსული იმპერიალიზმის მიზეზით, სამ წელიწადსაც კი ვერ შეინარჩუნა. მაგრამ პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს სუვერენიტეტი აღიარა, გახლდათ გერმანია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო (შდრ. გერმანელები და ქართველები 2013: 108). ასევე ბუნებრივია, რომ 1919 წელს ზეიმით აღინიშნა გერმანული დასახლებებისა და მათი ეკლესიების საქართველოში დაარსების 100 წლისთავი. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გერმანელი მწერალი და დიპლომატი არტურ ლაისტი (Arthur Leist; 1852-1927). ის ესწრებოდა სრულიად საქართველოს მესამე საეკლესიო კრებას; მეგობრობდა და თანამშრომლობდა ამ კრებაზე კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ პიროვნებასთან, ამბროსი ხელაიასთან. არტურ ლაისტის დახმარებით გერმანიაში ჩავიდა და საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა ახალგაზრდა ქართველმა გრიგოლ ფერაძემ, რომელიც იქ, ევროპაში, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, მღვდელმოწამის გვირგვინით შეიმკო († 1942).



არტურ ლაისტი

უეჭველია, რომ პირველ რიგში სწორედ ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია ჰყავდა მხედველობაში არტურ ლაისტის დიდ მეგობარს, სახელგანთქმულ მწერალსა და მოაზროვნეს, საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ ილია ჭავჭავაძეს (1837-1907) მხედველობაში, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა: „იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, სადაც ერთსა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებს და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და [იგი] ერთობის კავშირის საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის" (თხზ., ტ. 5, 1955, გვ. 81).

უეჭველია, რომ ქართველი მართლმადიდებლებისა და გერმანელი რეფორმატორების დაახლოება უფრო გაღრმავდებოდა და კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდებოდა, რომ არა 1921 წლის ოკუპაცია და ანექსია ბოლშევიკური რუსეთისაგან, რასაც საქართველოში კომუნისტური და ათეისტური რეჟიმის დამყარება მოჰყვა.

ულმობელი ხვედრი

საბჭოთა რეჟიმმა და ტერორმა გერმანელების ეკლესიები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სათვისტომოები თითქმის მიწასთან გაასწორა. ზოგადიდეოლოგიურ წნეხს ამ შემთხვევაში ანტიდასავლური ისტერია დაემატა: საბჭოთა კავშირის მოქალაქე გერმანელები კაპიტალისტური ევროპის აგენტებად გამოცხადდნენ და რეპრესიების ტალღა მათ მიმართ განსაკუთრებული ძალით აზვირთდა.

საქართველოში გერმანელი ლუთერანების დევნა, სხვა რელიგიური ორგანიზაციების მსგავსად, გასაბჭოების პირველივე დღიდან, 1921 წლის 25 თებერვლიდან, დაიწყო. თანდათან დაიხურა ეკლესიები და გაუქმდა სამრევლო სკოლები; 1931 წელს დაიხურა კავკასიის ლუთერანთა ცენტრალური ეკლესია, — თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარი; დააპატიმრეს პასტორები, მათ შორის ამიერკავკასიის მთავარი პასტორი (Oberpastor) რიჰარდ მაიერი, რომელიც 1933 წელს კიდეც დახვრიტეს.

პასტორ მაიერის სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჩვენთვის ცნობილია მისი ქალიშვილის, ქალბატონ ფრიდა მაიერის (1906-2015), მოგონების მეშვეობით:

„1931 წელს საქართველოში ლუთერული სამრევლოების ყოველწლიური სინოდი უნდა გამართულიყო. მაზე ყველა სამრევლოს

წარმომადგენელს უნდა მიეღო მონაწილეობა სხვადასხვა საკითხის განსახილველად. სინოდი მუდამ სიმღერით და ლოცვით იწყებოდა. მაგრამ ამჯერად შინსახკომის ორი თანამშრომელი მოვიდა და გამოაცხადა, რომ სინოდი აკრძალულია და უნდა დაიშალოს. სინოდის წევრები იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ. საღამოს შინსახკომის თანამშრომლები პასტორ რიხარდ მაიერთან — იმდროისათვის ამიერკავკასიის ლუთერული სამრევლოების მთავარ პასტორთან — სახლში მივიდნენ და დაპატიმრების ორდერი აჩვენეს. რიხარდ მაიერმა წელიწადნახევარი გაატარა ციხეში, სადაც მას მუდმივად დაკითხვას უწყობდნენ. (....) ბრალდების ტექსტი სტანდარტული იყო: «ანტისაბჭოთა იდეოლოგია, პროპაგანდა, არალეგალური ლიტერატურა». (....) ხუთი წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. 1,5 წლის შემდეგ იგი მოსკოვში დააბრუნეს, სადაც ის 1933 წლის თებერვალში ციხეში გარდაიცვალა (სავარაუდოდ დახვრიტეს)" (ირინა სოლეის სტატიიდან „გერმანელი კოლონისტები საქართველოში 1917-1991". იხ.: საქართველოსა და... [1917]: 58)[27].



პასტორი მაიერი

[27] ნეკროლოგში „ფრიდა მაიერ-მელიკოვა, 1906-2015", რომლის ავტორი ქალბატონი ქრისტიანე ჰუმელი გახლავთ, აღნიშნულია, სხვათა შორის, შემდეგი: „2015 წლის 23 ივნისს შონდორფში / ვიურტერმბერგი (...) ფრიდა მაიერ-მელიკოვა გარდაიცვალა. სასაფლაოზე გამოსამშვიდობებელი ღვთისმსახურების შემდეგ მისი ნათესავები და მეგობრები ძველი შვაბური ტრადიციისამებრ მოხუცებულთა თავშესაფარში ყავაზე და საფუარიან ნამცხვარზე შეიკრიბნენ. ახლობლების თხოვნით 2015 წლის 22 ივლისს შეერიგების ეკლესიაშიც გაიმართა ლოცვა, რომელსაც მრევლის წევრები ესწრებოდნენ. აქ ქართული ტრადიციის შესაბამისად ღვინოსთან და ხაჭაპურთან გაიხსენეს მაიერის დიდი ოჯახი. (...) ჩემთვის სასწაულის ტოლფასია და გამოუცნობი, როგორ შეძლო ამდენი ტკივილის, დანაკარგისა და

ამის მიუხედავად სამრევლოების ნაწილი მაინც ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას და ჩაკეტილ სივრცეში ღვთისმსახურებასაც კი.

ლუთერის წესის მორწმუნეები ისეთ შრომისმოყვარეობასა და კანონმორჩილებას იჩენდნენ, კოლმეურნეობებში ისეთი სიზუსტით ასრულებდნენ გეგმებს და ისე პატიოსნად იხდიდნენ გადასახადებს, ისეთი თვალსაჩინო იყო მათი წვლილი ქვეყნის ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესში, რომ მთავრობა ამ მოქალაქეების წინააღმდეგ მიზეზს ვერ პოულობდა. თუმცა ასეთი მიზეზი და საბაბიი მაინც გამოინახა. ჰიტლერულ გერმანიასთან ომის დროს საბჭოთა მთავრობამ მისი ყველა ქვეშევრდომი გერმანელი ნაცისტების პოტენციურ მოკავშირედ გამოაცხადა და მათი გენოციდი დაიწყო. 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოდან 23 580 გერმანელი გაასახლეს; შერეკეს ტვირთისა და საქონლის გადასაზიდ ვაგონებში და შუა აზიასა და ციმბირისაკენ გაუყენეს გზას; დარჩენა მხოლოდ არაგერმანელებზე დაქორწინებულმა ქალებმა მოახერხეს. ეს დეპორტაცია ისეთი სისასტიკით მიმდინარეობდა, რომ ბევრს გული გაუსკდა და გამგზავრების წინ გარდაიცვალა, ბევრმა გზაში, ვაგონებში, განუტევა სული და მათი გვამები ტყე-ღრეში გადაყარეს, ბევრი ეპიდემიამ იმსხვერპლა, ბევრი შიმშილმა, მაღარომ, ანდა ყინვამ (Springhorn 2004: 57-60; შპრინგჰორნი 2004: 58-61). დეპორტირებულთა ქონებას მთავრობა დაეპატრონა; მათი სახლები და ავლა-დიდება მთის რეგიონებიდან საგანგებოდ ჩამოყვანილ ხალხს გადაეცა. მაგრამ ვიდრე ეს სახლები და ავლა-დიდება ახალ მომვლელსა და პატრონს გადაეცემოდა, ბევრი რამ გაოხრდა და განადგურდა.

დღესაც შევხვდებით „გატიალების ამ სიბილწის" (დანიელი 9:27; მათე 24:15) მომსწრეებსა და თვითმხილველებს, რომლებიც იხსენებენ: იმ ავბედით დღეს მოთქვამდნენ და ტიროდნენ ისინი, რომლებსაც მიერეკებოდნენ, და ვტიროდით ჩვენ, რომლებიც ვრჩებოდით, მაგრამ მათ, — ჩვენს მეზობლებს, მეგობრებს, ახლობლებსა თუ ნათესავებს, — ვერაფრით ვეხმარებოდით; გუშინ და გუშინწინ კარგად შემოღობილ და აყვავებულ დასახლებებში დაძრწოდნენ ათასი ჯურის კრიმინალები და მოროდიორები, რომლებიც იძახდნენ, ჩვენი დრო მივიდაო; წკმუტუნებდნენ და ბღაოდნენ შიმშილისაგან გატანჯული ძაღლები და ძროხები...

ეკლესიების დიდი ნაწილი გაანადგურეს. დანარჩენი არასაეკ-

შიშის გადატანა ამ ადამიანმა, როდესაც ზოგიერთი პატარა უბედურებასაც კი ვერ უძლებს" (ჰუმელი 2015: 31-32).



თბილისის პეტრესა და პაველეს ეკლესია

ლესიო დანიშნულებით გადააკეთეს. მთავარი ეკლესია თბილისის ცენტრალურ უბანში, კირხეს ქუჩაზე („კირიჩნზე"), ეს მონუმენტური, იშვიათი და საამაყო არქიტექტურული ნაგებობა, თავად გერმანელ სამხედრო ტყვეებს 1946 წელს დაანგრევინეს[28].

გადასახლებაში სასულიერო ცხოვრებას რაც შეეხება, ჩვენთვის ცნობილია შემდეგი: საეკლესიო წესების შესრულება იქ შეუძლებელი იყო, თუმცა ყვებიან, რომ მორწმუნეები მაინც ახერხებდნენ არალეგალურად შეკრებას და „ლოცვის ნრეების" იმ სასტიკ გარემოშიც კი ორგანიზებას. თუმცა უსაფრთხოების მიზნით ისინი სხვადასხვა სახლში იკრიბებოდნენ და დახურული ფარდების მიღმა ლოცულობდნენ; სიტყვებს და მელოდიებს ჩურჩულით წარმოთქვამდნენ. უჰაერობის გამო მათ ხშირად გული მისდიოდათ; ბიბლიასა და საგალობელთა წიგნებს მალავდნენ. მხოლოდ 1953 წლის, სტალინის გარდაცვალების, შემდეგ გაბედეს ლუთერანებმა გადასახლებაში დაუფარავად ლოცვა. მათ ციმბირსა და ყაზახეთში პიეტისტური საკრებულოები შექმნეს. იქ ლოცვისა და ბიბლიის საა-

[28] ამ საეკლესიო შენობის ისტორიისათვის იხილეთ პარი აუგსტისა და ნესტან თათარაშვილის სტატიები კრებულში: საქართველოსა და... [2017]: 72-75, 83-84.

თებს მეტწილად ისეთი მორწმუნეები ატარებდნენ, რომლებსაც სასულიერო წოდება არ ჰქონდათ, რაც ლუთერისეული „საყოველთაო მღვდლობის“ ხორცშესხმას წარმოადგენდა. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაჭირვებამ, გადასახლებამ და ტყვეობამ, სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანები -- ლუთერანები, ბაპტისტები, ადვენტისტები, მენონიტები თუ ორმოცდაათიანელები -- ერთმანეთთან დაახლოვა და გააერთიანა. მათი ღვთისმსახურება ძირითადად შვაბი პიეტისტების, „შტუნდისტების“, პრაქტიკასა და ტრადიციას ეფუძნებოდა (საქართველოსა და... [2017]: 62).

გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრი მხოლოდ სტალინის გარდაცვალების, 1953 წლის 5 მარტის, შემდეგ გახდა შესაძლებელი. და მართლაც: რეაბილტაციისა და რეპატრიაციის პროცესი 1955 წლიდან დაიწყო, მაგრამ მას ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები ახლდა და ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ვისაც რეპატრიაცია სურდა, ხელი უნდა მოეწერა დოკუმენტზე, რომ ის ადრინდელ ქონებაზე პრეტენზიას არ აცხადებდა. ამის მიუხედავად საქართველოში 1979 წლამდე 2073 გერმანელი დაბრუნდა. ისინი, ცხადია, სამომავლო იმედებით აღვსილნი დაბრუნდნენ, მაგრამ ეს იმედები, რბილად რომ ვთქვათ, სრულყოფილად არ გამართლდა. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი შემდეგი ფაქტი: გერმანელ ქალებს, რომლებიც დეპორტაციას გადაურჩნენ, დიდი ხნის განმავლობაში უხდებოდათ „ფაშისტებად“ მოხსენიებისა და ლანძღვა-მუქარის ატანა. გადასახლებიდან დაბრუნებული გერმანელებისათვის, რეაბილიტაციის მიუხედავად, რთული აღმოჩნდა რეგისტრაციის გავლა, ახალი ბინის მიღება და სამსახურის შოვნა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მრავალი გერმანელი საკუთარ წარმომავლობას მალავდა. ისინი ხშირად, მოსალოდნელი დევნისაგან დასაცავად, შვილებს გერმანულ ენასაც არ ასწავლიდნენ და მთელი თაობა გერმანული ენის ცოდნისა და გამოყენების გარეშე გაიზარდა. მეორე მხრივ, იმდროინდელ საქართველოში ბევრმა გერმანელმა პედაგოგიური განათლება მიიღო და კერძოდ თუ სახელმწიფო სასწავლებელში ასწავლიდა გემანულ ენას. ამიტომაცაა, რომ გერმანული ენა საქართველოში დღემდე საკმაოდ გავრცელებულია (შპრინგჰორნი 2004: 61-62; საქართველოსა და... [2017]: 63).


ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის (1991 წლის 26 დეკემბრის) შემდეგ განახლდა. 1991 წელს და მომდევნო წლებშიც თბილისში შედგა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ლუთერანების რამდენიმე კრება, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქშიც, მათ შორის ბაქოში, სამრევლოების აღდგენის შესახებ.

ასე ჩაეყარა საფუძველი ლუთერანული ეკლესიის განახლებას კავკასიაში. პირველი წინამძღვარი გახლდათ გადასახლებიდან დაბრუნებული პასტორი იოჰან დრეილინგი. 1993 წელს ეს თანამდებობა ჰარი აზიკოვმა დაიკავა, რომელიც საქართველოში არის გაზრდილი და ქართულ ენას კარგად ფლობს. ის თბილისის ლუთერანი მრევლის პასტორად 1994 წელს იქნა ნაკურთხი მოსკოვში რუსეთის ლუთერანთა სინოდის სხდომაზე. მის საიუბილეო სტატიაში „ისევ გაისმის ეკლესიის ზარების ხმა (ლუთერული მრევლის პირველი წლების გახსენება)" ვრცლად არის აღწერილი სამხრეთ კავკასიაში ლუთერანული ეკლესიის განახლების პროცესი, რასაც ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იქ, კერძოდ, ვკითხულობთ:

„1991 წლის 15 მაისს გაზეთ «საღამოს თბილისში» («Вечерний Тбилиси», 6.პ.) სხვა განცხადებებთან ერთად გამოჩნდა შეტყობინება, რომელიც შეხვედრაზე იწვევდა თბილისში მცხოვრებ ეთნიკურ გერმანელებს და მათ შთამომავლებს. გაგვიკვირდა, რადგანაც დეპორტაციებისა და რეპრესიების პერიოდმა საკუთარი კვალი დატოვა ჩვენს ცნობიერებაზე: ყოფილიყავი *გერმანელი* არა მხოლოდ სახიფათო იყო, არამედ შეეძლო ხაზი გადაესვა ადამიანის ბედისათვის. (.....) ამ დღეს დაახლოებით ასი ადამიანი შეიკრიბა. აქ იყვნენ არა მხოლოდ თბილისელები, არამედ რუსთავის, ბოლნისის, გორის, ასურეთის და სხვა ქალაქების მაცხოვრებლები. სარაფანის რადიომ კარგად იმუშავა! იყო მხიარული შეხვედრები და ცრემლები... (...) მიიღეს გადაწყვეტილება გერმანული, ნაციონალური კულტურული კავშირის შექმნის შესახებ. (...) მე ხაზი გავუსვი იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებდა სამხრეთ კავკასიის ლუთერული ეკლესია გერმანული კოლონიების ცხოვრებაში და შევახსენე, რომ ჩვენი წინაპრები 1817-1818 წლებში რუსეთის იმპერიაში ჩამოვიდნენ და საქართველოსა და აზერბაიჯანში დასახლდნენ იმპერატორ ალექსანდრე I-ის მოწვევით. მაშინ რვიდან ყოველ *მშობელ* და თორმეტიდან ყოველ *შვილობილ* დასახლებაში ააშენეს საეკლესიო

ნაგებობები — *კირხეები*, რომელთა ირგვლივ ვითარდებოდა სულიერი ცხოვრება და ისახებოდა ტრადიციები. მე ვთქვი: «სრულფასოვანი გერმანული მრევლის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელი იქნება სრულფასოვანი გერმანული კავშირის შექმნა». ამ შემოთავაზებას მხარი დაუჭირა შეკრებილთა უმრავლესობამ. (.....) უკვე 1991 წლის ივნისში (.....) პირველი წირვა ჩავატარეთ. ღვთის სიტყვა ისმოდა გერმანულ და რუსულ ენებზე. მხურვალედ ვლოცულობდით და ნახევრად დავიწყებულ სიმღერებს ვმღეროდით. ასე წარმოიშვა პეტრესა და პავლეს სამრევლო თბილისში. (.....) თავიდან ორ კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით, შემდეგ ყოველ კვირას ტარდებოდა წირვა. რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრი სირთულე შეგვხვდა. საქართველოში არ არსებობდა ჩვენი მსახურებისათვის გამოსადეგი *კირხა*! გერმანული წარმოშობის გამო ჩვენი და ეკლესიების დევნის წლებში [ჩვენი საეკლესიო] შენობების დიდი ნაწილი (საუკეთესო შემთხვევაში) კლუბებად, კინოთეატრებად ან სპორტულ დარბაზებად გადაკეთდა, უარეს შემთხვევაში კი საწყობებად და ღორებისა და საქონლის სადგომებად გამოიყენებოდა. ალექსანდერსდორფის (დიდუბე) ეკლესია დაწვეს, წმინდა პეტრესა და პავლეს მთავარი ეკლესია (დღევანდელი მარჯანიშვილის ქუჩაზე) 1946 წელს გერმანელი სამხედრო ტყვეების ხელით დაანგრიეს. ამიტომ წირვის ჩასატარებლად გვიწევდა სხვადასხვა შენობაში ფართის პოვნა. (.....) სასწაულებრივად გადარჩენილი გერმანული ბიბლიები და სიმღერების კრებულები დაბეჭდილი იყო ძირითადად გოთიკური შრიფტით, რომელსაც უმეტესობა ვერ კითხულობდა. ამიტომ ლოცვებისა და სიმღერების ტექსტებს ხელით ვწერდით. თანდათანობით იქმნებოდა საეკლესიო მმართველობა, ბუღალტერია და კანცელარია. საეკლესიო ნივთებს ჩვენი მრევლის წევრების სახლებში ვინახავდით და ყოველ კვირას დიდი ჩანთებით დაგვქონდა. (.....) ერთხელაც გავიგეთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხშირად ჩამოდიოდა თეოლოგიის პროფესორი ზაარბრიუკენიდან გერტ ჰუმელი. მასთან მივიდა მრევლის დელეგაცია. (...) ვთხოვეთ, გვსტუმრებოდა და მრევლი გაეცნო, ასევე ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მიეღო და მრევლის წევრები ლუთერული წესით მოენათლა. ჩვენი თხოვნა შეისმინეს და მრევლთან გაცნობის და ვიურტემბერგის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიისაგან საქართველოში პასტორის საქმიანობის განხორციელების ნებართვის მიღების შემდეგ პროფესორმა და პასტორმა გერტ ჰუმელმა ღია ნათლობა ჩაატარა. ეს პირველი იყო 1931 წლის შემდეგ, როდესაც ლუთერული ეკლესიის პასტორი რიხარდ მაიერი დააპატიმრეს. დადგა ღირსშესანიშნავი დღე — 1992 წლის 21 ოქტომბერი.

(...) ამ დღეს მეც მივიღე წმინდა ნათლობა. (.....) დადგა ახალი ეტაპი საქართველოს ლუთერანული ეკლესიის ცხოვრებაში. 1995 წლის 25 სექტემბერს მრევლის წევრების, მოძმე ეკლესიებიდან მოსული მეგობრების, ვიურტემბერგიდან დიდი დელეგაციის და [გერმანიის] საელჩოს სტუმრების თანხლებით იკურთხა [საძირკველი] და ჩაიდო სიმბოლური ფილა და კაფსულა *მომავლის გ ზავნილით მოწმობა შერიგების ეკლესიის მშენებლობის დაწყებისა.* (.....) 1997 წელს დასრულდა თბილისის შერიგების ეკლესიის მშენებლობა, ჩამოიკიდა და იკურთხა ჯვარი და გერმანიაში ჩამოსხმული სამი ზარი სიმბოლური სახელწოდებით: *რწმენა, იმედი და სიყვარული*"! ეკლესია ოქტომბრის თბილ დღეს, რეფორმაციის დღესასწაულის წინ, 26.10.1997, აკურთხეს. შეიკრიბა ბევრი ადამიანი, იყვნენ სტუმრები ვიურტემბერგიდან. (...) მომდევნო [1999] წელს კიდევ ერთი მოვლენა მოხდა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიისათვის: პასტორი დოქტ. გერტ ჰუმელი არჩეული იყო საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსად. ასე წარმოიშვა ფენიქსის მსგავსად ფერფლისა და ნანგრევებისაგან - ჩვენი ევანგელურ-ლუთერული ეკლესია საქართველოში, რომელიც ეფუძნებოდა ჩვენი წინაპრების მიერ შემონახულ რწმენას" (საქართველოსა და... [2017]: 66-71).



შერიგების ეკლესია

ამდენად, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში ევანგელისტ-ლუთერანთა ეკლესიის პირველი შენობა კულტურის, განათლებისა და ქველმოქმედების ცენტრითურთ 1997 წლის 26 ოქტომბერს იკურთხა, რითაც სამართლიანობის აღდგენის გზაზე თვალსაჩინო ნაბიჯი გადაიდგა.

თეოლოგიის დოქტორისა და ზაარბრიუკენის უნივერსიტეტის პროფესორის, გერტ ჰუმელის (1933-2004), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დამეგობრებამ საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობათა ახალ საფეხურზე ასვლას შეუწყო ხელი. მისი

დახმარებით არაერთმა ქართველმა ახალგაზრდამ შეძლო გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში ცოდნის შეძენა, ანდა კვალიფიკაციის ამაღლება. მისი თანადგომით საქართველოში არაერთი სამეცნიერო და ჰუმანიტარული პროექტი განხორციელდა. გერტ ჰუმელი საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1998 წელს ჩამოვიდა და ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსის ხარისხით. მან და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ქრისტიან ჰუმელმა, ფართომასშტაბიანი სამისიონერო და საქველმოქმედო მოღვაწეობა გაშალეს: საკუთარი სახსრებით ააშენეს, გერმანელთა ყოფილ სასაფლაოზე, ახალი ეკლესია (Versöhnungskirche), მოხუცთა საცხოვრებელი სახლი და უფასო სასადილო. გერტ ჰუმელს მინიჭებული ჰქონდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორტს ხარისხი. ამ უნივერსიტეტში 2003 წლის 14 მაისს საზეიმოდ აღინიშნა მისი დაბადების 70 წლისთავი. განათლების იმდროინდელმა მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ სამენიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე წაიკითხა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულება ქართველ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და ბევრ სხვა სასიკეთო პროგრამაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის გერტ ჰუმელის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ. უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა ეპისკოპოს გერტ ჰუმელს საქართველოსა და გერმანიას შორის „ღირსეული ურთიერთობის ხიდების მშენებელი" უწოდეს („საქართველოს რესპუბლიკა" 2003, 15.V, 125, გვ. 1; 16.V, 126, გვ. 8. ნეკროლოგი იხ. ამავე გაზეთში: 2004, 19.III, 64, გვ. 10).



გერტ ჰუმელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1993

იმის თაობაზე, თუ როგორ დაუახლოვდა ეს ცოლ-ქმარი საქართველოს, ქალბატონ ქრისტიანე ჰუმელის წერილში „გახსენება და მომავალი" აღნიშნულია შემდეგი:

„90-იანი წლების დასაწყისიდან [გერმანიაში] ვხვდებოდით შვა-

ბი კოლონისტების შთამომავლებსა და იმ ხალხს, ვინც დევნასა და გადასახლებას გადაურჩა. (....) ჩვენდა სამწუხაროდ, [საქართველოში] გაჭირვებისა და ნაციონალიზმის ხანმოკლე უსიამოვნო აფეთქებით გერმანული წარმოშობის ახალგაზრდებისა და მოხუცების ნაწილი იძულებული გახდა, წინაპრების სამშობლოში გადასახლებულიყო. მეორე მხრივ, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც გერმანიასთან კავშირები გაწყვეტილი ჰქონდათ და წინაპრების საფლავების მიტოვება არ უნდოდათ -- ეს იყო პირადად ჩემთვის გულისამაჩუყებელი არგუმენტი და საეკლესიო და სამრევლო ცხოვრების აღორძინების მოტივაცია. მრევლის ხანშიშესული წევრები საბჭოთა კავშირში გამოვლილ მძიმე ცხოვრებას და ამჟამინდელ დამთრგუნველ საყოფაცხოვრებო პირობებს აღგვიწერდნენ. ამან წარმოშვა შერიგების ეკლესიის გვერდით დიაკონური სადგურის აშენების იდეა“ (საქართველოსა და... [2017]: 47-48).



ლუთერანები საქართველოს საპატრიარქოში

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია სამხრეთ კავკასიაში ამჯამად დაახლოებით 800 წევრს ითვლის. მისი ეპისკოპოსი არის მარკუს შოხი. ის რეგულარულ მსახურებას თბილისის შერიგების ეკლესიაში ასრულებს, მაგრამ სხვა ეკლესიებშიც ხშირად მოგზაურობს. სულ რვა ეკლესიაა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. მრევლისა და პასტორატის ძირითად ნაწილს გერმანული

წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ, თუმცა არაგერმანელების, განსაკუთრებით კი ქართველების, წილიც თვალსაჩინოა. ეს ეკლესია ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწევა კავკასიის მასშტაბით; გამოსცემს ყოველთვიურ ბიულეტენს სახელწოდებით „საეკლესიო მაცნე“ ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე; მონაწილეობს ინტერკონფესიურ ღონისძიებებსა და სამეცნიერო-თეოლოგიურ შეხვედრებში, საერთაშორისო და რეგიონალურ კონფერენციებში; ცდილობს, რომ შეინარჩუნოს ის სულიერი და კულტურული კვალი, რომელიც მისმა დედაეკლესიამ საქართველოს ისტორიაში აღბეჭდა.

ბოლოსიტყვა

ზემოთ განხილული მასალა გვაძლევს საფუძველს ვაღიაროთ, რომ საქართველოში მოქმედი ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორია ამ ქვეყნისა და მისი ხალხის ისტორიის განუყოფელი ნაწილი არის. დამსახურება, რომელიც ამ ეკლესიის შვილებს ადგილობრივი კულტურის წინაშე მიუძღვით, დიდია და ქების ღირსი. და შესაბამისად: ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდა ამ ეკლესიას და საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ გერმანელ ხალს, საქართველოსა და ქართველი ხალხის ტრაგედიაც არის.

მკვლევრების მიერ შემჩნეულია (და საფუძვლიანადაც), რომ ეს ტრაგედია (1941 წლის დეპორტაცია) მაშინ მოხდა, როდესაც გერმანულ და ქართულ კულტურათა დიალოგი ანუ ორი ხალხის სასურველი ინტეგრაციის პროცესი აქტიურ ფაზაში შედიოდა და მას უკვე ახალი, თვალსაჩინო და სასარგებლო ნაყოფი გამოჰქონდა. ის, რაც ამ ნაყოფის საილუსტრაციოდ ზემოთ ვთქვით, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც წერილობითი დოკუმენტებით არის ცნობილი. მაგრამ წერილობითი მასალის გარდა არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი და სანდო მასალა — ხალხის მეხსიერებაში ასახული ისტორია, ზეპირი ისტორია. ლაპარაკია იმ ადამიანების მოგონებებზე (მემუარებზე), რომლებიც გერმანელების მიმართ საბჭოთა საქართველოში განხორციელებული სისასტიკის ··· საკუთარი სახლებიდან გამორეკვის — თვითმხილველნი და მსხვერპლნი იყვნენ. მათი მოგონებები („ცხოვრებისეული ისტორიები") შესულია დაფნე შპრინგჰორნის დასახელებულ ნაშრომში (შპრინგჰორნი 2004: 65-197; Springhorn 2004: 65-212), რომლის ერთ-ერთი პერსონა არის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის, რძალი (შვილიშვილის ცოლი) --- ნორა პფეფერი (იხ. ქვემოთ: დანართი).

ამასთანავე ირკვევა, რომ გერმანელთა ქართული დიასპორის წარსული კარგად არის შენახული აგრეთვე ადგილობრივი, უბრალო ადამიანების მეხსიერებაში. მათი ნაამბობი, ხშირად ცრემლნარევი მოგონებები, შესულია თამთა მელაშვილის წიგნში „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში" (მელაშვილი 2017: 13-183). ეს „ისტორიები" ავტორს, მეტწილად, ბოლნისში, ასურეთში, სართიჭალასა და თბილისში მოუძიებია. ამ მასალიდანაც ჩანს, რომ კულტურათა და ტრადიციათა აღნიშნული დიალოგის მეშვეობით საქართველოში ნელ-ნელა, მაგრამ ცხადად, საფუძველი ეყრებოდა ხალხთა ახალ ურთიერთობას და ღირებულე-

ბათა ახალ სისტემას: ახალი სიცოცხლე იბადებოდა. დასანანია, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა მას განვითარების საშუალება არ მისცა: ახალშობილს გაზრდა არ დააცალა (კოდალაშვილი 2017: 61-63).

ეს ისტორია ასევე ცოცხლად არის შენახული ფოტოსურათებში. ამის დასტურია ძმების, ვიქტორ-ჰაინრიხსა და ვლადიმირ-კარლ ვურხერების, რუსულ ენაზე შედგენილ და გერმანულ თარგმანთან ერთად (ერთი ყდით) გამოცემულ ნაშრომი, რომლის სათაური ქართულად ასე ითარგმნება: „ხალხის შესახებ, რომელიც არარატის წმინდა მთისაკენ მიემართებოდა. ის, რაც კატერინენფელდის ისტორიიდან დაუვიწყარია ანუ ერთი ოჯახის ისტორია ფოტოგრაფიაში" (Вухрер, Вухрер 2017). აქედანაც ჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის საოჯახო ფოტოალბომებს, მათი მოძიებისა და დამუშავების საქმეს. ამაზე მიგვანიშნებს ელენა ილინეცის მიმოხილვა ამავე გამოცემისა (ილინეცი 2017: 45-50).

2011 წლის ოქტომბერში მეც, ამ სტრიქონების ავტორსაც, მომეცა შესაძლებლობა, ჩემს გერმანელ მეგობართან, შვაბიის მხარის პიეტისტთა საზოგადოების წევრთან, მანფრედ როიტერთან ერთად ვწვეოდი ბოლნისს. იქ ჩვენ გავიცანით 97 წლის ქალბატონი – ანა ვახვახიშვილი. გაირკვა, რომ მას, თურმე, ადგილობრივი კოლონიის, კატარინენფელდის, სკოლა დაუმთავრებია და იქაურ ეკლესიასთანაც დაახლოებული ყოფილა. მან გაიხსენა, თუ რარიგ ყვაოდა ბოლნისი იმ ავბედით დეპორტაციამდე და რას დაემსგავსა ის გერმანელთა დეპორტაციიდან სულ მოკლე ხანში; რა წარმატებები ჰქონდა ბოლნისელი ფესბურთელების გუნდს, რომელშიც მისი ძმაც, ვალიკოც, თამაშობდა (შდრ. დანელია 2017: 140). ქალბატონი ანა შესანიშნავად ერკვეოდა ევანგელურ ტრადიციასა და ლიტერატურაში; სრულყოფილად ფლობდა როგორც სალიტერატურო გერმანულს, ისე შვაბურ დიალექტს; შენახული ჰქონდა ძველი გერმანული შრიფტით შესრულებული საღვთისმსახურო წიგნები, რომელთაც ლაღად კითხულობდა;



ანა ვახვახიშვილი და ნათელა გრიგოლია

ლოცვებსა და საგალობლებს ზეპირად წარმოთქვამდა; ბოლნისიდან გერმანელების გარეკვის ამბებს ისე გვიყვებოდა, როგორც ერთი წლის წინანდელ ამბებს, -- ცრემლით და გულისტკივილით. გერმანელმა სტუმარმა, ამ პიროვნების გაცნობით მოხიბლულმა და აღფრთოვანებულმა, დაადასტურა: წიგნები, რომლებიც ხელთ აქვს ამ ქალბატონს, არის პიეტისტთა საღვთისმსახურო ტექსტები და მათ ის იმავე აქცენტით, ტონალობით და განცდით კითხულობს, როგორც ჩვენთან, ვიურტემბერგში, ჩვენი დიდი ბებიები და ბაბუები კითხულობდნენო.

გავიგე, რომ ჩვენი შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქალბატონი ანა გარდაიცვალა. მოგონებებს გერმანელ მეგობრებზე, მეზობლებზე და მათდროინდელ ბოლნისზე, რომელთაც ის გულით დაატარებდა, დღეს მისი ქალიშვილი ნათელა გრიგოლია ინახავს (შდრ. მელაშვილი 2017: 20-22). მან ისიც იცის, რომ მის დედას, ქალბატონ ანას, ბოლნისის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის განახლების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის, რათა ამ ქალაქში სამართლიანობას გაემარჯვა.

საბედნიეროდ ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ქალბატონ ნათელას მსგავსად, საქართველოში გერმანელთა კულტურული კვალის შესახებ მათი წინა თაობის მოგონებები და გადმოცემები გაიხსენონ. ასეთი გადმოცემების შეკრებისა და შესწავლის საქმე, როგორც ვხედავთ, დაწყებულია და *სამკალი ფრიად არს* (მათე 9: 37; ლუკა 10: 2).



ასურეთის ეკლესია დღეს

ლიტერატურა

ბატონიშვილი 1991: იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ხუმარსწავლა, წ. II, თბილისი, 1991

ბაქრაძე 1947: გ. ი. ბაქრაძე, ქართული ჟურნალისტიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945), თბილისი, 1947

ბაქრაძე 2010: ლაშა ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა), თბილისი, 2010

ბიბილაშვილი: იხ.: **მზე-ჭაბუკი**

ბურჭულაძე 1911: გ. ბურჭულაძე, გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში, გრ. ყიფშიძის რედაქციით, ტფილისი, 1911

გერმანელები და ქართველები 2013: გერმანელები და ქართველები შუა საუკუნეებიდან დღემდე. Deutsche und Georgier vom Mittelalter bis Heute. Germans and Georgians from the middle ages until today, თბილისი. Tbilisi 2013

გერმანული უმცირესობის 2017: გერმანული უმცირესობის კულტურული მარშრუტი საქართველოში, [თბილისი] 2017 (ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე)

გიულდენშტედტი 1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ. 1, თბილისი, 1962

გიულდენშტედტი 1964: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ 2, თბილისი, 1964.

გუგუშვილი 1949: პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში (მონოგრაფიები), ტ. 1, თბილისი, 1949

გურჩიანი 2008: ქეთევან გურჩიანი, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია. რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2008

დანელია 2017: პეტრე დანელია, ბოლნისი. Katharinenfeld. Люксембург, თბილისი, 2017

ვაგნერი 2002: მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილისა, თბილისი, 2002

თამარაშვილი 1902: მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902

ილინეცი 2017: ელენა ილინეცი, „ერის შესახებ, რომელიც არარატის წმინდა მთისაკენ გაეშურა“. საეკლესიო მაცნე, 07/08-2017
კეკელიძე 1980: კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1980
კლდიაშვილი 2010: დარეჯან კლდიაშვილი, ჯაყელთა კიდევ ერთი საგვარეულო მატიანე ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან. საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი (მასალები), თბილისი, 2010
კოდალაშვილი 2017: ლელა კოდალაშვილი, ახალშობილი, რომელსაც გაზრდა არ აცალეს. ახალი საუნჯე, 2017, 12
კომახია 2007: მამუკა კომახია, გერმანელები საქართველოში. „სოლიდარობა“, 2007, 5
კოპალეიშვილი 2014: ტატიანა კოპალეიშვილი, პროტესტანტული ეკლესიები საქართველოში XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე, ბათუმი, 2014
კოხი 1981: კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1981
კუტალია 1993: გურამ კუტალია, ლუთერანული ეკლესიები და სკოლები საქართველოში. მისივე, მარტინ ლუტერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბილისი, 1993
მანჯგალაძე 1968: გურამ მანჯგალაძე, სექტანტური მოძრაობა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებში. კრებ.: რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, წ. 1, თბილისი, 1968
მანჯგალაძე 1974: გურამ მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბილისი, 1974
მაისურაძე 2004: რუსუდან მაისურაძე, ბაზელის ევანგელიკური მისია და გერმანელი ლუთერანები საქართველოში. ფილოსოფიური ძიებანი, VIII, თბილისი, 2004
მელაშვილი 2017: თამთა მელაშვილი, თქმული და უთქმელი ისტორიები, თბილისი, 2017
მზე-ჭაბუკი 1895: მზე-ჭაბუკი [ვასილ ბიბილაშვილი], მარიენფელდის ახალშენი (გარეთ კახეთი). „ივერია“, 1895, 29.VIII, 185
ნათიძე 1961: გ. ნათიძე, საუკუნის სიღრმიდან (მეთექვსმეტე საუკუნის მისიონერი-მოგზაური საქართველოს შესახებ) [მიმოხილვა და თარგმანი]. „დროშა“, 1961, 11
ნათიძე 1962: გ. ნათიძე, ქართველები კონსტანტინოპოლსა და

იერუსალიმში. „დროშა“, 1962, 6
ოთხმეზური, ჭუმბურიძე 2017: თამარ ოთხმეზური, თამარ ჭუმბურიძე, გერმანელი ხელოვანის გრავიურები ქართულ „ლოცვანში“. მრავალთავი 25, თბილისი, 2017
პაპუაშვილი 1996: ნუგზარ პაპუაშვილი, რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორიის შესავალი), თბილისი, 1996
პაპუაშვილი 2002: ნუგზარ პაპუაშვილი, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2002
პაპუაშვილი 2008: ნუგზარ პაპუაშვილი, კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ «დროების» მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი), თბილისი, 2008
პაპუაშვილი 2011: ნუგზარ პაპუაშვილი, რამდენიმე ახალი ცნობა კორიდეთის კოდექსის შესახებ. ბიზანტინოლოგია საქართველოში — 3, ტ. II, თბილისი, 2011
პაპუაშვილი 2015: ნუგზარ პაპუაშვილი, რაინეგსი და კოხი კავკასიის ალბანეთის შთამომავალთა შესახებ. კავკასიოლოგიური ძიებანი, 7, თბ.თბილისი 2015
პაპუაშვილი 2017: ნუგზარ პაპუაშვილი, ათონური ხელნაწერი მიქარწმინდაში და პეტრე იბერის კანონიზაციის საკითხი ამბროსი ხელაიას ინფორმაციის კვალდაკვალ. მრავალთავი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი) 25, თბილისი, 2017
პეტროზილი 2011: პიერო პეტროზილი, ქრისტიანობის ლექსიკონი (თარგმანი მარიკა სააკაშვილისა), თბილისი, 2011
ჟანენი 1996: რემონ ჟანენი, საქართველო (კათოლიკური საღვთისმეტყველო ენციკლოპედია, ტომი მეექვსე, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1996
რევიშვილი 1977: შოთა რევიშვილი, გერმანულ-ქართული ეტიუდები, თბილისი, 1977
საქართველოსა და.... [2017: საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის 200 წლის იუბილე (1817-1917) (გერმანულ, ქართულ და რუსულ ენებზე; გამოცემის ადგილი და თარიღი მითითებული არ არის)
სვანიძე 1971: მიხეილ სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 1971
სლოვინსკი 1902: კ. სლოვინსკი, გერმანელთა პირველი ახალშენი ამიერკავკასიაში (მთარგმნელი „ნ.ა.“). „ივერია“, 1902, 30. III, 69; 2. IV, 71
სონღულაშვილი 1995: ავთანდილ სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბილისი, 1995

სურმანიძე 1983: რამაზ სურმანიძე, ტრაქტატის თანააავტორი, ბათუმი, 1983
სხირტლაძე 1994: ზაზა სხირტლაძე, იერიის ღეთისმშობლის ხატის მოჭედილობა, თბილისი, 1994
ტაბაღუა 1984: ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), [ტ. 1], თბილისი 1984
ტაბიძე 1975: გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12, თბილისი, 1975
უილბრაჰამი 1990: რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში, ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნანა მელაძემ, თბილისი, 1990
ფრონელი 1891: ალექსანდრე ფრონელი [ალექსანდრე ყიფშიძე], მთავარმართებელი ა. პ. ერმოლოვი და გერმანელების ახალშენები ჩვენში. „ივერია", 1891, 19.IX, 199
ქართლის ცხოვრება IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973
შარაშიძე 1961: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961
შარდენი 1935: ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, აკაკი გაწერელიას წინასიტყვით და რედაქციით, თბილისი, 1935
შარდენი 1975: ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975
შპრინგჰორნი 2004: დაფნე შპრინგჰორნი, გერმანელები საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა მაია სიმონიშვილმა, თბილისი, 2004
ჩიქობავა 1965: არნოლდ ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965
ცინცაძე 1994: კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი, 1994
ჭიჭინაძე 1904: ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), თბილისი, 1904


ჭიჭინაძე 1918: ზ. ჭ. [ზაქარია ჭიჭინაძე], ლუტერის სჯულის ქართველები საქართველოში (ისტორიული მიმოხილვა), გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. «სამშობლოდამ», თბილისი, 1918
ჭუმბურიძე, ქიმერიძე 2015: თამარ ჭუმბურიძე, ნინო ქიმერიძე, გერმანულენოვანი ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მრავალთავი 24, თბილისი, 2015
ხანთაძე 1959: შოთა ხანთაძე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX, 1959
ხანთაძე 1968: შოთა ხანთაძე, ნარკვევები ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე). ქართული ისტორიოგრაფია, I, თბილისი, 1968
ჯავახია 2005: ბეჟან ჯავახია, საქართველოში ლუთერანობის გავრცელების მცდელობის ისტორიიდან. კრიტერიუმი, 13, 2005
ჯავახიშვილი 1948: ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV (XV-XVI საუკუნეები), თბილისი, 1948
ჯვარიძე 2011: გრიგოლ ჯვარიძე, ივანე გვარამაძის პირადი არქივის აღწერილობა, ახალციხე, 2011
ჰუმელი 2015: ქრისტიანე ჰუმელი, ფრიდა მაიერ-მელიკოვა, 1906 — 2015. საეკლესიო მაცნე, 09-2015
Benga 2001: Daniel Benga, David Chytraeus (1530-1600) als Erforscher und Wiederentdecker der Ostkirchen. Seine Beziehungen zu orthodoxen Theologen, seine Erforschungen der Ostkirchen und seine ostkirchlichen Kenntnisse, Erlangen 2001
Benz 1949: Ernst Benz, Wittenberg und Byzanz: Zur Begegnung und Auseinandersetzung der Reformation und der östlich-orthodoxen Kirche, Marburg 1949
Benz 1952: Ernst Benz, Die Ostkirche im Lichte der protestantischen Geschichtsschreibung von der Reformation bis zur Gegenwert. Freiburg / München 1952
Brosset 1856: Marie-Félicité Brosset, Historie de la Géorgie, t. II., St. Petersburg 1856
Chytraeus 1581: 1584: David Chytraeus, Was zu dieser zeit in Griechenland, Asien, Africa, unter des Türcken und Priester Johans Herrschaften, Item in Ungern und Behemen, etc. der Christlichen Kirchen zustand sey. Sampt etlichen Schreiben, so von Constantinopel, vom Berge Sinai, und anderen örten aus Orient, newlicher zeit abgegangen. Erstlich von D. Davide Chytraeo Lateinisch in Druck gefertigt, und jetzund von Henrico Arnoldo (...) verdeutschet, o. O.

1581; 1584
Crusius 1584: Martinus Crusius, Turcogrekia, Tübingen 1584
Engels 1940/41: Walter Engels, Tübingen und Byzanz, in: Kyrios, Feft ¾, Berlin 1940/41
Föll 2002: Renate Föll, Sehnsucht nach Jerusalem (Zur Ostwanderung schwäbischer Pieristen), Tübingen 2002
Gerlach 1674: Stephan Gerlachs deß Aelteren Tage-Buch der von zween glorwürdigsten römischen Kaysern, Maximiliano und Rudolpho (...) an die Ottomannische Pforte zu Constantinopel abgefertigten und durch den Wohlgebohrnen Herrn Herrn. David Ungnad (...) zwischen den Ottomanischen und Römischen Kaysertum (...), Frankfurt am Main 1674
Grundmann 1961: Herbert Grundmann, Religiöse Bewegungen im Mittelalter, Darmstadt 1961
Güldenstädt 1787: Johann Anton Güldenstädt, Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge, Auf Befehl der Rußisch-Kayserlichen Akademie der Wissenschafften herausgegeben von P. S. Pallas, Bd. 1, St.-Petersburg 1787
Güldenstädt 1791: Johann Anton Güldenstädt, Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge, Auf Befehl der Rußisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften herausgegeben von P. S. Pallas, Bd. 2, St.-Petersburg 1791
Güldenstädt 1815: Dr. J. A. Güldenstädt, Reisen nach Georgien und Imerethi, Aus seinen Papieren gänzlich umgearbeitet und verbessert herausgegeben, und mit erklärenden Anmerkungen begleitet von Julius von Klaproth, Berlin 1815
Haigis, Hummel 2002: Peter Haigis, Gert Hunnel, Schwäbische Spuren im Kaukasus: Auswandererschicksale, Metzingen 2002
Javakhia 2007: Bejan Javakhia, Protestantism (Luther's Church) in Georgia,in: Round Table „Caucasus — Perspective of Intercultural Dialogue", Tbilisi 2007
Kaufhold 2011: Hubert Kaufhold, Zur Geschichte der georgischen Studien in Deutschland, in: Oriens Christianus, Bd. 95/2011
Kaufmann 2006: Thomas Kaufmann, Martin Luther, München 2006
Klaproth 1812: Reise in den Kaukasus und Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808, auf Veranstaltung der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zu St. Petersburg, enthaltend eine vollständige Beschreibung der Kaukasischen Länder und ihrer Bewohner, von Julius von Klaproth, Kaiserl. Russischem Hofrathe und Mitgliede der

Akademie der Wissenschaften zu St. Petersburg, Halle und Berlin 1812
Koch 1855: 1) Karl Koch, Reise von Redut-Kaleh nach Trebisond (kolchis und das Land der Lasen) und 2) Ein Ausflug nach dem Kriegsschauplatz, in: Die Kaukasischen Länder und Armenien in Reiseschilderungen von Curzon, K. Koch, Macintosh, Spencer und Wilbraham. Herausgegeben von Professor Dr. Karl Koch, Leipzig 1855
Koch 1882: Der Kaukasus. Landschafts- und Lebens-Bilder. Aus dem Nachlasse von Karl Koch, Herausgegeben von Therese Koch, Berlin 1882
Kölzer 2006: Th. Theo Kölzer, Gregor IX., in: Lexikon für Theologie und Kirche, 4. Band, Freiburg.Berlin.Wien 2006
Lichtenberger 2014: Hermann Lichtenberger, Die Apokalypse, in: Theologischer Kommentar zum Neuen Testament, Band 23, Stuttgart 2014
Otkhmezuri, Tchumburidze 2016: Tamar Otkhmezuri, Tamar Tchumburidze, Die Kupferstiche Martin Engelbrechts in einer georgischen Handschrift, in: Oriens Christianus, 99 / 2016
Papuaschwili 2016: Nugzar Papuaschwlili, Eine bibliographische Mitteilung des Ambrosi Ḫelaia über eine Handschrift vom Athos in Miqarzminda und über die Geschichte der Verehrung des Petrus des Iberers, in: Oriens Christianus, B. 99 / 2016
Parrot 1985: Friedrich Parrot, Reise zum Ararat, Herausgegeben und mit einem Nachwort versehen von Marianne und Werner Stams, Leipzig 1985
Petrosillo 1995: P. Petrosillo, Il Cristianesimo della A alla Z Lessico della fede cristiana, Milano 1995, ȝȝ. 22-23
Podskalsky 1988: Gerhard Podskalsky, Griechische Theologe in der Zeit der Türkenherrschaft (1453-1821). Die Orthodoxie im Spannungsfeld der nachreformatorischen Konfessionen des Westens, München 1988
Reineggs 1796; 1797: J. Reineggs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt und herausgegeben von F. E. Schröder, 1. Teil, Gotha / St. Petersburg 1796; 2. Teil, Hildescheim / St. Petersburg 1797
Rohrbacher 2008: Heinrich Rohrbacher. Georgien. Bibliographie des deutschsprachigen Schrifttums, Wiesbaden 2008
Runciman 1968: Steven Runciman. The Great Church in Captivity: A Study of the Patriarchate of Constantinople from the Eve of the Turkish Conquest to the Greek War of Independence, Cambridge 1968


Runciman 1970: Steven Runciman, Das Patriarchat von Konstantinopel vom Vorabend der türkischen Eroberung bis zum griechischen Unabhängigkeitskrieg, München 1970
Schlatter 1816: Wilhelm Schlatter, Geschichte der Basler Mission 1815-1915, Mit besonderer Berücksichtigung der ungedruckten Quellen, Band I., Basel 1816
Schlatter 1916: Wilhelm Schlatter, Geschichte der Basler Mission 1815-1915: Mit besonderer Berücksichtigung der ungedruckten Quellen,: Verlag der Missionsbuchhandlung, Basel 1916
Schweigger 1964: Salomon Schweigger, Ein newe Reyßbeschreibung auss Teutschland nach Constantinopel und Jerusalem, Einleitung Rudolf Nech, Graz 1964
Skhirtladze 2005: Z. Skhirtladze, The Original Cladding of the Portaitissa Icon. Oriens Christianus, Bd. 89, 2005
Songulaschwili 1997: Awtandil Songulaschwili, Fie Deutschen in Georgien, Ins Deutsche übersetzt von Nelly Amaschukeli und Natali Dshanelidse, Tbilissi 1997
Sorg 2000: Theo Sorg, ER das Haupt, wir seine Glieder (Kirche und Pietismus in Württemberg), Holzgerlingen 2000
Springhorn 2004: D. Springhorn, Deutsche in Georgien, Tbilissi 2004
Springhorn 2004: Dapner Springhorn, Deutsche in Georgien, Tbilissi 2004
Sturm 1979: Heribert Sturm, Biographisches Lexikon zur Geschichte der Böhmischen Länder, B. I, München - Wien 1979
Suchland 2001: Klaus-Henning Suchland, Das Byzanzbild des Tübinger Philhellenen Martin Crusius (1526-1607), Würzburg 2001
Udsulaschwili 2006: Ekaterine Udsulaschwili, Die deutschen Kolonisten in Georgien (Elisabethtal-Asureti 1818-1941), Tbilisi 2006
Wagner 1850: Reise nach Kolchis und nach den deutschen Kolonien jenseits des Kaukasus, Mit Beiträgen zur Völkerkunde und Naturgeschichte Transkaukasiens von Moritz Wagner, Leipzig 1850
Wendebourg 1986: Dorothea Wendebourg, Reformation und Orthodoxie. Die ökumenische Briefwechsel zwischen der Leitung der Württembergischen Kirche und Patriarch Jeremias II. von Konstantinopel in den Jahren 1573-1581, Göttingen 1986
Wilbraham 1. 1839; 2. 1839: Richard Wilbraham, Travels in the Transcaucasian Province of Russia and along the Southern Shore of the Lakes of Vani and Urumiah in the Autumn and Winter of 1837, in: Winter Journey through Russia, Caucasian Alps and Georgia, Vol. 1. London

1839; Vol. 2, London 1839
Wolf 2009: Gerhard Philipp Wolf, Martin Crusius (1526-1607), in: Fränkische Lebensbilder, B. 22, Würzburg 2009
Wolter 1985: H. Wolter, Das Papsttum auf der Höhe seiner Macht (1198-1216), in: Handbuch der Kirchengeschichte, Hrsg. Hubert Jedin, III/2. Die mittelalterliche Kirche: Von Hochmittelalter bis zum Vorabend der Reformation, Freiburg.Basel.Wien 1985
Вухрер, Вухрер 2017: Виктор Генрихович Вухрер, Владимир Генрихович Вухрер, О народе, державшем свой путь к Святой Горе Арарат. Незабытое из истории Катариненфельда или история одной семьи в фотографиях, Ереван, 2017 / Viktor-Heinrich Wucher, Wladimir-Karl Wucher, Nichtvergessenes aus der Geschichte von Katharinenfeld oder die Geschichte einer Familie, erzählt mit einigen Bildern. Über das Volk, das sich auf den Weg zum heiligen Berg Ararat machte, Aus dem Russischen übersetzt von Hatalia Algulian, Eriwan 2017
Полиевктов 1935: М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис 1935
Рансимэн 2006: Стивен Рансимэн, Великая Церковь в пленении, История Греческой церкви от падения Константинополя в 1453 г. до 1821 г., Перевод с английского Л. А. Герд, Санкт-Петербург, 2006
Словинский 1902: К. Словинский, Первые немецкие колонисты в Закавказье, в: „Кавказъ", 1902, 19, II, 47; 20, II, 48



ბოლნისი

დანართი



კალისტრატე ცინცაძე ცოლ-შვილთან ერთად

ნუგზარ პაპუაშვილი

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და მისი მეუღლე ოტილია-ნინო თომას-ცინცაძე

(მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა)[1]

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. ის გახლდათ ერთობ ნაკითხი და განათლებული სასულიერო პირი, გამოცდილი პედაგოგი, კულტურტრეგერი, სიძველეთა დამცველი და მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარი, ამასთანავე გამოირჩეოდა ტოლერანტობით და განსხვავებული სარწმუნოების ადამიანებთან ურთიერთობაში გულთბილობით. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ბევრ ისეთ ეპიზოდს შეიცავს, რომელიც მორწმუნეობის კულტურის ნიმუშად წარმოგვიდგება.კალისტრატე ცინცაძე დაიბადა 1866 წლის 12 აპრილს სოფელ ტობანიერში (იმერეთი, ვანის რაიონი) სასულიერო პირის ოჯახში. ის სწავლობდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში, სადაც მან სასულიერო სემინარია დაამთავრა, ბოლოს კი კიევში, რომლის სასულიერო აკადემიის კურსი 1892 წელს დაასრულა და დაიცვა დისერტაცია ეკლესიის ისტორიის განხრით. კალისტრატე ცინცაძე ამ ქალაქში დაიწინდა გერმანელ ქალიშვილზე, რის შემდეგაც დაბრუნდა სამშობლოში და სასულიერო ხარისხი მიიღო. მღვდელმსახურების პარალელურად ის ინტენსიურსა და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა უბანზე.

1811 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია წართმეული ჰქონდა რუსეთის საეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფლების მიერ. ეს ფაქტი უაღრესად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა ქართველი მართლმადიდებელი

[1] პირველი გამოცემა (გერმანული ვერსია): ცინცაძე 2017: 31–44.

მოსახლეობის რელიგიურ ცნობიერებაზე. ამის გამო იმდროინდელი ქართველების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად და პრობლემად საეკლესიო დამოუკიდებლობის აღდგენა გამოიყურებოდა. მათ უნდა დაესაბუთებინათ, რომ ავტოკეფალია, რითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-19 საუკუნემდე სარგებლობდა, იყო არა მხოლოდ ფაქტობრივი (დე ფაქტო), არამედ იურიდიულიც (დე იურე). ამ მიმართულებით კალისტრატე ცინცაძემ ბევრი იღვაწა: საამისოდ მან მეცნიერული ნაშრომები დაწერა და გამოაქვეყნა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა. ამის შემდეგ კალისტრატე ცინცაძე მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოში საკათალიკოსო საბჭოს მმართველად. ის ამ ეკლესიის საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარებისათვის ბევრს იღვწოდა. ამ მიმართულებით მან რიგ წარმატებებს მიაღწია და იმედებიც ჰქონდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ (1921 წლის თებერვალ-მარტში) ყველაფერი მიწასთან გაასწორა. ქვეყნის გასაბჭოება ეკლესიისა და მორწმუნეების წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. ამის გამო მაშინდელი კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია (წმ. ამბროსი აღმსარებელი) იძულებული გახდა, პროტესტი როგორც სამშობლოში, ისე მის საძღვრებს გარეთ გამოეხატა. მან, კერძოდ, გენუის კონფერენციას მემორანდუმი მისწერა (შედარებით ვრცლად: Papuashvili 2012: 63-70). ამ საპროტესტო მოძრაობაში კალისტრატე ცინცაძეც აქტიურად მონაწილეობდა, რის საფუძველზე ის 1923 წელს კათალიკოს-პატრაიარქ ამბროსი ხელაიასთან და საკათალიკოსო საბჭოს სრულ შემადგენლობასთან ერთად დააპატიმრეს. ისინი საპყრობილეში ორ წელიწად ნახევარი ისხდნენ და იქიდან 1925 წლის მარტში გამოვიდნენ.

იმავე წელს დეკანოზი კალისტრატე კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული. 1932 წლის 24 ივნისს კი ეპისკოპოსი კალისტრატე ცინცაძე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აღასაყდრეს. პატრიარქის კათედრას ის ოცი წლის მანძილზე განაგებდა. ეს წლები არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის უმძიმესი პერიოდი ანტირელიგიური ისტერიისა და ფსიქოზის, დევ-

ნილებისა და რეპრესიების გამო. სახელმწიფო ორგანოებს თვით თბილისის სიონის, მაშინდელი მთავარი კათედრალის, დახურვა ჰქონდათ დაგეგმილი, რადგან არც ამ და არც სხვა ეკლესიას ხელოვნურად გაზრდილი გადასახადების გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნდა. საქართველოს დედაქალაქის მთავარი ტაძრის დახურვა პრაქტიკულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას ნიშნავდა. ეკლესიის მდგომარეობა კათალიკოსმა საგანგაშოდ გამოაცხადა და გაავრცელა მოწოდება თანადგომის მოპოვებისათვის: "საქართველოს ეკლესიას კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს მას ბოლო სულ მოკლე ხანში". საქმეში ჩაერთო ინტელიგენცია, რის გამოც საქართველოს საპატრიარქოს ანუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირისაგან მიწისა აღგვის კურსი შეჩერდა. ამასობაში კი მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, რის გამოც საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა, ეკლესიის მიმართ ტაქტიკა შეეცვალა. პატრიარქის თხოვნა-განცხადებები ფინანსური საინსპექციო სამსახურებისადმი ეკლესიებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა და ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, განსაცდელს თავი დააღწია.

მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ანტიფაშისტური ძალების მხარეზე დადგა. სხვადასხვა წყაროს მეშვეობით ცნობილია, რომ ნაცისტური მთავრობა კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პიროვნებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. ამას ორი მიზეზი და საფუძველი ჰქონდა: 1. პატრიარქ კალისტრატეს მეუღლე ოტილია-ნინო თომასი[2] (Ottilia-Nino Thomas) გერმანელი იყო, რის გამოც გერმანულენოვან სივრცესთან მას ინტენსიური ნათესაური ურთიერთობები ჰქონდა, და 2. პატრიარქი კალისტრატე ერთობ განათლებული პიროვნება გახლდათ, კარგად ფლობდა გერმანულ

[2] მისი ქალიშვილობის სახელი კალისტრატე ცინცაძის ნაწერებში მოხსენიებული არ არის და არც მკვლევრების ნრისათვის იყო ის ცნობილი. ამ სახელმა პირველად ჩვენს პუბლიკაციებში გაიჟღერა, მაგრამ არაზუსტად და არაადეკვატურად (Papuashvili 2012: 82;ცინცაძე 2014: 183). ამ საკითხში სიცხადის შემოტანას ქალბატონ ნიცა ხუციშვილს უნდა ვუმადლოდეთ (იხ. ქვემოთ).

ენას და მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. სავარაუდოა, რომ ნაცისტებს მისი საკუთარ სამსახურში ჩაყენება უნდოდათ. მაგრამ მათი იმედები დაიმსხვრა. საბჭოთა კავშირის რელიგიურ ლიდერებს შორის კალისტრატე ცინცაძე იყო პირველი, რომელიც ანტიფაშისტური კოალიციის მხარეზე დადგა (შედარებით ვრცლად იხ. ჩემს წიგნში: პაპუაშვილი 2006: 86-88,207). ომის დროს და მისი დამთავრების შემდეგ ეკლესიის შესაძლებლობები რამდენადმე გაიზარდა, რათა ზოგიერთი კულტურული და საგანმანათლებლო პროექტი განეხორციელებინათ. ყველაზე თვალსაჩინოა საეკლესიო-ევქარისტიული ურთიერთობის აღდგენა საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. ეს მოხდა 1943 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც ორი მეზობელი ეკლესიის წარმომადგენლებმა ევქარისტიული კავშირის გაწყვეტიდან (1917 წლიდან) პირველად შეასრულეს ერთობლივი ლიტურგია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში. ამით რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია დე ჯურე და ამის თაობაზე მან ქრისტიანული აღმოსავლეთის ყველა პატრიარქს აუწყა (შედარებით ვრცლად იხ.: Papuashvili 2012: 81-85).

უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე 1952 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა და საყოველთაო გლოვით სიონის კათედრალში დაიკრძალა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა ის 2016 წლის 22 დეკემბერს წმინდანად გამოაცხადა და ხსენების დღე 3 თებერვალს განაწესა.

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე (ჩემი ბოლო ნაშრომები ორივე ენაზე შესულია გამოცემაში: ცინცაძე 2014: 7-21, 173-303. ჩემი რედაქციით გამოცემულია აგრეთვე საიუბილეო კრებული: ცინცაძე 2017). ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომია ამ თემით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. კალისტრატე ცინცაძის მეუღლის ვინაობისა და ბიოგრაფიის, მათი შეხვედრისა და შეუღლების შესახებ კი საზოგადოებისათვის საგნობრივად თითქმის არაფერი

არ არის ცნობილი. არც მკვლევრები შეხებიან ამ საკითხს. არადა ჭეშმარიტების წინაშე თავს ვალდებულად ვთვლით ვაღიაროთ, რომ საეკლესიო სარბიელზე დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის წინსვლა და ამაღლება დიდწილად მისი მეუღლის ღვთისმოსაობის დამსახურება არის. ეს ფაქტი შთაგვაგონებს, რომ მისი პიროვნების მიმართ მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ.

ამ ქალბატონის ცხოვრებას ჩვენ ძირითადად კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მოგონებებიდან ვეცნობით: "მოგონებები არაშორეული წარსულიდან" და "Из моих Воспоминаний" (ცინცაძე I 2010: 243-304; ცინცაძე II 2010: 224-473). ის იქ თავის მეუღლეს იშვიათად ახსენებს, მაგრამ სათუთად, უაღრესი პატივისცემით და თანაც მხოლოდ ქორწინების დროს შეძენილი სახელით – ნინო; მისი ქალიშვილობის სახელს მოგონებებში ვერ ვპოულობთ. ქორწინებამდე რომ მას ოტილია (Отилия) ერქვა, ჩვენთვის ცნობილია მისი შვილიშვილის ქალბატონ ნიცა ხუციშვილის მიერ ჟურნალისტისათვის მიცემული ინტერვიუდან, რომელიც გამოქვეყნდა სათაურით "კალისტრატე ცინცაძის უკანასკნელი საჩუქარი" (კაჯრიშვილი 2014: 39). ამ პუბლიკაციიდდან იმასაც ვგებულობთ, რომ ოტილიას მამა, ივანე თომასი (ჟოჰანნეს თჰომას), გერმანელი მეურნე და სარწმუნოებით ლუთერანი გახლდათ. აღნიშნულ მოგონებებში მხოლოდ ეს არის ნათქვამი: ჩემი მომავალი მეუღლე ნინო იყო "გაზენჰოტის (კურლანდია) მოქალაქის ივანე ტომმასის ასული ნინო" (ცინცაძე I 2010: 277).

ქართველი ჭაბუკისა და გერმანელი ქალიშვილის გამიჯნურების ეს ამბავი ერთი ნახვით შეყვარების იმ მომხიბლავ სიუჟეტებს ჰგავს, რომლებიც კარგად არის ცნობილი მსოფლიო ლიტერატურაში თუნდაც რომეოსა და ჯულიეტას გამიჯნურების ამბით. მოგონებებიდან ჩვენთვის ცნობილია შემდეგი: ასეთ გამიჯნურებამდე კალისტრატე ცინცაძე თურმე ბერობაზე ოცნებობდა. ერთხელ, 1890 წლის შემოდგომაზე, მისთვის, სტუდენტისათვის, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს (†1896) უთქვამს: "მე და ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) უკვე დავბერდით. დღეს თუ ხვალ სიკვდილიც თავის მოვალეობას შეასრულებს. განათლებული ბერები, გარდა ლეონიდისა, ჩვენ აღარა გვყავს. ვინ უნდა იყვნენ ჩვენს შემდეგ? ეს საკითხი თქვენ არ დაგბადებიათ? (...) თქვენი აზრები მომწონს და ამისათვის

პირდაპირ გეუბნებით, თუ სამშობლო გიყვართ, ხშირად იფიქრეთ ბერობაზე" (ცინცაძე I 2010: 272). ამ სიტყვებს ახალგაზრდა და მამულიშვილის გრძნობით ანთებულ მორწმუნეზე დიდი გავლენა მოუხდენია; მასში ბერად შედგომის სურვილი აღუძრავს. ამის გამო და ამის შემდეგ ის თავის სამეგობროში ბერმონაზვნობის მნიშვნელობასა და დიდებულებაზე ხშირად ლაპარაკობდა. ამიტომ მისი ახლობლები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი მეგობარი კალისტრატე მალე ბერად აღიკვეცებოდა. აქ თითქოს საეჭვო აღარაფერი იყო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მისი ცხოვრება სხვა გეზით წარმართა.

ერთ მშვენიერ დღეს, 1891 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, როდესაც კალისტრატე სასულიერო აკადემიის მეგობართან, ნიკიტინთან, ერთად კიევის ქუჩებში დასეირნობდა, ალექსანდრეს ქუჩაზე მოულოდნელად თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს, რომელიც ორ 5 და 6 წლის ბავშვს ახლდა. ქალმა ბავშვებს უთხრა, მარცხნივ შეუხვიეთ და ქუჩა გადასჭერითო. ახალგაზრდა ქალმა და კაცმა სწორედ იმ წამს შეხედეს ერთმანეთს. ვაჟისათვის ცხადი გახდა, რომ ეს ქალი იყო გერმანელი გუვერნანტი. მისმა აღნაგობამ და გამომეტყველებამ მასზე ისეთი ზეგავლენა მოახდინა, რომ მეგობარს მაშინვე უთხრა: "მე, აი, ამ ქალზე უნდა დავიწერო ჯვარი!". ამაზე ნიკიტინმა გულიანად გაიცინა. ის საერთო მეგობრებსაც გადასცემდა ამ "წინასწარმეტყველებას" და ეს მათ სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. მაგრამ ახალგაზრდა კაცს ერთხელ ნანახისა და ასერიგად განცდილი სახის დავიწყება აღარ შეეძლო; გულის სიღრმეში დაატარებდა იმედს, რომ მალე შეხვდებოდა მას (ცინცაძე I 2010: 275-276).

და მართლაც: 1892 წლის 12 მაისს კიევის სასულიერო აკადემიის ეზოს დაახლოებით ათი კაცისაგან, ბავშვებისა და უფროსებისაგან შემდგარი ჯგუფი მოადგა. სტუმრებს აკადემიის მუზეუმის დათვალიერება უნდოდათ, რადგან კალისტრატეს აკადემიელ მეგობარს, შემდეგში ცნობილ ქართველ პუბლიცისტს, ილია ფერაძეს მათთვის უცნობებია, რომ ამ მუზეუმში ინახება უცნაური ხატი წმ. ქრისტეფორესი, რომელსაც ძაღლის თავი[3]. ამ ხატის ნახვა

[3] ლაპარაკია იმ წმ. ქრისტეფორეზე, რომელსაც საოცრად შეუხედავი თავი ჰქონდა. მისი „წამება", რომელიც შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი სხვადასხვაენოვანი ვერსიებით, აპოკრიფული

განსაკუთრებით ბავშვებს აინტერესებდათ. იმ დროს კალისტრატე სწორედ ამ მუზეუმის საგანძურის მცველად მუშაობდა და ამ სტუმრების უმრავლესობა მისგან იყო დაპატიჟებული. მხოლოდ ერთი ადამიანი არ იყო მისგან დაპატიჟებული და ეს ადამიანი გახლდათ ის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მან ექვსი თუ შვიდი თვის წინათ ალექსანდრეს ქუჩაზე თვალი შეავლო. ამ დღეს, კიევის აკადემიის მუზეუმში, გაიცვნეს მათ ერთმანეთი და გაირკვა, რომ ეს ქალი მართლაც გერმანელია, რომელიც კიევში, ერთ ოჯახში, გუვერნანტად მუშაობს. იმ დღეს გაიგო კალისტრატემ ყოველივე ის, რაც მისი წარმომავლობის შესახებ მოგონებებში არის ნათქვამი. ამ გაცნობისა და სიყვარულის გაღრმავების მომდევნო ამბავს მოგონებათა ავტორი ასე გადმოგვცემს: "იმ დღეს გაცნობილს მაისის 25 გავუკეთე წინადადება, რომელიც მიღებულ იქმნა. ღვთის განგებამ ასე ინება: სრულიად უცნობ სხვა ტომის ადამიანს შემაუღლა... მიუხედავად ამისა, 33 წლის განმავლობაში მასთან ცხოვრებისას ერთხელაც *მაღალი ხმით* ერთმანეთს არ გამოვლაპარაკებივართ... სავსებით მართალი ყოფილა: ცოლ-ქმრობას ზეცა განაგებსო" (ცინცაძე I 2010: 277).

საქორწილო ცერემონიების შესახებ მემუარებში კალისტრატე ცინცაძე ცოტას ლაპარაკობს. თუმცა, რასაც ამბობს, ირკვევა, რომ შეყვარებულთა დაწინდვა (ნიშნობა) აღნიშნული თანხმობიდან ახლო ხანს კიევში შედგა. სასიძო სამშობლოში იმავე (1892) წლის ივლისის შუა რიცხვებში დაბრუნდა. გამომგზავრების ამბებზე, საქართველოში ჩამოსვლაზე და სასულიერო ხარისხის მიღებაზე, რაც 1893 წლის 18-20 აპრილს აღესრულა, ის საკმაოდ ვრცლად გვიამბობს (ცინცაძე I 2010: 286-298), მაგრამ დანიშნული წყვილი ერთად ჩამოვიდა კიევიდან საქართველოში თუ ცალ-ცალკე, მოგონებებში გარკვევით არაფერია ნათქვამი. ჩანს, რომ საპატარძლო კიევში მანამდე დარჩა, ვიდრე საქართველოში ჯვრისწერის თარიღი გაირკვეოდა.

მოთხრობების იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომლის საერთო სახელია *ძაღლისთავიანნი* (Cynocephalie). წმ. ქრისტეფორეს ნამების ამბავი ძველ საქართველოშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაც მეცნიერულად შესწავლილია, მაგრამ ცნობას აღნიშნული ხატის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ვერ ვხვდებით. შდრ.: კეკელიძე 1959: 21-49.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მათი ჯვრისწერა შედგა თბილისში სასიძოს დიაკვნად და მღვდლად კურთხევამდე რამდენიმე დღით ადრე (1893 წლის 18-20 აპრილი). ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ქორწინების მოწმობის ის ასლი, რომელიც ნიცა ხუციშვილის ოჯახში ინახება. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ აღნიშნული ჯვრისწერა ჩატარდა 1893 წლის 4 აპრილს თბილისის წმინდა ნიკოლოზის ბერძენთა ეკლესიაში. ამ მოწმობაში საპატარძლოს ასაკი განსაზღვრულია 23 წლით, რაც ცხადყოფს, რომ ის 1870 წელს დაბადებულა.

ასევე ვიცით, რომ სასულიერო ხარისხში დადგინება კალისტრატესათვის საცოლის კონფესიურობის საკითხის გამო პრობლემატური აღმოჩნდა. დადიოდა ხმები, რომ მომავალი სამღვდელოს საცოლე თითქოს ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული და მართლმადიდებელთა წესით მონათლული. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაშინდელი მთავარეპისკოპოსი, ეგზარქოსი ვლადიმირ ბოგოიავლენსკი, ხელდასხმისათვის გამზადებულ კალისტრატეს ეჭვით და ირონიით ეკითხებოდა, ქალიშვილი, რომელიც შენ საცოლედ შეარჩიე, კათოლიკე, ანდა პროტესტანტი ხომ არ არისო? თანაც ის დამამცირებელ ფორმებს მიმართავდა: "კატოლიჩკა" და "ლუტერანკა" (ცინცაძე I 2010: 297). მოგონებათა ავტორი არაფერს ამბობს, თუ როდის და სად შედგა მისი მეუღლის გადანათელა, ანდა საერთოდ ჩატარდა თუ არა ასეთი რიტუალი. დიდი ალბათობით ის ჩატარდა, მაგრამ ჯვრის დაწერამდე რამდენიმე დღით ადრე და სწორედ იმ დღეს შეიძინა მან ახალი (ქართული) სახელი ნინო. ამის გამო უწოდებდნენ მას, თანაც ირონიით, ჯვრისწერისა და ქმრის ხელდასხმის შემდეგ "ახალმონათლულ მართლმადიდებელ მეუღლეს". მაგრამ ვინც მას ოჯახში ესტუმრებოდა, რწმუნდებოდა, რომ ქართულ-მართლმადიდებლური ტრადიციები, როგორიცაა, მაგალითად, სტუმარის პურით და მარილით მისალმების წესი, მას უკვე გათავისებული ჰქონდა. ამ წესით შეეგება ოტილია-ნინო ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს, რომელიც მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს მღვდლის სახლში ეწვია. ეს იმ დღეს მოხდა, როდესაც კალისტრატემ, მღვდლად კურთხევისა და დიდუბის სამრევლოს წინამძღვრად დადგინების შემდეგ, ამავე ტაძარში პირველი ლიტურგია აღასრულა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენებასთან დაკავშირებით

ბრწყინვალე სიტყვა (პირველი ქადაგება) წარმოთქვა (1893 წლის 25 აპრილი). ამ სტუმრობამდე ასერიგად განათლებული, გულკეთილი და ტოლერანტი ეპისკოპოსიც კი, რომელიც დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად არის გამოცხადებული, კალისტრატე ცინცაძის მეორე ნახევარს ირონიულად („თითქოს ხუმრობით") "ახლადმონათლულ მეორე ნახევრად" მოიხსენიებდა. აღნიშნული სტუმრობისა და შესაფერისი მასპინძლობის შემდეგ ამავე ეპისკოპოსს უთქვამს: "სირცხვილში ჩავვარდი. ამას *ახლად მონათლულობა* არ ეტყობა" (ცინცაძე I 2010: 298). ერთადერთი სასულიერო პირი (კალისტრატეს მემუარების თანახმად), რომელიც ხსენებულ ნიშნობას მიესალმა და იმთავითვე აკურთხა, გახლდათ ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, აწ წმინდანად შერაცხილი. მან თურმე სასიძო გაამხნევა და უთხრა: "ამბობენ, რომ გერმანელი ქალები კარგი მეუღლეები, დედები და დიასახლისები არიან" (ცინცაძე I 2010: 294). ეს არცაა გასაკვირი, რადგან ცნობილია, რომ ყოვლადსამღვდელო გაბრიელი სასულიერო და სარწმუნოებრივი შინაარსის ურთიერთობებს არამართლმადიდებელ ქრისტიანებთანაც ამყარებდა (შედარებით ვრცლად იხ.: პაპუაშვილი 2012: 25-26). ასეთ ურთიერთობებს კი ტოლერანტობისა და მორწმუნეობის ის კულტურა აპირობებდა, რომელიც წინამდებარე მიმოხილვის დასაწყისში კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მისამართით ვახსენეთ. სხვა კონფესიის წარმომადგენლის შეყვარება და მასთან დაქორწინება სწორედ ამ კულტურის გამოვლენად წარმოგვიდგება.

ამ შემთხვევაში ბუნებრივად დაისმის ერთი საყურადღებო და პრობლემატური კითხვა: იყენენ თუ არა ცოლი და ქმარი კმაყოფილნი იმით, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის რადიკალურმა ტრადიციამ ჯვრისწერისათვის მათგან მოითხოვა? კერძოდ ის, რომ საპატარძლოს რჯული რიტუალურ დონეზე გამოეცვალა.

მემუარების ავტორის დუმილი თავისი საცოლის მართლმადიდებელთა ეკლესიაში მონათვლასთან დაკავშირებით იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ის ასეთი წინაპირობის გამო კმაყოფილი არ იყო (შდრ.: ცინცაძე I 2010: 297-298; ცინცაძე II 2010: 265-266). მისი მეუღლის განწყობილებას რაც შეეხება, საეჭვოა, რომ მას წინადადება რჯულის გამოცვლის ანუ, სხვა სიტყვით, მეორედ მონათვლის თაობაზე სიხარულით მიეღო. თუმცა

ამაზე ჩვენ არავითარი წერილობითი დოკუმენტი, ზეპირი გადმოცემის გარდა, არ მოგვეპოვება. არადა ეს საკითხი დღეს ძალზე აქტუალურია. მართლმადიდებელ ეკლესიაში დღესაც დაისმის (თანაც მწვავედ) კითხვა, ინტერნაციონალური ქორწინების შემთხვევაში არამართლმადიდებლისაგან რჯულის გამოცვლა საჭიროა თუ არა? სასურველი იქნებოდა, რომ დოკუმენტური და ზუსტი პასუხის გაცემა შეგვძლებოდა კითხვაზე: იმ დებატებსა და პოზიციათა ჭიდილში, რასაც თანამედროვე მართლმადიდებელ ეკლესიაში გზადაგზა ვხედავთ, რომელ მხარეს დაიჭერდნენ ან წმინდანად შერაცხილი კალისტრატე ცინცაძე და მისი მეუღლე?

დაბეჯითებით ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ: აღნიშნულმა ქორწინებამ ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებას სანიმუშო ქართულ-გერმანული ოჯახი შესძინა. ცოლ-ქმარმა ექვსი შვილი გაზარდა: ხუთი ქალიშვილი: ეკატერინე, ნინო, მარინა, ანგელინა, მელიტა და ერთი ვაჟი – მიხეილი. მათგან ოთხი მშობლების სიცოცხლეში გარდაიცვალა; ცოცხალი მხოლოდ ორი ქალიშვილი დარჩათ. ერთი ქალიშვილი, ნინო, იყო ძალიან ნიჭიერი და პოლიგლოტის უნარით დაჯილდოებული. ის სახელმწიფო-სამთავრობო დაწესებულებებში მუშაობდა, ბოლოს კი – ბაქტერიოფაგების ინსტიტუტში და 1937 წლის საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა.

ოჯახმა არაფერი იცოდა, თუ რა ბედი ეწია ნინოს დაპატიმრების შემდეგ. ამის შესახებ ჩვენც არაფერი ვიცოდით, როდესაც ამ პუბლიკაციის პირველ ვარიანტზე ვმუშაობდით. მაგრამ ამასობაში ეს სიცარიელეც შეივსო. წინამდებარე მიმოხილვაზე მუშაობის დროს (2018 წლის 31 იანვარს) კვლავ შევხვდით მისი უწმინდესობის შვილიშვილს – ქალბატონ ნიცა ხუციშვილს, რომელმაც გვიამბო:

"დეიდა ნინო, შინაურულად ნიუსია, დააპატიმრეს 1937 წელს. იმ დროს ის ახალი დაქვრივებული იყო; ჰყავდა ორი ვაჟი და ქმრის გვარს, ყარალაშვილს, ატარებდა. ნიუსია მაშინ ბაქტერიოფაგების ინსტიტუტში მუშაობდა; იყო პირადი მდივანი ამ ინსტიტუტის დირექტორის – გიორგი ელიავასი, იმდროინდელ საქართველოში ძალიან ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწისა. გიორგი ელიავას დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისიც დააპატიმრეს; ორივე სამშობლოს ღალატში დაადანაშაულეს.

თურმე ეუბნებოდნენ: აღიარეთ, რომ თქვენ ინგლისელებთან დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებით და მიზნად გაქვთ დასახული მოსახლეობის მოწამვლა ინგლისიდან შემოტანილი ვაქცინების საშუალებით! მამამისი, ანუ ბაბუაჩემი, ისე გარდაიცვალა, რომ არ იცოდა, ქალიშვილი ცოცხალი ჰყავდა თუ გარდაცვლილი. მან რამდენიმეჯერ მისწერა სათანადო ორგანოებს, ის მაინც მაცნობეთ, ჩემი შვილი ცოცხალია თუ მკვდარი, რადგან არ ვიცი, ლოცვებში როგორ მოვიხსენიო, როგორც ცოცხალი თუ როგორც გარდაცვლილი? მხოლოდ ახლახან, 2017 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, გაირკვა (სახელმწიფო არქივში მოძიებული დოკუმენტების მეშვეობით), რომ ჩემი დეიდა დაჭერიდან ორი თუ სამი თვის შემდეგ დაუხვრეტიათ. ის ადრე, ბაქტერიოფაგამდე, მინისტრთა საბჭოში მუშაობდა; იყო სტენოგრაფისტი; განათლებული, ეროპული ენების მცოდნე. გამიგია, რომ მას ბევრი კავშირი ჰქონდა უცხოეთთან, განსაკუთრებით კი ჩვენს ნათესავებთან დედის მხრიდან. ისიც მსმენია, რომ ის (სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე) ღრმად იყო ჩახედული მინისტრთა საბჭოს საქმეებში და იქაური სამზარეულოს ამბებიც კარგად მოეხსენებოდა. ჩემი აზრით, მისი განადგურების ნამდვილი მიზეზი ეს უნდა ყოფილიყო: მთავრობას ხელს არ აძლევდა თავისი ამბების ასე კარგად მცოდნე პირის ცოცხლად დატოვება".

ქალბატონ ოტილია-ნინო თომას-ცინცაძის გარდაცვალების ზუსტი თარიღი და დაკრძალვის ზუსტი ადგილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის (ქ-ნ ნიცა ხუციშვილის თქმით, ის 1941 წლის ახლო ხანს გარდაიცვალა).

ოტილია-ნინო თომას-ცინცაძის ცხოვრების გულდასმით შესწავლა სამომავლო საქმედ წარმოგვიდგება. ამჯერად კვლავ ვიტყვით ხაზგასმით, რომ ამ ქალბატონის საქართველოს ეკლესიის წინაშე დამსახურება მეტ ყურადღებას იმსახურებს. მის სიტყვებს, რითაც მან მიმართა მეუღლეს, როდესაც მას, დეკანოზ კალისტრატეს, საეპისკოპოსო სამსახურისათვის მოუხმეს, ეკლესიის ისტორიაში ოქროს ასოებით ამოჭრა შეეფერება. ამ სიტყვებიმა იმ სიტყვაში გაიჟღერა და საჯარო იმ სიტყვის შემდეგ გახდა, რომელიც კალისტრატე ცინცაძემ ეპისკოპოსად გამოცხადების დღეს, 1925 წლის 31 ოქტომბერს, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და საეკლესიო კრებულის წინაშე

ქაშვეთის ტაძარში წარმოთქვა (გავიხსენოთ, რომ საეკლესიო წესის მიხედვით საეპისკოპოსო კანდიდატმა ოჯახი უნდა დატოვოს)[4].: "ბევრმა აქ მყოფმა იცის, რომ ოცდაცამეტი წლის განმავლობაში ჩემი უერთგულესი მეგობარი და ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი უცხო და შორეული ერის შვილია; რომ, ჩემი გულისათვის, მან დასთმო დედა და მამა, დანი და ძმანი, სამშობლო მხარე და მეგობარნი; მომენდო მე, შეუერთა თავისი ბედი ჩემს ბედს, შეიყვარა და შეითვისა ჩემი ერი და ჩემი ეკლესია, საუკუნის მესამედის მანძილზე იზიარებდა ჩემს ლხინსა და უფრო ხშირად ჭირს და ერთხელაც არ მოუყენებია ჩემთვის უსიამოვნების აჩრდილიც კი... ნუთუ შემეძლო მე განვშორებოდი ასეთ ადამიანს, რასაც მოითხოვს საეკლესიო კანონმდებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უკვე შესულია მოხუცებულობაში და დღე და ღამ თავს დასტრიალებს ბოროტის სენით შეპყრობილს ჩემს ასულს?... არა, და ათასჯერ არა!... (...) მაშ რამ, ან ვინ გამაბედვინა მოსვლა წინაშე თქვენსა [უწმინდესო მეუფეო, ამბროსი]? ერთი მხრივ, მოციქულთა შორის თავმა, რომელიც იტყვის: *ძალი უფლისა უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო* (2 კორ. 12,9). მეორე მხრივ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრის საქართველოს ეკლესიისადმი სიყვარულმა და უზომო პატივისცემამ _ გაიგო თუ არა ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართა ბეჯითი სურვილი, მან გადმომცა: თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს შენგან ახალ პირობებში სამსახურს, შენ, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა *დაუტეო ცოლიცა და შვილიც, აღიღო ჯვარი თვისი და შეუდგე ქრისტეს* (მატთ. 10,37; 16,24), *ჩვენთვის მიუტევე უფალსა* (ფს. 54,23): *რომელი არა ივიწყებს ცის მფრინველთა და ველის შროშანთა* (მატთ. 6,26-28), არ მოგვაკლებს თავის მოწყალებას ჩვენცა" (ცინცაძე 2014: 33-34).

---

[4] ამასთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 1917 წლის კრებაზე ცხარე დისკუსია გაიმართა და შემდეგი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: ეპისკოპოსისათვის ბერობა თუმცა აუცილებელი არ არის, მაგრამ არც ის არის დასაშვები, რომ მან ოჯახთან ერთად იცხოვროს. თუკი ვინმეს ეპისკოპოსობა უნდა და ამავე დროს დაოჯახებულია, ცოლს უნდა გაეყაროს. შდრ.: პაპუაშვილი 2008: 439.

საზოგადოებისათვის დღემდე არაფერი იყო ცნობილი იმის შესახებ, რომ 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ტრაგედია _ გერმანელების საქართველოდან გარეკვა _ საკუთარ მხრებზე კალისტრატე ცინცაძის ოჯახმაც იწვნია. რეპრესირებულთა და დეპორტირებულთა შორის აღმოჩნდნენ: ოტილია-ნინოს და _ მატილდა ტომასი, მატილდას გოგონა _ სონია, კალისტრატეს შვილიშვილის, გიორგი ყარალაშვილის, მეუღლე ნორა პფეფერი და ნორას მამა (კალისტრატეს მძახალი), გუსტავ პფეფერი, მის მთელ ოჯახთან ერთად.

აი, რა გვიამბო ნიცა ხუციშვილმა:

"ჩემი გროსტანტე, მატილდა ტომასი, ჩამოვიდა დასთან და სიძესთან ანუ ბაბუაჩემთან, კალისტრატე ცინცაძესთან. მამამასს, იოგან (ივანე) ტომასს, თერთმეტი შვილი ჰყავდა. მას თურმე ასეთი წესი ჰქონდა: დააყენებდა შვილებს ფეხზე თუ არა, ეტყოდა მათ: უკვე სრულასაკოვნები ხართ; ახლა თქვენ თავს თქვენვე უნდა მიხედოთო. მატილდა საქართველოში, სავარაუდოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918 წლის ახლო ხანს) ჩამოვიდა. ბაბუაჩემს მცხეთაში აგარაკი ჰქონია. გროსპაპას (ასე ვეძახდით მას) მისთვის ეს სახლი საცხოვრებლად დაუთმია. ის იქ დასახლებულა. ის გაუთხოვარი ქალი იყო. ამიტომ ერთი რუსი გოგონა, სონია, უშვილია. როდესაც ომი დაიწყო (დიდი ხანი არ იყო თურმე ომის დაწყებიდან გასული), მატილდა ყაზახეთში გადაასახლეს თავის შვილთან და საქართველოში მცხოვრებ გერმანელებთან ერთად. საწყალს, თურმე, დიდი იმედი ჰქონდა, რომ დააბრუნებდნენ. ამიტომ, გამიგია, ყველა საბუთი ქუდში ჰქონდა ჩაკერებული, არსად დამეკარგოსო; საქართველოში რომ დავბრუნდები, ბინის საკუთრების თაობაზე პრობლემები არ შემექმნასო. მაგრამ ველარ დაბრუნდა. ყაზახეთში გარდაიცვალა საქართველოდან განდევნილი გერმანელების უმრავლესობასთან ერთად. ასევე: ჩემს დეიდაშვილს, ნიუსიას შვილს, _ გიორგი ყარალაშვილს, _ ცოლად ჰყავდა გერმანული სკოლის დირექტორის, ბატონ გუსტავ პფეფერის ქალიშვილი _ ნორა პფეფერი. პფეფერების ოჯახი სხვა გერმანელ ოჯახებთან ერთად გადაასახლეს. ახალდაქორწინებული ნორა კი დააპატიმრეს, გაასამართლეს და მერე ისიც ციმბირში გადაასახლეს. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ქართული კულტურის ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნორა პფეფერის (Nora Pfeffer)

წინაპრების (როგორც მამის, ისე დედის მხრიდან) საქართველოში მოსვლისა და ამ ქვეყანაში მოღვაწეობის ამბები. კერძოდ შემდეგი: მისი ბაბუა (დედის მხრიდან) იყო დიდი ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგებელი საქართველოში და თბილისში გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე საკანცელარიო და წიგნის მაღაზიის დამაარსებელი; მისი დედა, ემილია, _ საქართველოს დამსახურებული პედაგოგი (გერმანული და რუსული ენების მასწავლებელი); მამა, გუსტავ პფეფერი, _ დიდად განსწავლული ადამიანი, ასევე დამსახურებული პედაგოგი და კულტურტრეგერი (გარდაიცვალა გადასხლებაში, ყაზახეთში, 1971 წელს). ნორა პფეფერის ბიოგრაფია და პოეზიის რამდენიმე ნიმუში იხილეთ წიგნში: დაფნე შპრინგჰორნი, გერმანელები საქართველოში, თბილისი, 2004, გვ. 193-197. ცხადია, ამ მონაკვეთის ყველა დეტალი საგანგებო გამოკვლევას საჭიროებს, რაც მომავლის საპატიო საქმედ წარმოგვიდგება.

ლიტერატურა

კეკელიძე 1959: კ. კეკელიძე, ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ისტორიიდან (მარტვილობა ქრისტეფორე კინოკეფალისა). ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. 1, 1959

პაპუაშვილი 2006: ნ. პაპუაშვილი, გრიგოლ ფერაძე სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ (გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი), თბილისი, 2006

პაპუაშვილი 2008: ნ. პაპუაშვილი, კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტ. 1, 2008

ყაჯრიშვილი 2014: თ. ყაჯრიშვილი, კალისტრატე ცინცაძის უკანასკნელი საჩუქარი. „კვირის პალიტრა", 2014, 21-27, VII, Nr. 30

ცინცაძე 2014: კ. ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და გამოკვლება დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბილისი, 2014

ცინცაძე 2017: კალისტრატე ცინცაძე / Kalistrate Zinzadse 150, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2017

ცინცაძე I 2010: კ. ცინცაძე, მოგონებები არაშორეული წარსულიდან. მწიგნობრობა ქართული, ტ. 9, თბილისი, 2010

ცინცაძე II 2010: კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან. მწიგნობრობა ქართული, ტ. 10, თბილისი, 2010

Papuaschwili 2012: N. Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen orthodoxen Kirche: Die Erneuerung der Autokephalie und die Reformen (drei kirchenhistorische Studien mit einführendem Aufsatz und Beilagen), Tiflis 2012

საერთო საძიებელი*

აბასთუმანი 105
აბოვიან, ხაჩატურ 109
ადვენტისტები 141
ავსტრია 33, 38
აზერბაიჯანი 104, 142, 146
აზია (ასია) 13, 34, 61, 95
აზიკოვი, ჰარი 142
ათაბაგი 19, 20, 24, 28-31, 42, 46 და ა. შ.
ათასნლოვანი სამეფო 94-97, 116
ათონის მთა 29
ალბანეთი (კავკასიის) 29
ალბანელები 47, 84
ალბი (შვაბიის) 100
ალექსანდერსდორფი 104, 105, 114, 143
ალექსანდერსდორფი 105
ალექსანდრე I 87, 98, 99, 104, 142
ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) 167, 170
ალექსანდრეს ქუჩა კიევში 168
ამბროსი (გადამწერი) 29
ამიერკავკასია 86, 88, 89, 108, 137, 138
ანა პავლეს ასული 104
ანდრეას, იაკობ 63, 74, 80
ანდრეოლეტი, ანჟელო 135
ანდრია პასტორი 21, 24
ანენფელდი 104, 127
ანტონი პასტორი 21
არარატი 97, 106, 109, 119, 149
ასურეთი 104, 122, 148
აუგსბურგი (აუგსბურგის აღსარება) 33, 36, 46, 49, 62, 72 და ა. შ.
აფრიკა 12, 13, 33, 34
აღმოსავლეთ საქართველო 17, 30, 82, 83, 86, 87, 108
აღმოსავლეთის ეკლესიები 77
აშკელონი 50
ახალციხე 20-22, 27, 31, 75, 78, 80
ახალციხის მუზეუმი 27
ახალციხის სამთავრო 22
ახალციხის საფაშო (ვილაიეთი) 22
ახლო აღმოსავლეთი 29

ბადენი 89-91, 94, 99, 101
ბავარია 12, 101
ბაზელი 106-108
ბაზელის მისია 106
ბალტიისპირეთი 89
ბამბაკის მთები 123
ბაპტისტები 141

*ამ საძიებელში შესული არ არის სიტყვები და შესიტყვებები წინასიტყვიდან და ბიბლიოგრაფიული მითითებებიდან.

ბარათაშვილი, ნიკოლოზ 170
ბარნოვი, ვასილ 82
ბასილი, წმ. 35
ბასილიკუსი, იაკობ 73, 77
ბაქო 142
ბაქტერიოფაგების ინსტიტუტში 172
ბებლე 122
ბენგა, დანიელ 53
ბენგელი, იოანე ალბრეხტ 90, 96
ბენცი, ჰაინრიხ 108
ბერმანი, გუსტავ 134
ბერძნები 35, 47, 59-63
ბერძნული ტრადიციის ეკლესიები 71
ბიზანტია 70, 81
ბილფელდი, ლეოპოლდი 135
ბლუმენტალ" 105
ბოლნისი 104, 105, 116, 142, 150
ბრეიშ, ლეონარდ-ედუარდ 105
ბრინტალი 105
ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოება 106
ბრიტანეთისა და რუსეთის ბიბლიური საზოგადოებები 107, 175
ბუდოვიცი, ვენცესლავ 33-35, 45, 53-58, 61, 63, 65, 68-70, 75-79
ბურჭულაძე, გ[იორგი] 131

გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) 167, 171
გაზენჰოტი 167
გათი 50
გამუსლიმებულ ქართველთა რაზმი 68
განჯა 104
გაწერელია, აკაკი 82
გელარხი პასტორი 21
გეორგიევსკი 86, 87
გერლახი, სტეფან 33, 36, 38, 54, 59, 66, 74, 79, 80
გერმანელები 88, 107, 113
გერმანელთა ახალშენები 82, 119, 122, 123, 132
გერმანელთა ყოფილი სასაფლაო 145
გერმანელი 4, 17 და ა. შ.
გერმანელი ევანგელისტი მისიონერები 82
გერმანელი მოგზაურები 82
გერმანელი სამხედრო ტყვეები 140
გერმანია 9, 10, 14 და ა. შ.
გერმანელების სასტუმრო 113, 117, 118
გერმანელთა თემი 105
გერმანული დასახლებები 88, 136
გერსამია, თამაზ 106
გვარამაძე, ივანე 20, 21, 27, 28, 30, 79, 80
გიორგი XII 88
გიორგი, წმ. 38, 136
გიულდენშტედტი, იოჰან 82-84, 88
გლასერი, ჰერმან 7, 40
გოგირდის აბანოები ("სამკურნალო აბაზანები") 114

გოლოვინის (ახ. რუსთაველის) პროსპექტი 176
გრაცი 38
გრეგორი მამასი 71
გრიგოლ IX, პაპი 11, 12
გრიგოლია, ნათელა 150
გრძელიძე, თამარ 56
გუგუშვილი, პაატა 105
გუტენბერგი, იოჰან 76

დავით აღმაშენებლის 104
დავით წინასწარმეტყველი 50
დებორა 31
დედისიმედი 31
დიდი ბრიტანეთი 12, 175
დიდუბე 104, 118, 143
დიტრიხი, აუგუსტ ჰაინრიხ 108, 112, 114, 115
დმანისი 105
დოლსციუსი, პავლე 72
დონელი გერები 128
დროთეოსი (ანტიოქიის პატრიარქი) 30
დრეილინგი, იოჰან 142
დუშეთი 115

ეგვიპტე 101
ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია 9, 136, 142, 146
ევროპა 10, 12, 13, 33, 73, 81, 86, 87, 97, 109, 136
ეკატერინე II 88
ეკატერინენფელდი (იგივე კატერინენფელდი, კატარინენფელდი. იხ.) 104
ელენე პავლეს ასული 104
ელენენდორფი 104, 127
ელიავა, გიორგი 172
ელიზაბეტტალი 104, 105, 122, 123, 127
ენგელბრეხტი, მარტინ 133
ერეკლე II 84, 86, 87
ეროვნული ბიბლიოთეკა 27, 79
ესაია 94
ესპანეთი 47
ეფესოს საეკლესიო კრება 95
ვაგნერი, მორიც 117, 119-130

ვალდელნები 12
ვალდჰაიმი 105
ვალიკო [ვახვახიშვილი] 149
ვანდერსმანი 134
ვანის რაიონი 163
ვატიკანი 56
ვახვახიშვილი, ანა 149, 150
ვახუშტი 29, 30
ვეკუა, ირაკლი 56
ვიზენდორფი 105
"ვინმე მესხი" 20
ვიტენბერგი 15, 34, 54, 70, 73
ვიურტემბერგი 68, 89, 91, 92, 101, 110, 114, 115, 126, 143, 144, 150
ვლადიმირ ბოგოიავლენსკი 170
ვოლგის სამხრეთ ნაწილი 88
ვორმსის რაიხსტაგი 15

ვურხერები, ვიქტორ-
ჰაინრიხი და ვლადიმირ-
კარლ 149

ზაარბრიუკენი 143, 144
ზალცმანი 117, 119
ზეციური იერუსალიმი 96,
97, 103
ზინტცენდორფი, იოახიმ 38,
46, 57, 75

თათარაშვილი, ნესტან 105
თათარნი // თათრები 85, 112,
123, 125
თამარაშვილი, მიხეილ 11
თბილისი 9 და ა. შ.
თეთრი მთა 54
თეოდოსიუს 66
თერგის მხარე 83
თოგმაგ სულთანი 37
თომასი, ივანე 167
თომასი, მატილდა 175
თურქები 37, 40-44, 49, 51,
58-63, 71
თურქეთი 36-38, 43, 55, 75,
86, 87

იაკობ პასტორი 221 24
იაკობი (მზეჭაბუკ I) 39
იბერია 35, 48
იბერო 47
იერემა II (ტრანოსი) 36
იერუსალიმი 36, 28, 71, 76,
95, 97, 102,103, 106, 116,
118-122, 126-130
ივანე ჯავახიშვილის
უნივერსიტეტი 145

იმერეთი 86, 164
იოანე ბატონიშვილი 85
იოანე მახარებელი 94, 96
იონათან 50
იორი 104
იოსებ II 72-74
იოსებ, ბერი 48, 49, 77
ირინეოს ლიონელი 95, 96
იტალია 71
იუნგ-შტილინგი, იოანე
ჰაინრიხ 96, 98

კავკასია 64, 82, 83, 86-89,
99, 101, 103, 207, 108, 117,
131, 142, 146
კაზაკები 126-128
კათარები 12
კათოლიკეები 12, 13, 15, 21,
30, 33, 68, 79, 85
კაიროს ბაზარი 130
კალვინი, ჟან 53, 54, 79, 85
კალინოვა 83
კალისტრატე ცინცაძის
შვილები 172
კანტაკუზელი, მიხეილ 64, 77
კარლრუე 98
კარტოზია, ალექსანდრე 145
კასპიის ზღვა 35
კატარინენფელდი 105, 110-
113, 122, 123, 125, 127, 128,
177
კატერინენფელდი 104, 149
კაუფჰოლდ, პუბერტ 41, 56,
57
კახეთი 84, 86-88, 104, 109
კეკელიძე, კორნელი 25, 26,
94, 95

კერპთმსახურნი 85
კიკნაძე, ზურაბ 11
კირიონი (საძაგლიშვილი) 134
კირხეს ქუჩა ("კირიჩნი") 140
კლაპროთი, ჰაინრიხ იულიუს 84
კოზერი 126
კოლხები 35, 47
კოლხეთი 61
კონსტანტინოპოლი 20, 30-42, 49, 53-58, 61-69, 71-78
კონსტანტინოპოლის საპატრიარქო 63, 68, 69, 74
კოპალეიშვილი, ტატიანა 71, 129
კორიდეთი 134
კოცებუ, ფრიდრიხ 117, 126
კოხი, იაკობ 98, 101
კოხი, კარლ 117-120, 130, 131
კრუდენერი, იულია 98-102
კრუსიუსი, მარტინ 33, 34, 62-64, 70, 74, 79, 80
კუკია 104
კუმერი, მარია 98
კურლანდია 167
კუტალია, გურამ 25

ლაისტი, არტურ 136
ლეონ X, პაპი 15
ლეონიდი, ოქროპირიძე 167
ლიხტენბერგერი, ჰერმან 58, 95, 108
ლორთქიფანიძე, იოსებ 24
ლუთერანი მისიონერები 17, 20, 30, 62, 69, 76, 78
ლუთერანული ევანგელიზმი 69, 80
ლუთერანული ეკლესია 9, 70, 106, 129, 136, 142, 146
ლუთერი, მარტინ 9, 10, 14-19, 72, 74, 78, 81, 84, 85, 131, 134, 141
ლუთერის მიმდევრები 15

მათე 95, 139, 150, 173
მაიერი, დანიელ 121
მაიერი, რიჰარდ 137
მაიერი, ფრიდა 137-138
მაისურაძე, რუსუდან 106
მანუჩარ ათაბაგი 32, 33, 68, 78-80, 87
მარიენფელდი 105, 106, 116, 133
მარკოზი 95
მარტენ პასტორი 21
მატრონა 127
მაქსიმილიან II 33, 36
მეგრელები 35, 37, 47, 61
მელანქტონი, ფილიპ 72, 73
მელაშვილი, თამთა 148
მენონიტები 141
მეოტისა და ჰირკანის ზღვები 47
მესხეთი 20, 22, 27, 28, 78
მზეჭაბუკ I 19-21, 24, 27-30, 68, 79
მზეჭაბუკ II 28, 78, 79
„მზე-ჭაბუკი" [ვასილ ბიბილაშვილი] 132
მიტროფანე, მიტრ. 63
მიუნხენი 57, 130
მიხაელტალი 105

მონტანი (მონტანიუსი) 95
მოსკოვი 98, 138, 142
მოსკოვიტები 49
მტკვარი 104, 118
მურად III 32
მურატი, სულთანი 41
მუსლიმი 11, 22, 28, 34, 68, 87, 107, 112
მუსტაფა ფაშა 31, 40, 41, 58
მჭედელი კატარინენფელდისა 127
მხარგრძელი, ივანე 11

ნ. პ. (ნუგზარ პაპუაშვილი) 19, 20, 32, 45, 47, 48, 50, 55, 57, 59, 65, 85
ნაიდჰარდტი 127
ნაპოლეონ ბონაპარტე 91, 94, 95
ნეკი, რუდოლფ 38
ნიკიტინი 168
ნიკოლოზი, დეკ. 133
ნიურნბერგი 76
ნოი-ტიფლისი 104, 121, 127

ობერტონი, იოანე ფრიდრიხ 98
ოდესა 100, 114
ოთხმეზური, თამარ 133
ოლიმპო 92
ორმოცდაათიანელები 141
ოსეთი 83
ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი 136
ოსმალეთი 21, 22, 31, 69, 86
ოსმალეთის სპეცსამსახურები 69

პავლე I 87
პავლე მოციქული 128
პალესტინა 121, 122, 126
პალმერი 126
პარიზი 99
პატერსონი 106
პეპუზია 95
პეტერბურგი 106, 107
პეტერსდორფი 104, 127, 132
პეტრე I 104
პეტრე-პავლეს ტაძარი 137
პიეტისტები 17, 89-94, 99-103, 106, 130, 141
პიეტისტური საკრებულოები 140
პილიგრიმები 16, 126-129
პინკერტონი 83, 106, 107
პლატრისი, კონსტანტინე 71
პლეხანოვის გამზირი104
პოლონელები 52, 56
პორტა 41, 46, 67, 75
პრაღა 54, 55
„პროპაგანდა ფიდეს" არქივი 56, 57, 62
პფეფერი, გუსტავ 175
პფეფერი, ნორა 148, 175

რაინეგსი, იაკობ (ელიხი) 84, 87
რაიტცენი, დიმიტრი 73, 77
რანსიმენი, სტივენ 64, 65
რასკოლნიკები 85
რევიშვილი, შოთა 77
როიტერი, მანფრედ 7, 149
როიტლინგენი 99

რომეო და ჯულიეტა 167
რომი 10-13, 30, 46, 62, 70-72, 85
რომის კათოლიკე ეკლესია 10, 30, 62, 70
რომის სამეფო 46
როსტოკი 33, 56
რუსები 42, 85, 115
რუსეთი 81, 83, 85-89, 97-101, 105-115, 118, 129, 137, 142, 164-167
რუსთავი 142
რუსუდანი, დედოფალი 11

საათაბაგო 19, 22, 27, 28, 29, 31, 67, 80, 87
საბერძნეთი 33, 34, 58, 62
საბჭოთა კავშირი 137, 142, 146
სამეგრელო 61
სამცხე-საათაბაგო 19, 27, 87
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა 73
სართიჭალა 104, 148
სარკინოზები 11
საული 50
საფრანგეთი 67, 92, 97, 99
საქართველო 23 და ა. შ.
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია *11, 71, 165, 166*
სელეეცერი პასტორი 21
სეპარატისტები 90, 93, 94, 97-99, 108, 116-130
სერბეთი 77
სვანიძე, მიხეილ 32
სიმეონ იეროდიაკონი 64
სინაი 29
სირია 11
სირიელები 34, 35
სოლეი, ირინა 138
სომეხნი 85
სომხეთი 35, 81, 108, 109, 114, 146
სომხური წესის კათოლიკობა 81
სონია [თომასი] 175
სოფლის მაცხოვარი 133
სპარსეთი 58, 86, 113
სპარსელები 38, 40, 41, 53, 58, 120
სტავროპოლის მაზრა 86
სტალინი 140, 141
სტამბოლი 20, 21, 31, 75
სტაროვერნი 85
სტრასბურგი 76
სულთანი 22, 31, 32, 36, 37, 41, 42, 67, 69, 78

ტაბაღუა, ილია 56, 57
ტაბიძე, გალაკტიონ 24
ტაიტი 91
ტიზინგენი 21, 24
ტიუბინგენელი მისიონერები 17
ტიუბინგენი 21, 58, 62-70, 74, 75, 80, 95, 103, 107
ტიუბინგენის უნივერსიტეტი 68
ტობანიერი *163*
ტომას-ცინცაძე, ოტილია-ნინო 163, 165, 167, 170, 173, 175

უილბრაჰამი, რიჩარდ 113, 115
ულმი 101
უნგნადი, დავიდ 36, 38, 74
უნგრელები 52, 56
ურიანი 85

ფაშისტები 141
ფერარა-ფლორენცია 71
ფერაძე, გრიგოლ 136
ფერაძე, ილია 168
ფერდინანდი 54, 91
ფიოლ, რენატე 102, 111
ფირიქს, ქრისტეფორ 35
ფიცხელაური, დოსითეოს 83, 107
ფორტაინესი, ფრიდრიხ 98
ფრანგი 82, 88
ფრანკფურტი 89
ფრიგია 95
ფრიდერიხ, იოანე იაკობ 96
ფრიდრიხ V 54
ფრიკი, გეორგ 102
ფროიდენტალი 105

ქაიხოსრო II 19, 28, 29, 31
ქართველი 10 და ა. შ.
ქართლი 17, 28, 29, 31, 86, 109
ქართლ-კახეთი 84, 87, 88
ქართული წიგნის ბაზარი 18
ქაშვეთის ტაძარი 135
ქვემო ქართლი 17
ქრისტეფორე წმ. 168, 169
ქრისტიან-ული აღმოსავლეთი 34, 36, 70, 73, 77, 166
ქუთაისი 163

ქურთები 110, 111, 119-127

ღვინერია, თათია 105

ყაზახეთი 140, 175
ყარალაშვილი, გიორგი 175
ყარალაშვილი, ნინო (ნიუსია) 172, 175
ყვარყვარე ათაბაგი 28, 31, 32, 42, 45, 46, 52, 60, 65-80, 84

შავი ზღვა 100
შამქორი 104
შარდენი, ჟან 82
შატბერაშვილი, ვლადიმერ 18
შევარდნაძე, ედუარდ 145
შერიგების ეკლესია 138, 144, 146
შვაბია / შვაბი 68, 89-91, 93, 96-98, 101-103, 110, 119, 120, 123, 128, 138, 141, 145, 149
შვაიგერი, სალომონ 33, 36-39, 53, 55, 65-70, 75-79
შვეიცარია / შვეიცარიელები 88, 99, 100, 101, 108
შვეიცარიელი მისიონერები 108
შილტბერგერი, იოანე 12
შლატერ, ვილჰელმ 106
შონდორფი 138
შოხი, მარკუს 146
შპენერი, ფილიპ იაკობ 89
შპინგჰორნი, დაფნე 131, 148
შპონი, ბარბარა 116, 119,

121, 122, 126, 128, 132
შტუტგარტი 101
შუა აზია 139
შულავერი 110

ჩეხეთი 33, 54, 71
ჩილდირის საფაშო 32

ცარემბა, ფელიციან მარტინ 108
ციგომალა, თეოდორე 36, 63
ციმბირი 138-140, 174
ცინცაძე, კალისტრატე 138, 163-176
ცირკაზირი 61

წარმართები 107
წმინდა საფლავი 120

ჭავჭავაძე, ილია 136
ჭიჭინაძე, ზაქარია 18-26, 28, 68, 78-80
ჭუმბურიძე, თამარ 133

ხელაია, ამბროსი 136, 173
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 133
ხიდეშელი, თინათინ 107
ხიზაბავრა 19, 20, 79
ხიტრეუსი, დავით 33, 55, 57, 58, 61, 75, 79
ხუციშვილი, ნიცა 167, 170, 172, 173
ჯავალა 123
ჯავახეთი 19, 20
ჯავახია, ბეჟან 71, 80

ჯაყელები 21, 22, 27, 31-35, 68
ჯაყელი, ქაიხოსრო 19, 28, 29, 31

ჰაბსბურგები 33, 54, 55, 57, 69, 74, 75
ჰაიგი, პეტერ 102
ჰაილბრანი 98
ჰალბერგ 130
ჰიტლერული გერმანია 139
ჰოლანდიელები 88
ჰუმელ, გერტ 102, 143-145
ჰუმელ, ქრისტიანე 138, 145
ჰუმილიატები 12

Andreae, Jacob 69

Bengel, Johann Aldert 90
Benz, Ernst 64, 70
Berg, Lorenz 83
Byzanz 64, 70

Chardin, Jean 82
Charriére, E. 67
Crusius, Martin 69

Engels, Watter 70

Francke, Gotthilf August 90

Grapsch, Gottfried 83

Hahn, Johann Michael 90
Heerbrand, Jakob 69
Hevel, Friedrich 83

Lampe, Friedrich Adolf 90

Osiander, Lukas 69

Pregizer, Christian Gottlob 90

Reiz, Kondrad 83

Undereyck, Theodor 90

Wittenberg 64, 70

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Sulkhan-Saba Orbeliani University

Nugzar Papuashvili

From the History of Evangelical-Lutheran Church in Georgia

Prehistory and History

(In Georgian)

Editors:
Zurab Kiknadze – Emeritus Professor
Manuchar Guntsadze – PhD Student

Tbilisi 2018

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიბაშვილის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com